დოც. ძ. მ. თარგამაძე

საბჭოთა მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა

ნაწილი პირველი

პროფ. ვ. ზ. გულისაშვილისა და დოც. პ. მ. ულენტის
რედაქციით

სახელგამი
თბილისი
1956

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელოს „სატყეო მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა“ პირველი ნაწილი შედგენილია სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ტექნიკური სასწავლებლების მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით და შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: საგნის შინაარსი და ამოცანები, სატყეო მეურნეობის მმართველობის ორგანიზაცია, წარმოების საშუალებების გამოყენების ორგანიზაცია, შრომისა და ხელფასის ორგანიზაცია, ტექნიკური დანორმვის საფუძვლები, ტყის დაცვის ორგანიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და წარმოების მომსახურეობის ორგანიზაცია და სატყეო მეურნეობის წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენის მეთოდიკა და სისტემა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სატყეო მეურნეობის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. ჩვენი აზრით, იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს აგრეთვე სატყეო მეურნეობის დარგში მომუშავე მეტყევე სპეციალისტებს სატყეო მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის საკითხების დაუფლებისა და ეკონომიური ცოდნის ამაღლების საქმეში.

სახელმძღვანელო ქართულ ენაზე პირველად გამოდის, როგორც პირველი შრომა ამ დარგში, ის შეიძლება შეიცავდეს ნაკლოვანებებს; ყოველი საქმიანი შენიშვნა ავტორის მიერ მიღებული იქნება მადლობით და გამოყენებული იქნება შრომის შემდგომი გამოცემის დროს.

ავტორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თანამედროვე კულტურისა და ტექნიკის განვითარების პირობებში ძნელია წარმოვიდგინოთ სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, სადაც დიდი თუ მცირე ოდენობით არ იყოს გამოყენებული ტყე და სატყეო მეურნეობის პროდუქცია.

სატყეო მეურნეობის მთავარი პროდუქტი — მერქანი ორგანულ ნივთიერებათა შორის ერთადერთია, რომელიც შეიცავს არა მარტო მაღალხარისხოვან საშენებლო და ენერგეტიულ მასალას, არამედ ის უძვირფასესი და ამავე დროს უნივერსალური ნედლეულია მრეწველობის მრავალი დარგისათვის. ტყე გავლენას ახდენს ნიადაგის შემადგენლობასა და სტრუქტურაზე; მას დიდი წყალდაცვითი და წყალმარეგულირებელი მნიშვნელობა აქვს, ამცირებს წყალდიდობას, იცავს ნიადაგს ეროზიული პროცესებისაგან, გადარეცხვა-ჩაშორეცხვისაგან. ტყის დადებითი მნიშვნელობა აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ ის იცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და მოსახლეობას ძლიერი ქარების მავნე ზემოქმედებისაგან, აზომიერებს მშრალ, ცხელ-ცივ ტემპერატურას და აღნიშნულის შედეგად ადგილმდებარეობის კლიმატს, ხელს უწყობს საირიგაციო და ჰიდრომშენებლობას, წყლისა და სახმელეთო ტრანსპორტის განვითარებას; ტყე ასუფთავებს ჰაერს ფიზიკური და ქიმიური შენაერთებისაგან, აუმჯობესებს მის შემადგენლობას, ჰქმნის კომფორტის ზონას, წარმოშობს ესთეტიკურ ელემენტებსა და სალანდშაფტო რეფლექსს, ამის საფუძველზე კი იგი საშუალებას იძლევა ფართო მასშტაბით იქნეს გამოყენებული მშრომელთა ჯან-

მრთელობის დაცვის კომპლექსურ ღონისძიებებში: საკურორტო მშენებლობის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების არქიტექტურული კეთილმოწყობის, პარკების, ხეივნების, ბაღებისა და სხვა სახის მწვანე მშენებლობის გზით. ტყეში იზრდება მრავალი სახის ცენარეები, რომელთაც დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად. ტყე იძლევა ნაირსახის ვიტამინების დიდი ოდენობისშემცველ, ადამიანის კვებისათვის დიდად ვარგის ნაყოფს — გარეულ ხილს, სოკოებს და სხვ.; მეცხოველეობისათვის ყალთაღებში ტყის ველებზე საუკეთესო ხარისხის ბალახს; ტყე მრავალგვარი თაფლოვანი მცენარეებით საუკეთესო ბაზას წარმოადგენს მეფუტკრეობის განვითარებისათვის. ტყე და მისი მიდამო ხელს უწყობს გარეული ფრინველისა და ცხოველის მოშენება-გამრავლებას, აგრეთვე როგორც სამრეწველო, ისე სპორტული მონადირეობის განვითარებას; დიდია ტყის სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა. ამრიგად, ტყე მატერიალური დოვლათის წარმოების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს და ქვეყნის ეკონომიკაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს.

განსაკუთრებით დიდია ტყის როლი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში. ტყის ფართობისა და მარაგის მიხედვით სსრ კავშირი უმდიდრესი ქვეყანაა მთელს მსოფლიოში; მას მსოფლიო ტყის ფართობის 1/3 უჭირავს. მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოს არ გააჩნია ტყის ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორც სსრ კავშირს. ამიტომ სსრ კავშირს სხვა ქვეყნებთან შედარებით არა მარტო ტყის ფართობით და მარაგით უჭირავს პირველი ადგილი, არამედ მაღალხარისხოვანი მერქნითაც.

სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის კურსი სწავლობს სატყეო მეურნეობას, როგორც სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგს, მის პირველად სამეურნეო ერთეულს — სატყეო მეურნეობას, აგრეთვე სატყეო მეურნეობის შემადგენელ ნაწილებს: სატყეოს, სანერ-

გის, უტილსაამქროების მოწყობისა და რაციონალური ექსპლოატაციის სამეურნეო-ორგანიზაციულ პრინციპებს.

სატყეო მეურნეობა არსებითად განსხვავდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან გამოყენებულ შრომის საგნის, შრომის იარაღების, საწარმოო პროცესების აგების, კადრების კვალიფიკაციის, მიღებული პროდუქციის ხასიათისა და ა. შ. მაგრამ ისე, როგორც სოციალისტური სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოთა ორგანიზაციას, სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციასაც საფუძვლად უდევს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო კანონზომიერება და მისი განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონები. სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე და მის საფუძველზე დამყარებული სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის კურსი, როგორც მეცნიერება, შეისწავლის სოციალისტური სახალხო მეურნეობის ეკონომიური კანონების კონკრეტულ გამოვლინებას და ამ კანონების პრაქტიკული განხორციელების თავისებურებას სატყეო მეურნეობაში. სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ამოცანას შეადგენს სატყეო მეურნეობის საქმიანობის ყოველი დარგის ღრმა ცოდნის საფუძველზე, მეურნეობის საეურნეო-ეკონომიურ მოვლენათა ანალიზის შედეგად, სათანადო ორგანიზაციულ სამეურნეო ფორმების ჩამოყალიბება და შიგასაწარმოო დაგეგმვის წესების გამოყენებით მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართო გამოყენების გზით სახელმწიფო-საგეგმო დავალებების მოცემულ ვადაში მაღალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულება. კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დირექტივები საფუძვლად უდევს სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას. სატყეო მეურნეობის განვითარების გეგმა კი სახელმწიფო გეგმის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

საწარმოო საშუალებათა სოციალისტური საკუთრების

ფორმებზე დამკვიდრებულმა წარმოების სოციალისტურმა წესმა და ამ საფუძველზე წარმოშობილმა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერმა პროპორციულმა განვითარების ეკონომიურმა კანონმა, შესაძლებელი გახადა სახალხო მეურნეობის დარგების ერთ მტკიცე. ჰარმონიულად ურთიერთთან ერთიანი სახელმწიფო გეგმით დაკავშირებულ მტკიცე ორგანიზმად გადაქცევა. სსრკ სახალხო მეურნეობის უმთავრეს და წამყვან დარგს მძიმე მრეწველობა წარმოადგენს. მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების საფუძველზე გარკვეული პროპორციით ვითარდება სახალხო მეურნეობის დარგებიც. სახალხო მეურნეობის დარგთა შეთანაწყობის, ამ დარგების გარკვეული ტემპებით ზრდის თავისებურების საფუძველს სოციალიზმის პირობებში მომქმედი ეკონომიური კანონები წარმოადგენენ. სოციალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონების მეცნიერული შეცნობითა და სწორად გამოყენებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა მიჰყავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ, მარქსიზმის კლასიკოსებისა და სახელოვანი კომუნისტური პარტიის დასახული გზით.

წარმოების საშუალებათა საზოგადოების კუთვნილებად გადაქცევამ შექმნა სოციალიზმის მატერიალურ-წარმოებრივი ბაზა, რომლის საფუძველზეც საბჭოთა მთავრობა ანვითარებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს უმაღლესი ტექნიკის მსხვილი მანქანური წარმოების გზით, ექსპლოატაციიდან განთავისუფლებულ შრომითი ენთუზიაზმით აღსავსე მუშაკთა შემოქმედებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის შესაბამისად სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა, როგორც მეცნიერება, განიხილავს სატყეო ფონდის კვლავწარმოების, ტყის ფონდის დაცვისა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საწარმოო პროცესების ორგანიზაციას. სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა აგებულია სოციალის-

ტური წარმოების ორგანიზაციის საერთო პრინციპებზე. მეცნიერება სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის შესახებ შექმნილია ვ. ი. ლენინის მიერ.

ლენინმა დაამუშავა სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის პრინციპები, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების, სამოქალაქო ომისა და აღდგენითი პერიოდებისათვის. მან მოგვცა სახალხო მეურნეობის სოციალისტური განვითარების და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული თეორია.

მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერებაზე დაყრდნობით სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის მიღწევებისა და მდიდარი გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მოგვცა სოციალიზმის და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის მეცნიერული თეორია. საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია სოციალიზმის ეკონომიური კანონების შესწავლის, დაუფლებისა და მათი საქმის სრული ცოდნით გამოყენების საფუძველზე განსაზღვრავს და წარმართავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებას.

სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარებისათვის დასახულ ამოცანათა შესრულება მოითხოვს ყოველ სოციალისტურ საწარმოთა კოლექტივის მიერ წარმოების გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით წარმატებით შესრულებას. სოციალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელი საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა სრული შესაბამისობა ყოველგვარ პირობებს ქმნის წარმოებაში პარტიისა და მთავრობის დირექტივების წარმატებით შესრულებისათვის.

სოციალისტური საწარმოოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებები საწარმოს კოლექტივის მიერ შემოქმედებით სოციალიზდება. საწარმოოს კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, წარმოების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მოსამსახუ-

რეები თავდადებულად იბრძვიან საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისათვის. სოციალისტურ წარმოებებში ინერგება ახალი ტექნიკა, უმჯობესდება ძველი ტექნოლოგიური პროცესები, ფართოდ ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევები, სწავლობენ მოწინავე საწარმოთა გამოცდილებასა და იყენებენ მათ თავიანთ მუშაობაში. ყველაფერი ეს მიმართულია იქეთ, რომ ყოველმხრივ შევამციროთ წარმოების დანახარჯები, მივაღწიოთ პროდუქციის მკვეთრ გადიდებას, აგრეთვე ხარისხის გაუმჯობესებას შრომისა და სახსრების მინიმალური ხარჯვის პირობებში. სოციალისტურ საწარმოში პირველად შეიქმნა მშრომელთა ნამდვილი მისწრაფება წარმოების პროგრესისათვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა სწორად ათავსებს წარმოების მუშაკთა პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მთავარ ამოცანად დასახულია — მძიმე მრეწველობის უპირატესად განვითარების, უწყვეტი ტექნიკური პროგრესისა და შრომისნაყოფიერების გადიდების ბაზაზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდის უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის განხორციელება და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ დონის მნიშვნელოვანი გადიდება. იმის შეგნება, რომ მშრომელები მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავისთვის, თავის საზოგადოების კეთილდღეობისათვის ქმნის დაუშრეტელ ძალას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, იწვევს მილიონი მასების შრომით აღმავლობას, შრომისადმი კულტურულ და შეგნებულ დამოკიდებულებას.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა თავისებურებებმა შექმნეს უპირატესობანი

კაპიტალისტური მეურნეობის სისტემასთან შედარებით. საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება და მის საფუძვლებზე არსებული საწარმოო ურთიერთობასა და საწარმოო ძალებს შორის შეუსაბამობა, კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, შრომასა და კაპიტალს შორის არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობა ზღუდავს და აჭუჭრუჭებს წარმოების განუხრელ ზრდას და წარმოების პროგრესში მშრომელთა მონაწილეობას.

სსრ კავშირის წარმოების სისტემატური პროგრესი, მისი ზრდა-განვითარება საბჭოთა ეკონომიკის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში წარმოების მუშაობა და მისი განვითარება მიმართულია კაპიტალისტებისათვის მაქსიმალურ მოგების უზრუნველყოფისაკენ, სოციალისტური წარმოების წესის პირობებში ობიექტურად მომქმედი ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნას შეადგენს მთელი საზოგადოების მუდმივადმზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით. წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედება იწვევს საწარმოო ძალთა განვითარების დაბუჭრუჭებას, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით მშრომელი მოსახლეობის გაყვლეფას და გაღატაკებას, სხვა ქვეყნების — განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების მოსახლეობის დამონებას, დაბეჩავებას, ქვეყნის ეკონომიკის მილიტარიზაციასა და სისხლისმღვრელი ომების გაჩაღებას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელები ეშორჩილებიან მაქსიმალური მოგების მიღების ულმობელ კანონს და შათი ხვედრი მძიმე ტანჯვა, სიღატაკე და უმუშევრობაა.

სსრ კავშირში წარმოების საშუალებათა განზოგადოების შედეგად ადამიანები თავიანთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა ბატონ-პატრონები გახდნენ და მთელი შატე-

რიალური დოვლათის წარმოების მიზანს შეადგენს ადამიანების ხისტემატურად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდის გზით.

წარმოების სოციალისტური წესისათვის დამახასიათებელი ეს თავისებურებანი არა მარტო პრინციპულად განასხვავებს მას წარმოების კაპიტალისტური წესისაგან, არამედ მას დიდ უპირატესობას აძლევს ამ უკანასკნელთან შედარებით. ამიტომ დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიული ეკონომისტების მტკიცება თითქოს არსებობს წარმოების ყველა წესისათვის მისაღები და გამოსადეგი წარმოების ორგანიზაციის საერთო უნივერსალური დებულებები და პრინციპები. ამ ყალბი შეხედულების მიზანია ფარდა ჩამოაფაროს წარმოების კაპიტალისტური წესისათვის დამახასიათებელ სოციალ-ეკონომიური ხასიათის წინააღმდეგობებს და იმოქმედონ მშრომელთა მასების კლასიურ შეგნებაზე და კლასიური ბრძოლის შესუსტებით ერთგვარი სამსახური გაუწიონ თავიანთ პატრონებს — კაპიტალისტებს.

სოციალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელია და მის საფუძვლებს წარმოადგენს: საწარმოო საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, წარმართველი როლი წარმოების მართვაში, წარმოების მუშაკთა შრომისადმი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულება და წარმოების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმიური ორგანიზაცია, მისი როგორც სახალხო მეურნეობის ორგანული ნაწილის საერთო სახელმწიფო გეგმის მიხედვით განვითარება საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. კაპიტალისტურ წარმოებაში საწარმოო საშუალებები ეკუთვნის კერძო პირებს, წარმოებას მართავს წარმოების მესაკუთრე არა საზოგადოების, არამედ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. წარმოების მუშაობა დამოკიდებულია ბაზრის კონიუნქტურაზე. წარმოების მეპატრონის მიერ მონათესავე საწარმოთა მეპატრონეებისაგან

საიდუმლოდ შედგენილი პროდუქციის გამოშვების გეგმა არის ერთგვარი პროგნოზი, ვარაუდი, რომელსაც ადვილად უკარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას ბაზრის სტიქიური მოვლენები. სინამდვილეში კაპიტალისტურ საწარმოში, წარმოების დაგეგმვა არ სცილდება ელემენტარულ ტექნიკურ გაანგარიშებებს და მოკლევადიან კალენდარულ გრაფიკებს, რომელიც ეყრდნობა კაპიტალისტური ბაზრის კონიუნქტურას, იგი კონკურენციისა და პერიოდული კრიზისების პირობებში მეტისმეტად ხანმოკლე და უმიზნო ხდება. შრომასა და კაპიტალს შორის არსებული დაუძლეველი ანტაგონისტური წინააღმდეგობა გამოთიშავს მშრომელების დაინტერესებას წარმოების განვითარებასა და საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისათვის.

წარმოების კაპიტალისტური წესისათვის დამახასიათებელი ანტაგონისტური წინააღმდეგობანი სპობს ნორმალურ პირობებს იმისათვის, რომ შეიქმნას და ჩამოყალიბდეს ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული წარმოების ორგანიზაცია.

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ, სსრ კავშირის სოციალისტურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ შექმნა სათანადო პირობები სოციალისტური წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის მეცნიერების ჩამოყალიბებისათვის.

სოციალისტური საწარმოს წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხების ღრმა ცოდნა მეტად დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა ადამიანებს და დემოკრატიულ ქვეყნების მშრომელებს წარმოების ეკონომიკის დაუფლებისა და საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში.

სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის საგნის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა არა მარტო ხელს შეუწყობს სატყეო მეურნეობის მუშაკების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღ-

ლებას, არამედ მათ საშუალებას მისცემს მეტი აქტიური და კვალიფიციური მონაწილეობა მიიღონ სატყეო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულების საქმეში და ამით გაცილებით მეტი წვლილი შეიტანონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

სოციალისტური სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის კურსი ორგანიულად არის დაკავშირებული ძონათესავე საგნებთან.

პოლიტიკური ეკონომიის, სატყეო მეურნეობის ეკონომიკის, მეტყეობის, ტყის მოწყობის, სატყეო-საკულტურო საძუშაოების, ტყის ექსპლოატაციის, სატყეო ტაქსაციისა და სხვა ბონათესავე საგნების ცოდნა სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის მეცნიერების ღრმად დაუფლების საშუალებას იძლევა.

ტყის ფონდი, მისი შემადგენლობა და სტრუქტურა გარდა ადამიანის აქტიური ზემოქმედებისა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადგილობრივ ისტორიულ-გეოგრაფიულ პირობებზე. ცალკეულ სატყეო მეურნეობას ხშირად ახასიათებს ადგილობრივი პირობების სპეციფიურობით გამოწვეული თავისებურებანი. საჭიროა ამ თავისებურებათა ცოდნა და მეტი სახალხო მეურნეობრივი სარგებლიანობის მიღების მიზნით წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხების გადაჭრა ადგილობრივი პირობების სრულად გათვალისწინებით.

პარტიისა და მთავრობის მიერ სატყეო მეურნეობის დარგში დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება მოითხოვს ამ დარგის მუშაკებისაგან შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, სატყეო მეურნეობის მუშაკთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის სისტემატურ ამაღლებას, საწარმოო პროცესების თანმიმდევრულ სრულყოფასა და ტექნიკურ პროგრესს, სოციალისტური შრომის ორგანიზაციის სისტემატურ გაუმჯობესებას, წარმოების ორგანიზაციისა და მმართველობის სრულყოფას, კოლექტივის

ერთსულოვან დარაზმვას საწარმოო—საფინანსო გეგმების რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების მაღალი ხარისხით დროულად შესრულებისათვის; ამასთან ერთად სატყეო მეურნეობის ადმინისტრაცია ვალდებულია პარტიისა და ჰთავრობის დირექტივების საფუძველზე სისტემატურად იზრუნოს მშრომელთა კულტურულ-მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

I. სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის ძირითადი პრინციპები

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ სამუდამოდ მოსპო ჩვენს ქვეყანაში საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება. საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობამ და მასზე სოციალისტური საკუთრების დამკვიდრებამ ჩვენს ქვეყანაში მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და მისი წარმოშობის მიზეზები. ჩამოყალიბდა და შეიქმნა ამ ახალი წარმოებითი ურთიერთობისათვის შესაფერისი ეკონომიკა — სახალხო მეურნეობა.

სოციალისტური საწარმოო წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის პირველად, გარკვეულ საწარმოო ფუნქციის შემსრულებელ სამეურნეო ერთეულს. სსრ კავშირში ამჟამად წარმოების ორი ფორმა არსებობს საერთო-სახალხო—სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო კოოპერატიული. სახელმწიფო საწარმოში საწარმოო საშუალებები და წარმოებული პროდუქცია წარმოადგენს საერთო-სახალხო—სახელმწიფოებრივ საკუთრებას. საკოლმეურნეო საწარმოში მიწა, მტს-ების მანქანა-იარაღები სახელმწიფოს ეკუთვნის, ხოლო ისეთი საწარმოო საშუალებები როგორიცაა მუშა და პროდუქტიული საქონელი, კოლმეურნეობის შენობა-ნაგებობანი, ინვენტარი და ა. შ. აგრეთვე მთელი წარმოებული პროდუქცია კოლწევრთა საკუთრებას წარმოადგენს.

სატყეო მეურნეობის დარგშიაც წარმოების ორი ფორ-

მაა — სახელმწიფო სატყეო მეურნეობა და საკოლმეურნეო სატყეო მეურნეობა. სსრკ ტყის ფონდის დიდი ნაწილი სახელმწიფო ტყის ფონდს ეკუთვნის, ხოლო ტყეების გარკვეული ნაწილი მუდმივი სარგებლობისათვის გადაცემული აქვს კოლმეურნეობებს. კოლმეურნეობა ვალდებულია მოუაროს საკოლმეურნეო ტყეებს, უზრუნველყოს ტყის აღდგენა-განახლებითი სამუშაოები და დააწესოს ტყით გეგმური და სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით გამართლებული წესიერი სარგებლობა.

სახელმწიფო ტყის ფონდის მეურნეობას აწარმოებს სატყეო სამმართველო ორგანოები, რომელიც ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაშია გაერთიანებული. შედარებით მცირე ნაწილი სახელმწიფო ტყეებისა გადაცემულია გარკვეული პერიოდით ხე-ტყის მომხმარებელ სამინისტროებზე (ქვანახშირის მრეწველობის, გზათა მიმოსვლის, მეტალურგიის და სხვ. სამინისტროებს). სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეების ნაწილი მიკუთვნებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეებად ითვლება ნაკრძალები, სანიტარული ზონის ტყეები, სასწავლო-სამეცნიერო მიზნისათვის განკუთვნილი ტყეები და სხვ., რომლებიც შესაბამისი მეურნეობის წარმოების მიზნით გადაცემულია სათანადო ორგანიზაციებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეების ნაწილი გადაცემული აქვს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებს, ქალაქის საბჭოებს, ნაკრძალთა დაცვის ორგანიზაციებსა და სხვ. ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან აწარმოონ განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეებში ისეთი მეურნეობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იმ მეურნეობათა წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულება.

სატყეო მეურნეობა პირველად დამოუკიდებელ სამეურნეო საწარმოს წარმოადგენს. მთავრობის მიერ მას დამტკიცებული აქვს წესდება და მინიჭებული აქვს იურიდიული უფლებები აწარმოოს სახელმწიფო გეგმის შესაბამისად საშე-

ურნეო და საფინანსო საქმიანობის კომპლექსი; იგი დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფება; ფლობს ძირითად და საბრუნავ ფონდებს, რომელთა ყოველწლიური საჭირო ოდენობით შევსება ცალკეულ სატყეო მეურნეობის წინაშე მდგარ ამოცანების გათვალისწინებით წარმოებს. მათ შესაბამის ზემდგომ სამეურნეო და საფინანსო ორგანოების მიერ, აქვს გახსნილი ანგარიში სახელმწიფო ბანკში.

პერსპექტიული ვეგმის საფუძველზე სატყეო მეურნეობაში ყოველწლიურად ტარდება სატყეო-სამეურნეო და საფინანსო ღონისძიებები, რომლის მიზანია გაადიდოს ტყის ფონდი, გააუმჯობესოს ტყის ფონდის ჯიშობრივი შემადგენლობა და ამით გაადიდოს ტყის მწარმოებლობა, დაიცვას სატყეო ფონდი, როგორც საერთო-სახალხო სახელმწიფოებრივი საკუთრება, დაადგინოს მოცემულ სატყეო მეურნეობის კონკრეტულ პირობებში ტყისაგან სარგებლობის სახე და ოდენობა. ტყისაგან მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობა სრულიად უნდა შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის ინტერესებს. ამ მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო ტყის ფონდი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე დაყოფილია 3 ჯგუფად. უკანასკნელი ცნობების მიხედვით პირველი ჯგუფის ტყის ფართობი 27,2 მილ. ჰექტარს შეადგენს, მეორე ჯგუფის — 80,9 მილ. ჰექტარს, მესამე ჯგუფის —900 მილ. ჰექტარს.

პირველი ჯგუფის ტყეებს მიკუთვნებულია ისეთი ტყეები, რომელსაც აქვს ნიადაგთდაცვითი, წყალდაცვითი, საკურორტო, სანიტარული, კლიმატომარეგულირებელი, აგრეთვე ესთეტიკური მნიშვნელობა და ამიტომ ამ ტყეებში მერქნის მიღებას დამხმარე ხასიათი აქვს.

მეორე ჯგუფის ტყეებს მიკუთვნებულია ტყის ისეთი მასივები, რომელიც თავისი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობით და მარაგის მიხედვით ექსპლოატაციის შეზღუდვასა და ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოების გაშლას მოითხოვს. ამ

ტყეებში ტყის ექსპლოატაცია მიმდინარეობს საშუალო წლიური შემატების ფარგლებში.

მესამე ჯგუფის ტყეები საექსპლოატაციო-სარეზერვო დანიშნულებისაა. ეს ტყეები ტყის ექსპლოატაციის ძირითად ბაზას წარმოადგენს. სსრ კავშირში პირველი ჯგუფის ტყეებს დაახლოებით 3% უკავია, მეორე ჯგუფის ტყეებს—10%, ხოლო მესამე ჯგუფის ტყეებს — 87%.

საქართველოს სს რესპუბლიკის კლიმატური და გეოგრაფიული სპეციფიურობა საფუძვლად დაედვა ტყის ფონდის ჯგუფებად დაყოფას. საქართველოს ტყის ფონდი ორ ჯგუფად არის დაყოფილი. პირველი ჯგუფის ტყეებს საქართველოს მთელი ტყის ფონდის დაახლოებით 97,6% უკავია, ხოლო მეორე ჯგუფის — დაცვით საექსპლოატაციო ტყეებს—2,6%. საქაროველოში მესამე ჯგუფის ტყეები არ არის.

სახელმწიფო ტყის ფონდიდან სამინისტროებზე და უწყებებზე ექსპლოატაციისათვის გადაცემულ ტყის მასივებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები სახელმწიფო ტყეებისათვის დადგენილი წესის მიხედვით წარმოებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო სამმართველო აპარატი ვალდებულია კონტროლი გაუწიოს სხვა უწყებებზე გადაცემულ ტყეებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების გატარებას. 1954 წლის 27 ოქტომბერს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კონტროლის წარმოების ახალი წესები და ფორმები დაამტკიცა.

II. სოციალისტური სატყეო მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივებში დიდი ამოცანები არის დასახული სატყეო მეურნეობის წინაშე. მეექვსე ხუთწლედში განხორციელებუ-

ლი უნდა იქნეს ტყის მოწყობის სამუშაოები 190 მილიონ ჰექტარზე, 3 მილიონამდე ჰექტარზე უნდა გაშენდეს მეურნეობრივად ძვირფასი და სწრაფმზარდი ტყის ჯიშები, 3, 8 მილ. ჰექტარზე უნდა შესრულდეს ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი სამუშაოები. დიდი ყურადღება აქვს აგრეთვე დათმობილი დაცვითი ტყის გაშენებას ხევებსა და ქვიშნარებზე, და მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნას კოლმეურნეობათა მიწებზე. სატყეო მეურნეობის საწარმოთა მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივებში სატყეო მრეწველობის დარგში დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებაზე. მეექვსე ხუთწლედში საქმიანი მერქნის გამოზიდვა 42 პროცენტით გადიდდება; დასახულია ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის ძნიშვნელოვანი განვითარება. თითოეული სოციალისტური საწარმოო, მათ შორის სატყეო მეურნეობაც, წარმოადგენს რა სახალხო მეურნეობის ორგანულ, გარკვეულ საწარმოო ფუნქციის შემსრულებელ საწარმოო უჯრედს, დაკავშირებულია ურთიერთთან სახელმწიფო-საგეგმო დავალებებით. სახელმწიფო-საგეგმო დავალებების შესაბამისად მუშავდება სატყეო მეურნეობის თითოეულ საწარმოში წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა.

საერთოდ სოციალისტურ საწარმოსა და მათ შორის სოციალისტური სატყეო მეურნეობის საწარმოთა ძირითად ამოცანას შეადგენს საწარმოო-საფინანსო გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მაღალხარისხოვნად შესრულება. სოციალისტურ საწარმოთა კოლექტივის ღირსების საქმეს წარმოადგენს გეგმების გადაჭარბებით შესრულება. ამასთანავე მბედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ სატყეო მეურნეობის წარმოებაში არის საქმიანობის ისეთი დარგი, სადაც განსაკუთრებული სიზუსტით უნდა შესრულდეს ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული საწარმოო დავალებები.

დაცვითი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეებში დაუშვებელია ტყის სარგებლობის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულება, რადგან ასეთ ტყეებში ტყის ექსპლოატაციის დადგენილი ოდენობის გადიდება ხელს უშლის ამ ტყეების დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს. ტყის ექსპლოატაციის გადიდება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში — ტყის მავნებლების გავრცელება, მთავრობის განსაკუთრებული ღონისძიება და სხვა — ზემდგომ სატყეო-სამეურნეო ორგანოებიდან სათანადო დავალების მიღებით.

სატყეო მეურნეობის კოლექტივის ამოცანას შეადგენს: **1. წარმატებით შეასრულოს მეურნეობის წინაშე მდგარი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.** ეს ამოცანები თავის გამოხატულებას პოულობენ წარმოებისათვის მიცემულ საკონტროლო ციფრებში. საკონტროლო ციფრების საფუძველზე დგება მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმა. საწარმოო-საფინანსო გეგმის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულება მეურნეობის კოლექტივისათვის პირველხარისხოვანი საქმეა. საწარმოო-საფინანსო გეგმაში თავმოყრილია სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ყველა მაჩვენებლები. ეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა სრულდებოდეს წარმოების ყოველ დარგში ყოველდღიურად, კვირეულად, თვიურად და კვარტალურად.

საერთოდ, სოციალისტური წარმოება ვითარდება აღმავალი გზით. ეს სოციალისტური ეკონომიკის აუცილებელი პირობაა. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი — მშრომელთა სისტემატურად მზარდ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების შესახებ ქმნის მრეწველობის უპირატესად განვითარებისა და აღნიშნულის საფუძველზე სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების აუცილებლობას. სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების ამოცანის შესრულება სა-

ტყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის საწარმოთა მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს. სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება მართალია ყოველწლიურად დიდდება, მაგრამ ზრდის ტემპები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ამ დარგის პროდუქციაზე მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ ტარდება კონკრეტული ღონისძიებანი სატყეო მეურნეობის და სატყეო მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ამის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს პარტიის XX ყრილობის დირექტივებში, სახალხო მეურნეობის ამ დარგების ხაზით, გათვალისწინებული ღონისძიებანი;

2. წარმოების ძირითადი ფონდების სრულყოფილად გამოყენება, ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა.

წარმოების ძირითადი ფონდების გამოყენება და მოწინავე ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკის დანერგვა უზრუნველჰყოფს პროდუქციის გამოშვების სისტემატურად ზრდასთან ერთად წარმოების ყველა ეკონომიური და ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. სოციალისტური მეურნეობის პირობებში შექმნილია ყოველგვარი პირობა ახალი და უახლესი ტექნიკის ფართო მასშტაბით დანერგვისათვის. პარტია და მთავრობა ატარებს ღონისძიებებს შრომის პროცესების მექანიზაციისათვის, რომლის მიზანია შრომის პირობების გაუმჯობესება და სახალხო დოვლათის წარმოების შემდგომი სწრაფი ზრდა პროდუქციის ერთეულზე შრომისა და სახსრების ხარჯვის, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან ერთდროულად.

უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო-სამეურნეო სამუშაოებზე ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის გამოყენებული ტექნიკა. სატყეო მეურნეობაში, განსაკუთრებით მთაგორიან პირობებში, საწარმოო პროცესები უმეტესად არამექანიზირებული წესით სრულდება. სატყეო მეურნეობა თავისი საწარმოო პროცესე-

ბის სპეციფიურობით დიდ ამოცანას სვამს მანქანათმშენებელთა, კონსტრუქტორთა და მექანიზატორთა წინაშე. სატყეო-სამეურნეო სამუშაოების ზოგიერთი პროცესი სეზონური ხასიათისაა და მისი შესრულება უნდა ხდებოდეს წლის გარკვეულ პერიოდში — ვადაში დათესვა, დარგვა, კულტივაცია ამ მიზნით კონსტრუირებული სპეციალური მანქანებით. სამუშაოების სეზონური ხასიათი აპირობებს სამუშაოთა დიდ მოცულობას წლის გარკვეულ, შედარებით მოკლე დროში, ხოლო დანარჩენ პერიოდებში კი იწვევს ამ სამუშაოების სრულიად გამოთიშვას. სამუშაოების ეს სპეციფიურობა უარყოფით გავლენას ახდენს ძირითადი ფონდების სრულყოფილად გამოყენებაზე. ეს გარემოება აუცილებელს ხდის შეიქმნას ისეთი მანქანები, რომლებიც გამოყენებული იქნება სატყეო-სამეურნეო სამუშაოების სხვადასხვა საწარმოო პროცესებში, რაც ამჟამად არამექანიზირებული წესით სრულდება.

3. პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება. მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის სისტემატურ ამაღლებასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება მაღალხარისხოვან პროდუქციაზე.

სოციალისტური წარმოების მიერ გამოშვებული ნაწარმი არა მარტო გარეგნული ფორმით უნდა აკმაყოფილებდეს სოციალისტური კულტურით აღჭურვილ ადამიანის მაღალი გემოვნების მოთხოვნებს, არამედ იგი თავის გამძლეობის მიხედვითაც უნდა იყოს სრულყოფილი. მშრომელთა მზარდი მოთხოვნილების შესაბამისად იზრდება პროდუქციის ასორტიმენტი და ამ ასორტიმენტის ხარისხიც. წარმოების დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი უნდა იქნეს საქმის კარგი მცოდნე პირი, რომელსაც უნდა დაევალოს მისცეს სათანადო ხარისხობრივი შეფასება შესრულებულ სამუშაოს ან დამზადებულ პროდუქციას.

მზა პროდუქცია აუცილებლივ ნიშანდებული იქნას „იარლიყით“, რომელშიაც აღნიშნულია წარმოების დასახელება, პროდუქციის ზომები, ხარისხი და ფასი. გამოშვებულ პროდუქ-

ციის არასწორი დახარისხება დანაშაულია და მისი ჩამდენი საბჭოთა კანონით სასტიკად ისჯება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით არასტანდარტული და უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის წარმოების ხელმძღვანელი და უვარგისი პროდუქციის გამოშვებაში უშუალოდ დამნაშავე პირები სასამართლო პასუხისგებაში იძლევიან და დანაშაულის სიდიდის შესაბამისად ისჯებიან.

ამჟამად სსრ კავშირში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრი საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

სატყეო მეურნეობამ ტყეკაფზე მოჭრილი ხე-ტყის რაციონალური დამუშავებით უნდა უზრუნველჰყოს მაღალხარისხოვანი მასალის მიღება და მისი სახალხო მეურნეობისათვის მიწოდება; ამავე დროს მთლიანად გამოიყენოს დამზადების ნარჩენები.

სსრ კავშირის მთავრობის დადგენილების საფუძველზე სატყეო მეურნეობას ნება აქვს დართული ჩამოაყალიბოს ნარჩენების გადამუშავებისათვის საუტილიზაციო საამქროები და გამოუშვას მოსახლეობისათვის საჭირო ფართო მოხმარების საგნები. უტილსაამქროების მიერ დამზადებული პროდუქცია აუცილებლად ფართო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის უნდა იყოს.

4. შრომის ნაყოფიერების სისტემატიური ზრდა. შრომისნაყოფიერების ზრდას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მეურნეობის პირობებში.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის კაპიტალიზმმა შეჰქმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ჰქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 449, გამოც. 4.

აქვს რა შრომისნაყოფიერების ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მთელ პერიოდში ატარებდა და ატარებს საჭირო ღონისძიებებს მისი გადიდებისათვის.

შრომისნაყოფიერების ზრდა სოციალისტური ეკონომიკის კანონზომიერებას ემყარება და ამით უნდა აიხსნას მისი შეუნელებელი ზრდა. მრეწველობის ხაზით ომისშემდგომ წლებში შრომისნაყოფიერება 2,3-ჯერ გაიზარდა, მშენებლობაში და რკინიგზის ტრანსპორტზე—ერთიორად. მეხუთე ხუთწლედში შრომისნაყოფიერება მრეწველობაში 44 პროცენტით გაიზარდა, ნაცვლად პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ 50 პროცენტისა. შრომისნაყოფიერების ზრდის დავალება მთლიანად ვერ შესრულდა სოფლის მეურნეობაშიც. შრომისნაყოფიერების ზრდის დარგში დიდი ამოცანებია დასახული პარტიის XX ყრილობის დირექტივებით — უზრუნველყოფილ იქნას შრომისნაყოფიერების ახალი სერიოზული აღმავლობა, როგორც წარმოების ზრდის დავალებების და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აძაღლების გადამწყვეტი პირობა.

დირექტივები ითვალისწინებენ მეექვსე ხუთწლედში შრომისნაყოფიერების ზრდის შემდეგ დავალებებს: მრეწველობაში არანაკლები 50 პროცენტისა, საბჭოთა მეურნეობასა და სახელმწიფო დამხმარე სასოფლო-სამეურნეო წარმოებებში დაახლოებით 70 პროცენტით, სოფლის მეურნეობებში კი ერთიორად.

შრომისნაყოფიერების ზრდა მეექვსე ხუთწლედში უზრუნველყოფილია ფართო ღონისძიებებით. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგში და მათ შორის სატყეო მეურნეობაში შრომისნაყოფიერება გადიდებული იქნება ახალი თანამედროვე ტექნიკის დანერგვით და ამ საფუძველზე შრომის ტექნიკური შეიარაღების გადიდებით

შრომისნაყოფიერების გადიდებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს შრომისა და ხელფასის ნორმირების მოწესრიგებამ.

შრომისნაყოფიერების გეგმის შესრულება საშუალებას იძლევა შემცირდეს შრომის ხარჯი პროდუქციის ერთეულზე, გადიდდეს პროდუქციის გამოშვება მუშახელის გადიდების გარეშე და შემცირდეს პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულება.

შრომისნაყოფიერების ზრდის ამოცანა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სატყეო მეურნეობის მუშაკებისაგან.

ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი არა მარტო ძირითადი საწარმოო პროცესების მექანიზაციის საკითხი, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორთაგანია შრომისნაყოფიერების გადიდებისათვის, არაშედ მუდმივი მუშახელით სატყეო მეურნეობის უზრუნველყოფის საკითხიც. სატყეო მეურნეობებში სეზონური მუშების გამოყენება და მათი დაბალი კვალიფიკაცია მოქმედებს არა მარტო შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე, არამედ შრომისნაყოფიერების დონესა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულებაზეც.

5. ნედლეულისა და მასალების რაციონალური გამოყენება. ნედლეულისა და მასალების ღირებულებას, მზა პროდუქციის წარმოების დანახარჯებში დიდი ადგილი უჭირავს. ამიტომ მათ ხარჯვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმის შემცირების შედეგად წარმოება აღწევს მზა პროდუქტის თვითღირებულების საგრძნობ შემცირებასთან ერთად მზა პროდუქციის გამოშვების გადაჭარბებით შესრულებას. დაზოგილი ნედლეულითა და მასალით მეტი რაოდენობის პროდუქცია მზადდება. ჩვენს წარმოებებში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრი ნედლეულის და დამხმარე მასალის ეკონომიისა და მისი რაციონალური ხარჯვისათვის.

6. საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარება. სამეურნეო

წლის დასაწყისში საწარმოო-საფინანსო გეგმის დამტკიცებასთან ერთად საწარმოს უმტკიცდება საბრუნავი სახსრების ნორმატივები. საბრუნავი საშუალებების ნორმატივები შეიცავს ნედლეულის, დამხმარე მასალის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის გარკვეული რაოდენობის მარაგს, რომლის დაგროვება წარმოების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფისათვის გარკვეული დროის განმავლობაში გეგმის მიხედვით დასაშვებია. მაგრამ წარმოებას შეუძლია კარგი მუშაობის შედეგად მატერიალურ საშუალებათა ნორმირებული ნაშთების უმოძრაოდ გაჩერების ვადების შემცირება. ნედლეულისა და დამხმარე მასალის დაჩქარებული გრაფიკით შეუფერხებლად მიღების შემთხვევაში, სრულიად არ იქნება საჭირო წარმოებაში შევინარჩუნოთ ნორმატივით დაწესებული ნედლეულის, დამხმარე მასალის ან სხვა მატერიალური საშუალებების მარაგი. ამით წარმოება მიაღწევს ამ მატერიალურ საშუალებებში დაბანდებული საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებასა და წარმოების რენტაბელურ მუშაობას.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარება ანთავისუფლებს აქ დაბანდებულ თანხებსა და შესაძლებლობა იქმნება გამოყენებულ იქნას გამონთავისუფლებული სახსრები სხვა საქმიანობაში. ეს კი მიღებული იქნება მაშინ, როდესაც ხდება წარმოების ნედლეულით და დამხმარე მასალით მომარაგება მტკიცე გრაფიკით და წარმოება მუშაობს რითმიულად. 1949 წელს მოსკოვის მოწინავე 103 წარმოების ინიციატივით დაიწყო მოძრაობა საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარებისათვის. ამ მოწინავე საწარმოთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურა სახალხო მეურნეობის ყოველი დარგი და მათი საწარმოები, ხოლო ამის შედეგად ყოველწლიურად ასეული მილიონი მანეთის გამონთავისუფლება ხდება წარმოებებიდან და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

სატყეო მეურნეობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საჭირო ოდენობაზე მეტს ინახავენ თესლს, სანერგეებში —

ნერგებს, ტყეში თვეობით ტოვებენ დამზადებულ სამასალე და საშეშე მერქანს. უტილსაამქროებში აგროვებენ ნორმატივებზე მეტ ძირითად და დამხმარე მასალას, არ გააქვთ დროზე მზა პროდუქცია და სხვ. ყოველივე ასეთი არასწორი „საქმიანობა“ იწვევს სატყეო მეურნეობის ფულადი საშუალებების უმიზნო გამოყენებას, მათ „უსარგებლოდ გაყინვას“ და ამით მეურნეობის საფინანსო მდგომარეობის გაუარესებას.

7. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. პროდუქციის თვითღირებულება ეს არის პროდუქციის დამზადებაზე დახარჯული შრომისა და მატერიალურ-ფულად საშუალებათა ღირებულება ფულად გამოხატულებაში. შრომისა და მატერიალურ-ფულად საშუალებათა ხარჯვის შემცირების გზით ხდება პროდუქციის თვითღირებულების შემცირება; პროდუქციის თვითღირებულების შემცირება კი ზრდის სხვაობას პროდუქციის გასაცემ ფასსა და მის სრულ თვითღირებულებას შორის და, მაშასადამე მოგებას, სოციალისტურ დაგროვებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება წარმოებს საკუთარი საშუალებებით, რესურსებით, თავისი შინაგანი დაგროვებებით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საშუალებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირებასა და მატერიალურ-ფულად საშუალებათა ეკონომიის რეჟიმს.

შრომისნაყოფიერების ზრდა, მატერიალური რესურსების მიზანშეწონილი, რაციონალური ხარჯვა, წარმოებაში გაუპიროვნების მოსპობა, წარმოებაში არსებული საშუალებების მაქსიმალური მობილიზაცია, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება და წარმოებაში მტკიცე სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება უტყუარი გარანტიაა პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების სერიოზული შემცირებისათვის.

თვითღირებულების შემცირებისაგან მიღებული სოცია-

ლისტური დაგროვება ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია. თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულება საშუალებას იძლევა დროულად დაფინანსებულ იქნას სახალხო მეურნეობის (განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, სამმართველო და სხვ.) ხარჯები. თვითღირებულების შემცირების გარეშე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ვერ შეძლებდა სახალხო მოხმარების საგნებზე გასაცემი ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკის განხორციელებას.

მასიური მოხმარების საგნებზე სისტემატური ფასების შემცირების პოლიტიკა სატყეო მეურნეობის მუშაკებისაგან მოითხოვს გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ტყის კაშენების, დაცვისა და ტყის ექსპლოატაციის სამუშაოების თვითღირებულების შემცირებისათვის.

8. სატყეო მეურნეობის მუშაკთა შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლება. სოციალისტური საწარმოს საქმიანობის ერთ-ერთ დამახასიათებელ და აუცილებელ პირობას მშრომელთა შრომითი პირობების სისტემატური გაუმჯობესება წარმოადგენს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ატარებს კომპლექსურ ღონისძიებებს შრომითი პირობების გაჯანსაღებისათვის, შრომატევადი და მძიმე შრომის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებების, სამკურნალო დაწესებულებების ქსელის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის, მასიური მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის და სხვ. ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მიმდინარეობს ხელფასის სისტემატური ზრდისა და მასიური მოხმარების საგნებზე ფასების სისტემატური შემცირების

გზით. სამამულო ომის შემდგომ წლებში მშრომელთა საშუალო ხელფასი 40% გაიზარდა, ხოლო მასიური მოხმარების საგნებზე თითქმის ყოველწლიურად ხდება ფასების დაკლება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პირობებში.

დიდი ღონისძიებები არის გათვალისწინებული პარტიის XX ყრილობის დირექტივებით საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ხაზით. მეექვსე ხუთწლედში მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი უნდა გადიდდეს დაახლოებით 30%-ით.

56 მილიარდი მანეთით იზრდება მეექვსე ხუთწლედში 1955 წელთან შედარებით სახელმწიფო ხარჯები მუშა-მოსამსახურეების სოც-დაზღვევაზე, პენსიებზე, უფასო სამედიცინო დახმარებაზე, საგზურებზე და ა. შ.

სსრ კავშირში შექმნილია ყოველდღიური პირობა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განუხრელი აღმავლობისა და აყვავებისათვის. დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემა, კვალიფიციური კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების მრავალგვარი ქსელები და ფორმები, კლუბები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, კინო-თეატრები, რადიო, ბეჭდვითი საქმის ორგანიზაცია უზრუნველჰყოფს საბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკური, კულტურული და ტექნიკური ცოდნის დონის განუხრელ აღმავლობას.

ჩვენს ქვეყანაში იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის სისტემატურ ამაღლებას დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

სოციალიზმი შესაძლებელია აშენდეს მხოლოდ საზოგადოების საწარმოო ძალთა სწრაფი ზრდის, პროდუქტებისა და საქონლის სიუხვის, მშრომელთა შეძლებული ცხოვრებისა და კულტურის სწრაფი ზრდის ბაზაზე. მარქსისტული სოციალიზმი ნიშნავს პირად მოთხოვნილებათა არა შემცირებას, არამედ მათ ყოველმხრივ გაფართოებას, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების არა შეზღუდვას ან მასზე უარის თქმას,

ორამედ კულტურულად განვითარებული ადამიანის მოთხოვნების ყოველმხრივ და სრულ დაკმაყოფილებას.

სატყეო მეურნეობის მუშაკები ვალდებულნი არიან კარგად იცოდნენ მოცემული სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის სახალხომეურნეობრივი დანიშნულება და მის შესაბამისად მიიღონ ტყისაგან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა საზოგადოების საკეთილდღეოდ, დაიცვას ტყე როგორც სოციალისტური სახალხო საკუთრება ყოველგვარი დაზიანებისაგან. დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკებისა და მოსახლეობის ფართო მასების დახმარებით მიიღწიონ ტყის სარგებლობის წესების დარღვევის ყოველგვარი შემთხვევის ლიკვიდაციასა და ტყის ზუსტ აღრიცხვას. სატყეო მეურნეობის კოლექტივის წინაშე მდგარი ამოცანების წესრულება მოითხოვს სოციალისტური შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური შრომის ფორმების, სოცშეჯიბრის, სტახანოვური მოძრაობის გაშლასა და მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების მეურნეობის კონკრეტული პირობების შეფარდებით დანერგვას.

III. სატყეო მეურნეობის საწარმოო საქმიანობის შემადგენლობა და სატყეო მეურნეობის საწარმოთა სტრუქტურა

ტყე თავისებური გეოგრაფიული ландშაფტის ელემენტად ითვლება. პროფ. მოროზოვის, პროფ. სუკაჩევისა და პროფ. გულისაშვილის მიერ ჩამოყალიბებულია ტყის ცნების სრულყოფილი და მოხერხებული განმარტება, რომელთა მიხედვით ტყე წარმოადგენს მცენარეებისა და აგრეთვე ცხოველების ერთობლიობას. ტყეში მცენარეები, ცხოველები, ნიადაგი დედა ქანებით, სინესტე, ატმოსფერო და სხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორები იმყოფებიან ერთობლიობაში

და მჭიდრო ურთიერთმოქმედებაში. პროფ. გულისაშვილი აღნიშნავს, რომ ტყის შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა და ურთიერთმოქმედება აპირობებს როგორც თვით ტყის, ისე მის შემადგენელი ნაწილების არსებობასა და განვითარებას.

ტყე მისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური პროცესებით გავლენას ახდენს გარემო ფაქტორებზე — ნიადაგზე, კლიმატზე და ა. შ. ამავე დროს ტყე დიდად არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე: ნიადაგზე, კლიმატზე და ადგილის გეოგრაფიულ მდებარეობაზე (რელიეფზე, ზღვის დონედან სიმაღლეზე, ექსპოზიციაზე და ა. შ.).

ტყის ეს ბიოლოგიური თავისებურება საფუძვლად უდევს სატყეო მეურნეობის საწარმოო საქმიანობას.

ამჟამად არსებული სტრუქტურის მიხედვით სატყეო მეურნეობა ძირითადად აწარმოებს:

1. ტყის ფონდის აღრიცხვას;
2. ტყის აღდგენა-განახლებას;
3. ტყისაგან პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობის ორგანიზაციას და
4. ტყის დაცვას.

სატყეო მეურნეობის საქმიანობის ეს თავისებურება ჰქმნის სატყეო მეურნეობის საწარმოო საქმიანობის სტრუქტურას.

სატყეო მეურნეობის საწარმო, როგორც პირველადი სამეურნეო ერთეულის საწარმოო სტრუქტურა, ასახავს მის შინაგან საწარმოო წყობას, საწარმოო უბნების ერთობლიობასა და მათ ურთიერთკავშირს. სატყეო მეურნეობის დარგობრივი საქმიანობის გადიდების ან შემცირების შემთხვევაში შესაბამისად იცვლება მეურნეობის საწარმოო სტრუქტურაც. ისეთ რაიონებში, სადაც ტყე ახლად შენდება და ძველი გაშენებული საექსპლოატაციო ტყე არ არის, სატყეო მეურნეობის ძირითად საქმიანობას სატყეო-საკულტურო სამუშაოები შეადგენს. სატყეო მეურნეობის საწარმოო

სტრუქტურა წარმოდგენილი იქნება მარტო ტყის განახლებითა და დაცვით.

სატყეო მეურნეობაში საწარმოო პროცესები ძირითადი და დამხმარე ხასიათის არის. იმ სატყეო მეურნეობაში, სადაც საწარმოო-საფინანსო გეგმის მიხედვით ტარდება სატყეო-საკულტურო სამუშაოები, ტყის გაშენება ითვლება ძირითადი ხასიათის სამუშაოდ, ხოლო თესლის შეგროვება, - სანერგე მეურნეობის მოწყობა და სხვა დამხმარე ხასიათის სამუშაო იქნება.

ტყისგან სარგებლობის საწარმოო პროცესში ტყეკაფის გამოყოფა, ტყის გაცემის ოპერაციები, დამზადება-გამოზიდვა ძირითადი ხასიათის საქმიანობა იქნება, ხოლო თუ მეურნეობაში მოწყობილია სატრანსპორტო განყოფილება (ხე-ტყის გამოსაზიდად, სატყეო-საკულტურო სამუშაოების ტვირთის გადასაზიდად, სამშენებლო და სარემონტო მასალების საზიდად) ან მექანიკური სახელოსნო მანქანა-იარაღებისა და ხელსაწყოების შესაკეთებლად, — იქნება დამხმარე ხასიათის საქმიანობა.

ამრიგად, დამხმარე წარმოების დანიშნულებაა მოემსახუროს ძირითად წარმოებასა და უზრუნველყოს იგი საჭირო მატერიალური საშუალებებით.

სატყეო მეურნეობაში არის აგრეთვე თანმდევი წარმოება (თანაწარმოება), რომლის დანიშნულებაა მაქსიმალურად გამოიყენოს მეურნეობის ყოველგვარი ნარჩენები და მათი გადამუშავების შედეგად სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქცია გამოუშვას. სატყეო მეურნეობაში თანმდევი წარმოების (თანაწარმოების) სახეს საუტილიზაციო საამქროები წარმოადგენენ, რომელთა მიზანია ტყის ყოველგვარი ნარჩენების გადამუშავება და ფართო მოხმარების პროდუქციის გამომუშავება.

სატყეო მეურნეობის საწარმოს საქმიანობის ყოველ დარგს ერთიმეორისგან განსხვავებული საწარმოო პროცესები ახასიათებს.

საწარმოო პროცესი ეს არის ყველა იმ პროცესთა ერთობლიობა, რომლის შედეგადაც შრომის საგანი სათანადო ზემოქმედებით განიცდის ბიოლოგიურ, ფიზიკურ და ქიმიურ ცვლილებებსა და საბოლოოდ მეურნეობის გეგმით დადგენილ ფორმასა და შინაარსს ღებულობს. საწარმოო პროცესი კი კომპლექსური პროცესია, რომელიც ორგანიულად დაკავშირებულ ტექნოლოგიურ და შრომით პროცესებს შეიცავს.

მთლიანად აღებული ტექნოლოგიური პროცესი შედგება იმ პროცესების ჯგუფებისაგან, სადაც წარმოებს შრომის საგნის გარეგნული ფორმის, შინაარსის, მდგომარეობის სიდიდის, მოცულობისა და სხვა თვისებათა შეცვლა. ტექნოლოგიური პროცესის შედეგად გარკვეული პროდუქციის დამზადებაში მონაწილე მატერიალური საშუალებები (ძირითადი და დამხმარე მასალები) გარკვეული ენერგიის (მექანიკური, ქიმიური, ბიოქიმიური, ბიოლოგიური, ელექტრიული და სხვა) ზემოქმედების შედეგად იცვლიან თავიანთ პირვანდელ ფორმას ან კიდევ ქიმიური, ბიოლოგიური პროცესების შედეგად გარდაიქმნებიან სხვა ნივთიერებად (ქიმიური — მერქნისაგან ქაღალდის მიღება, ბიოლოგიური — თესლისაგან მცენარის მიღება, ფიზიკურ-მექანიკური — მერქნისაგან ავეჯის დამზადება და სხვ.).

ტექნოლოგიური პროცესი არის მარტივი და რთული.

მარტივ ტექნოლოგიურ პროცესს მიეკუთვნება ისეთი პროცესი, სადაც წარმოებს შრომის საგნის ერთჯერადი სახის ცვლა (ხის მოჭრა, დამორვა, მოჭრილი ხის სორტიმენტებად დანაწილება);

რთული ტექნოლოგიური პროცესი შეიცავს შრომის საგნის რიგ ბიოლოგიურ, ქიმიურ-ფიზიკურ და მექანიკურ ცვლილებებს (ტყის გაშენება: თესლის შეგროვება — დასათესად მომზადება, ნიადაგის მომზადება, დათესვა, ნათესების შოვლა).

ყოველი ტექნოლოგიური პროცესი, მარტივი თუ რთული, შიმდინარეობს ადამიანის გააზრებული ზემოქმედების შედე-

გად. შრომის პროცესი არის ადამიანის უშუალო შრომითი მონაწილეობა ტექნოლოგიური პროცესების წარმართვაში ან ამ პროცესების უშუალო მართვაში და კონტროლში (მექანიზირებულ, ავტომატიზირებულ წარმოებებში) და იგი საწარმოო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. შრომის პროცესი არის ადამიანის მიზანდასახული მოქმედება საწარმოო დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად. მანქანა, რომელიც ადამიანის მიერაა დამზადებული, თუ იგი შრომის პროცესში არ მონაწილეობს უსარგებლოა. მერქანი ან სხვა ნედლეული თუ ის არ იქნა გამოყენებული დანიშნულებისამებრ ნივთიერებათა ბუნებრივი ცვლის გამანადგურებელი ძალის გავლენის შედეგად დალპება და უსარგებლო გახდება. „ცოცხალმა შრომამ ამ ნივთებს ხელი უნდა ჩასჭიდოს, მკვდრეთით აღადგინოს და მათი მარტოოდენ შესაძლებელი სახმარი ღირებულებანი ნამდვილ და მოქმედ სახმარ ღირებულებად აქციოს. შრომის ალით მოცულნი და შრომის მიერ თავის ორგანოებად ათვისებულნი, შრომის პროცესში მოწოდებულნი იმ ფუნქციებისათვის, რომელნიც მათს იდეასა და დანიშნულებას შეესაბამებიან, — ეს ნივთები თუმცა მოიხმარებიან, მაგრამ მოიხმარებიან მიზანშეწონილად, როგორც შემქმნელი ელემენტები ახალი სახმარი ღირებულებისა, ახალი პროდუქტებისა, რომელთაც ძალუძთ შევიდნენ ინდივიდუალურ მოხმარებაში, როგორც საარსებო საშუალებანი, ანდა — შრომის ახალ პროცესში როგორც წარმოების საშუალებანი"[1].

შრომის პროცესი — აღნიშნავს მარქსი — არის მიზანშეწონილი მოქმედება სახმარ ღირებულებათა შესაქმნელად; ბუნების ნაყოფის მითვისება ადამიანის მოთხოვნილებისათვის, საყოველთაო პირობაა ნივთიერებათა ცვლისა ადამიან-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 234-235. ქართული გამოცემა, 1954 წ.

სა და ბუნებას შორის, მარადიული ბუნებრივი პირობაა ადამიანთა ცხოვრებისა.

ადამიანი, საწარმოო პროცესებს წარმართავს იმდაგვარად, რომ მატერიალური დოვლათის მისაღები საშუალებებიდან საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქტი მიიღოს.

შრომის პროცესი შემდეგი სამი მარტივი მომენტებისგან შედგება: 1. ადამიანთა მიზანშეწონილი მოქმედებისგან ანუ თვით შრომისაგან; 2. შრომის საგნისგან, რომელზეც შრომა ახდენს ზემოქმედებას და 3. შრომის საშუალებებისგან, რომლის საშუალებითაც ადამიანი მოქმედებს შრომის საგანზე.

ყოველ საწარმოო პროცესს აქვს დაწყებისა და დამთავრების დრო. საწარმოო პროცესის დასაწყისთა და დამთავრების დროთა სხვაობა საწარმოო პროცესის ხანგრძლიობის მაჩვენებელია.

საწარმოო პროცესის შესრულების ხანგრძლიობას საწარმოო ციკლი ეწოდება. საწარმოო ციკლი ტყის ექსპლოატაციაში იწყება მოსაჭრელი ხის დანიშვნით (დადაღვით) და მოჭრილი ხის საბოლოო პუნქტამდე გამოტანით მთავრდება; სატყეო-საკულტურო სამუშაოებში კი (როდესაც ტყის გაშენება ნერგების დარგვით წარმოებს) საწარმოო ციკლი იწყება ნერგების სანერგიდან ამოღებით და მათი დარგვით მთავრდება. საწარმოო ციკლის სიდიდე — ხანგრძლიობა დამოკიდებულია არა მარტო წარმოების ტექნოლოგიური და შრომითი პროცესების სირთულესა და თავისებურებებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორი ტიპის შრომის საშუალებებია გამოყენებული საწარმოო პროცესის შესასრულებლად. ახალი ტექნიკის დანერგვა და შრომის ორგანიზაციის ყოველგვარი გაუმჯობესება ამცირებს საწარმოო ციკლს. საწარმოო პროცესი შედგება გარკვეული სტადიების ან ფაზებისაგან. სტადია ანუ ფაზა — ოპერაციებისაგან, ოპერაცია — სამუშაოს შესრულების ხერხებისაგან, სამუშაოს შესრულების ხერხი კი მოძრაობებისაგან.

საწარმოო პროცესის სტადია ანუ ფაზა წარმოადგენს იმ

ცალკეულ ოპერაციათა ერთობლიობას, რომლებიც ასახავენ ტექნოლოგიურად ერთგვაროვან, გარკვეული თავისებურებით მოცულ საწარმოო პროცესის ნაწილს.

ოპერაცია — ეს არის შრომის საგანზე მიმართული ისეთი მოქმედება, რომლის შედეგადაც წარმოებს შრომის საგნის ფიზიკური, ან მექანიკური, ან ქიმიური, ან ბიოქიმიური სახეცვლა.

სამუშაოს შესრულების ხერხი — ეს არის ოპერაციის ის შემადგენელი ნაწილი, სადაც წარმოებს საწარმოო პროცესის ცალკეული ელემენტის სრულყოფილი დამთავრება.

ცალკეული მოძრაობების შედეგად სრულდება სამუშაოს შესრულების ხერხი.

ავიღოთ მაგალითად სატყეო მეურნეობის საქმიანობის რომელიმე დარგი, სახელდობრ, ტყის გაშენება დათესვით. ეს არის სრულყოფილი საწარმოო პროცესი. ეს პროცესი შედგება შემდეგი სტადიების ან ფაზებისაგან:

1. თესლის დამზადება;
2. ნიადაგის მომზადება;
3. დათესვა და
4. მოვლა.

ტყის გაშენების ეს ცალკეული ფაზები — სტადიები ურთიერთისაგან განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესებისაგან შედგება, რომელთა თანმიმდევრული განხორციელება იძლევა მთელ საწარმოო პროცესს.

საწარმოო პროცესის ცალკეულ ფაზებში ადგილი აქვს შრომის საგანზე თანდათანობითი ზემოქმედების პროცესს. ეს ზემოქმედება შესრულების ერთგვაროვან ოპერაციებად ჯგუფდება. ჩვენს მიერ აღებული საწარმოო პროცესის პირველ ფაზაში წარმოებს თესლის დამზადება. თესლის დამზადება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსამზადებელ სამუშაოებს, შედგება თესლის შეგროვებისა და თესლის დასათესად მომზადების ოპერაციებისაგან. ცალკეული ეს ოპერაცია შედგება გარკვეული ხერხებისა და მოძრაობებისაგან. თეს-

ლის დამზადება შეიძლება ვაწარმოოთ ხეზე ასვლით, მოკრეფით, ხიდან თესლის ჩამორეკვით, შესადგომი კიბეების საშუალებით კრეფით, სპეციალური ხელსაწყოების დახმარებით მოკრეფითა და სხვ.

მოცემული სამუშაოს შესრულების თვითეული ეს ხერხი თავის მხრივ იყოფა მრავალ მოძრაობებად. მაგ., ხეზე ასვლით თესლის შეგროვება შედგება: ხესთან მისვლის, ხეზე ასვლის (სათანადო ჭურჭლითა და ხელსაწყოთი), თესლის შესაგროვებელ ჭურჭლის მომარჯვების, კრეფის, სავსე ჭურჭლის გაცლისა და შემდეგ გამეორებული მოძრაობებისაგან.

საწარმოო პროცესის შემადგენელი სტადიების ან ფაზების, ოპერაციების, ხერხებისა და მოძრაობის ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ სწორად დადგენილ იქნას დროის ხარჯვის ნორმები მათ შესრულებაზე. საწარმოო პროცესების რაციონალურად წარმოება მოითხოვს ტექნოლოგიური და შრომის პროცესების მკაცრ რეგლამენტაციას, ამ პროცესების ოპტიმალურად წარმართვას. მაღალი ეკონომიური შაჩვენებლების მიღწევა შეიძლება საწარმოში მხოლოდ მაშინ, თუ ძეურნეობაში ყოველი საწარმოო პროცესი თანმიმდევრულად წარიმართება მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების საფუძველზე ‹გებულ ტექნოლოგიურ და შრომის პროცესებით.

სოციალისტური წარმოების თავისებურება მდგომარეობს ტექნოლოგიური პროცესის სისტემატურ გაუმჯობესებაში, მისი სრულყოფაში, ეს კი გულისხმობს საწარმოო საშუალებების მაღალნაყოფიერად გამოყენებას, წარმოების ფაქტორების უკეთესი ერთობლიობის ძიებას, მათი სრულყოფის მიზნით.

იმისდა მიხედვით თუ როგორ შრომის იარაღებს ვიყენებთ შრომის საგანზე ზემოქმედებისათვის, საწარმოო პროცესი შეიძლება სრულდებოდეს ხელით,. ხელით და მანქანით, აგრეთვე აპარატებით.

ხელით შრომის პროცესის შესრულებისას მუშა უშუალოდ მოქმედებს შრომის საგანზე მანქანების გარეშე, იყენებს ამ მიზნით სხვადასხვა ხელსაწყოებს. სატყეო მეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოები ხელით სრულდება: ბარვა, თოხნა, ხის ჭრა და სხვ. მანქანებით და ხელით შრომა წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწილი საწარმოო პროცესისა მანქანით სრულდება, ხოლო ნაწილი კი ხელით; მაგ., ძრავიანი ხერხით, ან ელექტროხერხით ხის ჭრა. სასურველი მიმართულებით წაქცევის მიზნით ჩაჭრა ხელით წარმოებს (დიამეტრის $^1/_4$—$^1/_5$ ნაწილზე), ჭრა კი მექანიზირებული საშუალებით. დამორვა მექანიზირებული წესით წარმოებს ხოლო ტოტების შეცლა და გაქერქვა ხელით.

მანქანებითა და აპარატებით საწარმოო პროცესების შესრულება წარმოებს ადამიანის კონტროლით, საწარმოო პროცესში უშუალოდ ადამიანის ფიზიკური ჩარევის გარეშე, ე. ი. მთელი საწარმოო პროცესი სრულდება მანქანებისა და აპარატების საშუალებით.

საწარმოო პროცესი უნდა მოეწყოს ისე, რომ რაც შეიძლება შემცირდეს საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა. აბის შესაძლებლობა არსებობს თუ წარმოება პერიოდულ ან განუწყვეტელ წარმოებაზე გადავა. განუწყვეტელ წარმოების უწყვეტი პროცესი ისეთ წარმოებას ჰქვია, სადაც წარმოების ციკლი შეუწყვეტლივ მეორდება.

ვინაიდან სხვადასხვა საწარმოს განსხვავებული ტექნოლოგიური პროცესები აქვს, მათ ყოფენ ორგანიზაციულ ტიპებად.

წარმოების ორგანიზაციულ ტიპს ახასიათებს სამუშაო ადგილის სპეციფიურობა, შრომის თავისებური განაწილება, განსხვავებული იარაღები და მანქანები, აგრეთვე შრომის საგნის თავისებური გადაადგილება გადამუშავების პროცესში. თუ წარმოება უშვებს ერთი და იგივე პროდუქციას, ასეთ წარმოებას მასიური წარმოება ეწოდება და მას აქვს რიგი უპირატესობანი, სახელდობრ:

1. შრომის ფართოდ დანაწილება მის შემსრულებელთა შორის, რაც იწვევს შემსრულებლის დახელოვნებას გარკვეული სამუშაოს შესრულებაში და აღნიშნულის შედეგად შრომისნაყოფიერების გადიდებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას;

2. მექანიზმების სრულყოფილად გამოყენებას, რადგან პრაქტიკიდან დადასტურებულია, რომ თუ მექანიზმი ასრულებს შრომის ერთ რომელიმე პროცესს, მაშინ მისი გამოყენების კოეფიციენტი გაცილებით მაღალია, ვიდრე კომბინირებული მანქანის მუშაობისას. მასიურ წარმოებაში მცირდება სამუშაო დროის არასაწარმოო ხარჯები (მუშების გადასვლა ერთი სამუშაოდან მეორეზე და სხვა).

ისეთ წარმოებას, სადაც დროგამოშვებით უშვებენ სხვადასხვა ნაწარმს სერიული წარმოება ეწოდება.

ისეთ წარმოებას, სადაც ხდება სხვადასხვა სახის პროდუქციის გამოშვება და მისი შეცვლა გარკვეული გრაფიკის მიხედვით არ წარმოებს, შერეულ წარმოებას ან კომბინატს უწოდებენ.

შესაძლებელია სამივე ტიპის წარმოება ერთ წარმოებაში იყოს წარმოდგენილი. ეს ხდება მაშინ, თუ საწარმოში მრავალი საამქროებია და ცალკეული მათგანი უშვებენ როგორც მასიურ პროდუქციას, ისე სერიულსა და შერეულს.

IV. სატყეო მეურნეობის მმართველობის ორგანიზაცია

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ შექმნა ფორმით და შინაარსით ახალი, მეურნეობის სხვა წესისათვის უჩვეულო, წარმოების მმართველობის სისტემა. სოც. წარმოებაში საწარმოო საშუალებებზე სახელმწიფოებრივი, საერთო სახალხო საკუთრება აპირობებს: წარმოების მიზანდასახულობას, წარმოების კოლექტივის შრომისადმი კომუნისტურ

განწყობილებასა და დამოკიდებულებას, აგრეთვე საწარმოს მართვის ორგანიზაციის ახალ ფორმებს. სოციალისტური საწარმოს მმართველობის მთავარ მიზანს შეადგენს: წარმოების წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება, რაც ითვალისწინებს სახალხო დოვლათის სისტემატურ - გადიდებას და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების თანმიმდევრულად გაუმჯობესებას. საბჭოთა ხალხი ანხორციელებს არა მარტო სახელმწიფოს პოლიტიკურ მართვა-გამგეობას, არამედ ისინი სისხლხორცეულად დაკავშირებულია და აქტიურად არიან ჩაბმული სახალხო მეურნეობის მართვის სისტემაში. სოციალისტური საწარმო, როგორც სახალხო მეურნეობის პირველადი სამეურნეო ერთეული, ვითარდება ერთიანი სახელმწიფო გეგმის მიხედვით, წარმოების მმართველობაც სათანადო გეგმური წესით ხორციელდება. სოციალისტური საწარმოს მმართველობის შინაარსისა და ფორმისაგან პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური საწარმოს მმართველობა.

წარმოების კაპიტალისტური წესისათვის დამახასიათებელ საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი და საწარმოო პროდუქტის კაპიტალისტის მიერ მითვისება საფუძველია კაპიტალისტურ საწარმოოს მართვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებას მართავს ან თვით კაპიტალისტები ან მათ მიერ დაქირავებული პირები. კაპიტალისტური წარმოების მიზანს მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღება შეადგენს. თუ წარმოება თავის მესაკუთრეს არ აძლევს მისთვის ხელსაყრელ მოგებას, ისე წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში საწარმოო წყვეტს მუშაობას, მიუხედავად იმისა, ამ წარმოების პროდუქცია ესაჭიროება თუ არა საზოგადოებას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს არ ძალუძს ჩაერიოს კაპიტალისტების წარმოების მართვაში, პირიქით, კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო აპარატი მოქცეულია მსხვილი კაპიტალისტებისა და მათ გაერთიანებათა გავლენის

ქვეშ და ბურჟუაზიული მთავრობა უყოყმანოდ ასრულებს თავისი შეფების ყოველგვარ სურვილებს. სახელმწიფო აპარატი დახმარებას უწევს კაპიტალისტებს მშრომელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. მაქსიმალური მოგების მიღებისათვის წარმართული ღონისძიებები იწვევს რა მშრომელთა საარსებო პირობების სისტემატურ გაუარესებას, მათ გაღატაკებას, ეს თავის მხრივ აძლიერებს მშრომელთა კლასობრივ შეგნებასა და ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული მთავრობა და მისი აპარატი დამსჯელი ორგანოებით დიდ სამსახურს უწევს კაპიტალისტებს მშრომელთა დასათრგუნად, მათ დასაბეჩავებლად. კაპიტალისტებს თავიანთ საწარმოებში ჰყავთ ზედამხედველები, ჯაშუშები, რომლებმაც თავიანთი მოქალაქეობრივი სინდისი ფულზე გაყიდეს, გახდნენ წარმოების მეპატრონეთა შესყიდული ყმები და ყოველგვარი ხერხებით ეხმარებიან ექსპლოატატორებს მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. წარმოების მმართველი აპარატის მიზანს შეადგენს რაც შეიძლება მეტად გაყვლიფოს მშრომელები და გაადიდოს კაპიტალისტთა მოგება. მშრომელები, რომლებმაც თავის სამუშაო ძალას საწარმოო საშუალებების მესაკუთრეს მიყიდეს, ცდილობენ წინ აღუდგნენ გააფთრებულ ექსპლოატაციას, მორალურ და პოლიტიკურ ჩაგვრას. მმართველი ორგანოების მუშაკებისა და მშრომელთა ინტერესების ეს დიდი სხვაობა აძლიერებს ანტაგონისტურ წინააღმდეგობას შრომასა და კაპიტალს შორის, წარმოების მმართველ აპარატსა და წარმოებაში დოვლათის მწარმოებელ — მუშათა კლასს შორის.

სოციალისტურ საწარმოში ერთი — საერთო ინტერესებით არიან გამსჭვალულნი მმართველი აპარატი და წარმოების კოლექტივის სხვა წევრები. ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ მეგობრულ, ურთიერთ დახმარების გარემოცვაში. კაპიტალისტურ საწარმოში ერთის წინ წაწევა — იწვევს მეორეში შურს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანი ადამიანისათვის

„მგელია“. სოციალისტურ წარმოებაში კი პირიქით კოლექტივის რომელიმე წევრის საწარმოო მიღწევა იწვევს კოლექტივის საერთო კმაყოფილებას, წარმოებაში საერთო აღმავლობასა და ამავე დროს თვით ამ მუშაკის კეთილდღეობის ზრდას. წარმოების ყოველი მუშაკის საერთო და პირადი ინტერესების ასეთი სწორი შეხამება აძლიერებს საბჭოთა ადამიანების სიყვარულს სოციალისტური საკუთრებისადმი, სოციალისტურ საწარმოსადმი და აღაფრთოვანებს მათ სახალხო მეურნეობის წინსვლისათვის ბრძოლის საქმეში.

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ შექმნა ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ წარმოების მმართველობა ემყარებოდეს მეცნიერულად გამართლებულ თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს, და რომ დაინერგოს სოციალისტური წარმოების მმართველობის ისეთი რაციონალური ფორმები, რომლის დროსაც მიღწეული იქნება ყოველი ცალკეული წარმოების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულება. სოციალისტურ წარმოებაში შექმნილია ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ წარმოების კოლექტივი ერთსულოვნად დარაზმულ იქნას საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. კაპიტალისტურ წარმოებაში შექმნილი მტრული დამოკიდებულება მუშებსა და წარმოების მმართველ წრეებს შორის სოციალისტურ წარმოებაში სრულიად ქრება. პირიქით, სოციალისტურ წარმოებაში სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები სარგებლობენ წარმოების კოლექტივის საერთო ნდობითა და სიყვარულით, რადგან წარმოების მუშაკებმა კარგად იციან, რომ წარმოებაში მომუშავე ყოველი კატეგორიის მუშაკი, მუშა, მოსამსახურე თუ ადმინისტრატიულ-საბჭოურნეო დარგის მუშაკი — ყველანი ერთ საერთო საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება. წარმოების კოლექტივმა იცის, რომ სოციალისტურ წარმოებას მართავს წარმოების დირექტორი არა ერთი მუჭა კაპიტალისტების სასარგებლოდ, არამედ საბჭოთა ხალხის, მშრომელი საზოგადოების სასარგებლოდ. ეს შეგნება კი არ უპირისპირებს

წარმოებაში მუშებს ადმინისტრაციას, ისე როგორც კაპიტალისტურ საწარმოებში, არამედ აახლოებს წარმოების ადმინისტრაციას მუშებთან. წარმოებას მართავს მთავრობის მიერ შერჩეული და დანიშნული პირი, რომელიც ითვლება ხალხის წარმომადგენლად, მთავრობისა და ხალხის ინტერესების დამცველად წარმოებაში.

სოციალისტური სახელმწიფო ატარებს საჭირო ღონისძიებებს მშრომელთა კულტურული და ტექნიკური ცოდნის დონის ასამაღლებლად და შემდეგ მოწინავე ადამიანებს, სოციალისტურ კულტურასა და წარმოების ტექნიკას დაუფლებულ ადამიანებს ნიშნავს წარმოების ხელმძღვანელად. მშრომელთა მასებისაგან დაწინაურებული კადრები წარმოების მთელი კოლექტივის მხარის დაჭერითა და კოლექტივის თავდადებული, ენერგიული შრომით, შემოქმედებითი ინიციატივის გაშლით, წარმატებით ასრულებენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს.

მმართველობის ფორმები და ხელმძღვანელობის მეთოდები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მმართველობის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების საქმეში. მმართველობის ფორმები და ხელმძღვანელობის მეთოდები აუცილებლად უნდა იყოს ოპერატიული, ელასტიური, მარტივი, საწარმოო პროცესებთან დაახლოებული და საწარმოს კონკრეტულ-სპეციფიური პირობებიდან გამომდინარე უნაკლოდ, უშეცდომოდ მართოს საწარმოო პროცესები. მმართველობის ოპერატიული და კონკრეტული ხასიათი იწვევს მმართველობის ფორმებისა და ხელმძღვანელობის მეთოდების სისტემატურ ცვლილებებს.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ცალკეულ ეტაპს, მისთვის შესაფერისი მმართველობის სისტემა ახასიათებს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ატარებდა და ატარებს ღონისძიებებს მმართველობის სრულყოფისათვის, მისი გაუმჯობესებისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემ-

დეგ არ ყოფილა პარტიის ყრილობა ან კონფერენცია, რომელსაც არ გაემახვილებია პარტიული და სამეურნეო დარგის მუშაკების ყურადღება სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ცალკეულ პერიოდში მდგარი ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად იცვლებოდა და უმჯობესდებოდა მმართველობის ფორმები და ხელმძღვანელობის მეთოდები. სოციალისტური წარმოების მმართველობის პრინციპები სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში. მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებში მოცემულია ორგანიზაციული საკითხების მეცნიერული ანალიზი, თეორიული და პრაქტიკული დებულებები სოციალისტური სახალხო მეურნეობის მართვის შესახებ.

სოციალისტური წარმოების მართვის ძირითად პრინციპებს, როგორც ამის შესახებ საკ.კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე იყო აღნიშნული, შეადგენს:

1. პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ერთიანობა. მეურნეობის სოციალისტური სისტემის მოთხოვნაა პოლიტიკური მიდგომით ვადაიჭრას ყოველი სამეურნეო საკითხი. ყოველი სამეურნეო საკითხი განუყოფელია პოლიტიკისაგან. ის, ვინც ფიქრობს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყოს მეურნეობა პოლიტიკისაგან, გააძლიეროს სამეურნეო საქმიანობა პოლიტიკური საქმიანობის შესუსტებით ან პირიქით დიდ შეცდომას უშვებს.

წარმოების ყოველი ხელმძღვანელი მუშაკი ვალდებულია სამეურნეო საკითხების გადაჭრისას მტკიცედ დაიცვას პარტიის პოლიტიკური ხაზი, მთავრობის ინტერესები, საზოგადოების ინტერესები და არავითარ შემთხვევაში არ იმოქმედოს ვიწრო უწყებრივი ინტერესებით;

2. დემოკრატიული ცენტრალიზმი. სოციალისტურ საწარ-

ბოში სათანადო შინაარსით ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმი.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წ. დაძაბულ სამოქალაქო ომების პერიოდში აღნიშნავდა: „ამჟამად ჩვენი ამოცანაა გავატაროთ დემოკრატიული ცენტრალიზმი შეურნეობის დარგში"[1].

დემოკრატიული ცენტრალიზმი გულისხმობს ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას ერთიან სახელმწიფო-სახალხო მეურნეობის გეგმის საფუძველზე, ადგილობრივი პირობების, ნაციონალური რესპუბლიკების თავისებურებათა გათვალისწინებითა და ადგილობრივი სახელმწიფოებრივი ორგანოების ინიციატივის ფართოდ გამოყენებით.

სოციალისტური საწარმოს დემოკრატიზმი მდგომარეობს იმაში, რომ იგი სახალხო საკუთრებას წარმოადგენს, მას მართავს მთავრობის ორგანოების მიერ დანიშნული ხალხის წარმომადგენელი. წარმოების მართვაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მშრომელთა ფართო მასები, ადგილობრივ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების წარმოების მუშაკებს შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობა გაშალონ ინიციატივა წარმოების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, გააჩაღონ კრიტიკა და თვითკრიტიკა წარმოების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

3. წარმოების ერთმმართველობა. წარმოების ერთმმართველობა შემოღებული იყო ჯერ კიდევ 1920 წელს. მმართვის სოციალისტური პრინციპი საწარმოო პროცესში ჩაბმულ ადამიანთა ურთიერთთან დაკავშირებას გულისხმობს. საწარმოო პროცესების გეგმური ჰარმონიული მართვა შეუძლებელი იქნებოდა ერთი საერთო ხელმძღვანელის გარეშე. წარმოების ერთმმართველობის პრინციპი გულისხმობს წარმოების ხელმძღვანელის სრულ პასუხისმგებლობას მის გამგებლობაში მყოფ სამეურნეო ობიექტის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაზე. ერთ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 181.

მმართველობის პრინციპი ყოველგვარ პირობას უქმნის ხელმძღვანელ სამეურნეო დარგის მუშაკს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე გაშალოს პირადი და წარმოების კოლექტივის ფართო ინიციატივა საწარმოო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის. ამავე დროს იგი აუცილებლივ უნდა იყოს სრული პასუხისმგებელი ხელმძღვანელობისათვის მასზე ჩაბარებული უბნის მუშაობაზე ზემდგომი ორგანოების წინაშე.

ერთმმართველობის პრინციპი გულისხმობს წარმოების მთელი კოლექტივის შრომის პროცესში წარმოების ხელმძღვანელისადმი უყოყმანოდ დამორჩილებას; ამავე დროს საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკი ვალდებულია თავის ყოველდღიურ მუშაობაში ფართოდ გამოიყენოს მასების გამოცდილება. ნამდვილი საბჭოთა ხელმძღვანელი ვალდებულია მოუსმინოს ძირეულ მუშაკებს, დაიკავოს მასთან მჭიდრო საქმიანი კავშირი, შეავსოს თავის გამოცდილება მასების გამოცდილებით.

კომუნისტური პარტია წარმოების ხელმძღვანელ მუშაკებისაგან მოითხოვს არა მარტო ვასწავლოთ მასებს, არამედ ვისწავლოთ კიდეც მასებისაგან.

სოციალისტური საწარმოს ხელმძღვანელებისათვის უცხო უნდა იყოს მედიდურობა, ყოყოჩობა. ხელმძღვანელ მუშაკებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ჩინი თავისთავად არ იძლევა ცოდნასა და გამოცდილებას, სახელწოდება — მითუმეტეს.

ხელმძღვანელთა გამოცდილება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ, აუცილებელია შეავსოთ ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება მასების გამოცდილებით, პარტიული მასის გამოცდილებით, მუშათა კლასის გამოცდილებით, სახალხო გამოცდილებით.

საბჭოთა ერთმმართველობის პრინციპის სრულყოფილი განხორციელებისათვის აუცილებელია:

ა) კადრების სწორი შერჩევა, მათი სწორად განაწილება საწარმოო პროცესში;

ბ) შესრულების კონტროლის სწორი ორგანიზაცია;

გ) წარმოების ხელმძღვანელობის ოპერატიული კავშირი წარმოების ყველა კატეგორიის მუშაკებთან;

დ) წარმოების ხელმძღვანელი მუშაკების ავტორიტეტის განმტკიცება;

ე) წარმოების ხელმძღვანელი მუშაკების მიერ წარმოების ტექნიკისა და ეკონომიკის კარგად ცოდნა.

თვითეულ დასახელებულ საკითხს ერთმმართველობის საერთო სისტემაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ა) კადრების სწორად შერჩევა და განაწილება საწარმოო პროცესში

სოციალისტური წარმოების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულება წარმოუდგენელია საქმისადმი დაუფლებულ უნარიან კადრების შერჩევისა და მათი შესაფერის სამუშაოზე გამოყენების გარეშე.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმზე გადასვლა შეუძლებელია ცოდნის, ტექნიკის, გამოცდილების სხვადასხვა დარგთა სპეციალისტების გარეშე, ვინაიდან სოციალიზმი მოითხოვს შეგნებულ და მასობრივ მოძრაობას წინ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებისაკენ.

კადრების შერჩევის კომუნისტური პრინციპი უარყოფს კადრების შერჩევას ნათესაობის, ნაცნობობის, სოციალისტური მეურნეობისათვის შეუფერებელი სხვა წესით. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების თვითეული წევრი თავისი უნარისა და ცოდნის მიხედვით გამოიყენება. კადრების სწორად შერჩევისა და გამოყენების საქმე პირველხარისხოვან საქმედ ითვლე-

ბა ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტურ მეურნეობაში კადრების შერჩევა უნდა ხდებოდეს ორი ნიშნის მიხედვით, სახელდობრ: პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მიხედვით. პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. ღირსი არიან თუ არა ისინი პოლიტიკური ნდობისა და, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ე. ი. გამოსადეგი არიან თუ არა ისინი ამა თუ იმ კონკრეტული მუშაობისათვის.

მას შემდეგ რაც კომუნისტური სიფხიზლით და მზრუნველობით იქნება შერჩეული და შესაფერის სამუშაოზე დანიშნული კადრები, აუცილებელია მათ ზუსტად განესაზღვროს და განემარტოს მათი უფლება-მოვალეობანი. წარმოების შინაგანაწესით დადგენილი უნდა იქნეს საწარმოო პროცესში გაერთიანებული ყველა კატეგორიის მუშაკთა უფლება-მოვალეობანი. სოციალისტურ საწარმოს მმართველობის აუცილებელ მოთხოვნას შეადგენს სწორად შეთავსდეს ადმინისტრაციის, პარტიული ორგანიზაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობა. წარმოების ორგანიზაციებსა და მმართველობის ცალკეული რგოლების მუშაობაში ადგილი არ უნდა ექნეს პარალელიზმს. წარმოებაში მუშაობის ამ ელემენტარული წესების შეუსრულებლობას მოჰყვება გაუპიროვნება და ერთმმართველობის პრინციპების დარღვევა.

ბ) შესრულების შემოწმების სწორი ორგანიზაცია

კადრების შერჩევა და მათი უნარისა და ცოდნის მიხედვით სამუშაოზე დანიშვნა მხოლოდ მაშინ იძლევა სასურველ შედეგს, თუ მათ მუშაობის პროცესში უწევენ არსებითი ხასიათის ხელმძღვანელობასა და დახმარებას. კადრებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა ნიშნავს დაქვემდებარებულ მუშაკზე არა მარტო სწორი დავალების მიცემას, არამედ ამ დავალების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის გაწევას. კარგად ორგანიზებული შესრულების კონტროლი

უზრუნველჰყოფს წარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებასა და ხშირად ამ ნაკლოვანებათა სრულიად აღმოფხვრას; იგი ერთ-ერთი პირობათაგანია საქმისადმი თავდადებული, ნაკლოვანებათა წინააღმდეგ დაუღალავად მებრძოლი კადრების აღზრდისათვის. კარგად ორგანიზებული, სისტემატური ხასიათის შესრულების შემოწმება აფხიზლებს და ბრძოლისუნარიანს ხდის წარმოების მუშაკებს, ამახვილებს მათ ყურადღებას დავალებათა დროულად შესრულების უზრუნველსაყოფად.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს შესრულების შემოწმების საქმეს. ჩვენი პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: დაწესებულ იქნას სისტემატური და ყურადღებით შემოწმება პარტიისა და მთავრობის დირექტივების იმდაგვარად, რომ შესრულების შემოწმებაში მონაწილეობას იღებდეს პირადად ორგანიზაციის, წარმოების, დაწესებულების ხელმძღვანელი, რათა შემოწმებამ განამტკიცოს პარტიული და საბჭოთა დისციპლინა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც წარმოებისა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი შესრულების შემოწმების საქმეს არ აქცევს სათანადო ყურადღებას. ნაცვლად იმისა, რომ პირადად ჩაუდგეს სათავეში შესრულების შემოწმების საქმეს, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს მარტო აპარატის მუშაკებს დააკისრებს. ასეთი შესრულების შემოწმება ფორმალურ ხასიათს ატარებს და იგი ვერ აღწევს მიზანდასახულობას.

გ) წარმოების ხელმძღვანელი მუშაკების ოპერატიული კავშირი წარმოების სხვა კატეგორიის მუშაკებთან.

ხელმძღვანელობა, თუ იგი დაშორებულია მშრომელთა პრაქტიკულ საქმიანობას; თუ იგი მოწყვეტილია წარმოების

ყოველდღიურ. მუშაობას — ჰკარგავს ავტორიტეტს მასებში და ვერასოდეს ვერ შეძლებს გაიყოლიოს მასები წარმოებისათვის მიცემული დავალებების შესრულებისათვის ბრძოლაში. სოციალისტური საწარმოს ხელმძღვანელი ოპერატიულად უნდა იყოს დაკავშირებული საწარმოო პროცესის ყოველ რგოლთან. იგი კარგად უნდა იცნობდეს წარმოების შინაგან და გარეგან ფაქტორებს, ღრმად იცნობდეს წარმოების ეკონომიკას, მის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობასა და უნარი შესწევდეს მართოს ის საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპები, კომუნიზმის მშენებლობისათვის გამოცხადებული საერთო-საყოველთაო სახალხო ბრძოლა, თვითეული სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელისაგან მოითხოვს, საერთო წინსვლაში მოწინავე პოზიციებზე დგომას. მოწინავეთა რიგებში გადასვლა შეუძლია იმ წარმოებას, სადაც გაჩაღებულია საწარმოს მთელი კოლექტივის ერთსულოვანი ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, სადაც საერთო განყენებულ ზოგად თემებზე ლაპარაკიდან გადასული არიან კონკრეტულ, შემოქმედებით საქმეზე.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა მუშაკებისაგან მოითხოვდა — რაც შეიძლება ნაკლები მყვირალა ფრაზები, მეტი უბრალო ყოველდღიური საქმიანობა... ნაკლები პოლიტიკური ლაყბობა, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის სულ უბრალო, მაგრამ ცოცხალ ფაქტებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვს სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან უხელმძღვანელონ საწარმოებს არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად, საგნობრივად, რომ ისინი ყოველ საკითხს მიუდგნენ არა ზოგადი ლაყბობის თვალსაზრისით, არამედ უაღრესად საქმიანად, რომ ისინი არ დაკმაყოფილდნენ ქაღალდების წერით ან საერთო ფრაზებით და ლოზუნგებით, არამედ გაეცნონ საქმის ტექნიკას, ჩაწვდნენ საქმის დეტალებს; საჭიროა სამინისტროს, სამმართველოს, ტრესტებისა და სხვა

ხელმძღვანელმა მუშაკებმა ხშირად მოიარონ ქარხნები, უფრო მეტ ხანს დარჩნენ იქ, უკეთ გაეცნონ ქარხნის მუშაკებს, საწარმოო საქმიანობას და არა მარტო ასწავლონ ადგილობრივ მუშაკებს, არამედ აგრეთვე ისწავლონ მათგან. ცდება იგი, ვინც ფიქრობს, შეიძლება ხელმძღვანელობის გაწევა კანცელარიიდან. ქარხნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საჭიროა უფრო ხშირი ურთიერთობა და ცოცხალი კავშირის დაჭერა საწარმოთა მუშაკებთან.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს მოთხოვნები ავალებს სამეურნეო დარგის ხელმძღვანელ მუშაკებს, თავიანთი ყოველდღიური მოღვაწეობა წარმართონ საწარმოო პროცესების, წარმოების ტექნიკის ღრმა შესწავლისათვის, დაამყარონ წარმოების მუშაკებთან მჭიდრო საქმიანი კავშირი, კარგად იცნობდნენ წარმოების პირობებსა და მისი შეცვლის შემთხვევაში შეძლონ მიზანშეწონილი მანევრირება დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ცოცხალი კავშირი მასებთან, საწარმოო პროცესებთან სპობს ხელმძღვანელობაში ფორმალისტურ და ბიუროკრატულ გამოვლინებებს.

დ) წარმოების ხელმძღვანელი მუშაკების ავტორიტეტის განმტკიცება.

წარმოების ხელმძღვანელის ავტორიტეტზე დიდად არის დამოკიდებული წარმოების მაღალნაყოფიერი მუშაობა. იმ მიზნით, რომ განმტკიცებულ იქნას ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკის ავტორიტეტი, საჭიროა მათ აღმოვუჩინოთ ყოველგვარი დახმარება მიცემული დავალებების შესრულების საქმეში. ეს დახმარება არ უნდა ატარებდეს ხელმძღვანელის გაუპიროვნების, მის უშუალო მოვალეობის შესრულებაში ჩარევის ხასიათს. ყოველივე ასეთი ჩარევა სცემს წარმოების ხელმძღვანელის ავტორიტეტს წარმოების კოლექტივის

წინაშე. წარმოების ხელმძღვანელის ავტორიტეტი დამოკიდებულია არა მარტო ზემდგომი ორგანოების სწორ ხელმძღვანელობასა და დახმარებაზე, არამედ პირველ რიგში თვით ხელმძღვანელის კეთილსინდისიერ და თავდადებულ მუშაობაზე. ხელმძღვანელ მუშაკს უნარი უნდა შესწევდეს წარმოების მრავალრიცხოვანი კოლექტივი გამსჭვალოს და დარაზმოს წარმოებაზე მიცემული დავალებების დადგენილ ვადაში ყოველ მიზეზს გარეშე შესრულებისათვის. მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ხელმძღვანელი კარგავს ყოველგვარ ავტორიტეტს თუ იგი შეეცდება მიჩქმალოს წარმოებაში არსებული ნაკლოვანებანი, ყურადღებით არ მოისმენს წარმოების მუშაკების საქმიან კრიტიკასა და დროულად არ მოახდენს რეაგირებას წარმოების მუშაკთა საქმიან წინადადებებზე.

კრიტიკა და თვითკრიტიკა არის პროგრესული ძალა სოციალისტური საზოგადოების წინსვლისათვის, და მისი გამოყენება სავალდებულოა თვითეული საბჭოთა მუშაკისთვის.

ე) წარმოების ტექნიკისა და ეკონომიკის ცოდნა

სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი მხოლოდ მაშინ დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე, თუ იგი კარგად იცნობს დაქვემდებარებულ საწარმოს ტექნიკას და ეკონომიკას.

მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მეურნეობის ხელმძღვანელს იყოს ერთმმართველი, თუ მან კარგად იცის სამეურნეო და საფინანსო ოპერაციები და აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის არსებული წესები და კანონები. სოციალისტურ საწარმოში ერთმმართველობის სრულყოფილად განხორციელება დიდ მოვალეობას აკისრებს სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. მან არა მარტო უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის

ერთიანობა, არამედ შესწევდეს უნარი დარაზმოს წარმოების კოლექტივი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. წარმოების ხელმძღვანელი სათავეში უნდა ჩაუდგეს წარმოებაში ახალი ტექნიკის, მეცნიერების უახლესი მიღწევების, მოწინავე საწარმოთა გამოცდილების დანერგვის საქმეს. იგი ხელმძღვანელი და ინიციატორი უნდა იყოს წარმოებაში შრომისნაყოფიერების გადიდების, აგრეთვე პროდუქციისა და სამუშაოების თვითღირებულების შემცირების ღონისძიებების გატარებაში. ყოველივე ამას სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი მხოლოდ მაშინ შეძლებს თუ იგი სრულყოფილადაა დაუფლებული წარმოების ტექნიკასა და ეკონომიკას, თუ იგი გამსჭვალულია სისტემატური წინსვლისა და თავისი ცოდნის განუწყვეტელი აღმავლობის აუცილებლობის გრძნობით.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის გიგანტური ზრდა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოთა აღჭურვა უახლესი ტექნიკით და საერთო სახალხო მოძრაობა წარმოების ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის აყენებს საკითხს ტექნიკისა და წარმოების ეკონომიკის ღრმად მცოდნე მრავალრიცხოვანი კადრების მომზადებისათვის. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ტერიტორიაზე განლაგებული და მომქმედი უმაღლესი და საშუალო განათლების მრავალრიცხოვანი ქსელი.

საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკის მოვალეობას შეადგენს გადმოიღოს მმართველობის ყოველგვარი ახალი მოწინავე მეთოდები, იმუშაოს ყოველდღიურად თავისთავზე, აიშაღლოს კულტურულ-ტექნიკური და პოლიტიკური ცოდნის დონე, იყოს ღრმა პრინციპული და თავდადებული მებრძოლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი სოციალისტურ საწარმოში

სოციალისტურ საწარმოში მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასრულებენ, განსაკუთრებით კი პირველადი პარტიული ორგანიზაციები. პარტიული ორგანიზაცია დიდ პოლიტიკურ, მასიურ-აღმზრდელობით მუშაობას ატარებს წარმოების მუშა-მოსამსახურეებში, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალში. პარტიული ორგანიზაცია ეხმარება მასებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში; იგი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაშლით რაზმავს წარმოების მუშაკებს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, დახმარებას უწევს პროფესიონალურ და კომკავშირის ორგანიზაციებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებების გატარებაში, სოციალისტურ შეჯიბრებების გაშლაში უახლესი ტექნიკისა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების დანერგვისათვის. პარტიული ორგანიზაცია რაზმავს წარმოების მუშაკებს ყოველგვარი უყაირათობისა და სოციალისტური საკუთრებისადმი უდიერი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების წინააღმდეგ. პარტიული ორგანიზაცია აჩაღებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას ნაკლოვანებათა დროულად აღმოსაფხვრელად. ატარებს პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა კონფერენციებსა და სახავს ღონისძიებებს წარმოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. წარმოების პარტიულ ორგანიზაციას მინიჭებული აქვს ადმინისტრაციის კონტროლის უფლებები, რაც ხელს უწყობს საწარმოო პროცესებისადმი ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესებას. პარტიული ორგანიზაცია რაზმავს წარმოების მუშაკებს და დახმარებას უწევს წარმოების ხელმძღვანელობას სახელმწიფო დავალების წარმატებით შესრულებაში. ყოველგვარ სამეურნეო ღონისძიებებს პარტიული ორგანიზაცია ატარებს საწარმოს ხელმძღვანელის მეშვეობით. წარმოებაში მომუშავე კომუნისტებს მუდამ ავანგარდული როლი უნდა ეჭიროთ და

ისინი მაგალითი უნდა იყვნენ დანარჩენი მუშაკებისთვის. საწარმოში კარგად დაყენებული პარტიული, პოლიტიკურ-ორგანიზაციული მუშაობა წარმოების წარმატებით მუშაობის საწინდარია.

საწარმოო დავალებების მაღალხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულების საქმეში დიდ როლს ასრულებს პროფკავშირული ორგანიზაცია. საწარმოში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი, სატყეო მეურნეობაში, — ადგილკომი ატარებს საწარმოო-მასიურ მუშაობას, ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრების ორგანიზაციას, კადრების საერთო და სპეციალურ ცოდნის ამაღლების საქმეს. პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ შრომისა და ხელფასის საკითხების გადაწყვეტაში, აწესებენ კონტროლს ხელფასის სატარიფო სისტემის სწორად გატარებაზე, მონაწილეობას იღებენ გამომუშავების ნორმების დადგენისა და ხელფასის ფონდის დაგეგმვაში, აკონტროლებენ შრომის დაცვის ზომებსა და სანიტარული პირობების განხორციელებას წარმოებაში. პროფკავშირი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობას უწევს მშრომელებს (სხვადასხვა სახის კულტმომსახურეობა, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო ან ფასდაკლებული საგზურების გაცემა, დროებით შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში დახმარების გაცემა, უფასო და ფასიანი ექსკურსიების მოწყობა და სხვ.). საბჭოთა პროფკავშირს მიცემული აქვს უფლება შეამოწმოს საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობა და მიიღოს საჭირო ზომები, აგრეთვე გააკონტროლოს საზოგადოებრივი კვებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ქსელი მათი მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით. პროფკავშირი წარმოების კოლექტივის სახელით დებს კოლექტიურ ხელშეკრულებებს ადმინისტრაციასთან, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთა და ადმინისტრაციის ვალდებულებები სამეურნეო წელში. პროფკავშირები სათავეში უდგას

კოლექტიური ხელშეკრულების სისტემატურად შესრულების შემოწმების საქმეს.

წარმოებაში ჩაბმულ ახალგაზრდათა შორის დიდ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს ლენინური კომკავშირი. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით კომკავშირული ორგანიზაცია რაზმავს ახალგაზრდობას, ამაღლებს მათ კულტურული და ტექნიკური ცოდნის დონეს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საწარმოს საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმიანობაში, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს წარმოების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სატყეო მეურნეობის მმართველობითი აპარატის საწარმოო-ტერიტორიული სისტემა

ისე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგში, სატყეო მეურნეობაშიც მმართველობითი აპარატი საწარმოო-ტერიტორიულ პრინციპებზეა აგებული. ყოველ საწარმოო-ტერიტორიულ უბანს სათავეში უდგას სრულუფლებიანი ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია ობიექტის საქმიანობაზე. საწარმოო-ტერიტორიული ობიექტის ხელმძღვანელი პირადად ანხორციელებს მართვის ფუნქციებს, ამავე დროს შესაძლებელია მას ჰყავდეს საჭიროების შემთხვევაში ფუნქციონალური განყოფილებების სახით დამხმარე აპარატი (საგეგმო, საალრიცხვო, მომარაგება-გამსაღებელი და სხვ. ორგანოები). ფუნქციონალური განყოფილებები ვალდებული არიან საკითხები მოამზადონ და გადასაწყვეტად წარუდგინონ მეურნეობის ხელმძღვანელს.

საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულია მკაცრი ღონისძიებები მმართველობაში ფუნქციონალური სისტემის ლიკვიდაციისათვის. მმართველობაში ფუნქციონალური სისტემა ზღუდავდა ხელმძღვანელის როლს და პასუხისმგებლობას.

სამეურნეო საკითხები წყდებოდა ფუნქციონალური აპარატის მიერ, ამ აპარატზე ყოველგვარი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე. სამეურნეო ორგანიზაციებში მინიმუმამდეა დაყვანილი ფუნქციონალური აპარატი და მმართველობის ძირითად ფორმად საწარმოო-ტერიტორიული სისტემა ითვლება. საწარმოო-ტერიტორიული სისტემა გულისხმობს თანმიმდევრულ დამორჩილებას სამეურნეო რგოლებისას, იგი ამტკიცებს ერთმმართველობას, ამაღლებს ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას და აძლიერებს მმართველობის ცენტრალიზმსა და გეგმიანობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე სამეურნეო აპარატი გარდაიქმნა საწარმოო-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, რაც ნიშნავს სამეურნეო მმართველობითი ორგანოების ზემოდან ძირეულ სამეურნეო ერთეულებამდე წყობას საწარმოო ნიშნის მიხედვით.

ამჟამად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აერთიანებს სხვა დარგობრივ სამმართველოებთან ერთად სატყეო მეურნეობისა და დაცვითი ტყეების გაშენების მთავარ სამმართველოს. ამ მთავარ სამმართველოში გაერთიანებულია მეურნეობის ერთი — სპეციფიური დარგი, რაც სამეურნეო დარგის ხელმძღვანელ მუშაკებს საშუალებას აძლევს ღრმად დაეუფლონ სატყეო მეურნეობის დარგის სპეციფიურობასა და სწორად მართონ სახალხო მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი. მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებშიც შექმნილია შესაბამისი მთავარი სამმართველოები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების სატყეო სამმართველოებსა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ უშუალოდ დაქვემდებარებულ სატყეო მეურნეობებს. სახელმწიფო საწარმოები დაქვემდებარების მიხედვით იყოფიან: საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ საწარმოებად. საკავშირო დაქვემდებარების

საწარმოს მართავს საკავშირო მნიშვნელობის საძიხისტროები (ქვანახშირის, მეტალურგიის, ქიმიური მანქანათმშენებლობისა და სხვ.). ეს ისეთი სამინისტროებია, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკებში თავის დაქვემდებარებული სამინისტროები არა აქვთ და აქ განლაგებული წარმოებების მართვა ხდება უშუალოდ დაქვემდებარებული ტრესტების ან მთავარი სამმართველოების საშუალებით. საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები ხელმძღვანელობენ მეურნეობის გარკვეულ დარგებს. შექმნილია სსრ კავშირის სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკებში მათ დაქვემდებარებაშიმყოფი შესაბამისი სამინისტროები. მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები ორმაგი დაქვემდებარებისაა; იგი ექვემდებარება სსრ კავშირის სათანადო სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელშიც გაერთიანებულია სატყეო მეურნეობის ორგანოები საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროდ ითვლება. ადგილობრივი მრეწველობის, განათლების, კომუნალური და სხვა რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები, სსრ კავშირის მასშტაბით არ არსებობს; არსებობს მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებში და მთელ სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას აწარმოებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს სანქციით.

რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს აქვს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება, რომელიც ადგილობრივ ნედლეულისა და საწარმოთა ნარჩენების ბაზაზე აწყობს ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებს.

ამჟამად არსებული სტრუქტურის მიხედვით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებში სატყეო მეურნეობის დარგს ხელმძღვანელობს მინისტრის მოადგილე. გარდა ამისა, შექმნილია მთავარი სამმართველოები და სპეციალური ფუნქციონალური განყოფილებები.

სოციალისტური წარმოების მმართველობის ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს, არ დაუშვას სამმართველო აპარატის შტატის გაბერვა-გადიდება. საბჭოთა საზოგადოების კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება, შიგასაწარმოო დაგეგმვის გაუმჯობესება, შრომისადმი კომუნისტური — შეგნებული დამოკიდებულების განმტკიცება თანდათანობით აადვილებს და ამარტივებს მმართველობის ფუნქციებს, ეს კი შესაძლებლობას იძლევა შევამციროთ სამეურნეო-ადმინისტრატიული პერსონალი, ხოლო ამის შედეგად კი ზედნადები ხარჯები და, მაშასადამე, სამუშაოების ან პროდუქციის თვითღირებულება.

საწარმოთა ადმინისტრატიული პერსონალის შტატს 1953 წლამდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საშტატო კომისია ამტკიცებდა. მთელ რიგ სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სახელმწიფო საშტატო კომისიის წარდგენით დამტკიცებულია ადმინისტრატიული პერსონალის ტიპიური შტატები. 1953 წელს გაუქმებულ იქნა სახელმწიფო საშტატო კომისია და ადმინისტრატიულ სამმართველო პერსონალის შტატების დამტკიცება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით წარმოებს, სათანადო სამინისტროების მიერ შესაბამის საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით.

სატყეო მეურნეობის ადმინისტრატიულ-სამმართველო პერსონალის ტიპიური შტატი დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით.

მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრატიული სამმართველო აპარატის ტიპიური შტატი ემყარება:

ა) ტყის ჯგუფსა და

ბ) სატყეო მეურნეობაში გაერთიანებულ სატყეოთა რიცხვს.

პირველი და მეორე ჯგუფის ტყეებისათვის ერთი ოდენობის სატყეოების არსებობის შემთხვევაში ადმინისტრატიუ-

ლი სამმართველო აპარატი ერთი და იგივეა, მესამე ჯგუფის ტყეებში კი იგივე სატყეოების არსებობის შემთხვევაში შტატი რამდენადმე შემცირებულია. ასე, მაგალითად:

№ №	თანამდებობის დასახელება	სატყეო მეურნეობები, რომელთაც ხუთი და მეტი სატყეო აქვთ		სატყეო მეურნეობები, რომელთაც ოთხი და ნაკლები სატყეო აქვთ	
		I და II ჯგ. ტყეებში	III ჯგ. ტყეებში	I და II ჯგ. ტყეებში	III ჯგ. ტყეებში
1	დირექტორი	1	1	1	1
2	უმფრ. მეტყევე	1	1	1	1
3	ინჟინერი . .	2	1	1	—
4	ტყის დაცვ. ინსპექტორი	1	1	1	1
5	უმფრ. ბუღალტერი	1	1	1	1
6	ბუღალტერი	1	1	1	1
7	მოანგარიშე — მოლარე .	1	—	—	—
8	საქმის მწარმოებელი .	1	—	1	—
9	მ ნ ე	1	1	1	1
10	მეჯინიბე—მეეტლე	1	1	—	—
11	დამლაგებელი—მეეზოვე	1	1	1	1

მთავრობის იმავე დადგენილებით დამტკიცებულია ტიპიური შტატი ისეთი სატყეო მეურნეობებისათვის, რომლებთაც არა აქვთ სატყეოებად დაყოფა. ასეთი სატყეო მეურნეობის ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის საშტატო განრიგი დამოკიდებულია სატყეო მეურნეობაში გაერთიანებულ ტყის ფართობზე. ასე მაგალითად: (იხ. ცხ. გვ. 62).

სატყეოების ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის შტატი გაყოფილია ორ კატეგორიად. პირველი კატეგორიის სატყეოებს ინტენსიური ხასიათისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეების სატყეოები მიეკუთვნება და მის შტატში შედის სატყეოს უფროსი, მისი თანაშემწე, ბუღალტერი

№ №	თანამდებობის დასახელება	სატყეო მეურნეობები, რომელთა ტყის ფართობი 10,0 ათასი ჰექტარი და მეტი აქვთ	სატყეო მეურნეობები, რომელთაც ტყის ფართობი 10,0 ათას ჰექტარამდე აქვთ
1	დირექტორი	1	1
2	უმფროსი მეტყევე	1	1
3	ინჟინერი	1	1
4	ტექნიკი	2	1
5	ტყის დაცვის ინსპექტორი	1	—
6	უმფროსი ბუღალტერი	1	1
7	ბუღ-ლტერი	1	1
8	მოანგარიშე-მოლარე	1	—
9	საქმის მწარმოებელი	1	1
10	მ ნ ე	1	1
11	მეჯინიბე-მეეტლე	1	—
12	დამლაგებელი-მეეზოვე	1	1
	ს უ ლ	13	10

და მეჯინიბე; მეორე კატეგორიის სატყეოების შტატი საში კაცისაგან შედგება, სახელდობრ: სატყეოს უფროსისაგან, მისი თანაშემწისაგან და მეჯინიბისაგან.

გარდა ზემოთ დასახელებული ტიპიური შტატისა, სატყეო მეურნეობის ზემდგომი ორგანოების ნებართვით რამდენიმე სატყეო მეურნეობას შეიძლება მიეცეს მეტყევე-პათალოგი და აგრეთვე სხვადასხვა კატეგორიის მომსახურე პერსონალი (რადისტი, თუ მეურნეობას რადიოსადგური აქვს, ტელეფონისტი, თუ ტელეფონის სადგური აქვს, დირექტორის მოადგილის თანამდებობა მუშათა მომარაგების დარგში, თუ სატყეო მეურნეობას ცენტრალიზებული მუშათა მომარაგება აქვს და სხვ.).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სატყეო მეურნეობას უფლება აქვს მეურნეობაში არსებული ნარჩენებისა და შუალედი სარგებლობის პროდუქტების გადასამუშავებლად მოაწყოს საუტილიზაციო საამქროები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებულია საუტილიზაციო საამქროების ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის ტიპობრივი შტატი. ტიპობრივი შტატის დიფერენცირება წარმოებს საუტილიზაციო საამქროების მიერ გამოშვებული საერთო პროდუქციის მოცულობის შესაბამისად (საგეგმო თვითღირებულების მიხედვით), სახელდობრ:

№ №	თანამდებობის დასახელება	პროდუქციის მოცულობა საგეგმო თვითღირებულების ფასებში		
		200 ათას მანეთამდე	201 ათასი მან. 400 ათას მანეთამდე	401 ათასი მანეთი და მეტი
1	გამგე	1	1	1
2	ინჟინერი	—	1	1
3	უმფრ. ბუღალტერი	1	1	1
4	მოანგარიშე-მოლარე	—	1	1
5	სტატისტიკოსი	—	—	1
	ს უ ლ	2	4	5

სატყეო მეურნეობის სათავეში სატყეო მეურნეობის დირექტორი დგას. სატყეო მეურნეობის დირექტორი, ისე როგორც ყოველი პირველადი სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელი, პასუხისმგებელია მეურნეობის საწარმოო-საფინანსო საქმიანობაზე. იგი რაზმავს სატყეო მეურნეობის კოლექტივს მეურნეობაზე მიცემული დავალებების წარმატებით შესრულებისათვის. დირექტორი, როგორც მეურნეობის ერთმმართველი, ვალდებულია ცხოვრებაში ზუსტად გაატაროს შრომისა და საფინანსო დისციპლინა, დაიცვას სატყეო მეურნეობის

ყოველგვარი ქონება, როგორც საერთო სახალხო-სახელმწიფოებრივი საკუთრება. სატყეო მეურნეობის დირექტორი პასუხისმგებელია მეურნეობის ყოველგვარ საქმიანობაზე. სატყეო მეურნეობის დირექტორი აუცილებლივ უნდა იყოს უმაღლესი სპეციალური განათლებით. მარტო სპეციალური ცოდნა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დირექტორმა მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს, სპეციალურ ცოდნასთან ერთად მას უნდა შესწევდეს ორგანიზატორული მუშაობის უნარიც.

სატყეო მეურნეობის დირექტორს უშუალოდ ემორჩილება უფროსი მეტყევე ინჟინერი, ტყის დაცვის ინსპექტორი, სატყეოს უფროსები, უფროსი ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, მნე და სხვ.

თუ მეურნეობის დირექტორი შვებულებაში ან მივლინებაში იმყოფება, დირექტორის მოვალეობის აღსრულება უფროს მეტყევეს ევალება. უფროსი მეტყევე განაგებს საწარმოო-ტექნიკურ ნაწილს, იგი მოვალეა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები გაატაროს სატყეო აგროწესებით დადგენილ ვადებში, უზრუნველყოს სატყეო-სამეურნეო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარება. სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების გატარების საქმეში იგი სათანადო ხელმძღვანელობას უწევს მეურნეობის ინჟინრებს, სატყეოების უფროსებსა და მათ აპარატს. უფროსი მეტყევე ინიციატორი უნდა იყოს სატყეო მეურნეობაში უახლესი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების დანერგვის საქმეში.

ტიპობრივი შტატის მიხედვით იმ სატყეო მეურნეობებში, სადაც 5 და მეტი სატყეოებია — ორი ინჟინერია გათვალისწინებული. იმისდა მიხედვით თუ როგორი სამუშაოები აქვს სატყეო მეურნეობას სამეურნეო წელს, მეტყევე ინჟინრებსაც ისე იყენებენ. თუ სატყეო მეურნეობაში მიმდინარეობს სატყეო-საკულტურო სამუშაოები და ტყის სარგებლობაც — ერთი ინჟინერი მეტყევე მუშაობს კულტუ-

რებში, ხოლო მეორე ტყის სარგებლობის ხაზით. მათ მოვალეობას შეადგენს ტექნიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ ტყის კულტურებისა და ტყის მოვლა-სარგებლობაზე მომუშავე ბრიგადებს თუ ცალკეულ მუშებს. მეტყევე ინჟინერი მონაწილეობას იღებს სატყეოს უფროსთან ერთად შესრულებული სამუშაოს მიღებასა და მათი ხარისხის შემოწმებაში. ისინი ვალდებულნი არიან დახმარება გაუწიონ სატყეოს უფროსებს მუშათა ბრიგადებში შრომის სწორი ორგანიზაციის გატარებაში, ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებაში, სამუშაოების დაგეგმვის, გეგმების შემსრულებლებამდე დაყვანის, აღრიცხვა-ანგარიშგების მოგვარებაში, ისინი მონაწილეობას ღებულობენ გამომუშავების ნორმების დადგენის საქმეში და სხვ.

ტყის დაცვის ინსპექტორის მოვალეობას შეადგენს ყოველდღიურად გააკონტროლოს თუ როგორ იცავენ მეურნეობაში ტყით სარგებლობის წესებს. სახელდობრ, თუ რა ზომები ტარდება ტყით სარგებლობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ? როგორ არის ორგანიზებული სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვა და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტყის დაცვის ინსპექტორს განსაკუთრებული უფლებები აქვს. ზოგიერთ შემთხვევაში მას შეუძლია უშუალოდ მიმართოს სატყეო მეურნეობის ზემდგომ ორგანოებს (იხ. სახელმწიფო ტყის დაცვის ინსტრუქცია).

ტყის დაცვის ინსპექტორი მოვალეა ტყით სარგებლობის წესების დარღვევის შესახებ უშუალოდ მოახსენოს სატყეო მეურნეობის ზემდგომ ორგანოებს. აცნობოს აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობამ გაატარა მათ წინააღმდეგ.

მეურნეობის მთავარი ბუღალტერი განაგებს სატყეო მეურნეობის საბუღალტრო ანგარიშსწორებას, პირველადი აღრიცხვის საქმეს სატყეოებში, ადგენს თვიურ, კვარტალურ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს. მეურნეობის მთავარი

ბუღალტერი ვალდებულია თვალყური ადევნოს საფინანსო გეგმით გათვალისწინებული თანხების ხარჯვას, მათ მიზნობრივ გამოყენებას, საფინანსო დისციპლინის დაცვასა და სხვ.

ბუღალტერი, მოანგარიშე-მოლარე, სატყეოების და უტილსაამქროების ბუღალტრები და სხვ. საანგარიშო დარგის მუშაკები ვალდებული არიან იმუშაონ მეურნეობის მთავარი ბუღალტერის დავალებებით და მითითებებით; ისინი პასუხისმგებელი არიან მათზე დავალებული სამუშაოს დროულად და ხარისხოვნად შესრულებაზე.

სატყეო მეურნეობის საქმის მწარმოებელი აწარმოებს შემოსული და გასული საქმიანი ქაღალდების რეგისტრირებას, აღრიცხვას, კონტროლს; განაგებს მეურნეობის არქივს, კადრების პირად საქმეებს, ბრძანების წიგნსა და სხვ.

მნე აწარმოებს დაწესებულების მომარაგებას ინვენტარით, საჭირო სამეურნეო და საკანცელარიო ნივთებით. მეთვალყურეობას უწევს მეურნეობის შენობებისა და ნაგებობების მოვლა-შენახვის საქმეს, ხელმძღვანელობს სამეურნეო ტრანსპორტის მუშაობასა და სხვ.

სატყეო შეადგენს სატყეო მეურნეობის ტერიტორიალურ ნაწილს. სატყეოს უფროსი უშუალოდ პასუხისმგებელია სატყეოს ტერიტორიაზე ჩატარებული სამეურნეო საქმიანობაზე. იგი უფლებამოსილი არ არის დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სამეურნეო ან საფინანსო საკითხები. ასრულებს სატყეო მეურნეობის დირექტორის დავალებებს. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა დარგში იგი ღებულობს მეურნეობიდან ნატურალურ გამოხატულებებში გეგმებს, ამ გეგმების შესრულების პროცესში დგება შესრულებულ სამუშაოთა აქტები. ხდება ამ სამუშაოების მიღება სატყეო მეურნეობის დირექციის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. გამოიწერება სათანადო უწყისი და მხოლოდ სატყეო მეურნეობის დირექტორის განკარგულებით შეიძლება შესრულებულ სამუშაოზე კუთვნილი თანხის გაცემა. სატყეოს დამოუკიდებელი ფინანსები არა აქვს და, მაშასადამე, ბანკში არ აქვს გახსნილი ანგარიში. სატყეოები ტყის გაცემას აწარმოებს სატყეო

მეურნეობის მიერ გაცემული ტყის საჭრელი ბილეთებით (ხე-ტყის თვითდამამზადებლებზე) და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ფონდიდან ტყის საჭრელი ორდერებით (ადგილობრივი აღმასკომების მიერ დამტკიცებულ სიით მოსახლეობაზე და ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებებზე).

ტყის ფონდის დაცვის ორგანიზაციის მიზნით სატყეოებს უფროსი ტყის მცველები და ტყის მცველების შტატი ეძლევათ. უფროსი ტყის მცველებისა და ტყის მცველების შტატს ყოველწლიურად ამტკიცებს მთავარი სამმართველო საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით. ამ უკანასკნელთა შტატი დამოკიდებულია: ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში ტყეების სახალხო მეურნეობრივ დანიშნულებაზე (ნაკრძალები, ბუნების ძეგლები, საკურორტო მნიშვნელობის, დაცვითი მნიშვნელობისა და სხვ.), ტყეების განლაგებაზე, მდებარეობაზე და მათ სიშორეზე სამრეწველო ცენტრებიდან და დასახლებულ ადგილებიდან.

ტყის ფონდის დაცვის პირველად უჯრედს სამცველო შეადგენს. სამცველოს განაგებს ტყის მცველი. დაახლოებით 3—4 სამცველოს ერთი უფროსი ტყის მცველი ხელმძღვანელობს. უფროსი ტყის მცველი სატყეოს უფროსსა და მის თანაშემწეს ექვემდებარება. სატყეოს უფროსი აუცილებლივ უმაღლესი სპეციალური განათლებით უნდა იყოს. სატყეოს უფროსის თანაშემწე სატყეოს უფროსის ყოველდღიურ დავალებებს ასრულებს; ადგილზე აკონტროლებს სატყეო-საკულტურო სამუშაოების, ტყით სარგებლობისა და ტყის დაცვის ორგანიზაციას და მუშაობის გაუმჯობესებისათვის სათანადო წინადადებებს ურდგენს სატყეოს უფროსს.

სატყეო მეურნეობის დირექტორი, უფროსი მეტყევე, ინჟინერი, ტყის დაცვის ინსპექტორი, უფროსი ბუღალტერი, სატყეოს გამგე და თანაშემწე ითვლება მთავარ სამმართველოსა და სამინისტროს ნომენკლატურაში. მათი სამუშაოდან განთავისუფლება ან ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე

გადაყვანა შესაძლებელია მთავარ სამმართველოსა და სამინისტროს სათანადო განკარგულებით.

სატყეო მეურნეობაში ამჟამად მოქმედი ადმინისტრატიული სამმართველო აპარატი მათდამი დაქვემდებარებულ სატყეოების და სამცველოებით იძლევა შემდეგ სქემატურ გამოხატულებას:



V. საწარმოო საშუალებები და მისი გამოყენების ორგანიზაცია სატყეო მეურნეობაში

სოციალისტური მეურნეობის პირობებში საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა. სოციალისტურ წარმოებაში საწარმოო

პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის აუცილებლობა გამომდინარეობს სოციალისტური მეურნეობის პირობებში მომქმედი ეკონომიკური კანონებიდან.

სოციალისტური მეურნეობის სისტემა ქმნის ყოველგვარ პირობებს ტექნიკის ფართო მასშტაბით დანერგვისათვის. საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ელექტროფიკაციისა და ქიმიზაციის მაქსიმალური გამოყენებით შეუფერხებელ წინსვლას განიცდის.

იმ დროს, როდესაც სოციალისტურ მეურნეობაში ყოველწლიურად დიდი ტექნიკური ცვლილებები მიმდინარეობს, კაპიტალისტურ მეურნეობაში ტექნიკის განვითარება მეურნეობის ამ წესისათვის დამახასიათებელი უსისტემობით წარმოებს. ცალკეულ პერიოდებში კაპიტალისტები დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით ესწრაფვიან ტექნიკის დანერგვას, გარკვეულ პირობებში კი წინააღმდეგი არიან ტექნიკური ცვლილებების. კაპიტალისტები მაშინ ისწრაფვიან ტექნიკის დანერგვისათვის თუ ტექნიკის დანერგვა მას მაქსიმალურ მოგებას აძლევს. თუ ბაზარზე დაეცა სამუშაო ძალის ფასი, კაპიტალისტებს თავის წარმოებები ხელით შრომაზე გადაჰყავთ და იაფფასიანი მუშახელით გაცილებით მეტ მოგების მიღებას ახერხებენ. ასეთ შემთხვევებში კაპიტალისტები უარს აცხადებენ ტექნიკის გამოყენებაზე როგორც ნაკლები მოგების მომცემ საშუალებაზე.

ვ. ი. ლენინი კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელ ამ კანონზომიერების შესახებ აღნიშნავდა: რამდენადაც, თუნდაც დროებით, მყარდება მონოპოლიური ფასები, ქრება წამაქეზებელი მიზეზები ტექნიკური და მაშასადამე ყოველგვარი სხვა პროგრესებისა, წინსვლისა. კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში მანქანური ტექნიკა არა თუ აუმჯობესებს მუშათა კლასის მდგომარეობას, არამედ აუტანელს ხდის მას, მუშას ესპობა თავის კვალიფიციური შრომის მოხმარების საშუალება, ის აქცევს მუშას მანქანის დანამატად, აცლის მას შემოქმედებით უნარს.

სულ სხვა შინაარსით არის გაპირობებული ტექნიკის გამოყენების საკითხი ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური მეურნეობის პირობებში საწარმოო საშუალებები გამოყენებულია მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სსრ კავშირში საზოგადოებას მანქანები ყოველთვის უზოგავენ შრომას, მანქანები არა თუ ზოგავენ შრომას, არამედ ამასთან ერთად აადვილებენ მუშაკების შრომას. ამიტომ სოციალისტური მეურნეობის პირობებში, კაპიტალისტური პირობებისაგან განსხვავებით, მუშები დიდი ხალისით იყენებენ მანქანებს შრომის პროცესში. სოციალისტური მეურნეობის პირობებში მშრომელები მანქანას იყენებენ თავისი კლასიური მიზნების განსახორციელებლად, შრომის გასაადვილებლად და საერთო სახელმწიფოებრივი სიმდიდრის გასადიდებლად.

ეხება რა მუშის გამოყენებას კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში მარქსი აღნიშნავს:

„მანქანური შრომა, რომელიც ნერვიულ სისტემას მთლიანად იპყრობს, ახშობს კუნთების მრავალნაირ მოძრაობას და ართმევს ადამიანს თავისუფალ ფიზიკურ და გონებრივ მოქმედების ყოველგვარ შესაძლებლობას. შრომის გაადვილებაც კი ტანჯვის საშუალებად იქცევა, რადგან მანქანა მუშას კი არ ანთავისუფლებს შრომისაგან, არამედ მის შრომას — შინაარსისაგან"[1].

სოციალისტური მეურნეობის პირობებში არსებითად იცვლება ტექნიკისადმი მუშის დამოკიდებულება. მუშები აქ არა თუ ემორჩილებიან მანქანის ერთგვაროვან მექანიკურ მოქმედებას, არამედ ყოველგვარ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად მოიმსახურონ საწარმოო პროცესის შესრულებისას ტექნიკა, რომ ამით საგრძნობლად გაზარდონ შრომისნაყოფიერება და სოციალისტური სამშობლოს დოვლათი. სოციალისტური მეურნეობის სისტემაში წარმოების მუშაკები ორგანულად და მატერიალურად დაკავშირებული არიან ტექნიკურ პროგრესთან, რადგან სახალხო

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 555-556, სახელგამი, 1954 წ.

მეურნეობის ტექნიკური წინსვლა საფუძველია საბჭოთა ეკონომიკის გაძლიერებისა და მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი აღმავლობისა.

სოციალისტურ მეურნეობაში საწარმოო პროცესების მექანიზაცია უზრუნველყოფს:

1. სახალხო მოხმარების საგნების მასიურ გამოშვებას, შრომისნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას;

2. შრომის პროცესებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას, მავნე და მძიმე შრომისაგან ადამიანის განთავისუფლებას;

3. ნედლეულის წყაროს ზრდას, ახალი რაიონების საშრეწველო ათვისების შესაძლებლობას;

4. წარმოების მაღალი ტემპებით ზრდასა და

5. სეზონური მუშაობის შემცირებას, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგებში მის მოსპობასა და სხვ.

სატყეო მეურნეობის წარმოებაში მექანიზაციის დანერგვა უზრუნველყოფს ამ დარგში ისტორიულად არსებული დიდი ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში სატყეო მეურნეობა ყველაზე ჩამორჩენილი მეურნეობის დარგად არის მიჩნეული.

ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ეხება რა სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარებას, სატყეო მეურნეობას აკუთვნებს ყველაზე ჩამორჩენილ მეურნეობას, მეურნეობას, სადაც სრულყოფილად შენარჩუნებულია წარმოების ყველაზე უფრო პრიმიტიული წესი და ამავე დროს მშრომელთა დაკაბალების მაქსიმალური საშუალება. ამჟამადაც თანამედროვე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებშიც სატყეო წარმოება ტექნიკის მხრივ ყველაზე ჩამორჩენილ დარგად ითვლება. სსრ კავშირში მძიმე ინდუსტრიის განვითარებამ შექმნა საშუალებები სატყეო მეურნეობაში ტექნიკის დანერგვისათვის. თანდათანობით იდევნება ხელით შრომა და საწარმოო პროცესების შესრულება მანქა-

ნა-იარაღების საშუალებით წარმოებს. სოციალისტურ საზოგადოებაში ტექნიკის გამოყენება წარმოებს გეგმურად — საზოგადოების სასარგებლოდ. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკა გამოყენებულია არა მარტო მშრომელთა გაძარცვის საშუალებად, არამედ საწარმოო ძალების განადგურების საშუალებადაც.

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, — აღნიშნავს მარქსი — რამდენადაც მსხვილი მრეწველობის საფუძველზე დაყრდნობით ვითარდება ესა თუ ის ქვეყანა მაგ. ჩ. ა. შ. შტატები, მით უფრო სწრაფად წარმოებს ეს განადგურების პროცესი. ამიტომ, დაასკვნის მარქსი — კაპიტალისტური წარმოება ანვითარებს ტექნიკას და საზოგადოებრივი წარმოების პროცესის კომბინაციას, ყოველი სიმდიდრის წყაროს დედამიწის და მუშის განადგურებით.

სსრ კავშირში ტექნიკის განვითარება უზრუნველყოფს საწარმოო ძალების — ქვეყნის სიმდიდრის წყაროს განვითარებასა და გაძლიერებას. ასე, მაგალითად, სსრ კავშირში ტყის ექსპლოატაციასთან ერთად დიდი მასშტაბით მიმდინარეობს სატყეო-საკულტურო სამუშაოები. მარტო ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სსრ კავშირში ხელოვნურად გაშენდა 2,5 მილიონი ჰექტარი ტყე. ა. შ. შტატებში ტყის ფონდი ყოველწლიურად კატასტროფულად მცირდება, სატყეო-საკულტურო სამუშაოების მოცულობა ოდნავადაც კი ვერ ავსებს ნაციონალური სიმდიდრის დიდ დანაკლისს (სხვადასხვა მონაცემით დასტურდება, რომ ამერიკაში ყოველწლიურად ჭრიან 550—600 მილიონ ჰექტარ ტყეს, იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში გაშენებულია მხოლოდ 750 — 800 ათასი ჰექტარი ტყე).

სსრ კავშირში სწრაფი ტემპით ხორციელდება საქმიანობის ყველა დარგში ხელით შრომის მანქანური შრომით შეცვლა. პარტია და მთავრობა ატარებს საჭირო ღონისძიებებს, რომ დაინერგოს შრომის პროცესების მექანიზაცია მეურნეობის ყველა დარგში, პირველ რიგში კი მძიმე და შრომა-

ტევად პროცესებზე, რომ ამით გაუმჯობესდეს და გაადვილდეს საბჭოთა ხალხის შრომის პირობები. სამუშაო პროცესების მექანიზაცია, წარმოების პროცესების შესრულებისა და მართვის საქმეში ელექტროფიკაციის ფართოდ დანერგვა, წარმოების ავტომატიზაცია და სხვ. წარმოადგენენ სოციალისტური წარმოების განვითარების დამახასიათებელ თავისებურებებს. საბჭოთა მანქანათმშენებლობა, რომელიც ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების გასაღებს წარმოადგენს უშვებს ახალი ტიპის მანქანებს. ეს მანქანები საშუალებას იძლევა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ დაინერგოს უწყვეტი ავტომატიზირებული წარმოების პროცესები.

ტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში ამჟამად ფართოდ არის დანერგილი უწყვეტი ავტომატიზირებული წარმოება, ე. ი. წარმოება, სადაც ტექნოლოგიური პროცესები მანქანებით ავტომატიზირებულად სრულდება. ასანთის წარმოებაში, ქაღალდისა და ცელულოზის ყველა გადასვლებში ფართოდაა დანერგილი მექანიზაცია და ავტომატიზაცია. უკანასკნელ ხანს დიდი მასშტაბით ინერგება ტექნიკა ტყის ექსპლოატაციაზე. ამჟამად მთელ რიგ რაიონებში ტყეკაფებზე ხეები მანქანებით იჭრება, მოჭრილი ხე სათანადო მექანიზმებით მიიზიდება საწყობში, სადაც ხდება მათი მექანიკურად დამორვა, გაქერქვა და ამწევი მანქანებით სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთვა და დანიშნულებისამებრ გაგზავნა. ფართოდ წარმოებს სატყეო-საკულტურო სამუშაოების მექანიზაციაც. მთელ რიგ სატყეო მეურნეობებში ნიადაგის მომზადება, ამოძირკვა, ტერიტორიის გაწმენდა, ხვნა, ფარცხვა, ორმოების ამოღება, აგრეთვე რგვა, თესვა, კულტივაცია, მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და სხვ. უკვე კარგა ხანია მექანიზებულად ტარდება.

სატყეო მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვის, პირველ რიგში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის მთავარ ამოცანას ორგანულად უკავშირდება მექანიზმების სრული

დატვირთვით გამოყენების ამოცანა. სატყეო მეურნეობაში საწარმოო საშუალებები შედგება ძირითადი და საბრუნავი ფონდებისაგან.

ძირითადი და საბრუნავი ფონდები ურთიერთისაგან განსხვავდება მათი საწარმოო პროცესში მონაწილეობათა თავისებურებებით.

ძირითადი ფონდები საწარმოო პროცესში მოიხმარება თანდათანობით, საბრუნავი ფონდები კი მთლიანად ერთ საწარმოო პროცესში პროდუქტის დასამზადებლად. ძირითადი ფონდები ინარჩუნებს თავის პირვანდელ ფორმას, და საწარმოო გამოყენების უნარს, წარმოების პროცესში განიცდის ცვეთას და დამზადებულ პროდუქციას თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ საამორტიზაციო დანარიცხების გზით გადაცემს თავის მთლიან ღირებულებას. საბრუნავი ფონდები მთლიანად მოიხმარება ერთ საწარმოო ციკლში და თავის სრული ღირებულებით მთლიანად გადადის დამზადებულ პროდუქციაში.

ძირითად ფონდებს მიეკუთვნება მანქანა-იარაღები, შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვ.

საბრუნავ ფონდებს მიეკუთვნება ნედლეული, დამხმარე მასალები, სათბობი, ელექტროენერგია და სხვ.

ძირითადი ფონდები იყოფა საწარმოო და არასაწარმოო ფონდებად. საწარმოო ფონდებს მიეკუთვნება მანქანა-იარაღები, საწარმოო შენობები და წარმოების ის საშუალებები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ მატერიალური დოვლათის შექმნაში.

არასაწარმოო ფონდებს მიეკუთვნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის შენობა-ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები, კლუბი, კინო-თეატრის შენობები, საბავშვო დაწესებულებათა შენობები და სხვ.

სატყეო მეურნეობაში ძირითადი ფონდების სწორად აღრიცხვა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმედ ითვლება. განსაკუთრებით უნდა აღირიცხოს მანქანა-იარაღები, მიუხე-

დავად იმისა, მუშაობენ ისინი თუ სათადარიგო დანიშნულებისა არიან, ან კიდევ სხვადასხვა მიზეზის გამო არ მუშაობენ. ძირითად ფონდებში უნდა აღირიცხოს არა მარტო მანქანა-იარაღები, არამედ ინსტრუმენტებიც. საერთოდ მიღებულია, რომ ძირითად ფონდში აღირიცხოს ისეთი ინსტრუმენტები, რომელთა საზღვრითი ღირებულება 200 მანეთს აღემატება. დანარჩენი ინსტრუმენტები სწრაფმცვეთ ინსტრუმენტებად ითვლება და საბრუნავ ფონდებში აღირიცხება. საწარმოო პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაცია და ხელით სამუშაოების შესრულების მოცულობის სისტემატური შემცირება, იწვევს ძირითადი ფონდების ხვედრითი წონის ზრდას საწარმოო საშუალებების შემადგენლობაში.

სატყეო მეურნეობის ძირითადი ფონდების დაგეგმვა და მათი აღრიცხვა წარმოებს ნატურალურად და ღირებულების მიხედვით. ძირითადი ფონდების ნატურალური აღრიცხვა საჭიროა იმისათვის, რომ ვიცოდეთ მათი სიმძლავრეები და ტექნიკური მდგომარეობა. ამ მიზნით დაწესებულია ყოველწლიური ინვენტარიზაცია ძირითადი ფონდებისა და აგრეთვე წარმოებს მათი პერიოდული პასპორტიზაცია.

საწარმოო ფონდების შესახებ სრულყოფილ მონაცემებს იძლევა მათი პასპორტი. პასპორტში ნაჩვენებია საწარმოს ან ცალკეული მანქანების საპროექტო სიმძლავრე, ექსპლოატაციაში გადაცემის დრო და მათი არსებული ტექნიკური მდგომარეობა.

ძირითადი ფონდების აღრიცხვა ღირებულების მიხედვით საშუალებას იძლევა დავადგინოთ ძირითადი ფონდების დინამიკა (ძირითადი ფონდების ზრდა, ძირითადი ფონდების ცვეთის ყოველწლიური სიდიდე, საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები და სხვ.).

ძირითადი ფონდების სისტემატური კვლავწარმოების უზრუნველყოფის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს საამორტიზაციო ანარიცხების ნორმების სწორ დადგენას.

ძირითადი ფონდების ამორტიზაცია ნიშნავს ამ ფონდების

ღირებულების თანდათანობით შემცირებას მათი ცვეთის შედეგად. სოციალიზმის ეკონომიური კანონის მოთხოვნას შეადგენს აღდგენილ იქნას წარმოების პროცესში გაცვეთილი ძირითადი ფონდები და უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი ფონდების კვლავწარმოება. ამ მიზნით საჭიროა სათანადო თანხები. ამ თანხების მიღება წარმოებს ყოველწლიურად საამორტიზაციო ანარიცხების სახით. ძირითადი ფონდის ყოველი ცალკე ობიექტისათვის წესდება ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხები. ეს ანარიცხები შედის პროდუქციის თვითღირებულებაში და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად საფინანსო ორგანოების მეშვეობით ეს თანხა უბრუნდება სამეურნეო ორგანიზაციებს ძირითადი ფონდების კაპიტალური შეკეთებისათვის და ახალის შესაძენად. არსებული ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტისათვის და ახალი ძირითადი ფონდების შეძენისათვის საჭირო თანხები უნდა იყოს გათვალისწინებული მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმაში. გეგმაში გაუთვალისწინებელი მოულოდნელი შემთხვევის შედეგად აუცილებელი ხარჯები ძირითადი ფონდების შევსებისათვის ან კაპიტალური რემონტისათვის მეურნეობას შეუძლია გასწიოს მხოლოდ სატყეო მეურნეობის ზემდგომი ორგანოების ნებართვით.

საამორტიზაციო ანარიცხების ყოველწლიური ნორმა დამოკიდებულია ძირითადი ფონდის თავისებურებაზე, მათ ინტენსიურ ექსპლოატაციაზე, მოვლაზე და სწორ ტექნიკურ ზედამხედველობაზე. იცვითება არა მარტო ის მანქანა-იარაღები და მოწყობილობები, რომლებიც ექსპლოატაციაშია, არამედ ისინიც, რომლებიც არ არიან ექსპლოატაციაში. მანქანა-იარაღები, რომლებიც ექსპლოატაციაში არ არიან, ბუნების სტიქიური ძალების ზემოქმედების შედეგად იცვითება — არა ისე სწრაფად, როგორც წარმოებაშიმყოფი საშუალებები, მაგრამ მაინც ხდება მათი ნაწილების დაჟანგვა, დეფორმირება. ვინაიდან გამოუყენებელი, უმოქმედოდმყოფი მანქანებიც განიცდის ცვეთას — დაუშვებელია ასე უქმად

გაიფლანგოს საზოგადოებრივი ქონება, საჭიროა მათი გამოყენება, რის შედეგადაც ხდება გაცვეთილი ნაწილის ღირებულების დამზადებულ პროდუქციაზე გადატანა და ისევ საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენება.

ძირითადი ფონდების ყოველწლიური ცვეთის ნორმების სწორად დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში თუ ფონდების ცვეთის ნორმა არასწორად იქნა დადგენილი, ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების ჯამი ერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სრულიად გაცვეთილი ძირითადი ფონდის აღდგენას, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოიწვევს ზედმეტი თანხის დაგროვებას, რაც სოციალისტური გეგმური მეურნეობის პირობებში დაუშვებელია. საამორტიზაციო ანარიცხების ნორმა, მხოლოდ მაშინ არის სწორად დადგენილი, როდესაც ამა თუ იმ მანქანის, შენობისა თუ დანადგარისაგან მიღებული ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების ჯამი უზრუნველყოფს გაცვეთილი ფონდის ნორმალურ კვლავწარმოებას.

იმისათვის, რომ სწორად დავადგინოთ ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების ნორმა, საჭიროა ზუსტად დადგინდეს ძირითადი ფონდების პირვანდელი ღირებულება, ექსპლოატაციის ვადა და ყოველწლიურად შესრულებული სამუშაოს ან გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. მას შემდეგ, რაც ძირითადი ფონდი მთლიანად გაიცვითება და შეუძლებელია გამოყენებულ იქნას წარმოების პროცესში, იგი მაინც შეიცავს გარკვეულ ღირებულებას, და შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დანიშნულებისათვის (ზოგიერთი ნაწილები გამოყენებულ იქნას მსგავსი მანქანა-იარაღების შეკეთებისათვის, ან უნდა ჩაბარდეს უტილსა და სხვ.). სწორი არ არის ძირითადი ფონდების პირვანდელი ღირებულების მიხედვით დადგენილ იქნას ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების ნორმა. პირვანდელ ღირებულებას უნდა დაემატოს კაპიტალური რემონტის ღირებულება, გამოაკლდეს ამორტიზირებული ძირითადი ფონდის ღირებულება ანუ სალიკვიდა-

ციო ღირებულება და დარჩენილი თანხა გაიყოს ძირითადი ფონდის ექსპლოატაციის ვადაზე. მიღებული თანხა იქნება ამორტიზაციის ყოველწლიური ნორმა. ამორტიზაციის ყოველწლიური ნორმა ნაწილდება სამეურნეო წელში შესრულებული სამუშაოს ან კიდევ გამოშვებულ პროდუქციაზე.

ავიღოთ შემდეგი მაგალითი: სატყეო მეურნეობამ შეიძინა სამტონიანი სატვირთო ავტომანქანა და გადაიხადა მანქანის ღირებულება 20 ათასი მანეთი. დავუშვათ მანქანის ექსპლოატაციის ვადა ტექნიკური პასპორტის მიხედვით განსაზღვრულია 10 წელი. 10 წელი ამ შემთხვევაში არის აღნიშნული ავტომანქანის ამორტიზაციის პერიოდი. ამ პერიოდში ავტომანქანა მოითხოვს გაცვეთილი ნაწილების შეცვლას, რაც წარმოებს გეგმის მიხედვით კაპიტალური შეკეთების სახით. დავუშვათ 10 წლის განმავლობაში კაპიტალურ შეკეთებაზე დაიხარჯა 4000 მანეთი. 10 წლის შემდეგ ამორტიზირებულ ავტომანქანას უდავოდ ექნება ისეთი ნაწილები და შეიძლება ცალკეული აგრეგატებიც, რომლის შემდგომი გამოყენება შესაძლებელი დარჩეს. მანქანის დანარჩენი სრულიად ამორტიზირებული ნაწილები უნდა ჩაბარდეს სათანადო ორგანიზაციას, როგორც უტილი. ამორტიზირებული ავტომანქანის ღირებულება მისი ჩამოწერის შემდეგ ვთქვათ 600 მანეთს შეადგენს. მაშინ, მანქანის პირველად ღირებულებას 20 ათას მანეთს უნდა დაემატოს კაპიტალური შეკეთების ღირებულება 4000 მანეთი და გამოაკლდეს 600 მანეთი, ხოლო დარჩენილი 23.400 მანეთი უნდა გავყოთ მანქანის ამორტიზაციის ვადაზე, ე. ი. 10-ზე. მიღებული 2340 მანეთი ეს იქნება სატვირთო ავტომანქანის ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხის სიდიდე. ყოველწლიური საამორტიზაციო თანხა განაწილებული უნდა იქნეს ყველა იმ ტვირთზე, რომელიც გადაზიდული იქნება სამეურნეო წელში სატვირთო ავტომანქანით და შევა გადაზიდული პროდუქციის თვითღირებულებაში. სამეურნეო ორგანიზაციების პირველხარისხოვან ამოცანას შეადგენს ძირითადი ფონდების მაქსიმალურად

გამოყენება. ძირითადი ფონდების გამოყენება დამოკიდებულია მათ ინტენსიურ გამოყენებასა, მუშაობის ხანგრძლივობასა და ტექნიკურ მდგომარეობაზე.

მანქანა-იარაღების ინტენსიური გამოყენება გულისხმობს დროის ერთეულში მის მაქსიმალურ დატვირთვასა და გამოყენებას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მანქანა ტექნიკურად ნორმალურ სამუშაო მდგომარეობაშია და თუ მას მართავს მანქანის მუშაობის ტექნიკას სრულყოფილად დაუფლებული მუშაკები. მანქანა-იარაღების ტექნიკური გაუმჯობესება, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და სხვა მომუშავეების კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება, მეცნიერების ახალი მიღწევების, მოწინავე საწარმოების გამოცდილების, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, წარმოების მომარაგება საჭირო ნედლეულით, დამხმარე მასალებით, სათბობით, ელექტროენერგიითა და სხვ. მანქანა-იარაღების ინტენსიური გამოყენების საშუალებას იძლევა.

რამდენადაც მანქანა-იარაღები მეტი ვადით იმუშავებს, რამდენი მეტი საათი ექნება ნამუშევარი სამეურნეო წელში მანქანა-იარაღებს, იმდენად მაღალი იქნება მათი გამოყენების კოეფიციენტი. ასეთ პირობებში წარმოება მაღალ ეკონომიურ მაჩვენებლებს აღწევს (მცირდება გაცდენები და პროდუქციის თვითღირებულება, იზრდება წარმოების ზეგეგმური დაგროვება). მანქანა-იარაღების უკეთ გამოყენების მიზნით წარმოებაში უნდა არსებობდეს პროგრესული ტექნო-ეკონომიური ნორმა, რომელიც ყოველი მანქანა-იარაღის მიხედვით ცალ-ცალკე წესდება. ნორმა უნდა ითვალისწინებდეს თუ რა ოდენობის სამუშაო ან რა ოდენობის პროდუქცია უნდა შეასრულოს ამა თუ იმ მანქანამ სამუშაო დროის ერთეულში. თუ დადგენილი ნორმები არ არის პროგრესული, არ იწვევს წარმოების მუშაკების ენერგიული და ყურადღებითი შრომის აუცილებლობას, წარმოების კოლექტივის დაძაბული შემოქმედების აუცილებლობას, მაშინ იგი დიდ ზიანს აყენებს

წარმოებას, ამ უკანასკნელის ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხდება. საწარმოო გეგმები აგებული უნდა იქნეს საერთოდ დაძაბულ, მაგრამ ამავე დროს შესასრულებლად რეალურ ტექნო-ეკონომიურ მაჩვენებლებზე.

მოწინავე საბჭოთა ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ძირითადი ფონდები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოყენებული და რომ წარმოების შემდგომი ზრდის ერთ-ერთ რეალურ რეზერვს ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენება წარმოადგენს. ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის ამჟამად გაშლილ სახალხო ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივი.

1949 წლის ნოემბრის თვეში მოსკოვის 88 მსხვილმა საწარმოთა კოლექტივებმა სსრკ მთავრობის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნეს, რომ ჩვენი საწარმოთა ძირითადი ფონდები: შენობები, ნაგებობები, მანქანები, იარაღები, სატრანსპორტო მოწყობილობები არასრულყოფილად არის გამოყენებული და რომ მათი სრულყოფილი გამოყენება უდიდეს რეზერვს წარმოადგენს პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენების შედეგად მოსკოვის მარტო 88 საწარმოში შეძლეს 130 ათას კვ. მეტრ საწარმოო ფართობის გამონთავისუფლება და არსებული მანქანა-იარაღების უკეთ გამოყენების შედეგად მილიარდზე მეტი ღირებული დამატებითი პროდუქციის გამოშვება. მოსკოველთა ამ პატრიოტულ მოძრაობას დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივები, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრი ძირითადი ფონდების სრულყოფილი, ეფექტური გამოყენებისათვის. აღნიშნულის შედეგად დაიზოგა ათეული მილიონი მანეთი ახალ საწარმოთა მშენებლობაზე და დიდი ოდენობის საალმშენებლო მასალა და სხვა მატერიალური საშუალებები.

ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრში ფართოდ არიან ჩაბმული სატყეო

მეურნეობის მუშაკები. სატყეო მეურნეობის მუშაკებს თავიანთ მუშაობაში რთული და სპეციფიური პირობების გათვალისწინება და გადალახვა უხდებათ. მთავარი შემდეგია:

1. სპეციალური მანქანების სეზონური გამოყენების ხასიათი. მთელი რიგი მანქანა-იარაღები, რომლებიც ამჟამად გამოყენებული არის სატყეო მეურნეობაში, მუშაობენ მხოლოდ გარკვეული პროცესების შესრულებაში, მაგ., დარგვა, დათესვა, კულტივაცია, ნიადაგის მოხვნა და სხვ. ეს სამუშაოები სატყეო მეურნეობაში, ისე, როგორც სოფლის მეურნეობაში, წლის გარკვეულ პერიოდში წარმოებს და ამ სეზონურ სამუშაოს შესასრულებლად კონსტრუირებული მანქანებიც სეზონური გამოყენებით ხასიათდება, რაც საგრძნობლად ამცირებს მანქანების გამოყენების სასარგებლო კოეფიციენტს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ისეთი მანქანები, რომლებსაც შეეძლებათ არა მარტო ცალკეული ოპერაციების შესრულება (რგვა, თესვა და სხვ.), არამედ სხვადასხვა დროში სატყეო მეურნეობის სხვადასხვა საწარმოო ოპერაციების შესრულებაც, ეს კი შესაძლებლობას გაზრდის ძირითადი ფონდების მაქსიმალური გამოყენებისათვის. მანამდე სატყეო მეურნეობის კოლექტივი უნდა იბრძოდეს სეზონურ მუშაობის მანქანების სეზონის პერიოდში მაქსიმალურად გამოყენებისათვის (სეზონის დღეებში წმინდა მუშაობის საათების გადიდებით, მანქანა-იარაღებზე მაღალკვალიფიციური მუშაკების მიმაგრებით, სამუშაოს კარგი ორგანიზაციითა და სხვ.).

2. ზოგიერთი საწარმოო პროცესების შესრულებაში ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენება. ცოცხალი გამწევი ძალა, განსაკუთრებით მთიანი ტყეების პირობებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ოდენობით არის გამოყენებული სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე და ტყის ექსპლოატაციაზე იმის გამო, რომ მაღალქანობიანი ადგილების ნიადაგის დამუშავებისათვის ჯერ კიდევ არ არის სათანადო ტიპის მექანიზირე-

ბული საშუალებები. ასეთი ადგილების ნიადაგის დამუშავება წარმოებს ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით. ხე-ტყის გამოზიდვის მთელ რიგ ოპერაციებზე ფართოდ იყენებენ საჭაპანო ტრანსპორტს. ცოცხალი გამწევი ძალა მეურნეობის ძირითად ფონდებს ეკუთვნის. მათი სწორ და სრულყოფილ გამოყენებაზე ბევრად არის დამოკიდებული მეურნეობის საწარმოო გეგმების შესრულების მდგომარეობა. ცოცხალი გამწევი ძალა მოითხოვს წესიერ მოვლას და გამოყენებას. ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული განაწესი და იგი ყოველ მიზეზს გარეშე უნდა სრულდებოდეს.

ისე, როგორც ძირითადი ფონდების სხვა საშუალებები, ცოცხალი გამწევი ძალაც უნდა განიცდიდეს გეგმის მიხედვით კვლავწარმოებას. ამისათვის საჭიროა ცოცხალი გამწევი ძალის მუშაობის პერიოდში მოხდეს სათანადო თანხების დაგროვება, ხოლო მათი მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში კი ახლის შეძენა. მეურნეობაში ყოველი ცოცხალი გამწევი ძალა ცალკეა აღრიცხული საბალანსო ღირებულებით. დადგენილია აგრეთვე მათი მუშაობის პერიოდი. მუშაობის უნარმოკლებული ცოცხალი გამწევი ძალის ღირებულების აღდგენა წარმოებს შემდეგი წესით: მის პირვანდელ საბალანსო ღირებულებას აკლებენ სამუშაო მდგომარეობიდან გამოსული მუშა საქონლის ღირებულებას, ყოფენ მუშა საქონლის მუშაობის წლებზე და მიღებულ თანხას აღრიცხავენ ყოველწლიურად მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რაც მუშა საქონლის მიერ შესრულებული სამუშაოს თვითღირებულების ელემენტია. თუ ცოცხალ გამწევ ძალაზე გათვალისწინებულ სამუშაოებზე დამტკიცებული ყოველთვიური კვარტალური და წლიური გეგმები არ სრულდება, ეს გამოიწვევს თვითღირებულების ამ ელემენტის გადიდებასა და მეურნეობის საფინანსო მაჩვენებლების გაუარესებას.

VI. შრომისა და ხელფასის ორგანიზაცია სატუმო მეურნეობაში

წარმოების სოციალისტურმა წესმა შექმნა ფორმით და შინაარსით ახალი შრომის ორგანიზაცია. სოციალისტური შრომის ორგანიზაცია პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი შრომის ორგანიზაციისაგან. საწარმოო საშუალებებზე სოციალისტურმა საკუთრებამ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობამ შრომას სულ სხვა ხასიათი მისცა. საზოგადოების განვითარების ისტორიაში პირველად საბჭოთა ქვეყანაში მშრომელები შრომობენ არა სხვისთვის, არა ექსპლოატატორებისა და ბატონებისათვის, არამედ თავისთავისთვის, თავისი კლასისათვის. მშრომელთა შრომა ჩვენს ქვეყანაში არა ცალკეულ პირების გამდიდრების საშუალებას წარმოადგენს, არამედ საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესების, საბჭოთა ეკონომიკის გაძლიერების საშუალებას.

კაპიტალისტურ მეურნეობაში სამუშაო ძალა წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის საშუალებას. ისე, როგორც სხვა საქონელი მისი ფასი და მოხმარება დამოკიდებულია ბაზრის კონიუნქტურაზე. წარმოების კაპიტალისტური წესის დამახასიათებელ მოვლენად ითვლება ქრონიკული უმუშევრობა, მშრომელთა გაჭირვება და მასობრივი შიმშილი. სსრ კავშირში, პირიქით, სამუშაო ძალა ნაწილდება ერთიანი სახელმწიფო გეგმის მიხედვით.

კაპიტალისტურ ქვეყნებში შრომა ითვლება სამარცხვინო და დამამცირებელ საქმედ; სსრ კავშირში კი იგი გმირობისა და ღირსების საქმეა. სსრ კავშირში საზოგადოების ყოველი წევრი ვალდებულია პირადად მიიღოს შრომითი მონაწილეობა საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში, მისი უნარისა და ცოდნის მიხედვით.

გადაიქცა რა შრომა ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ

საქმედ, გახდა რა შრომა საზოგადოების თვითეულ წევრისათვის სავალდებულო, განხორციელდა პრინციპი „ვინც არ მუშაობს ის არც ჭამს“. სოციალიზმის ეს ეკონომიური კანონი ჩამოყალიბებული იყო ვ. ი. ლენინის მიერ, და მან თავისი გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომლის მე-12 მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირში შრომა არის თვითეულ შრომისუნარიან მოქალაქის საპატიო მოვალეობა... ვინც არ მუშაობს ის არც ჭამს“.

სოციალიზმის ამ პრინციპის შესაბამისად სსრ კავშირში თვითეული მოქალაქე გარანტირებულია სამუშაოთი. დიდი ხანია მოსპობილია უმუშევრობა. შრომის შედეგად შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებაში თვითეული მუშაკი ღებულობს მონაწილეობას შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

შრომის ორგანიზაციის სოციალისტური პრინციპი მდგომარეობს: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით“.

სოციალისტურ საზოგადოებაში თვითეული მუშაობს თავისი უნარის მიხედვით და მოხმარების საგნებს იღებს არა თავისი მოთხოვნილების, არამედ მის მიერ შესრულებული მუშაობის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

სსრ კავშირში შრომა და შრომის ორგანიზაცია ითვლება ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ. ამით აიხსნება ის, რომ კომუნისტური პარტიის ყრილობებზე, კონფერენციებზე, პლენუმებზე, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში გამახვილებულია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების ყურადღება შრომის ორგანიზაციის სისტემატური გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

ვ. ი. ლენინი აფრთხილებდა ჩვენს პარტიას, რომ „მანამდე, სანამ კომუნიზმის „უმაღლესი“ ფაზა დადგებოდეს, სოციალისტები მოითხოვენ შრომის ზომისა და მოხმარების

ზომის უსასტიკეს კონტროლს საზოგადოების მხრივაც და სახელმწიფოს მხრივაც"[1]... სოციალისტური სახელმწიფო ანხორციელებს კონტროლს შრომისა და მოხმარების ზომაზე და უზრუნველყოფს შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის გატარებას.

სოციალისტური შრომის ორგანიზაციის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს შრომისნაყოფიერების სისტემატურ გადიდებასა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურ გაუმჯობესებაში. სოციალისტურ საზოგადოებაში შრომისნაყოფიერების ზრდას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობის გამარჯვებისათვის"[2].

„რატომ შეუძლია და უნდა დაამარცხოს, აუცილებლადაც დაამარცხებს სოციალიზმი მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას? იმიტომ, რომ მას შეუძლია მოგვცეს შრომის უფრო მაღალი ნიმუშები, შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება, ვიდრე მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას. იმიტომ, რომ მას შეუძლია მისცეს საზოგადოებას მეტი პროდუქტები და შეუძლია გახადოს საზოგადოება უფრო მდიდარი, ვიდრე მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას"[3].

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მშრომელთა კვალიფიციური ცოდნის დონის სისტემატური ამაღლების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის შედეგად სსრ კავშირში შრომისნაყოფიერების ზრდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით ჯერ არნახული ტემპებით მიმდინარეობს. 1940 წლიდან 1951

---

[1] ვ. ი. ლენინი. ტ. 25, გამოცემა მეოთხე. გვ. 525.

[2] ვ. ი. ლენინი. ტ. 29, გვ. 499, ქართ. მეოთხე გამოც.

[3] ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, ქართ. მე-11 გამოცემა, გვ. 622.

წლამდე მრეწველობაში შრომისნაყოფიერების დონე 50%-ით გაიზარდა.

შრომისნაყოფიერების ზრდაზე სატყეო მეურნეობის საწარმოებში მოქმედებენ შემდეგი ძირითადი პირობები:

1. შრომის შეიარაღება,
2. შრომის დისციპლინა,
3. შრომის ორგანიზაციის სრულყოფილი ფორმები (შრომის კოოპერაცია და შრომის დანაწილება),
4. მუშაკთა კულტურისა და კვალიფიკაციის დონე,
5. შრომის ანაზღაურება (მატერიალური დაინტერესება),
6. სოციალისტური შეჯიბრება,
7. ბუნებრივი პირობები.

ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ამ ძირითადი პირობების ერთობლივი მოქმედების შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნას შრომისნაყოფიერების უწყვეტი, მნიშვნელოვანი ზრდა.

დიდი ამოცანების განხორციელება არის გათვალისწინებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში შრომისნაყოფიერების გადიდების დარგში. დირექტივებში აღნიშნულია: „ჩვენს ქვეყანაში მძლავრი ინდუსტრიული ბაზის არსებობა და მეექვსე ხუთწლედში ფართო ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალ, თავისი ტექნიკური დონით უფრო მაღალ საფეხურზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გადასვლას, აგრეთვე კვალიფიციური მუშაობისა და სპეციალისტების კადრების არსებობა და სულ უფრო მზარდი მასშტაბებით მომზადება, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან თანამედროვე ტექნიკას, დიდ შესაძლებლობას ქმნის შრომისნაყოფიერების დაჩქარებული ტემპით ზრდისათვის“.

შრომისნაყოფიერების გადიდება ორგანულად არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვასთან. შრომის პროცესების მექანიზაცია, ავტომატიზაცია, ქიმიზაცია, ელექტროფიკაცია წარმოადგენს იმ დიად საშუა-

ლებას, რომელზეც დაყრდნობით უნდა განვითარდეს ჩვენი სახალხო მეურნეობა და რომელიც წარმოადგენს შრომისნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

საწარმოო პროცესებში ახალი ტექნიკის გამოყენება იწვევს არა მარტო საწარმოს ტექნიკური დონის ამაღლებას, წარმოებებში შრომისნაყოფიერების გადიდებას, არამედ იგი არსებითად ცვლის ტექნოლოგიური პროცესის შინაარსსა და შრომის პირობებს, აადვილებს შრომას, აუმჯობესებს შრომის პირობებს, ამაღლებს წარმოების კულტურას.

ახალი ტექნიკის დანერგვით, შრომის პროცესების მექანიზაციითა და ავტომატიზაციით ჩვენ ვაღწევთ არა მარტო შრომისნაყოფიერების დონის ამაღლებას, მის ზრდას, არამედ შრომის პირობების გაუმჯობესებას, ტექნიკის უკეთ გამოყენებას, ყოველივე ეს კი აძლიერებს საბჭოთა ეკონომიკას, ზრდის პროდუქციის მოცულობას, აუმჯობესებს მის ხარისხს, ამცირებს წარმოების დანახარჯებსა და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და ქმნის მყარ ბაზას მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირში არსებული გარანტირებული შრომა, სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი აღმავლობა და მასთან დაკავშირებული მუშა-მოსამსახურეთა კონტინგენტის ზრდა, მათი ხელფასის სისტემატური ზრდა, მასიური მოხმარების საქონელზე ფასების თანდათანობით შემცირება, მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და სხვა კულტურულ საყოფაცხოვრებო ღონისძიებებზე სახელმწიფოს მიერ ასიგნობათა ყოველწლიური ზრდა ნათლად ლაპარაკობენ იმ დიდ მზრუნველობაზე, რასაც ჩვენს ქვეყანაში იჩენს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნას წარმოადგენს და მეურნეობის სოციალისტური სისტემა ყოველმხრივ

ხელს უწყობს მის განხორციელებას. შრომისნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს წარმოების მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება. მაღალი სოციალისტური კულტურისა და ტექნიკური ცოდნით შეიარაღებულ კადრებს საწარმოო საშუალებების უკეთ გამოყენების უნარი შესწევთ და ეს კი უზრუნველყოფს წარმოების წინაშე მდგარ ამოცანების წარმატებით შესრულებას. სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის აუცილებელია არა მარტო შრომისნაყოფიერების მაღალი დონე და მოხმარების საგნების სიუხვე, არამედ მაღალი კულტურისა და უახლეს ტექნიკას დაუფლებული კადრები. ამ მიზნის მიღწევისათვის სოციალისტურ საწარმოებში გაშლილია მრავალგვარი მუშაობა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის ცოდნის დონე ავამაღლოთ ინჟინრის, აგრონომის ცოდნის დონემდე და ამით შეიქმნას პირობები გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობისათვის. სოციალისტური საზოგადოების წევრების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება აძლიერებს მათ შეგნებულ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი შრომისადმი. შრომისადმი კომუნისტური შეგნებულობა საფუძველია შრომის სოციალისტური მეთოდების სოცშეჯიბრის, სტახანოვური მოძრაობის გაშლისათვის და მასობრივი გავრცელებისათვის. მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია შრომითი ენთუზიაზმით აღსავსენი აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

შრომის სოციალისტური ორგანიზაცია გულისხმობს შრომის მტკიცე დისციპლინის დამყარებას საქმიანობის ყოველ უბანში. სოციალისტურ საწარმოში შრომის დისციპლინა ეფუძნება თვით მომუშავეთა შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას. შრომის კანონმდებლობა მკაცრად სჯის ზარმაცებს, სამუშაოს გამცდენლებს, „მფრინავებს“, რომლებიც თავისი ანტისაზოგადოებრივი მოქმედებით ხელს უშლიან

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს. სოციალისტური დისციპლინა გულისხმობს წარმოების ყოველი მუშაკის მიერ მტკიცედ შესრულებას წარმოების შინაგანაწესისა და მუშაობის რეჟიმისა. ყოვლად დაუშვებელია სამუშაო საათების გაცდენა, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადება, ადრე წასვლა და სხვა სახის უდისციპლინობა. სოციალისტური შრომის დისციპლინა სავალდებულოდ უხდის წარმოების მუშაკებს, უსიტყვოდ შეასრულონ წარმოების ხელმძღვანელის წარმოების მუშაობასთან დაკავშირებული მითითებები და განკარგულებები.

სოციალისტურ საწარმოში თვითეულ მუშაკს გარკვეული მოვალეობის შესრულება აქვს დაკისრებული. დაკისრებული მოვალეობის მაღალხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულება აუცილებელი მოთხოვნაა სოციალისტური შრომის დისციპლინისა. დაბალი ხარისხის, წუნდებული ან დაუკომპლექტებელი არასტანდარტული პროდუქციის გამოშვება შეიძლება მხოლოდ ისეთ წარმოებაში, სადაც დაბალია სოციალისტური შრომის დისციპლინა. ასეთ წარმოებებში ცალკეული შემსრულებელნი არაკეთილსინდისიერად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, არღვევენ სამუშაოების შესრულების დადგენილ ტექნოლოგიურ პროცესს ან ტექნოლოგიური პროცესის შესრულების რეჟიმს და ამით დიდ ზარალს აყენებენ სახელმწიფოს, საზოგადოებას. სოციალისტური დისციპლინის დამრღვევთა, როგორც საზოგადოებრივ-მატერიალური საშუალებების გამნიავებელთა წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობის მიერ დადგენილია ზემოქმედების მკაცრი ზომები.

სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მომქმედი საბჭოთა კანონები გამოხატავენ მშრომელთა ინტერესებს, იგი ემსახურება საზოგადოების საერთო კეთილდღეობას. სოციალისტური საკუთრების დაცვა, ფულადი და სხვა მატერიალური საშუალებების ხარჯვის ეკონომიის რეჟიმი, მათი რაციონალური და მიზნობრივი გამოყენება, დანაკარგების მაქსიმალური შემცირება, მაღალხარისხოვანი პროდუქციის

გამოშვება და სხვა სოციალისტური შრომის დისციპლინის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს.

სოციალისტური შრომის დისციპლინის სისტემატური ამაღლებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა გადაუდებელი და პირველხარისხოვანი ამოცანაა. ამ ამოცანის შესრულება მიმდინარეობს მასებში პოლიტიკურ-მასობრივი და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებითა და გაშლით. პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ამავე დროს გამოყენებულია როგორც წამახალისებელი, ისე იძულებითი საშუალებებიც. წამახალისებელ საშუალებათა შორის აღსანიშნავია: შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი, სანიმუშო შრომისათვის მრავალი სახის პრემიები, ჯილდოები, საზოგადოებრივი წახალისებები (მადლობის გამოცხადება, სიგელები, სანატორიუმში ან დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე ექსკურსიებზე გაგზავნა და სხვ.). იძულებით საშუალებებში შედის საზოგადოებრივი გაკიცხვა, სხვადასხვა ადმინისტრატიული სასჯელი, სასამართლო პასუხისგებაში მიცემა და სხვ.

პოლიტიკურ და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად მაღლდება მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე და წარმოებს დაუცხრომელი ბრძოლა ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალისტური გადანაშთთა აღმოსაფხვრელად.

ამ მხრივ ჩატარებულ ნაყოფიერ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმოებაში სოციალისტური შრომის დისციპლინის მდგომარეობა.

სოციალისტური შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შრომის ახალი მეთოდების — სოცშეჯიბრისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლა წარმოადგენს.

სოციალისტურ შეჯიბრში გამოხატულებას ჰპოვებს საბჭოთა ადამიანების შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება.

ეს ნიშნავს ამხანაგურ შეჯიბრს მაღალ საწარმოო მაჩვენებლების მისაღწევად და ამით საზოგადოების თვითეული წევრის წვლილის ზრდას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. სოციალისტური შეჯიბრება გულისხმობს ჩამორჩენილთადმი მეგობრულ დახმარებას, მათ მოწინავეთა რიგებში წამოწევას და ამით საერთო საწარმოო აღმავლობის მიღწევას.

კაპიტალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელია კონკურენცია, ერთმანეთისადმი შუღლი, მტრობა, ძლიერის მიერ სუსტის განადგურება, მოსპობა. სოციალისტურ მეურნეობაში შეჯიბრება ერთ-ერთი საშუალებაა ადამიანთა შესაძლებლობის, ნიჭისა და უნარის გამოვლენისა და გაშლისათვის. ბურჟუაზიული ეკონომისტები შეუძლებლად თვლიდნენ სოციალისტური მეურნეობის პირობებში შეჯიბრებას, რადგან შეჯიბრების საფუძვლად მხოლოდ კონკურენციულ ბრძოლას თვლიდნენ. სოციალისტურ მეურნეობაში კონკურენციის გაჭრობასთან ერთად მათი აზრით უნდა გამქრალიყო შეჯიბრიც.

ვ. ი. ლენინი ეხებოდა რა ბურჟუაზიული ეკონომისტების აღნიშნულ ყალბ თეორიას, აღნიშნავდა: „სოციალიზმი არა თუ აჭრობს შეჯიბრს, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას მართლა ფართოდ და მასობრივად. შესაძლებლობას გამოყვანილი იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთ მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავისი ნიჭი, გამოააშკარაონ ტალანტი, რომელიც განუზომელია ხალხში და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ქელავდა და ახშობდა“.[1] „...სოციალიზმი სპობს რა კლასებს და მაშასადამე, მასების დამონებას, პირველად უხსნის გზას შეჯიბრებას მართლაც მასობრივი მასშტაბით“[2].

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ, და მისმა პირმშომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ, პირველად საზოგადოების

---

[1] ვ. ი. ლენინი. რჩეული ნაწერები, ტ. 5, გვ. 376.

[2] ვ. ი. ლენინი. რჩეული ნაწერები, ტ. 4, გვ. 293.

ისტორიაში შრომა აქცია იძულების, დამონების და დამცირების საშუალებიდან (ბატონყმურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში) ღირსების, სიამაყისა და გმირობის საქმედ.

ქონდა და აქვს რა ასეთი დიდი სახელმწიფოებრივი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა სოციალისტურ შეჯიბრებას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ატარებდა და ატარებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებებს. ისე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, სატყეო მეურნეობაშიც სოციალისტური შეჯიბრის გაშლის მთავარი მიზანია საერთო საწარმოო აღმავლობის მიღწევა, სახელმწიფო დავალებების მაღალხარისხოვნად შესრულება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობა, თვითღირებულების შემცირება და სოციალისტური საკუთრების დაცვა. იგი წარმოადგენს კომუნისტურ მეთოდს ახალი უკლასო საზოგადოების მშენებლობისათვის. სოციალისტურმა შეჯიბრებამ განვითარების შესანიშნავი გზა განვლო, დაწყებული კომუნისტური შაბათობებით იგი მილიონიანი მასების მოძრაობაში გადაიზარდა. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება 1935 წელს ახალ ფაზაში შევიდა. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანად გაუმჯობესებამ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობამ და მშრომელთა თავისუფალმა თავისთავისათვის, თავისი საზოგადოებისათვის შრომამ, სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის გამოყენებამ, ამ ტექნიკის დაუფლებული ახალი, მოწინავე კადრების აღზრდამ და მომზადებამ შექმნა პირობები იმისათვის, რომ წარმოშობილიყო სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა — სტახანოვური მოძრაობა.

სტახანოვური მოძრაობა ეს არ არის საბჭოთა ადამიანების ჩვეულებრივი მოძრაობა. ეს ისეთი მოძრაობაა, რომელიც

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში შევა, როგორც მისი ერთ-ერთი უაღრესად სასახელო ფურცელი.

სტახანოვური მოძრაობა ჩაისახა და განვითარდა მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში და ამით უნდა აიხსნას, რომ იგი ელვის სისწრაფით გავრცელდა სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, ყოველ წარმოებაში. სტახანოვური მოძრაობა ცალკეულ პირთა მოძრაობიდან საერთო სახალხო მოძრაობად გადაიზარდა. სტახანოვური რგოლები, სტახანოვური ბრიგადები, სტახანოვური საწარმოები ისტორიაში ჯერ არნახულ საწარმოო წარმატებებს აღწევენ.

სტახანოვური მოძრაობა ამსხვრევს ძველ შეხედულებას ტექნიკაზე და მისი შემოქმედებითი მართვით და სრულყოფილი გამოყენებით აღწევს საპროექტო სიმძლავრეების გადამეტებით გამოყენებას, მაღალი ტექნიკური ნორმების შესრულებასა და საწარმოო გეგმების გადაჭარბებით, ვადაზე ადრე შესრულებას. სტახანოვური მოძრაობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად, მაღალი ტემპებით დიდდება პროდუქციის გამოშვება, იქმნება მასიური მოხმარების საგნების სიუხვე, რაც ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის.

სტახანოველები ახალი ტიპის ადამიანები არიან, ისინი კარგად ფლობენ მათზე დაკისრებული საქმის შესრულების ტექნიკას, მაღლა დგას მათი კულტურული დონე. სტახანოველები სისტემატურად ამაღლებენ თავიანთი კულტურულ-ტექნიკურ ცოდნის დონესა და საწარმოო მაჩვენებლებს. მეწარმეთა და კოლმეურნეთა კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის სისტემატურად ამაღლების შედეგად თანდათანობით იშლება დაპირისპირება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის, რაც აუცილებელია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისათვის.

სოციალისტურ საწარმოებში სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე განვითარება, ამ მოძრაობის

საბჭოთა ხალხის საერთო-საყოველთაო მოძრაობად გადაქცევა ყოველ საწარმოში და მათ შორის სატყეო მეურნეობაში შრომის ისეთ ორგანიზაციას მოითხოვს, სადაც ლიკვიდირებულია მუშახელის დენადობა, მიღწეულია ხელფასის სწორი ორგანიზაცია და წარმოებს მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების სისტემატური გაუმჯობესება.

სოციალისტური შრომის ორგანიზაციის ამოცანას შეადგენს, წარმოებაში მუშაკებს შეუქმნას ყოველგვარი პირობები თავიანთი საწარმოო მაჩვენებლების სისტემატური ზრდისათვის.

შრომისნაყოფიერების სისტემატური აღმავლობისათვის საჭიროა მუშების ჩაყენება შრომის ისეთ პირობებში, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მათ იმუშაონ აზრიანად, შეუფერხებლად, მზარდი დაინტერესებით. მუშაკებისათვის წარმოებაში სათანადო პირობების შექმნით მიღწეული იქნება წარმოების ნაყოფიერების სისტემატური ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

შრომისნაყოფიერების სისტემატური აღმავლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მომუშავეთათვის სამუშაო ადგილის სათანადო მომზადება, საწარმოო პროცესში კადრების განაწილება ცოდნის, უნარისა და სამუშაო მოცულობის მიხედვით, თვითეული მომუშავესათვის საწარმოო დავალების მიცემა საწარმოში არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით.

შრომის სოციალისტური ორგანიზაცია ორგანიულად არის დაკავშირებული წარმოებისათვის საჭირო კადრების მომზადებასა და კადრების კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებასთან. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს კადრების მომზადების, შერჩევისა და სწორად გამოყენების საკითხს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებები ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის სწორად გადაჭრისათვის.

სოციალისტურ სახელმწიფოში კადრი ოქროს ფონდად ითვლება. მეტად დიდი იყო კადრების როლი სოციალიზმის მშენებლობის განვლილ ეტაპებში. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში კიდევ უფრო იზრდება და დიდდება კადრების როლი. მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადება სსრ კავშირში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მეშვეობით სწარმოებს.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კადრების მომზადების 2 წესი არსებობს:

1. წარმოებისაგან მოწყვეტით და 2. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

წარმოებიდან მოწყვეტით კადრების მომზადება წარმოებს უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და სპეციალურ სკოლებში, სადაც შექმნილი აქვთ სათანადო პირობები სწავლისათვის (სტიპენდიები, საერთო საცხოვრებლები).

წარმოებიდან მოუწყვეტლივ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადება წარმოებს სპეციალურ უმაღლეს — დაუსწრებელ სასწავლებლების, ტექნიკუმების, საღამოს ინსტიტუტებისა და კურსების მეშვეობით. იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ სატყეო მეურნეობა საჭირო კვალიფიციური კადრებით, საჭიროა შედგეს ყოველი სატყეო მეურნეობის მიხედვით კვალიფიციური მუშახელის ბალანსი. ბალანსი უნდა ითვალისწინებდეს:

1. სამუშაოს მოცულობას შესრულების ვადის მიხედვით;
2. კვალიფიციური მუშახელის საჭირო ოდენობასა და
3. სატყეო მეურნეობაში მომუშავე კვალიფიციური მუშების რაოდენობის გათვალისწინებით დანაკლისის შევსების ღონისძიებებს.

იმ შემთხვევაში თუ ბალანსის მიხედვით მეურნეობას არ ჰყავს საჭირო კვალიფიციური მუშახელი, აუცილებლად მიღებული უნდა იქნეს ზომები მეურნეობის კვალიფიციური მუშახელის უზრუნველსაყოფად. დანაკლისი კვალიფიციური მუ-

შახელის შევსება უნდა სწარმოებდეს მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებით, შრომისნაყოფიერების სისტემატური ზრდით, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებით.

კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა, მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. წარმოებიდან მოუწყვეტლივ კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება წარმოებს: ინდივიდუალურად, ბრიგადულად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი კურსებისა და წრეების საშუალებით.

ინდივიდუალური-საწარმოო ტექნიკური სწავლება წარმოებს დაბალი კვალიფიკაციის მუშაკის, მაღალკვალიფიკაციის მქონე მუშაკზე, ან საწარმოო სწავლების ინსტრუქტორთან მიმაგრებით. სწავლების ძირითად მეთოდად ითვლება საწარმოო პროცესებზე უშუალო დაკვირვება, საწარმოო პროცესის შესრულების ტექნიკის ახსნა-განმარტება და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიმაგრებულ პირის მიერ ამ სამუშაოების უშუალოდ, პრაქტიკულად შესრულება ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

სწავლების ბრიგადული წესი გულისხმობს: მოსწავლეთა (3—4 კაცი) ბრიგადაზე მიმაგრებას ან მოსწავლეთა სპეციალური ბრიგადის შექმნას, სადაც ბრიგადირი ანხორციელებს ბრიგადის წევრების საწარმოო-ტექნიკურ სწავლებას.

კურსებისა და წრეების საშუალებით წარმოების კადრების საწარმოო-ტექნიკური სწავლება მიმდინარეობს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობათა საშუალებით. კურსები არის მოკლევადიანი, ერთთვიანი, ორთვიანი, სამთვიანი და გრძელვადიანი: ექვსთვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, სამწლიანი. სამწლიან კურსებზე მზადდება არა მარტო მაღალკვალიფიციური მუშები, არამედ საშუალო კვალიფიციური კადრებიც — ბრიგადირები, ხელოსნები, ნორმადარები, საამქროს უფროსი და სხვ. კურსების მსმენე-

ლები შეიძლება იყოს წარმოებისგან მოუწყვეტლივ და წარმოებისგან მოწყვეტით.

საწარმოო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, წარმოებებში ეწყობა აგრეთვე წრეები: ტექმინიმუმის შემსწავლელი, სტახანოველთა გამოცდილების, მოწინავე საწარმოთა გამოცდილების შემსწავლელი და სხვ.

საწარმოო პერსონალის მომზადება, მათი კვალიფიციური და კულტურული ცოდნის დონის ამაღლება აუცილებელი პირობაა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების სალიკვიდაციოდ. მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის სისტემატური ამაღლება წარმოების ადმინისტრაციის, პარტიული ორგანიზაციისა და პროფესიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა.

სსრ კავშირში მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება ორგანიულად დაკავშირებულია შრომისნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდასთან და მშრომელთა მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურ გაუმჯობესებასთან.

სსრ კავშირში ყოველწლიურად 9 მილიონზე მეტი მუშები და კოლწეერები იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას. ამ მიზნით ყოველწლიურად 3 მილიარდ მანეთზე მეტი თანხა იხარჯება. საშუალო კვალიფიკაციის დიდი არმია მზადდება საფაბრიკო-საქარხნო სკოლების საშუალებით, რაზედაც სახელმწიფო ყოველწლიურად $5^1/_2$ მილიარდ მანეთს ხარჯავს. მილიონობით ახალგაზრდობა — ქალები და ვაჟები, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დიდი წარმატებით მუშაობენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის მრავალრიცხოვან დარგში.

დიდი მასშტაბით წარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების ყადრების მომზადება. რევოლუციამდელ რუსეთში 92 უმაღლესი სასწავლებელი იყო, რომელშიც სწავლობდა 110.000 კაცი. სსრ კავშირში 1953 წ. მოქმედებდა 800

უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც სწავლობდა 1.562.000 სტუდენტი.

რევოლუციამდელი რუსეთის ტექნიკუმებში სწავლობდა მხოლოდ 36.000 კაცი. სსრკ-ში 1953 წელს ტექნიკუმებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობდა 1.644.000 კაცი. სსრ კავშირში ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს გაცილებით მეტი სტუდენტი, ვიდრე ევროპისა და აზიის კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთად.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის კადრების მომზადებისადმი დიდი ყურადღებით უნდა აიხსნას ის, რომ სახალხო მეურნეობაში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი 1950 წელს 1940 წელთან შედარებით 53%-ით გაიზარდა. მეექვსე ხუთწლედში მეხუთე ხუთწლედთან შედარებით მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ორჯერ მეტ უმაღლეს დამთავრებულ სპეციალისტებს მიიღებს.

სსრ კავშირში სატყეო მეურნეობისათვის საშუალო და უმაღლესი განათლების კადრების მომზადება წარმოებს ტექნიკუმებისა და სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტების ან სხვა ინსტიტუტის ფაკულტეტების მეშვეობით.

უმაღლეს სასწავლებლებთან და ტექნიკუმებთან ყოველწლიურად ეწყობა სატყეო მეურნეობის მუშაკთა (დირექტორების, უფროსი მეტყევეების, ინჟინრების, სატყეოს უფროსებისა და მათი მოადგილეების) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. სატყეო მეურნეობებში სისტემატურად ტარდება მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებანი (ტექმინიმუმის წრეები, სტახანოველთა გამოცდილების შემსწავლელი წრეები, მოკლევადიანი კურსების და სხვ.). შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და შრომისნაყოფიერების ზრდის უაღრესად მნიშვნელოვან პირობას შრომის კოოპერაცია და დანაწილება წარმოადგენს.

შრომის კოოპერაცია გულისხმობს შრომის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც მრავალი პირი გეგმაზომიერად და ერთად მონაწილეობს შრომის ერთსა და იმავე პროცესში, ან სხვადა-

სხვა, მაგრამ ურთიერთ დაკავშირებულ შრომის პროცესებში. მარქსი შრომის კოოპერაციას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა შრომისნაყოფიერების გადიდების საქმეში.

შრომის კოოპერაციამ უდიდესი როლი შეასრულა კაპიტალისტურ წარმოებაში. კიდევ უფრო მაღლდება შრომის კოოპერაციის როლი სოციალისტური წარმოების პირობებში. კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომის კოოპერაცია მუშისათვის იძულებითია, რადგან იგი არ არის დაინტერესებული წარმოების შედეგებით. სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც მუშა დაინტერესებულია წარმოების შედეგებით, შრომის კოოპერაცია, როგორც შრომისნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა ხორციელდება მშრომელების (მუშების, კოლმეურნეების) ნებაყოფლობით, შეგნებული მონაწილეობის საფუძველზე.

შრომის კოოპერაციის უმარტივესი ფორმა იყო მაგალითად შრომა სატყეო მეურნეობის საწარმოებში, როდესაც დაბალი ტექნიკური შეიარაღების გამო ხელით შრომა ჭარბობდა.

სატყეო მეურნეობათა რთული თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის შედეგად შრომის კოოპერაცია სულ უფრო რთულ სახეს ღებულობს.

შრომის ასეთი რთული კოოპერაციის არსებით ნიშანს წარმოადგენს შრომის დანაწილება, როდესაც ერთი და იგივე საწარმოო პროცესი იყოფა ცალკე ოპერაციებად და თვითეული ცალკეული მუშაკი გარკვეულ ოპერაციას ან მოქრაობას ასრულებს.

შრომის დანაწილება კაპიტალისტურ ინდუსტრიაში კოლოსალურ მასშტაბებს აღწევს. თანამედროვე კონვეიერი კაპიტალისტურ ქარხნებში და ფაბრიკებში, სადაც მუშა გადაქცეულია მანქანის მეტყველ დანამატად და სადაც მისი ნიჭი და შემოქმედებითი უნარი იხშობა, იღუპება, ამის ნიმუშია.

სოციალისტური მრეწველობა თავისი კონვეიერებით წარმოადგენს შრომის დანაწილების რთული სისტემის ნიმუშს, სადაც მაქსიმალურად გამოყენებულია მისი დადებითი

მხარეები და მუშაკი სამუდამოდ განთავისუფლებულია შრომის დანაწილების დამღუპველი გავლენისაგან. შრომისნაყოფიერების ზრდას მივყევართ სამუშაო დღის ხანგრძლიობის შემცირებისაკენ, ამ საფუძველზე სოციალისტური საზოგადოების მუშაკს სულ უფრო მეტი დრო რჩება თავისი სულიერი და ფიზიკური თვისებებისა და ნიჭის მრავალმხრივ განვითარებისათვის.

ამ მხრივ დიდი ღონისძიებები გათვალისწინებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სატყეო მეურნეობის ხაზით — ხე-ტყის დამზადების ძირითადი სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დამთავრება და დამხმარე სამუშაოთა ფართო მექანიზაცია; მერქნის დამუშავების მეტი წილის შრომატევადი და მძიმე სამუშაოების გადატანა ტყეკაფებიდან საზიდი გზების ქვედა საწყობებში და ხეტყის გადასატვირთავ ბაზებში; ქვედა საწყობებში კომპლექსური მექანიზაციის ფართო მასშტაბებით განხორციელება; დიდი ტვირთამწეობისა და მაღალი გავლადობის აუტოამწევთა და ავტომობილების დანერგვა ხე-ტყის გამოზიდვაზე, ხე-ტყის დამზადებაზე მტკიცე ენერგეტიკული ბაზის შექმნა ხის ნარჩენებით მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობის გზით.

საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა აგრეთვე მეექვსე ხუთწლედში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დღის ხანგრძლიობის მნიშვნელოვანი შემცირება.

შრომის კოოპერაცია ითვალისწინებს:

1. დადგენას იმისას, თუ რა პროფესიის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალმა უნდა მიიღოს მონაწილეობა საწარმოო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებულ საწარმოო პროცესებში;

2. წინასწარ დადგენა იმისა, თუ საწარმოო პროცესში რომელმა მუშაკმა რა მოვალეობა, რა სამუშაო ოპერაცია უნდა შეასრულოს და ამ მოვალეობის შემსრულებლის მიერ კარგად ცოდნა;

3. დადგენა იმისა, თუ როგორ ურთიერთკავშირში და რო-

ჯორი რიცხობრივი თანაფარდობით უნდა იყოს სამუშაოს შემსრულებლები საწარმოო პროცესში და აქედან გამომდინარე მოხდეს ყველაზე რაციონალური შრომის დანაწილება სამუშაოს შემსრულებელთა შორის.

შრომის სწორი ორგანიზაცია ითვალისწინებს სამუშაო ადგილის მაქსიმალურად—რაციონალურად გამოყენებას; ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ თვითეულ შემსრულებელს აქვს ყოველდღიურად შესასრულებელი სამუშაოს გეგმა და ამ სამუშაოს ასრულებს უახლესი ტექნიკით, მოწინავე მეთოდებით. შრომის რაციონალიზაციის გატარება და მისი დადებითი შედეგის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოებაში ადგილი არა აქვს გაუპიროვნებას, და შრომის ორგანიზაცია ისეა მოწყობილი, რომ ყოველდღიურად მოწმდება თვითეული მუშაკი როგორ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, როგორია მისი შრომის შედეგები რაოდენობრივად და ხარისხობრივად, წარმოებს მოწინავეთა წახალისება და ჩამორჩენილთა შორის სათანადო მუშაობა. თვითეული შემსრულებლის შრომის შედეგის გაგება შესაძლებელია წარმოებაში შესრულებული სამუშაოს ყოველდღიური აღრიცხვითა და კონტროლით.

წარმოებაში შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება სამუშაო ადგილის მიხედვით.

სამუშაო ადგილი ეწოდება ტერიტორიულად განსაზღვრულ საწარმოო ფართობის იმ ნაწილს, სადაც ადამიანის უშუალო შრომითი მონაწილეობით ან მეთვალყურეობით სრულდება საწარმოო ციკლის გარკვეული ნაწილი და ამისათვის არსებობს ყოველგვარი პირობები: მანქანა-იარაღები, ნედლეული, დამხმარე მასალები, ხელსაწყოები და სხვ., რაც საწარმოო ციკლის ამ გარკვეული ნაწილის შესრულებასთან არის დაკავშირებული.

სამუშაო ადგილის მზადყოფნა გულისხმობს: მანქანა-იარაღების სამუშაო მდგომარეობაში მზადყოფნას, ნედლეულისა და დამხმარე მასალების საჭირო მარაგს, თუ სამუშაო ადგილი

საწარმოო ციკლის დასაწყისშია, სამუშაოს რითმულ მიწოდებას, თუ სამუშაო ადგილი საწარმოო ციკლის შემდეგ ფაზებშია, შემსრულებლის მოხერხებულად დგომას საწარმოო პროცესთან დაკავშირებული მოძრაობების შესასრულებლად, ინსტრუმენტებისა და სხვა ხელსაწყოების იმდაგვარად განლაგებას, რომ მათი გამოყენებისათვის მაქსიმალურად მცირე დრო დაიხარჯოს.

სტახანოველები შრომისნაყოფიერების გადიდებას აღწევენ არა მარტო მანქანა-იარაღების ტექნიკური სიძლავრეების ეფექტური გამოყენებით, არამედ მანქანა-იარაღების მომსახურებასთან და მართვასთან დაკავშირებული შრომის პროცესებში მოძრაობების შემცირებით და საერთო სამუშაო დროში, წმინდა სამუშაო დროის ხვედრის გადიდებით.

შრომის სოციალისტური ორგანიზაცია ითვალისწინებს თუ რა წესით უნდა შესრულდეს წარმოების გეგმით ზათვალისწინებული სამუშაო. თუ სამუშაოს მოცულობა საშუალებას იძლევა დანაწილდეს ცალ-ცალკე ოპერაციებად, ოპერაციები — ცალ-ცალკე მოძრაობებად — ამ ოპერაციებსა და მოძრაობებს ანაწილებენ ცალკეულ შემსრულებელთა მიხედვით. სამუშაოს დანაწილება ოპერაციებად და მოძრაობებად და ოპერაციებსა და მოძრაობებზე ცალკეულ შემსრულებელთა მიმაგრება, მნიშვნელოვნად ზრდის შრომისნაყოფიერებას, რადგან მუშაობის დანაწილება შემადგენელ ელემენტებად იწვევს შემსრულებლის დახელოვნებასა და შესასრულებელი სამუშაოს შესრულების გაადვილებას.

სატყეო მეურნეობაში სამუშაოს შესრულება წარმოებს ინდივიდუალურად და ბრიგადულად. ინდივიდუალურად სამუშაოს შესრულებისას ცალკეულ პირებს ეძლევათ გარკვეული სამუშაო და იგი შესრულებულ სამუშაოს რაოდენობასა და ხარისხზე პასუხისმგებელია.

სამუშაოს ყოველი ოპერაციის შესრულება უხდება ერთ პიროვნებას და ამიტომ შემსრულებელი ვერ აღწევს განსაკუთრებულ წარმატებებს შრომისნაყოფიერების ამაღლებაში.

საწარმოო პროცესის ყველა ოპერაციების შესრულება მოითხოვს შემსრულებლის მაღალ კვალიფიკაციას.

ინდივიდუალურთან შედარებით ბრიგადულ შრომას დიდი უპირატესობა აქვს. აქ ხდება ბრიგადის წევრებს შორის შრომის განაწილება თავიანთი უნარის, საწარმოო დახელოვნების, ცოდნისა და შესაძლებლობის მიხედვით. ბრიგადის წევრებს შორის მეგობრული ურთიერთობა აღაფრთოვანებს თვითეულს მაღალი შრომისნაყოფიერებისათვის. ბრიგადის წევრებს შორის სოციალისტური შეჯიბრება, მოწინავეების მიერ ჩამორჩენილების წამოწევა, მათდამი მეგობრული დახმარება იწვევს საერთო შრომით აღმავლობას. სატყეო მეურნეობაში ბრიგადები უნდა ჩამოყალიბდეს, ჯერ ერთი, სამუშაოების მიხედვით (სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე, ტყის სარგებლობაზე), ხოლო მეორე — საწარმოო-ტერიტორიის მიხედვით. ეს უკანასკნელი ნიშნავს ერთი დარგის სამუშაოს, მაგ., სატყეო-საკულტურო სამუშაოს განაწილებას უბნების მიხედვით და ბრიგადის პასუხისმგებლობას უბნების მიხედვით შესრულებულ სამუშაოს რაოდენობასა და ხარისხზე. ბრიგადაში შრომის ორგანიზაცია იმდაგვარად უნდა მოეწყოს, რომ საწარმოო პროცესის ოპერაციები სრულდებოდეს რითმიულად, თანმიმდევრულად, ჰარმონიულად, ერთის მუშაობა ხელს უნდა უწყობდეს მეორეს, მასთან დაკავშირებული ბრიგადის წევრის წარმატებით მუშაობას. ამავე დროს შესრულებული სამუშაო რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით უნდა აღირიცხებოდეს ცალკეული შემსრულებლების მიხედვით, რომ ადგილი არ ექნეს ბრიგადის წევრთა შორის გაუპიროვნებასა და შრომის არასწორ ანაზღაურებას.

ბრიგადას უნდა მიეცეს ყოველდღიური, დეკადური და თვიური საწარმოო დავალებები. ბრიგადის წევრები ინსტრუქტირებული უნდა იყვნენ სამუშაოს შესრულების წესებსა და პირობებზე.

შრომის ორგანიზაცია ითვალისწინებს მომუშავეთა დანაწილებას კატეგორიების მიხედვით და ცალკეული კატეგორიების მიხედვით კადრების დროულად დაკომპლექტებას. სატყეო

მეურნეობაში მომუშავეთა კონტინგენტი ორ ჯგუფად იყოფა: ა) საწარმოო პერსონალი და ბ) არა საწარმოო პერსონალი.

ა) საწარმოო პერსონალში შედის: მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურეები, უმცროსი მომსახურე პერსონალი, ხანძარსაწინააღმდეგო და საგუშაგო დაცვის პერსონალი; ბ) არა საწარმოო პერსონალში შედის: ტრანსპორტის მუშაკები, დამხმარე სოფლის მეურნეობის მუშაკები, კომუნალური მეურნეობის მუშაკები, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მეურნეობის პერსონალი და სხვ.

საწარმოო მუშების საჭირო რაოდენობის გეგმის შედგენისათვის ცალკეული სახის სამუშაოების წლიური გეგმა იყოფა ამავე სამუშაოებისათვის დადგენილ გამომუშავების ნორმაზე და მიღებული კაცდღეები გაიყოფა წლიური გეგმის მიხედვით განსაზღვრულ სამუშაო დღეთა რიცხვზე. მიღებული ციფრი მაჩვენებელი იქნება ცალკეულ სამუშაოებზე წლის განმავლობაში (ყოველი სამუშაო დღის მიხედვით საშუალოდ) რამდენმა მუშამ უნდა იმუშაოს. ვინაიდან ძირითადი და დამხმარე სამუშაოები მოითხოვს განსხვავებულ კვალიფიკაციის მომუშავეებს, საჭიროა გამოანგარიშებულ იქნას მუშების ოდენობა კვალიფიკაციის მიხედვით, შემდეგ სამუშაოები დაიყოს კვარტალებად და დაჯამდეს იგი სატყეო მეურნეობის მიხედვით. საწარმოო პერსონალის გეგმას თან უნდა დაერთოს ღონისძიებები მუშახელზე დანაკლისის (თუ ასეთი იქნება) შევსებისათვის. მეურნეობის დანარჩენი კატეგორიის მომუშავეების: ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, მოსამსახურეებისა და მომსახურე პერსონალის რაოდენობის გეგმა დგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული ტიპიური შტატების მიხედვით, იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც მოხდა ამ ტიპიურ შტატებში შემდეგ პერიოდში. სატყეო მეურნეობის ამ კატეგორიის მომუშავეთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა შეუძლია მხოლოდ სატყეო მეურნეობის ზემდგომ ორგანოებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათანადო ნებართვის საფუძველზე.

მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნება შრომის ორგანიზაციის ფორმები, დადგინდება სამუშაოთა მოცულობა სახეებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, გაანგარიშებული იქნება შრომის გეგმა მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით — უნდა გაანგარიშდეს ხელფასები და განისაზღვროს ხელფასის ფონდი.

ხელფასი და მისი ორგანიზაცია სატყეო მეურნეობაში

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში სამუშაო ძალის ფასი სხვა საქონლის ფასისაგან განსხვავებით მის ღირებულებაზე ნაკლებია და ხშირად არ აკმაყოფილებს მუშის მინიმალურ საარსებო პირობებსაც კი. კაპიტალისტურ წარმოებაში ხელფასი გამოხატავს წარმოების მეპატრონეთა (ექსპლოატატორთა) დამოკიდებულებას მშრომელებისადმი (ექსპლოატირებულთადმი). კაპიტალისტები ქირაობენ მუშებს. ყიდულობენ ბაზარზე მათ სამუშაო ძალას როგორც საქონელს, ამუშავებენ საკუთარ საწარმოში და მაქსიმალური მოგების მიღებისა და პირადი გამდიდრების მიზნით შეუბრალებლად ყვლეფენ მათ.

კაპიტალისტები ცდილობენ სისტემატურად გაზარდონ თავიანთი სიმდიდრე, თავიანთი შემოსავალი, ამას ისინი აღწევენ მუშათა კლასის ექსპლოატაციის სისტემატური გადიდებით.

კაპიტალიზმის პირობებში მომქმედი ეკონომიური კანონები მშრომელთა შრომას აქცევს არა როგორც საზოგადოების სასიცოცხლო მოთხოვნილებას, არამედ იძულების, დამცირებისა და გაღატაკების საშუალებად. კაპიტალისტური წარმოების წესი, და აქედან გამომდინარე მაქსიმალური მოგების მიღების ულმობელი კანონი, მუშათა კლასს იძულებულს ხდის

იმუშაოს კაპიტალისტებისათვის, მათი გამდიდრებისათვის. ეისაც ეს არ მოსწონს იძულებულია მიემატოს უმუშევართა არმიას. უმუშევრობითა და შიმშილით სიკვდილის შიში აიძულებს მუშებს დაექირაოს კაპიტალისტებს შრომის მცირე საფასურითაც კი.

კაპიტალისტური წარმოების წესისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია მუშების მიერ შექმნილ პროდუქციაში მუშათა კლასის ხვედრის სისტემატური შემცირება, რაც მუშათა კლასის გაღატაკებას იწვევს, ეს გარდაუვალი პროცესი ამწვავებს და აღრმავებს ანტაგონისტურ წინააღმდეგობას მუშათა კლასსა და ექსპლოატატორთა კლასს შორის.

წარმოების სოციალისტურმა წესმა არსებითად შეცვალა მშრომელთა დამოკიდებულება შრომისადმი და შრომის ანაზღაურების სისტემა. სოციალისტურ მეურნეობაში სამუშაო ძალა აღარ არის საქონელი და ხელფასი არ ითვლება სამუშაო ძალის ფასად. სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური წარმოების სფეროში ჩაბმული მშრომელები ქმნიან საზოგადოებრივ პროდუქტს. სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სექტორში შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტის ერთი ნაწილი მიდის მის წარმოებაზე მოხმარებული წარმოების საშუალებათა ასანაზღაურებლად, ხოლო მეორე ნაწილი — ნაციონალურ შემოსავალში. სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სექტორში წარმოებული ნაციონალური შემოსავალი ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი წარმოადგენს მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავე მუშაკთა მიერ ინდივიდუალური მოხმარებისათვის შექმნილ პროდუქტს. საზოგადოებრივი პროდუქტის ამ ნაწილს წარმოების მუშა-მოსამსახურეები იღებენ ხელფასის სახით თვითეულის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ნაციონალური შემოსავლის მეორე ნაწილი ხმარდება საზოგადოების საერთო მოთხოვნებს. ნაციონალური შემოსავლის ეს ნაწილი წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების წმინდა შემოსავალს და გამოიყენება: წარმოების გასაფართოვებლად, სახელმწიფო რეზერვების

შესაქმნელად, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, თავდაცვისა და სახელმწიფო მმართველობის ხარჯების დასაფარავად. ნაციონალური შემოსავლის ორივე ნაწილი მშრომელების საკუთრებას წარმოადგენს და მათ კეთილდღეობას ემსახურება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში კი ნაციონალური შემოსავლის დიდი ნაწილი კაპიტალისტების საკუთრებაა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაციონალურ შემოსავალში მშრომელთა ხვედრი სისტემატურად მცირდება..

სსრ კავშირში თვითეული საზოგადოების წევრის წილი საზოგადოებრივ პროდუქტსა და ნაციონალურ შემოსავალში სისტემატურად იზრდება და იგი სოციალიზმის პერიოდში თვითეული მუშაკის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განისაზღვრება.

სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტი მთლიანად ემარდება საზოგადოებასა და მათ წევრებს, ამიტომ საკმაოდ უაზროდ გაისმის ახლა ჩვენს წყობილების დროს — „სიტყვები სამუშაო ძალაზე, როგორც საქონელზე და მუშის „დაქირავებაზე", თითქოს მუშათა კლასი, რომელიც წარმოების საშუალებებს ფლობს, თვითონ ექირავება თავის თავს და თვითონ ყიდის თავის თავზე თავის სამუშაო ძალას. ასევე უცნაურია ახლა ლაპარაკი „აუცილებელ" და „ზედმეტ" შრომაზე. თითქოს მუშების შრომა ჩვენს პირობებში, რომელიც ხმარდება საზოგადოებას წარმოების გასაფართოებლად, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის გასავითარებლად, თავდაცვის ორგანიზაციისათვის და ა. შ. არ წარმოადგენს ამჟამად ხელისუფლების სათავეში მდგომ მუშათა კლასისათვის ისევე აუცილებელს, როგორც მუშისა და მისი ოჯახის პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დახარჯული შრომა"[1].

---

[1] ი. ბ. სტალინი. „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", გვ. 20.

სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სექტორში და მათ შორის სატყეო მეურნეობაში არსებობს შრომის ანაზღაურების ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა შრომის შედეგების მიხედვით სწორად განისაზღვროს თვითეული მუშაკის წილი საზოგადოებრივ პროდუქტში.

ამრიგად, სოციალიზმის პერიოდში სამუშაო ხელფასი არის ფულად ფორმაში გამოხატული ნაციონალური შემოსავლის ნაწილი, რომელსაც სახელმწიფო უხდის მუშა-მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს მათი და მათი ოჯახის წევრების საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თვითეული მათგანის შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

სოციალიზმის დროს ხელფასი და მისი სიდიდე ორგანიულად არის დაკავშირებული თვითეული საზოგადოების წევრის შრომის შედეგებზე. შრომის შედეგის ზრდა რაოდენობრივად და ხარისხობრივად იწვევს ხელფასის ზრდას.

ხელფასი ითვლება შრომის მაღალი შედეგების მასტიმულირებელ ფაქტორად. მაღალი კვალიფიკაციის მუშას მეტი რაოდენობისა და უკეთესი ხარისხის პროდუქტის შექმნა შეუძლია. შრომის ანაზღაურების პრინციპი მას უფლებას ანიჭებს მიიღოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, რაც გაცილებით მეტი იქნება იმაზე, რასაც მიიღებს ნაკლები კვალიფიკაციის მუშა შედარებით ნაკლები რაოდენობის შრომის შედეგისათვის.

ხელფასის გაცემის ასეთი სისტემა იწვევს მატერიალურ დაინტერესებას როგორც მაღალი კვალიფიკაციის, ისე დაბალი კვალიფიკაციის მუშებისას კიდევ უფრო აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია, თავიანთი კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონე და ამით კიდევ უფრო გაიუმჯობესონ თავიანთი და თავიანთი ოჯახის წევრების მატერიალური კეთილდღეობა.

საბჭოთა ხალხის დიდი მონაპოვარი ხელფასების ანაზღაურების დარგში დაკანონებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, რომლის მე-12 მუხლში აღნიშნულია: თვითეულისაგან

მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი შრომის მიხედვით. სსრკ კონსტიტუციის მე-18 მუხლში მითითებულია, რომ სსრ კავშირის მშრომელები ხელფასს ღებულობენ მის მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ჩვენს ქვეყანაში ხელფასის გაცემა წარმოებს შრომის მიხედვით და დაგმობილია ხელფასის გაცემის გათანაბრების სისტემა.

მარქსისტული სოციალიზმისათვის უცხო და მიუღებელია ხელფასის გათანაბრების სისტემა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში სოციალისტური წარმოების განვითარებისა და საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების გადიდების საფუძველზე ნაციონალური შემოსავლის 60 პროცენტით ზრდა. ამის შესაბამისად გათვალისწინებულია მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის საშუალოდ 30 პროცენტით გადიდება.

შრომისა და ხელფასის ორგანიზაციაში ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრის მიზნით ჩვენი პარტიის XX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებს:

„უზრუნველყოფილ იქნას წარმოებაში გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ფართოდ დანერგვა, რომლებიც შეესაბამება ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონეს; გადიდდეს სატარიფო განაკვეთების წილი მუშათა ხელფასში და დაწესდეს სწორი თანაფარდობა სატარიფო განაკვეთების დონეში ცალკეული დარგებისა და პროფესიების მიხედვით, ამასთან გათვალისწინებულ იქნას კვალიფიკაცია და შრომის ანაზღაურებაში უპირატესობა მიეცეს იმ მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან მძიმე სამუშაოებზე და ცხელ საამქროებში...“

პარტიის მე-XX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ ცალკეული კატეგორიის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ხელფასის მოწესრიგებას, პრემიებს ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომისნაყოფიერების ზრდისა

და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სტიმულირების საქმეში.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნაა შრომისნაყოფიერების ზრდასთან ერთად, მშრომელთა ხელფასის სისტემატური გადიდება. შრომისნაყოფიერების ზრდასთან სდევს სათანადო ფარდობით ხელფასის ზრდა.

გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უზრუნველყოფა საჭიროებს შრომისნაყოფიერების უფრო მაღალ ტემპებით ზრდას, ხელფასის ზრდის ტემპებთან შედარებით. საბჭოთა ქვეყანაში რეალური ხელფასის ზრდა მიმდინარეობს მისი რაოდენობრივი ზრდით, საბჭოთა მანეთის კურსის განმტკიცებით — მანეთის სყიდვითი უნარიანობის გადიდებით, მასიური მოხმარების საგნებზე ფასების სისტემატური შემცირებით.

სსრ კავშირში ხელფასი წარმოადგენს რა ღიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ფაქტორს, მისი რეგულირება წარმოებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ.

სსრ კავშირის მთავრობა სახალხო მეურნეობის გეგმების დამტკიცებისას, ამტკიცებს ხელფასის საერთო ფონდს სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების მიხედვით.

ამჟამად არსებული წესის მიხედვით სატყეო მეურნეობის მუშაკთა ხელფასის ფონდი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის დამტკიცებულ ხელფასის ფონდში შედის. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სატყეო მეურნეობის მუშაკთათვის მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით საზღვრავს ხელფასის ფონდს და ანაწილებს მას მოკავშირე რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოებს შორის, სამუშაოს მოცულობის მაჩვენებლების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობის სამინისტროები და მათდამი დაქვემდებარებული სატყეო მეურნეობის და დაცვითი მნიშვნელობის ტყეების გაშენების მთავარი

სამმართველოები ხელფასის ფონდს ანაწილებენ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქებსა და სატყეო მეურნეობათა შორის.

ხელფასის ფონდის დადგენისას მთავარი ყურადღება ექცევა მომუშავეთა კატეგორიებს, მათ კვალიფიკაციას, საშუშაოს ხასიათს.

ხელფასის გაცემისას ყოველგვარი გათანაბრების თავიდან აცილების მიზნით სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შემოღებულია სატარიფო-სათანრიგო სისტემა.

სატარიფო-სათანრიგო სისტემა გულისხმობს ხელფასის დადგენას მუშის კვალიფიკაციის მიხედვით.

წარმოებაში მუშებს ანაწილებენ იმისდა მიხედვით თუ როგორ არიან ისინი დაუფლებულნი მათზე მიჩნეულ საშუშაოს და როგორი ოსტატობით ასრულებენ მას. სატყეო მეურნეობაში შემოღებულია ხელფასის გაცემის 7 თანრიგიანი სატარიფო სისტემა. იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხელფასის გაცემაში გათანაბრება, გაიზარდოს კვალიფიციური მუშახელის სამუშაოს შესრულებაში დაინტერესება და სხვ., ტყის დამზადებისა და სატყეო-საკულტურო სამუშაოები დანაწილებულია თანრიგებად. ასე, მაგალითად, ტყის კულტურების მრგველი და მთესველი თუ სამუშაოს ასრულებს ხელით, ხსენებულ სამუშაოზე იყენებს ბარსა და თოხს — სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით მიკუთვნებულია მეხუთე თანრიგს; ხოლო მუშა, რომელიც ნერგების მოვლაზე მუშაობს სკოლებში—მიკუთვნებულია მეხამე თანრიგზე. ამას შემდეგ, რაც სატყეო-სამეურნეო სამუშაოები დანაწილებული იქნება თანრიგების მიხედვით და ამავე დროს მოცემული იქნება სამუშაოს შესრულების წესი, თვითეულ მუშას ეძლევა გამომუშავების ნორმა და ხელფასი აუნაზღაურდება შესაბამისი სატარიფო განაკვეთის მიხედვით. სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში სატყეო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების სხვადასხვა პირობები არსებობს. აღნიშნულის გამო გამომუშავების ნორმები და ხელფასის სატარიფო განაკვეთები დიფერენცირებულია. სსრკ ტყეები ამ თვალსა-

ზრისით მთავრობის დადგენილებით დაყოფილია სამ სარტყელად. სხვადასხვა სარტყელში ერთიდაიგივე თანრიგის სამუშაო ნაზღაურდება სხვადასხვა სიდიდის სატარიფო განაკვეთით. ასე, მაგ., პირველი თანრიგის სამუშაოს შესრულებისათვის მომუშავეს I-ლ სარტყელში მიეცემა 9 მან. 16 კაპ., II სარტყელში—8 მან. 30 კაპ., ხოლო III სარტყელში — 7 მან. 64 კაპ. მოცემულ სატყეო მეურნეობის ამა თუ იმ სარტყელში მიკუთვნება წარმოებს (არსებული სტრუქტურის მიხედვით) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. პირველ სარტყელში მიკუთვნებულია რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაში: კრასნოიარსკის მხარე, ბურიატმონღოლეთის ასსრ, იაკუტის ასსრ, ირკუტსკის, მურმანსკისა და ჩიტის ოლქები. სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკები, ოლქები, მხარეებიც დიფერენცირებულია სამუშაოს შესრულების პირობების მიხედვით და მიკუთვნებულია ამა თუ იმ სარტყელს.

ცალკეული სარტყელის მიხედვით ხელფასის სატარიფო განაკვეთის სხვაობა ერთიდაიგივე თანრიგის სამუშაოზე გაპირობებულია არა მარტო სატყეო მეურნეობის ადგილმდებარეობით და სამუშაოს შესრულების თავისებურობით, არამედ სხვა ფაქტორებითაც, სახელდობრ, მუშახელის შეგროვების შესაძლებლობით, მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობებითა და სხვ. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1953 წ. 14 ნოემბრის № 949 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა სატყეო-საკულტურო სამუშაოებისათვის ცალკეულ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით 7 თანრიგიანი სატარიფო სისტემა. აღნიშნული ბრძანების მიხედვით სატარიფო განაკვეთები სამუშაოს თანრიგის მიხედვით ზოგიერთი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით დიფერენცირებულია შემდეგნაირად:[1]

---

[1] მოცემულია შემოკლებით.

მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების დასახელება	სატარიფო განაკვეთი თანრიგების მიხედვით მანეთებსა და კაპ.						
	I	II	III	IV	V	VI	VII
რსფსრ:							
ამურის ოლქი .	12—43	13—30	14—29	15—79	17—77	20—88	24—86
კალინგრადის ოლქი	8—87	9—49	10—20	11—26	12—68	14—90	17—74
ზღვისპირეთის ხარე	1—39	12—19	13—10	14—47	16—29	19—14	22—78
ხაბაროვსკის მხარე	12—43	13—30	14—29	15—79	17 77	20—88	24 86
კამჩატკის ოლქი	18—64	19—25	21—43	23—68	26 65	31—32	37—29
ესტონეთის სსრ .	11—32	12—11	13—02	14—38	16—19	19—02	22 64
ლიტვიის სსრ	8—87	9—49	10—20	11—26	12—68	14—90	17—74
უკრაინის სსრ (ზაკარპატიის ოლქი)	9—87	10—54	11—33	12—51	14—09	16—55	19—70
აზერბაიჯანის სსრ	9—71	10—99	11—17	12—34	13—89	16—31	19—42
სომხეთის სსრ .	9—18	9—82	10—56	11—66	13—13	15—42	18—36
საქართველოს სსრ და სხვა	10—07	10—77	11—58	12—79	14—40	16—92	20—14

თუ სატყეო მეურნეობამ სხვადასხვა მიზეზების გამო აიყვანა მუშა არა სანარდო ხელფასზე, არამედ დროითი ხელფასზე — ამ შემთხვევაში აყვანილ მომუშავეს ხელფასი ეძლევა 15%-ით ნაკლები, ვიდრე სანარდო ხელფასზე მომუშავე მუშას.

ისე როგორც სატყეო-საკულტურო სამუშაოები, ტყის ექსპლოატაციის სამუშაოებიც სსრ კავშირში დიფერენცირებულია. სსრკ მოკავშირე რესპუბლიკები, ოლქები და მხარეები დაყოფილია სამ სარტყლად.

პირველ სარტყელში შედის ამურის, არხანგელსკის, ტომსკის, ტიუმენის, კრასნოიარსკის, ხაბაროვსკის, იაკუტიისა და სხვ. მხარეები. სსრკ ტერიტორიის სხვა ნაწილები მოხვედრილია მეორე და მესამე სარტყელში.

ერთი და იგივე სამუშაო ტყის დამზადებაზე სხვადასხვა

სარტყელში ნაზღაურდება სხვადასხვა სატარიფო განაკვეთით. ასე, მაგ.,

№ №	სამუშაოსა და პროფესიის დასახელება	დღიური სატარიფო განაკვეთი მახეთებში სარტყლების მიხედვით			შენიშვნა
		I სარტყელი	II სარტყელი	III სარტყელი	
1	ხის მჭრელი (არა მექანიზებული წესით), ხის მორებად და სორტიმენტებად დამნ წილებელი, ხე-ტყის მზიდველი საჭაპანო, ტრანსპორტით და სხვა	23,40	21,60	19—80	აღნიშნული განაკვეთის მიხედვით ხელფასი ეძლევათ დღიური გამომუშავების ნორიების შესრულების შემთხვევაში.
2	ელექტრო და მოტო ხერხებით ხის მჭრელები, გზოგ ნერატორიანი ავტომახქანების მძღოლები და სხვა	31,50	28,80	26—10	
3	მორების გაჭრა სპეციალურით ან ნაჯახით სორების დაწყობის გაოეშე	19 - 80	18 00	16 20	

საერთოდ, როგორც წესი ხელფასის გაცემა წარმოებს მოქმედი კანონის სრულ შესაბამისად. პირველ რიგში უნდა დადგენილ იქნას სატყეო მეურნეობა რომელ სარტყელს ეკუთვნის, შემდეგ უნდა გაირკვეს შესასრულებელი სამუშაოს თანრიგი, სატარიფო განაკვეთი და გამომუშავების ნორმის ოდენობა.

თუ მუშა მუშაობს დროითი ხელფასზე, ამ შემთხვევაში, საჭიროა ვიცოდეთ მოცემული სატყეო მეურნეობა რომელ სარტყელს მიეკუთვნება, აგრეთვე სამუშაოს თანრიგი, შესატყვისი სატარიფო განაკვეთი და დღიური ხელფასის გამოწერა უნდა მოხდეს 15%-ით განაკვეთის შემცირებით (სათანადო კანონის შესაბამისად). სატყეო მეურნეობამ ყოველმხრივ უნდა ეცადოს გვერდი აუაროს დროითი ხელფასზე მომუშავე-

ების აყვანას. სანარდო სისტემით ხელფასის გაცემას აქვს უაღრესად დიდი უპირატესობა და ეს უპირატესობა მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული იქ, სადაც ეს შესაძლებელია, სახელდობრ, სადაც შესრულებულ სამუშაოზე შეიძლება დაღგენილ იქნას -გამომუშავების ნორმები წარმოებისათვის და შემსრულებლისათვის ზიანის მიუყენებლად. სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგებში გამოყენებულია სათანრიგო სისტემასთან ერთად სათანრიგო კოეფიციენტებიც. რომელიმე სათანრიგო კოეფიციენტის პირველი თანრიგის ხელფასის სატარიფო განაკვეთზე გადამრავლებით მიიღება ძიებული ხელფასის სიდიდე, ასე, მაგალითად:

სატარიფო თანრიგები	I	II	III	IV	V	VI	VII
კოეფიციენტი . . .	1	1,13	1,27	1,43	1,66	1,9	2,21

სატყეო საკულტურო სამუშაოებზე საქართველოში პირველი თანრიგის სამუშაოებისათვის დადგენილია 10 მან. 07 კაპ.

თუ გვსურს მეშვიდე თანრიგის სამუშაოს შესრულებისათვის განვსაზღვროთ დღიური ხელფასის ოდენობა, საჭიროა 10—07×2,21=23 მან. 06 კაპ. ამრიგად, მეშვიდე თანრიგის სამუშაოების შემსრულებელმა უნდა მიიღოს 23 მან. 06 კაპ. დადგენილი დღიური გამომუშავების ნორმის შესრულების შემთხვევაში. სატყეო მეურნეობაში სატარიფო კოეფიციენტების სისტემა გამოყენებული არ არის. ხელფასის გაცემა წარმოებს დადგენილი თანრიგებისა და სატარიფო განაკვეთების მიხედვით.

სატყეო მეურნეობაში სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე ხელფასს ანგარიშობენ კაცდღეების მიხედვით. კაცდღის შინაარსობლივ მაჩვენებელს ამა თუ იმ სამუშაოზე დადგენილი გამომუშავების ნორმა წარმოადგენს. გამომუშავების ნორმები სამუშაოს ხასიათის მიხედვით დიფერენცირებულია. დადგენილი გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულების

შემთხვევაში წარმოებს სამუშაოს შემსრულებელთა მატერიალური წახალისება. არსებობს წახალისების მრავალი სახეობა. ყველაზე გავრცელებულია გადაჭარბებულ სამუშაოზე პრემიადანამატების გაცემა ფულადი სახით. სანარდო სისტემით ხელფასის გაანგარიშება წარმოებს შესრულებულ სამუშაოს ერთეულზე ხელფასის წილის ოდენობის მიხედვით. ერთეულ სამუშაოზე ან პროდუქციაზე ხელფასის წილს, ანუ როგორც მას უწოდებენ შეფასებას, გადაამრავლებენ სამუშაო დროის ერთეულში (8 საათში, 7 საათში, 6 საათში. ეს იმისდამიხედვით, როგორია სამუშაო დღის ხანგრძლიობა) გამომუშავებული პროდუქციის ან სამუშაოს რაოდენობაზე, და მიიღებენ დღიური ხელფასის სიდიდეს. გამომუშავების დღიური ნორმებისა და ამის საფუძველზე თვიური გეგმების გადაჭარბების შემთხვევაში გაცემული იქნება სათანადო ოდენობის პრემიები.

შეფასების ანუ პროდუქციის ან სამუშაოს ერთეულზე ხელფასის წილის გამოანგარიშება წარმოებს სათანადო თანრიგის სამუშაოზე ხელფასის სატარიფო განაკვეთის დღიური გამომუშავების ნორმაზე გაყოფით. ასე, მაგალითად: სსრკ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 7 ივნისის დადგენილებით დამტკიცებულია სატყეო მეურნეობისათვის მთელ რიგ სამუშაოებზე გამომუშავების ნორმები. ასე, მაგ., ხე-ტყის დამზადებაზე ზაფხულში (როდესაც სრულდება შემდეგი სამუშაოები ხელით, როგორიცაა: სამუშაო ადგილის მომზადება, ხის მოჭრა, ძირკვის გაქერქვა, ტოტების შეცლა, ტოტების შეგროვება, ნარჩენების დაწვა, მორის სორტიმენტად დანაწილება და დამორვა, დარჩენილი საშეშე მერქნის დაპობა და სათანადო სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით დაწყობა, სამასალე მორების დაწყობა) გამომუშავების ნორმის სიდიდე დადგენილია შემდეგი ოდენობით (კუბომეტრებში): (იხ. 117 გვ.).

დადგენილი გამომუშავების ნორმების შესრულებისას სხვადასხვა სარტყელში ანაზღაურება წარმოებს დიფერენცირებულად. ასე, მაგ: I სარტყელში დღიური გამომუშავების

სორტიმენტის დასახელება	ღერის საშუალო მოცულობა კუბომეტრებში	ნარჩენების დაწვით			ნარჩენების დაუწველად		
		წიწვები და ტიბილი ჯიშის ფოთლოვანი ტერეფები	ნაძვი და სოჭი	შერეული ჯიშები	წიწვები და ტიბილ ტერეფიანი ფოთლოვანები	ნაძვი და სოჭი	შერეული ჯიშები
საქმისი მორები	0,13-მდე	2,2	1,9	2.1	2,5	2,2	2,3
	0,14 - 0,21	2,7	2.3	2,5	3,0	2 6	2.8
	0,22 – 0,29	3,2	2,7	2,9	3,5	3,1	3,4
	0,30 - 0,39	3,6	3,0	3,3	4,1	3.5	3,8
	0,40—0,49	4.1	3,4	3,7	4,6	3,9	4,3
	0.50—0,75	4 6	3,8	4,2	5,1	4,3	4,7
	0,76 1,10	5,3	4.4	4,9	5.9	5,3	5.6
	1.11 და ზევით	6,3	5,5	5,9	7,0	6,5	6,8

ნორმის შესრულებისათვის მუშას ეძლევა 23 მან. 40 კაპ. II სარტყელში — 21 მან. 60 კაპ., ხოლო III სარტყელში — 19 მან. 80 კაპ.

საქართველოს სატყეო .მეურნეობა მიკუთვნებულია მესამე სარტყელს. ამ მონაცემების მიხედვით 1 კუბ. მეტრზე შეფასება დადგენილი იქნება შემდეგნაირად: ავიღოთ ისეთი მოჭრილი ხის ღერო, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 0,30—0,39 კუბ. მეტრს, თუ დამზადებული იქნება ნაძვი ან სოჭი ნარჩენების დაწვით. დღიური გამომუშავების ნორმა უდრის 3 კუბომეტრს.

მესამე სარტყელში დღიური ხელფასი გამომუშავების ნორმის შესაბამისად დადგენილია 19 მან. 80 კაპ. ამ შემთხვევაში შეფასება უდრის 19 მან. 80 კაპ. გაყოფილი 3 კუბომეტრზე მივიღებთ 6 მანეთსა და 60 კაპ. თუ სატყეო მეურნეობაში დადგენილია ხელფასის გაცემის პირდაპირი სანარდო

სისტემა, მაშინ მუშას მიეცემა იმდენი 6 მანეთი 60 კაპ., რაოდენ კუბომეტრ მერქანსაც დაამზადებს მისი ყველა წესის შესრულებით.

შრომის ანაზღაურების ფორმები სატყეო მეურნეობაში

ამჟამად სატყეო მეურნეობაში არსებობს ხელფასის ორი ფორმა, სახელდობრ: სანარდო და დროითი. ხელფასის სანარდო ფორმა გულისხმობს შრომის ანაზღაურებას შესრულებულ სამუშაოს ან გამომუშავებულ პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, ხოლო დროითი ხელფასი გულისხმობს შრომის ანაზღაურებას დახარჯული დროის მიხედვით. სოციალიზმის დროს, საწარმოებში შრომის ანაზღაურების ძირითად ფორმას სანარდო ხელფასი წარმოადგენს. 1954 წელს სსრ კავშირის მრეწველობაში მომუშავე მუშათა 77%-ზე მეტი სანარდო ხელფასს იღებდა. ხელფასის გაცემის ეს ფორმა ყველაზე უფრო კარგად პასუხობს განაწილების ეკონომიური კანონის მოთხოვნებს, რომ ხელფასი გაიცეს შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ხელფასის სანარდო ფორმა იწვევს მომუშავეთა მეტს დაინტერესებას შრომის შედეგებით. იგი იძლევა შრომისნაყოფიერების გადიდებისათვის სტიმულს, ადიდებს მომუშავეთა დაინტერესებას, ძირითადი და საბრუნავი ფონდების უკეთ გამოყენებისათვის. ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრის გაშლას, ახალი ტექნიკის დანერგვასა და სამუშაო დროის სრულ და რაციონალურ გამოყენებას.

ხელფასის გაცემის სანარდო ფორმა გაცილებით ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ იგი დაკავშირებულია ტექნიკურად დასაბუთებულ გამომუშავების ნორმებთან.

ხელფასის სანარდო ფორმა შედგება შემდეგი სისტემებისაგან:

ა) პირდაპირი სანარდო;

ბ) სანარდო პრემიალური;

გ) სანარდო პროგრესული;

დ) სანარდო პროგრესული — პრემიალური.

პირდაპირი სანარდო სისტემის დროს სამუშაოს ან გამომუშავებული პროდუქციის ერთეულზე დადგენილია შეფასება, ე. ი. ხელფასის წილი. მომუშავეს ეძლევა ხელფასი გამომუშავებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს რაოდენობის საცალო შეფასებაზე გამრავლებით, ე. ი. გამომუშავებული პროდუქციის ან სამუშაოს რაოდენობის გადიდებით პირდაპირი პროპორციით იზრდება ხელფასი.

სანარდო პროგრესული ხელფასის სისტემა გულისხმობს მომუშავის ხელფასის ანაზღაურებას შემდეგი წესით: გამომუშავების ნორმის 100% შესრულებისათვის შრომის ანაზღაურება წარმოებს დადგენილი შეფასებით, ხოლო გადაჭარბებულ პროდუქციაზე ხელფასი ეძლევა პროგრესულად მზარდი შეფასებით.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, სანარდო პროგრესული ხელფასის გაცემა სხვადასხვა სიდიდით წარმოებს. ასე, მაგალითად: სატყეო მრეწველობაში ტყის ექსპლოატაციაზე მექანიზირებული საშუალებების გამოყენებით ნორმის 100-დან 120%-მდე შესრულებისას, ხელფასის გაცემა საცალო შეფასების 50%-ის გადიდებით წარმოებს, ხოლო 120%-ზევით შეფასების —200%-მდე გადიდებით.

საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის ზოგიერთი საწარმოო გამომუშავების ნორმის 1-დან 5%-მდე გადაჭარბებისას შეფასება დიდდება 30%-ით; 6-დან 10%-ის გადაჭარბებისას. შეფასება იზრდება 60%-ით. სატყეო მეურნეობაში შრომის ანაზღაურების ამ სისტემის დანერგვა ახლახან დაიწყო, იგი ფართოდ არის გამოყენებული მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით წამყვანი პროცესებისათვის.

სანარდო პრემიალური ხელფასის სისტემა ნიშნავს: ხელფასის გაცემას გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობის ან კიდევ შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, ხოლო სათბობის, ელექტროენერგიის, ნედლეულის ეკონომიური და რაციონალური ხარჯვისათვის

შესრულებული სამუშაოს ხარისხის ამაღლებისათვის და შესრულებული სამუშაოს თვითღირებულების შემცირებისათვის სამუშაოს შემსრულებლებსა და წარმოების სხვა კატეგორიის მუშაკებს ეძლევათ პრემიები. სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში სანარდო პროგრესული ხელფასის სისტემასთან ერთად წარმოებს სანარდო პრემიალური სისტემაც.

გეგმაზე ზევით შესრულებული სამუშაო ნაზღაურდება სანარდო პროგრესული წესით, ხოლო ძირითადი და დამხმარე მასალების რაციონალური ხარჯვისა და ეკონომიისათვის წარმოების თვისობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ეძლევა პრემიები.

შესრულებულ სამუშაოს აღრიცხვის წესთან დაკავშირებით სანარდო ანაზღაურება შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური და ბრიგადული.

თუ შესასრულებელი სამუშაო საშუალებას იძლევა გამომუშავების ნორმები დაწესდეს ცალკეული შემსრულებლების მიხედვით, ხელფასის ანაზღაურება წარმოებს ინდივიდუალური სანარდო წესით. არის ისეთი სამუშაოები, სადაც შეუძლებელია სამუშაო შესრულდეს ინდივიდუალური წესით, ასეთ შემთხვევაში ცალკეული პირები სამუშაოს ხასიათის გამო ერთმანეთთან არიან დაკავშირებული ერთი მთლიანი საწარმოო პროცესით და მათი გამომუშავება დამოკიდებულია ბრიგადის ან ჯგუფის გამომუშავებაზე, ასეთ შემთხვევაში ხელფასის გაცემა ბრიგადული ან ჯგუფური სანარდო ანაზღაურების წესით წარმოებს. ბრიგადის ან ჯგუფის ცალკეული წევრები ხელფასს იღებენ ბრიგადის კუთვნილი ხელფასიდან მის მიერ ნამუშევარი დროისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

დროითი ფორმის ხელფასის გაცემის გამოყენება იმ შემთხვევაში წარმოებს, როდესაც ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებისას შეუძლებელი ხდება გამომუშავების ნორმების დადგენა ან კიდევ გამომუშავების ნორმების დადგენა მუშაობის შესრულების ხასიათის გამო მიზანშეწონილი არ არის (ძვირ-

ფასი სათუთი ნედლეულის გადამუშავება, უნიკალური ნივთებისა და აპარატების დამზადება და სხვ.). არსებობს დროითი ხელფასის გაცემის ორი ფორმა:

1. მარტივი დროითი ანაზღაურება და 2. დროითი პრემიული ანაზღაურება.

მარტივი დროითი ხელფასის სისტემა გულისხმობს ხელფასის გაცემას, სამუშაოს ხანგრძლივობისა და მუშის კვალიფიკაციის მიხედვით. სატყეო მეურნეობაში ამ წესით ხელფასი ეძლევა ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მოსამსახურეებს, მომსახურე პერსონალსა და დაცვის მუშაკებს. ამ კატეგორიის მუშაკთა ხელფასის განაკვეთი დამტკიცებულია ზემდგომი ორგანოების მიერ, საშტატო განაწესის სახით.

საშტატო განაწესში მოცემულია თანამდებობათა დასახელება ცალკეული სამეურნეო ერთეულებისა და მასში შემავალი რგოლების თანამდებობრივი ხელფასებით. ამჟამად სატყეო მეურნეობები ამ კატეგორიის მუშაკების დაკომპლექტებას აწარმოებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი შტატების მიხედვით. სატყეო მეურნეობაში მომუშავე დროით ანაზღაურებაზე მყოფ მუშაკთა შრომის შედეგების მატერიალური დაინტერესების მიზნით გამოიყენება დროითი პრემიული სისტემა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1948 წლის 10 ივლისს მიიღო დადგენილება სატყეო მეურნეობებში სატყეო-საკულტურო სამუშაოების მაღალი ხარისხით ჩატარებისათვის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშებისათვის პრემიალური ხელფასის მიცემის შესახებ. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად სატყეო მეურნეობებში დაშვებულია ბრძანება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სატყეო მეურნეობები მიეკუთვნა სატყეო-საკულტურო სამუშაოების მესამე ჯგუფს და პრემიების გაცემა წარმოებს შემდეგი წესით:

I. მუშებს, რომლებმაც ნახევარ თვეში 12-დან 15-მდე დღიური ნორმა შეასრულა, ეძლევათ გადაჭარბებულ სამუშა-

ზე დადგენილ შეფასებაზე დამატებით 50% ხელფასი, ხოლო 15 დღიურ ნორმაზე ზევით შესრულებისათვის ეძლევა დამატებით 75%.

II. მუშებმა, რომლებმაც იმუშავეს სატყეო-საკულტურო სამუშაოების მთელ სეზონში და მასზე მიმაგრებულ მთელ ფართობზე შეასრულეს სატყეო-საკულტურო სამუშაოს მთელი კომპლექსი (ნიადაგის დამუშავება, დათესვა, დარგვა, სანერგეების მოწყობა და სხვ.) ეძლევათ:

ა) პირველ წელს კულტურების 85—90% გახარებისათვის 75 მანეთი პრემია ერთ ჰექტარზე, 90% ზევით კულტურის გახარებისათვის 150 მანეთი ჰექტარზე;

ბ) კულტურების დარგვიდან მეორე წელს კულტურების 85—90% გახარებისათვის ეძლევათ 25 მან., ხოლო 90% ზევით — 60 მან. ჰექტარზე;

გ) სანერგეებში გეგმაზე ზევით გამოყვანილი თვითეულ ათას ცალ სტანდარტული ნერგის წიწვიანი ჯიშებისათვის ერთწლიანზე 4 მანეთი, ორწლიანზე 1 მან. 10 კაპ. ფოთლოვანი ჯიშებისათვის ერთწლიანზე 7 მანეთი, ორწლიანზე 2 მან. 50 კაპ.

ტყის კულტურების დარგში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს 10-დან 30 ჰექტარამდე ფართობზე პირველ წელს 85—90%-მდე კულტურების გახარებისათვის ეძლევათ ნახევარი თვის ხელფასი, 31—60 ჰექტარზე ერთი თვის ხელფასი. 60 ჰექტარზე ზევით $1^1/_2$ თვის ხელფასი. თუ კულტურების გახარებამ 90% გადააჭარბა, პრემია 25% დიდდება.

სატყეო-საკულტურო სამუშაოების გეგმების გადაჭარბებისათვის და კულტურების გახარების მაღალი პროცენტისათვის მეურნეობის დირექტორებს, უფროს მეტყევეებსა და სატყეო-საკულტურო სამუშაოების ხელმძღვანელებს ეძლევათ 1 თვის ხელფასი პრემიის სახით. ზოგიერთი დარგის მუშაკებს ეძლევათ ხელფასზე დანამატი სამსახურის სტაჟისა და რიგი სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

სსრკ მინისტრთა საბჭომ, 1955 წლის 7 ივნისის № 1095

დადგენილებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სატყეო მეურნეობებისათვის ხე-ტყის დამზადებაზე დააწესა შემდეგი სანარდო პროგრესული სისტემა:

1. გამომუშავების ნორმის 100%-ით შესრულების შემთხვევაში ხელფასის სათანადო სატარიფო განაკვეთს ემატება 10%;

2. გამომუშავების ნორმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში ხელფასი გაიცემა გადაჭარბებულზე შეფასების 1.5-ჯერ გადიდებით.

გადაჭარბებული სამუშაოებისათვის ხელფასზე პრემიის დარიცხვები წარმოებს თვის ბოლოს საანგარიშო თვეში შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

სსრკ მინისტრთა საბჭომ იმავე დადგენილებით ნებადართო სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ სატყეო მეურნეობაში. სადაც ხე-ტყის დამზადება წარმოებს პირაღებით ჭრებით ხელფასი გასცეს იგივე წესითა და ოდენობით (ერთი და იგივე სარტყელში) რა წესითაც ხელფასი იცემა სატყეო მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. ამ დადგენილებამდე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სატყეო მეურნეობებში ხე-ტყის დამზადებაზე (პირაღებითი ჭრების შემთხვევაში) გაცილებით დაბალი იყო ხელფასი, ვიდრე ტყის მრეწველობის სამინისტროს იგივე ზონის ტყემრეწველობებში.

გამომუშავების ნორმები მოვლითი ჭრების ჩატარებისას ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს არა უმეტეს 15%-ით გადიდებით ან შემცირებით.

თუ მოვლითი ჭრებით, 1 ჰექტარზე იჭრება 5 კუბომეტრამდე მერქანი, გამომუშავების ნორმა შეიძლება შემცირდეს 20%-მდე.

ნახანძრევ ადგილებში ან ჩახერგილ ადგილებში ტყის დამზადების ყოველდღიური გამომუშავების ნორმები მცირდება 10%.

დაწესებულია აგრეთვე პრემიები თესლის დამზადებაზე,

გარეული ხილის შეგროვებაზე, საუტილიზაციო საამქროებში გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვისა და სხვ.

ასე, მაგალითად: უტილსაამქროებში მხერხავს ნახევარი თვის გეგმის შესრულებისათვის ეძლევა დამატებით ხელფასი 20% რაოდენობით.

ნახევარი თვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში ყოველი გადაჭარბებული პროდუქციის ერთეულზე ეძლევა დამატებით 50% ხელფასი.

VII. დანოგრმვის საფუძვლები სატყეო მეურნეობაში

გამომუშავების ნორმები პირველად კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში დაინერგა და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შრომისნაყოფიერების გადიდების საქმეში. მაგრამ წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში არსებულ შრომასა და კაპიტალს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა გარკვეულ დაღს ასვამდა გამომუშავების ნორმებს, როგორც შრომისნაყოფიერების გადიდების საშუალების სრულყოფილად გამოყენების საქმეს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში გამომუშავების ნორმები გაბატონებული კლასის, საწარმოო საშუალებების მეპატრონეთა ინტერესებს გამოხატავს. გამომუშავების ნორმების შემოღებით კაპიტალისტურ საწარმოში მიღწეულ იქნა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, შრომისნაყოფიერების გადიდება და ამასთან რაც მთავარია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერება.

ამერიკელი ინჟინერი ტეილორი ოცი წლის მანძილზე სწავლობდა ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში შრომის პროცესებს სხვადასხვა წარმოებაში; იგი სწავლობდა მანქანა-დანადგარების წარმადობასა და სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშების შრომას.

მრავალი წლის დაკვირვების მანძილზე ტეილორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წარმოებებში სხვადასხვა ხასიათის სამუშაო დროის დანაკარგები და მუშის დაბალი ნაყოფიერება ძირითადად გამოწვეულია ტექნიკური მმართველობის სისუსტით. მისი აზრით, მმართველობის ორგანიზაცია იმდაგვარად უნდა იყოს წარმოებაში ჩამოყალიბებული, რომ აუცილებლივ მიღწეულ იქნას შრომისნაყოფიერების ზრდა მანქანებისა და მუშების მაქსიმალური ინტენსური მუშაობის შედეგად, ამ დებულებიდან გამომდინარე, ტეილორმა ჩამოაყალიბა წარმოებისა და მმართველობის „რაციონალური" ორგანიზაცია, სადაც მუშა იძულებული გახდა დაეხარჯა საშუშაო ძალის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა და მიეღო სანაცვლოდ დახარჯული სამუშაო ძალის აღდგენისათვის მინიმალურად აუცილებელი ქირა.

ტეილორი ხედავდა რა ქარხანაში მომუშავე მუშებსა და ქარხნის ადმინისტრაციას შორის მტრულ განწყობილებას, მან კარგად იცოდა, რომ ამ მტრულ განწყობილებაში იფარებოდა ერთ-ერთი მიზეზი შრომისნაყოფიერების დაცემისა, ამ მიზეზის თავიდან აცილებისათვის მან წამოაყენა ხელფასის ახალი სისტემა, რომელსაც თითქოს უნდა დაემყარებია მეგობრული ურთიერთობა მუშებსა და წარმოების ადმინისტრაციას შორის.

ტეილორმა დაანაწილა სამუშაო პროცესები ოპერაციებად და ელემენტებად, ქრონომეტრაჟის საშუალებებით დააწესა ოპერაციისა და ელემენტის შესრულებისათვის აუცილებლად საჭირო დრო, გარდა ამისა, მან განსაზღვრა ამა თუ იმ ოპერაციის შესრულებაზე მუშას რა აუცილებელი მოძრაობები შეესრულებია სამუშაო დროის განმავლობაში.

ხელფასის დღიური სისტემიდან გამომუშავების ნორმებზე გადასვლისა და სამუშაო ოპერაციების რაციონალურად შესრულების შედეგად, საგრძნობლად გადიდდა შრომისნაყოფიერება, მაგრამ შრომისნაყოფიერების გადიდებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია მუშის ხელფასზე, პირიქით,

მუშის ხელფასის დონე რამდენჯერმე შემცირდა შექმნილი პროდუქციის ერთეულის ღირებულებაში. ტეილორი მუშას სამუშაოს დაწყების წინ აძლევდა შესასრულებელი სამუშაოს ნორმებსა და განრიგებს, მან სასტიკი კონტროლი დააწესა შესრულებულ სამუშაოს რაოდენობასა და ხარისხზე, ყოველი მუშა ვალდებული იყო სამუშაო დროის განმავლობაში გამომუშავებული პროდუქცია ჩაებარებია სააღრიცხვო ბიუროში.

ტეილორმა აღნიშნული სისტემით მიაღწია იმას, რომ თუ დღიური ხელფასის დროს მუშა ღებულობდა 2 მან. 30 კაპ. და გადაჰქონდა 16 ტონა სხვადასხვა მასალა, გამომუშავების ნორმების დაწესების შედეგად მუშამ იმავე სამუშაო დროში გადაიტანა 67 ტონა სხვადასხვა მასალა. მიუხედავად იმისა, რომ შრომისნაყოფიერება 4-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა, ხელფასი გაუდიდდა მუშას 1 მან. 46 კაპიკით და ნაცვლად 2 მან. და 30 კაპ. იღებდა 3 მან. 76 კაპ.

ეს მონაცემები ნათელ სურათს იძლევიან იმისას თუ როგორ მიაღწია ტეილორმა შრომის ახალი ორგანიზაციით მუშების ექსპლოატაციის გადიდებას. თუ მუშა გამომუშავების ნორმებს არ შეასრულებდა, იგი მათ აჯარიმებდა, ხოლო დაწესებული ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში აძლევდა მცირეოდენ პრემიას.

ვ. ი. ლენინი ტეილორის შრომის ორგანიზაციის სისტემას მუშებისათვის ქანცის გამოცლის მეცნიერულ სისტემას უწოდებდა. მაგრამ ამავე დროს ტეილორის შრომის ორგანიზაციის სისტემაში იგი ხედავდა ბევრ პროგრესულ ელემენტს. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აღნიშნავდა, რომ ტეილორიზმი უნდა იქნეს შესწავლილი იმ მიზნით, რომ ყველა მისი პროგრესული მხარეები, რომელიც მისაღებია სოციალისტური მეურნეობის სისტემაში — დანერგილი და გამოყენებული იქნას. ტეილორის სისტემა, მიუთითებდა ლენინი, ისე როგორც კაპიტალიზმის ყველა პროგრესი აერთიანებს თავისში ბურჟუაზიულ

მხეცურ ექსპლოატაციას და რიგ უმდიდრეს მეცნიერულ მიღწევებს.

ვ. ი. ლენინი საზღვრავდა რა რევოლუციის პირველ დღეებში საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს, აღნიშნავდა, რომ სოციალისტური მეურნეობის პირობებში ხელფასის გაცემა საჭიროა მოხდეს შრომის შედეგის მიხედვით. ხელფასი უნდა შეეფარდოს გამომუშავებული პროდუქციის საერთო შედეგებს. ამ მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ და პრაქტიკულად გამოვცადოთ ხელფასის სანარდო სისტემა და ყველა ის რაც მეცნიერული და პროგრესულია ტეილორის შრომის ორგანიზაციის სისტემაში.

ლენინის აღნიშნულ მითითებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში. მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის სოციალისტურმა წყობამ საბოლოოდ გაიმარჯვა, სოციალისტური მეურნეობის სისტემამ წარმოშვა სოციალისტური შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევებს ემყარება.

სოციალისტური საზოგადოება გამომუშავების ნორმების დაწესებით აღწევს შრომისნაყოფიერების ზრდას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების გადიდებასა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურად გაუმჯობესებას. სოციალისტური გეგმური მეურნეობა შეუძლებელია ნორმების გარეშე. იგი გეგმიანი მეურნეობის დასაყრდენს წარმოადგენს. გამომუშავების ნორმებში გამოხატულებას ჰპოვებს მშრომელთა და სახელმწიფოს ერთობლივი ინტერესები. იძლევა რა ერთიანი სახელმწიფო გეგმის შედგენისა და შრომისნაყოფიერების განუხრელი ზრდის საშუალებას იგი, ამით აძლიერებს საბჭოთა სახელმწიფოს და აუმჯობესებს მშრომელთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობებს.

გამომუშავების ნორმები, თუ ის დამყარებულია მეცნიერული გაანგარიშებებს, ობიექტურად ითვალისწინებს წარმოებაში არსებულ ყველა შესაძლებლობებს, რაზმავს წარმოების

ფართო მასებს საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. გამომუშავების ნორმები შეიცავს პროგრესულ ძალას, რომლითაც ის წარმართავს მოწინავეებს ახალი წარმატებისათვის, ხოლო ჩამორჩენილებს მისწრაფებას, უღვიძებს დაეწიოს მოწინავეებს და ამით წარმოების საერთო აღმავლობას ვაღწევთ.

გამომუშავების ნორმები შრომისნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ მასტიმულირებელ ფაქტორად ითვლება. აღნიშნულის გამო მას უაღრესად დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. გამომუშავების ნორმების სიდიდე დამოკიდებულია არა მარტო წარმოების წესზე — საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, არამედ სახალხო მეურნეობის გარკვეულ დარგში დანერგილ ტექნიკის ხასიათსა და წარმოების მუშაკთა კულტურულ-ტექნიკურ დონეზე. ამიტომ გამომუშავების ნორმები დინამიურია, იგი იცვლება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისა და მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდასთან ერთად. ტექნიკური დანორმვა სახალხო მეურნეობის გეგმის შედგენისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რადგან გამომუშავების ნორმების საშუალებით შესაძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ წარმოებაში საჭირო მუშახელი, ზუსტად გავიანგარიშოთ ხელფასის ფონდი; ტექნიკური დანორმვის საშუალებით ვანგარიშობთ გეგმის შესრულებისათვის საჭირო ნედლეულს, დამხმარე მასალას, საწვავს, ელექტროენერგიას, დანადგარების სიმძლავრეებსა და სხვ. იმის შემდეგ, რაც დადგენილი იქნება სამუშაოს მოცულობა შესრულებული სამუშაოების სახეების მიხედვით და გვეცოდინება ამ სამუშაოების შესრულების ვადები, გამომუშავების ნორმების მეშვეობით შესაძლებელია გაანგარიშდეს საჭირო მუშახელის ოდენობა ცალკეულ სამუშაოთა მოცულობის მიხედვით. ამჟამად სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში გამოყენებულია შემდეგი სახის ნორმები:

1. ტექ. ნორმები სრულიად მექანიზირებულ სამუშაოებზე;
2. „ ნახევრად მექანიზირებულ სამუშაოებზე;
3. „ არამექანიზირებულ სამუშაოებზე, როდესაც სამუშაო სრულდება ხელით სამუშაო ინსტრუმენტების გამოყენებით.

1. ტექნიკური ნორმები სრულიად მექანიზირებული სამუშაოებისათვის დგება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების მთელი ციკლი სრულდება მანქანების საშუალებით და სადაც ადამიანის მონაწილეობა მხოლოდ მანქანის მართვასა და მანქანის მუშაობისადმი კონტროლის გაწევაში გამოიხატება;

2.ტექნიკური ნორმები ნახევრად მექანიზირებული სამუშაოებისათვის დგება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ციკლის ნაწილი სრულდება მექანიზმების საშუალებით, ნაწილი კი ხელით, ასეთ შემთხვევაში ხელით მუშაობა ავსებს მანქანის მუშაობას. ნახევრად მექანიზირებულ წარმოებაში ხელით შრომის ხვედრი დამოკიდებულია მექანიზაციის დონეზე. იმისდა მიხედვით თუ რა ხვედრი უკავია საწარმოო პროცესში მანქანების მიერ შესრულებულ სამუშაოებს ანგარიშობენ წარმოების მექანიზაციის დონეს. ნაწილობრივ მექანიზირებულ საწარმოში ხელით შრომა წარმოებს საწარმოო ციკლის დასაწყისში ან შუალედში ან კიდევ იგი ამთავრებს საწარმოო პროცესს;

3. ტექნიკური ნორმები არა მექანიზირებულ სამუშაოებზე დგება იმ შემთხვევაში თუ საწარმოო პროცესი რაიმე მიზეზების გამო ხელით სრულდება, სამუშაო (არა მექანიზირებული) იარაღების გამოყენებით.

სამივე შემთხვევაში ტექნიკური ნორმები ისაზღვრება სახალხო მეურნეობაში მიღწეული ტექნიკისა და მომუშავის კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონით. მანქანის, მოწყობილობების თუ მუშახელისათვის დადგენილმა გამომუშავების ნორმებმა უნდა გამოხატოს მათი მაქსიმალურად დატვირთვის შესაძლებლობა, ეს იმას ნიშნავს, რომ სამუშაო დროის ერთეულში მიღწეულ იქნას შრომის მაღალი შედეგი.

გამომუშავების ნორმების დადგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მანქანა-იარაღების ტექნიკურ სიჩქარესთან ერთად მანქანაზე მომსახურე პერსონალის შრომის პირობები და შესაძლებლობანი. სამუშაო დროში მანქანა-იარაღების მაქსიმალური გამოყენების პირობებში მხედველობაში უნდა მივიღოთ მომუშავის მუშაობის ტემპი, მისი რაციონალურად ორგანიზაციის შემთხვევაში იგი უნდა შეეფარდებოდეს მანქანის მუშაობის ტემპს. აქ რითმული მუშაობის გარეშე შეუძლებელია სასურველი შრომის შედეგის მიღება.

პრაქტიკაში ხმარობენ გამომუშავებისა და დროის ნორმებს. გამომუშავებისა და დროის ნორმები ერთიმეორის შებრუნებულ სიდიდეს წარმოადგენს. დროის ნორმა გვიჩვენებს თუ რა დროის მონაკვეთი არის საჭირო ერთეული პროდუქციის დასამზადებლად, ხოლო გამომუშავების ნორმა, პირიქით, გვიჩვენებს სამუშაო დროის ერთეულში დამზადებული პროდუქციის რაოდენობას.

დროის ნორმის დაწესებისათვის საწარმოო პროცესის შესრულებაზე საჭირო მთელი დრო უნდა დანაწილდეს: ძირითად, დამხმარე და საწარმოო პროცესის მომსახურებისათვის საჭირო დროებად.

1. ძირითადი დრო ეს ის დროა, რომელიც საჭიროა მხოლოდ ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად. ტყის გაშენების სამუშაოების შესრულების პირობებში ნაკვეთის გაწმენდა, ნიადაგის მოხვნა, დაფარცხვა, დათესვა, ორმოების ამოღება და დარგვა ითვლება ძირითად სამუშაოდ და აღნიშნულ სამუშაოების შესრულებაზე დახარჯული დრო იქნება ძირითადი დრო.

მაგრამ ძირითადი დრო არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საწარმოო პროცესი მთლიანად შესრულდეს. ყოველ საწარმოს ,საწარმოო ციკლის დაწყებიდან დამთავრებამდე სჭირდება გარკვეული სამუშაოს შესრულება, რომელიც არ არის ძირითადი, მაგრამ საწარმოო ციკლის შესრულებისათვის აუცილებელია. პირველ რიგში ასეთია დამხმარე დრო;

2. დამხმარე დრო ეს ის დროა, რომელიც საჭიროა ძირითადი სამუშაოების შესასრულებლად. იგი ავსებს ძირითადად სამუშაოების საწარმოო ოპერაციებს, რითმულად ხდის ოპერაციებიდან ოპერაციებზე გადასვლებს. მაგ., თესლის მიტანა სათეს ფართობზე, ნერგების მიტანა დარგვის ადგილას, ორმოდან ორმოზე გადასვლა, ხის მოჭრის შემდეგ მეორე ხესთან მისვლა და სხვ.;

3. გარდა ძირითადი და დამხმარე დროსი საწარმოო ციკლის შესრულებისას საჭიროა დროს ხარჯვა მოწყობილობების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად. ეს არის დრო, რომელიც იხარჯება საწარმოო პროცესის მომზადებასა და მომსახურეობაში. ასე, მაგ., მანქანის მუშაობის პროცესში მისი გზადაგზა დაზეთვა, სამუშაო ინსტრუმენტების ალესვა, აწყობა და სხვ.

ტექნიკური ნორმების შედგენა ემყარება ყველა ზემოჩამოთვლილ, ძირითად, დამხმარე, მომსახურე და მოსამზადებელ დროის ზუსტად შესწავლას.

ძირითადი და დამხმარე დრო ერთად იძლევა იმ დროის დანახარჯს, რომელიც საჭიროა სამუშაო ციკლის შესასრულებლად. ამ დროის დანახარჯს პირდაპირ დანახარჯებს უწოდებენ, ხოლო მომსახურე და მოსამზადებელი მუშაობისათვის დახარჯულ დროს, სამუშაო დროის არაპირდაპირ დანახარჯებს უწოდებენ. სამუშაო დროის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯების მიხედვით დაყოფა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მათი ხვედრი სამუშაო დროის მთელ ციკლში და მივიღოთ ზომები პირდაპირი დანახარჯი დროის ხვედრის გასადიდებლად.

გამომუშავების ნორმების შედგენა მეტად რთულ და დიდ მნიშვნელობის სამუშაოებს მიეკუთვნება, ამიტომ გამომუშავების ნორმების შედგენაზე უნდა მუშაობდეს სათანადო სპეციალისტები და იგი ღრმა მეცნიერულ დაკვირვებებსა და ანალიზს უნდა ემყარებოდეს; უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ დასაბუთებებსა და გაანგარიშებებს.

გამომუშავების ნორმების შედგენა შეუძლებელია სამუშაო დროის ელემენტებად დაყოფის გარეშე. სამუშაო დროის ელემენტებად დაყოფა უნდა მოხდეს დროის ხარჯვის შინაარსის მიხედვით და სამუშაო დროის განმავლობაში ურთიერთისაგან განსხვავებული დროის დანახარჯები აღინიშნოს პირობითი ნიშნებით ანუ ინდექსებით. ინდექსი ანუ პირობითი ნიშნები გამოიყენება ფაქტიური დროის დანახარჯების აღრიცხვის პროცესში და იგი ამ საქმეს ძალიან აადვილებს. ასე, მაგ., თუ წარმოებს დაკვირვება ტყის კულტურების დარგვაზე აქ დამკვირვებელს მოუხდება სამუშაო ოპერაციების ან მთელი სამუშაო დროის განმავლობაში მუშის ცალკეულ მოძრაობებზე დახარჯული დროის ხანგრძლივობის აღრიცხვა. მუშის მიერ შესრულებული მოძრაობები გამოხატავს საწარმოო პროცესის ცალკეულ ელემენტს. საწარმოო პროცესში ყოველი ელემენტის შესრულებისათვის გარკვეული დროის ხარჯვაა საჭირო. თუ ნორმების შემდგენი საწარმოო პროცესის ყოველი ელემენტის დასახელებას ჩაიწერს და შემდეგ ამ ელემენტის შესრულებაზე დახარჯულ დროს — ეს ერთის მხრივ ძალზე გაართულებს დამკვირვებლის მუშაობას, და რაც მთავარია, იგი ვერ მოასწრებს ყოველი ელემენტის დასახელებას და ამ ელემენტის შესრულებაზე დახარჯული დროს აღნიშვნას.

სამუშაო დროის ხარჯვის დიფერენცირებასთან ერთად მისი პირობითი ნიშნებით ანუ ინდექსებით აღნიშვნას დადებითი მნიშვნელობა აქვს.

სამუშაო დროს ყოფენ შემდეგი შემადგენელი ელემენტების მიხედვით და თვითეულ მათგანს პირობით აღნიშნავენ: (იხ. 133 გვ.).

სამუშაო დროის დაყოფა შემადგენელი ელემენტების მიხედვით დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდით დგება გამომუშავების ნორმები. გამომუშავების ნორმების შედგენისათვის ხმარობენ სხვადასხვა მეთოდებს. განსხვავებული მეთოდები და წესები სამუშაო დროის ხარჯვისა და გამოყენების განსხვავებულ აღრიცხვას მოითხოვს.

გამომუშავების ნორმების შედგენის მეთოდები

გამომუშავების ნორმების შესადგენად ძირითადად არსებობს ორი მეთოდი:

1. ჯამობრივი და 2. სამუშაო ელემენტების მეთოდი.

გამომუშავების ნორმების შედგენის ჯამობრივი მეთოდი



გულისხმობს ნორმების დადგენას მთელი სამუშაო დროის ერთეულში, ე. ი. თუ სამუშაო დღის ხანგრძლიობა 8, 7 ან 6 საათს უდრის, დროის აღნიშნულ მონაკვეთში დგება გამომუშავების ნორმები. ჯამობრივი მეთოდი შეიცავს ნორმების დადგენის სხვადასხვა წესს, მათ შორის მთავარია: 1) ნორმების შედგენა თვალზომურად, 2) საცდელი-სტატისტიკური მონაცემების მიხედვით; 3. სამუშაოს ანალოგიის მიხედვით და 4. სამუშაო დროის ფოტოგრაფიის მიხედვით.

1. თვალზომური მეთოდი გულისხმობს, თვალზომით სამუ-

შაოს მოცულობის განსაზღვრასა და გამომუშავების ნორმის დადგენას — სამუშაო ხელმძღვანელის სუბიექტური შეხედულების საფუძველზე. აქ გამოთიშულია ყოველგვარი დაკვირვებები, სამუშაო დროის ანალიზი და სხვ.

გამომუშავების ნორმების სიდიდე ემყარება ნორმის დამწესებლის ცოდნასა და მის პრაქტიკულ გამოცდილებას.

ნორმის დაწესების ეს მეთოდი შეიძლება გამონაკლისის სახით გამოყენებულ იქნას შემთხვევითი, ერთდროული ხასიათის მცირე მოცულობის სამუშაოზე თუ სამუშაოს მწარმოებელი, რომელსაც ამ შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს გამომუშავების ნორმის სიდიდის განსაზღვრა, დიდი საწარმოო გამოცდილებისაა. საერთოდ კი გამომუშავების ნორმის შედგენის ეს წესი მიუღებელია;

2. საცდელი-სტატისტიკური წესით გამომუშავების ნორმების დაწესება ემყარება განვლილი პერიოდის სტატისტიკურ ჩანაწერებს იმ სამუშაოებზე, რომელზედაც განზრახულია ამ წესით ნორმების დაწესება. ნორმების დადგენის ეს წესი უარყოფილია. იგი სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში მიუღებელია შემდეგი მოსაზრებების გამო:

ა) ყოველთვის არ არის შესაძლებელი შემოწმებულ იქნას სტატისტიკური ცნობების სინამდვილე და არასწორი ცნობების შედეგად შესაძლებელია დაშვებულ იქნას შეცდომა ნორმების ოდენობის განსაზღვრის დროს;

ბ) ის ითვალისწინებს განვლილ პერიოდში მუშის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და შეუძლებელი ხდება იმის გამორკვევა თუ რამდენად გამოყენებული იყო მუშის მიერ სამუშაო დრო, რამდენად დიდი იყო გაცდენები, რა სახის იყო ეს გაცდენები, საპატიო თუ არა საპატიო;

გ) არ ითვალისწინებს იმ ცვლილებებს, რაც ყოველდღიურად ხდება საბჭოთა სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში

და მის ცალკეულ დარგებში, სახელდობრ: ტექნიკის განვითარება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის სისტემატური აღმავლობა, მუშათა კლასის მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და სხვ., რაც შრომისნაყოფიერების სისტემატურ გადიდებას იწვევს;

დ) შეუძლებელია მიღებულ იქნას მხედველობაში ის ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა გატარების შედეგადაც შესაძლებელია სერიოზული ცვლილებები მოხდეს გამომუშავების ნორმების სიდიდეში.

ყოველივე ზემოაღნიშნული და სხვ. მიუღებელს ხდის საცდელ-სტატისტიკური ნორმების გამოყენებას სოციალისტურ მეურნეობაში. საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სისტემატურ ღონისძიებებს ატარებს არასრულყოფილი და სოციალისტური მეურნეობისათვის შეუფერებელი გამომუშავების ნორმების დადგენის წესების აღმოსაფხვრელად.

სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის დეკემბრის პლენუმის რეზოლუციაში აღნიშნულია: „ე. წ. საცდელ სტატისტიკურ ნორმათა სიჭარბე ნორმების პრაქტიკაში, გეზის აღება ისეთი მუშის გამომუშავებაზე, რომელიც თავისი ნორმების ტექნიკას სუსტად ფლობს, საწარმოოსა და საამქროს საწარმოთა შესაძლებლობათა ზრდის, მუშის ენერგო-შეიარაღების ზრდის, მისი ტექნიკური და კულტურული დონის ზრდის ნამდვილი ანალიზის უქონლობა გამომუშავების ნორმათა დაწესების დროს. ყველაფერი ეს შრომის ნორმების არსებულ პრაქტიკას ხდის მუხრუჭად შრომისნაყოფიერების და მუშათა ხელფასის შემდგომი ზრდის გზაზე“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში და სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიან გეგმაში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული გამომუშავების ნორმების დადგენის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

3. ნორმების შედგენა სამუშაოს ანალოგიის ანუ სამუშაოს მსგავსებათა მიხედვით წარმოებს ყოველგვარი დაკვირვებებისა და სამუშაოთა სპეციალური შესწავლის გარეშე. სამუშაოთა მსგავსების შემთხვევაში მიუყენებენ მიმსგავსებულ სამუშაოებზე დაწესებულ ნორმებს. ეს წესი არ ითვალისწინებს სამუშაოთა იმ სპეციფიურ ხასიათს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა თუ მიმსგავსებულ, არამედ ერთგვაროვანი სამუშაოს შესრულების დროსაც სხვადასხვა ადგილებში, ამიტომ ნორმების შედგენის ეს წესიც უარყოფილია.

სამუშაო დროის ფოტოგრაფია

გამომუშავების ნორმების შედგენის ჯამობრივი მეთოდიდან ყველაზე უმჯობესი და მისაღებია სამუშაო დროის ფოტოგრაფიის წესი. სამუშაო დღის ან სამუშაო დროის ფოტოგრაფიით გამომუშავების ნორმების დადგენა მიზნად ისახავს:

1. აღრიცხოს ყველა ის შემთხვევები, რაზედაც იხარჯება სამუშაო დრო (სასარგებლო და არასასარგებლო სამუშაო, საპატიო და არა საპატიო მიზეზებით გამოწვეული გაცდენები).

2. ნათელყოს და შეაფასოს ყველა ის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან შრომისნაყოფიერების ზრდას.

ერთი და იგივე შრომის პროცესის ამ წესით რამდენიმეჯერ შესწავლით საშუალება გვეძლევა გავარკვიოთ თუ როგორ იხარჯება სამუშაო დრო, რამდენად არის გამოყენებული სამუშაო დრო სასარგებლო ხასიათის სამუშაოებისათვის, რა მიღწევები არის შემჩნეული საწარმოო პროცესში, რომლის შენარჩუნება და გავრცელება ხელს შეუწყობს შრომისნაყოფიერების ამაღლებასა და წარმოების უკეთ მუშაობას, რა ღონისძიებები უნდა იქნეს დასახული და გატარებული ცხოვრებაში, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნორმალური მუშაობისათვის ხელის შემშლელი პირობები.

სამუშაო დღის ფოტოგრაფიის წესით გამომუშავების ნორმები შეიძლება შედგეს:

1. ერთი მუშისათვის, როდესაც ცალკეულ მომუშავეს შეუძლია შეასრულოს მუშაობის მთელი ციკლი ან მისი გარკვეული ნაწილი და შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ცალკე აღირიცხოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ამ შემთხვევაში ნორმების დასადგენად დაგეგმილდება დაკვირვებების ჩატარება ცალკეულ ინდივიდებზე ან ცალკეული მანქანის მუშაობაზე.

2. თუ მუშაობის ხასიათი ისეთია, რომ შეუძლებელია გამოიყოს ცალკე თვითეული შემსრულებლის სამუშაო, და შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით უკეთესია სამუშაო შესრულდეს ჯგუფურად, მაშინ გამომუშავების ნორმები დადგება გარკვეული ჯგუფისათვის; ნორმების შედგენისათვის დაკვირვებები ტარდება ჯგუფურად. დაკვირვებას აწარმოებენ ერთდროულად, რამდენიმე მუშის ან რამდენიმე მანქანის მუშაობაზე.

გამომუშავების ნორმები სასურველია შედგეს ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობის მიხედვით, თანდათანობით ყველა იმ მუშებზე და მანქანებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ თანმიმდევრულად პროდუქტის დამზადება-გადამუშავებაში.

ნორმის შედგენის სამუშაოები ხუთი სტადიისაგან შედგება. პირველ სტადიას მიეკუთვნება ნორმის შედგენისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, მეორე სტადიას დაკვირვების ჩატარება შეადგენს, ხოლო მესამე სტადიას — დაკვირვების შედეგად მიღებული მასალების ანალიზი და გამომუშავების ნორმის სიდიდის განსაზღვრა, მეოთხე სტადიას მიეკუთვნება გამომუშავების ნორმების განხილვა და დამტკიცება სხვადასხვა ორგანოებში, მეხუთე სტადიას შეადგენს სათანადო წესით დამტკიცებული გამომუშავების ნორმების წარმოებაში დანერგვა-განხორციელება.

გამომუშავების ნორმების შედგენის პირველ სტადიაში

ანუ მოსამზადებელი სამუშაოების სტადიაში შედის შემდეგი სამუშაოები:

1. იმ სამუშაოს შერჩევა, რაზედაც უნდა შედგეს გამომუშავების ნორმები და დეტალური დახასიათება სამუშაო ადგილის;

2. დაკვირვების რაოდენობის დადგენა ერთიდაიგივე სამუშაოზე, რამდენად მეტ დაკვირვებას ჩავატარებთ ერთიდაიგივე სამუშაოზე, იმდენად გამომუშავების ნორმა სწორად ასახავს სინამდვილეს და გამოთიშული იქნება შემთხვევითი მონაცემები ნორმის შემადგენლობაში;

3. იმ მუშების შერჩევა, რომლებზეც წარმოებული იქნება დაკვირვებები, მუშები უნდა შეირჩეს სამუშაოს სტაჟის, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, კვალიფიკაციის დონის, ჯანმრთელობისა და სხვა ნიშნების მიხედვით;

4. დამკვირვებელ-ნორმადარის შერჩევა, სათანადო ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ნიშნის მიხედვით;

5. დაკვირვების დაწყებისა და დამთავრების ვადების განსაზღვრა;

6. დაკვირვების გეგმის შედგენა და დასაკვირვებლად შერჩეულ მომუშავეებთან წინასწარ ამ გეგმის გაცნობა, სათანადო ახსნა-განმარტებითი სამუშაოებისა და კონსულტაციების ჩატარება;

7. დაკვირვებისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და ხელსაწყოების მომზადება (საათის, ფოტოფურცლის, ფოტორუქის, თხელი ფიცრის ფირფიტის, ფანქრისა და სხვ. საჭირო ხელსაწყოების).

მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ შეიძლება დაწყებულ იქნას დაკვირვება. სამუშაო დროის ფოტოგრაფიის წესით გამომუშავების ნორმების შედგენისათვის დაკვირვებები წარმოებს ფოტოფურცლების შევსებით. ფოტოფურცლის პირველ გვერდზე აღინიშნება:

1. სატყეო მეურნეობის დასახელება;

2. სატყეო უბნისა და კვარტალის დასახელება, სადაც უნდა ჩატარდეს დაკვირვება;

3. დაკვირვების დაწყების თარიღი;

4. დასაკვირვებლად აყვანილი მუშების გვარი, სახელი, მამის სახელი დემოგრაფიული მონაცემებით;

5. რა სახის სამუშაოზე უნდა შედგეს გამომუშავების ნორმა;

6. სამუშაო ადგილის დახასიათება (თუ ხის ჭრაზე წარმოებს დაკვირვება — ჭრის ადგილის რელიეფი, კოროშის სიხშირე, ხნოვანება, საშუალო დიამეტრი, ბონიტეტი, შედგენილობა, დაქანება, ამინდი, ჭრის წესი, რომელი ჯიშის დამზადებაზე უნდა დაწესდეს გამომუშავების ნორმა და სხვ.);

7. დაკვირვების ხასიათი (ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ სამუშაოებზე);

8. დამკვირვებლის გვარი, სახელი, მამის სახელი და მოკლედ მისი საწარმოო მაჩვენებლები;

9. იარაღებისა და ხელსაწყოების აღწერა და სხვ.

ფოტოფურცლის შემდეგი ნაწილი დათმობილი აქვს უშუალო დაკვირვებების მონაცემებს. ფიქსირებული უნდა იქნეს სამუშაო დროის მთელ მონაკვეთში მუშის ცალკეულ მოძრაობაზე დახარჯული დრო

დაკვირვების პროცესში მუშის ცალკეულ მოძრაობაზე დახარჯული დროის აღრიცხვა უნდა იწარმოოს თანმიმდევრულად, როგორც მუშაობაზე ისე შეწყვეტებზე. დაკვირვების შედეგები მოგვცემს მთელი სამუშაოს დროის გამოყენებაზე სრულ წარმოდგენას.

თუ გვინდა შევადგინოთ გამომუშავების ნორმა ხე-ტყის დამზადებაზე, საჭიროა თანმიმდევრულად ვაწარმოოთ მუშის (ხის მჭრელის) მოძრაობათა აღრიცხვა. ვთქვათ ხის მოჭრა არამექანიზებული წესით წარმოებს, ხის მოსაჭრელად გამოყენებულია ნაჯახი. მუშაობა გვიხდება ნაძვნარ კორომში, კოროშის სიხშირე 0,7-ს უდრის, მოსაჭრელი ხის დიამეტრი 41 სანტიმეტრია, სამუშაო ადგილი მთაგორიანია, დაქანება 20°

უდრის, ამინდი მუშაობისათვის ნორმალურია — მზიანი დღე, ტემპერატურა +22°, ქარი არ არის, ქრის სუსტი ნიავი; დაკვირვების შედეგად მივიღებთ: იხ. ცხრ. გვ. 141, 142.

ზუსტი, დასაბუთებული გამომუშავების ნორმის შედგენის უზრუნველსაყოფად ვთქვათ ჩავატარეთ 10 სამუშაო დღის განმავლობაში დაკვირვება და შევავსეთ 10 ფოტოფურცელი. ფოტოფურცლების საფუძველზე დგება ფოტორუკა. სამუშაო დღის დაკვირვებების მონაცემები დაჯამებული უნდა იქნეს დროის დანახარჯების მიხედვით. ასე, მაგ., ცალკე უნდა დაჯგუფდეს მონაცემები პირდაპირი, არაპირდაპირი დროის ხარჯები და დრო, რომელიც დაიხარჯა ამა თუ იმ ხასიათის შეწყვეტებზე.

ფოტორუკის შევსება ხდება თანმიმდევრულად ფურცელზე მოცემული კითხვების მიხედვით.

ფოტოფურცლების მონაცემები ფოტორუკაზე შემდეგნაირად ჯგუფდება: იხ. ცხრ. გვ. 143.

საშუალო არითმეტიკული ნორმა გამომუშავების ნორმის შედგენის რომელი წესითაც არ უნდა იყოს შედგენილი, ჩვენს სინამდვილეში მიუღებელია, რადგან მის შემადგენლობაში შეეყვანილია ისეთი ფოტოფურცლების მონაცემები, რომლებიც არ გამოხატავენ ობიექტურ სინამდვილეს, არამედ შემთხვევითია. ჩვენს მაგალითში ფოტოფურცელი № 3 წარმოადგენს აღნიშნულის ილუსტრაციას: აქ შეწყვეტებზე დახარჯული დროის ჯამი უდრის 33 წუთს იმ დროს, როდესაც ფოტოფურცლების დიდი უმრავლესობის მიხედვით გაცდენებზე დახარჯული დრო 30 წუთზე ნაკლებია. აღნიშნულის შედეგად ძირითად სამუშაოზე დახარჯული დრო სხვა ფოტოფურცლებთან შედარებით მცირეა (4°32′), მთელ სამუშაო დროში შექმნილი პროდუქციაც მცირეა (ფოტოფურცელი № 3-ის გამომუშავება უდრის 5,7 კუბ. მეტრს, ფოტოფურცელი № 9-ის გამომუშავება კი 6,7 კუბ. მეტრს).

ამიტომ სრულიად სამართლიანი იქნება თუ № 3 ფოტოფურცლის მონაცემს ჩავთვლით შემთხვევითად და მას

ინდექსი	ხის მოჭრის თანმიმდევრული №	შესრულებული სამუშაოსა და მოძრაობის დასახელება	მოძრაობის დაწყების დრო	მოძრაობის დამთავრების დრო	მოძრაობის ხანგრძლივობა დასრულებულ. ბანგრძლ.	შენიშვნა
A_1 б	1	მოსაპრეულ ხესთან მისვლა	8°	8° 1′	1′	პირველი ხის სამასალე მორების მოცულობა 1,[illegible] კუბ. მეტრი, შეშა 1,2 კუბ. მეტრი D=41 სმ H=12 მ
A_1 б	2	ხის ირგვლივ ადგილის გაწმენდა	8° 1′	8° 2′ 30″	1′ 30″	
A_1 б	3	ხის წაქცევის მიმართულების ამორჩევა	8° 2′ 40″	8° 3′	30″	
A_3	4	ხის მოპრა	[illegible]	8° 5′ 30″	50″	
A_1 б	5	ძირკვის გაქერქვა	8° 5′ 30″	8° [illegible]′ 30″	5′	
A_1 б	6	ტოტების შეკრა	8° 6′ 50″	8° 44′ 0″	35′ 30″	
A_1 б	7	ტოტების შეგროვება	8° 44′	8° 49′	5′	
A_1 б	8	ღეროს სოლტიმენტებად დანაწილებისათვის დანიშვნა	8° 49′	8° 52′	3′	
A_3	9	დამორვა	8° 52′	9° 32′	40′	
A_1 б	10	მორებისაგან ქერქის გაცლა	9° 32′	9° 42′	10′	
A_1 б	11	ქერქის შეგროვება	9° 42′	9° 6′	4′	
A_1 б	12	მორების აზომვა და დაწყობა	9° 46′	10° 0′ 0″	14′	
$П_3$	13	თამბაქოს მოწევისათვის შესვენება	10° 0′ 0″	10° 3′ 0″	3′	
A_3	14	ნარჩენებისაგან შეშის დამზადება-დაწყობა და აზომვა	10° 3′ 0″	10° 26′ 0″	23′	მეორე ხის (ნაძვის) სამასალე მორების მოცულობა უდრის 1 კუბ. მეტ შეშის რაოდენობა უდრის 0,15 კუბ. მეტრს D=35 სმ H=14 მ
	15	მეორე ოსაპრეულ ხესთან მისვლა	10° 26′ 0″	10° 28′ 0″	2′	
	16	ხის ირგვლივ ადგილის გაწმენდა	10° 28′ 0″	10° 31′ 0″	3′	
	17	ხის წაქცევის მიმართულების ამორჩევა	10° 31′	10° 33′ 0″	2′	
	18	ხის მოპრა	10° 35′ 0″	11° 5′ 0″	30′	
	19	ძირკვის გაქერქვა	11° 5′ 0″	11° 06′ 0″	5′	

ინდექსი	ხის მოჭრის თანმიმდევრული №	შესრულებული სამუშაოსა და მოძრაობის დასახელება	მოძრაობის დაწყების დრო	მოძრაობის დამთავრების დრო	მოძრაობის შესრულებაზე დახარჯული დრო, ხანგრძლ.	შენიშვნა
	20	ტოტების შეჭრა . . .	11° 06′ 0″	11° 14′ 0″	8′	
	21	ტოტების შეგროვება . .	11° 14′ 0″	11° 20′ 0″	6′	
	22	ღეროს გაზომვა და სორტიმენტებად დანაწილებისათვის დანიშვნა	11° 20′ 0″	11° 23′ 0″	3′	
	23	დაათორვა .	11° 23′ 0″	12° 0′ 0″	37′	
	24	მორების ქერქის გაცლა . .	12° 0′ 0″	12° 9′ 0″	9′	
	25	ქერქის შეგროვება .	12° 9′ 0″	12° 12′ 0″	3′	
	26	მორების აზომვა და დაწყობა	12° 12′ 0′	12° 24′ 0″	12′	მესამე ხე: სოჭი D = 42 სმ
	27	შეშის დამზადება, დაწყობა და აზომვა	12° 24′ 0″	12° 48′ 0″	24′	H = 12 ძ
	28	შესვენება და თამბაქოს მოწევა	12° 48′ 0″	12° 53′ 0″	5′	სამასალე მერქნ. V = 1,52 კუბ. მ
	29	მესამე მოსაჭრელ ხესთან მისვლა	12° 53′ 0″	12° 56′ 0″	3′	შეშის ო�ულობა = 0,12 კუბ. მ.
		ს უ ლ .	8°	16	7*	

სულ სამუშაო დღის განმავლობაში გამომუშავებული იქნა:

საძასალე მერქანი 5,55 კუბომეტრი

საშეშე . —0,9

* ერთი საათი სადილისათვის შესვენება.

სამუშაო დროის დანახარჯები მოძრაობათა ხასიათის მიხედვით	ფოტოფურცლების ნომრები										დროის საერთო ჯამი ფოტო. ფ. ხ.	არითმეტიკული საშუალო	არით. საშ. % მთელი სამ დროსთან	გაწმენდ. საშუალო	
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10				აბსოლუტ.	პროც.
ძირითადი სამუშაოები	4°46′	4°48′	4°32′	4°58′	4°50′	5°	4°57′	4°51′	5°04	4°48′	46°27′	4°50′	69		
დამხმარე სამუშაოები	1°52′	1°12′	1°53′	1°52′	1°40′	1°45′	1°33′	1°40′	1′50″	1′52°	16°45′	1°56′	2		
შეწყვეტები სულ	32′	30′	33′	30′	30′	15′	28′	29′	26′	40′	4°48′	29′	9		
მათ შორის:															
ა) ადმინ. ორგ. მიზეზით	10′	—	5′	15′	—	—	12′	10′	6′	15′					
ბ) ტექნ. მიზეზით	5′	15′	14′	5′	10′	—	8′	12′	10′	10′					
გ) მუშ ს მიზეზით	10′	10′	6′	5′	12′	10′	3′	2′	4′	10′					
დ) შესვენება	7′	5′	8′	5′	8′	5′	5′	5′	6′	5′					
ე) სტიქიური უბედურების შეითხეევები	—	—	—	—	—	—	—	—	—	—					
სულ სამუშაო დრო	7°	7°	7°	7°	7°	7°	7°	7°	7°	7°	70°	7°	100		
დასვენ. საღილისათვის	1°	1°	1°	1°	1°	1°	1°	1°	1°	1°	10°	1°			
ს უ ლ	8°	8°	8°	8°	8°	8°	8°	8°	8°	8°	80°	8°			
გამომუშ. (კუბო-მეტ.)															
ა) სამასალე	5,25	5,3	5,0	5,4	5,35	5,5	5,35	5,36	5,7	5,25					
ბ) საშეშე	0,9	1,0	0,7	1,0	1,01	1,1	1,0	1,1	1,0	1,1					
ს უ ლ	6,15	6,3	5,7	6,4	6,36	6,6	6,35	6,46	6,7	6,35					

ამოვიღებთ ნორმის შედგენისათვის მიღებულ საანალიზო მონაცემებიდან.

დაკვირვებათა შედეგად მიღებული მაჩვენებლების გასაწმენდად შედგენილი უნდა იქნეს ფოტომწკრივი. მწკრივში შეიტანება ყველა ფოტოფურცლის მონაცემები, რომლის საფუძველზეც შედგება თვითეული მონაცემის განმეორების რაოდენობა ანუ სიხშირე და მწკრივიდან უნდა იქნეს ამოღებული ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც მწკრივში არ მეორდებიან. ჩვენი მაგალითის მიხედვით ავიღოთ შეწყვეტების მონაცემები ფოტოფურცლების მიხედვით. ფოტოფურცლების ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, დაკვირვების მონაცემები: 32, 30, 33, 30, 30, 15, 28, 29, 26, 41. მიღებული მწკრივი უნდა დაჯგუფდეს სიხშირის მიხედვით. დაკვირვების მონაცემები ლაგდება მაღალი სიხშირის მიხედვით. ახალი მწკრივის პირველი წევრი იქნება ისეთი რიცხვი რომელიც ყველაზე მეტად მეორდება და ა. შ. ჩვენს მაგალითში 30 წუთი მეორდება სამჯერ, მაშასადამე პირველად დაიწერება 30, შემდეგ-კი უფრო მცირე სიხშირის მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, დაკვირვების მაჩვენებლები: 30, 15, 46, 28, 29, 32, 33, 40; სიხშირეები: 3, 1, 1, 1, 1, 1, 1, 1,

მწკრივის მარჯვენა მხარეზე მოთავსებული დაკვირვებების მაჩვენებლები არ მეორდებიან და, როგორც წესი, მწკრივიდან ამოღებული უნდა იქნეს. მწკრივის გაწმენდა დაკვირვების ამა თუ იმ მონაცემებიდგან უნდა ხდებოდეს მწკრივის თვითეული წევრის შესწავლით, რადგან მწკრივის მარჯვნივ შეიძლება მოექცეს ისეთი დადებითი და პროგრესული ხასიათის მაჩვენებლებიც, რომლებიც დაკვირვების დროს მუშაობის პროცესში სამუშაოთა რაციონალურად წარმართვის შედეგად იყოს მიღწეული. ჩვენს მაგალითში № 6 ფოტოფურცელში შეწყვეტებზე დახარჯული დროის მაჩვენებელი შეადგენს 15 წუთს, იმ დროს, როდესაც № 10 ფოტოფურცლის მიხედვით სხვადასხვა ხასიათის შეწყვეტებზე დახარჯული დრო შეადგენს 40 წუთს. № 6 ფოტოფურცლის საუკეთესო მაჩვენებელი მიუხედავად იმისა, რომ იგი განმეორებული არ

იყო, კი არ უნდა ამოვიღოთ მწკრივიდან, არამედ მივიღოთ ყოველგვარი ზომები მისი განზოგადოებისათვის. ფოტო-მწკრივის შემთხვევითი მონაცემებისაგან გაწმენდის შემდეგ ხდება გაწმენდილ მწკრივში დარჩენილი მონაცემების დაჯამება და გაწმენდილი საშუალოს მიღება, მიღებული ჯამის მწკრივში დარჩენილი მონაცემების რაოდენობაზე გაყოფით. მიღებული სიდიდე არის საშუალო პროგრესული გამომუშავების ნორმა.

ნორმების შედგენის სამუშაოების, ე. ი. დანორმვის მეორე სტადიის დამთავრების შემდეგ ხდება ნორმების განხილვა სათანადო ორგანოებში და მათი დამტკიცება. ნორმების განხილვის, დამტკიცების, დამტკიცებული ნორმების გადასინჯვის წესის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი. დაკვირვებათა შედეგად მიღებული ფოტოფურცლები და ფოტორუკა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ როგორ იხარჯება სამუშაო დრო სასარგებლო და არასასარგებლო საქმიანობაზე, როგორ სრულდება ერთი და იგივე სამუშაო სხვადასხვა მუშის მიერ, როგორ აღწევს მოწინავე მუშა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას და ერთი და იგივე სამუშაო დროის განმავლობაში მეტი შრომისნაყოფიერების მიღწევას, ნორმალური მუშაობის ხელის შემშლელ პირობებზე და სხვ. გამომუშავების ნორმების შედგენასთან ერთად დგება ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელთა უახლოეს ვადაში განხორციელების შედეგად მიღწეული უნდა იქნეს შედგენილი გამომუშავების ნორმების წარმატებით შესრულება. ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს წარმოებაში არსებულ მატერიალურ საშუალებათა სრულ გამოყენებას, აგრეთვე მომუშავეთა დაინტერესებას და შემოქმედებით მუშაობას.

გამომუშავების ნორმების დადგენის სამუშაო დროის ფოტოგრაფიის წესი თუმცა დანორმვის ჯამობრივ მეთოდში ყველაზე უკეთესია და ფართოდ არის გამოყენებული სახალხო

მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, მაგრამ ამ წესს გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამუშაო დროის ფოტოგრაფიის წესით გამომუშავების ნორმა დგება მთელი სამუშაო დროის მიხედვით. ნორმის შემსრულებელს არ ეძლევა ცალკეული ოპერაციების მიხედვით დროის ხარჯვის ნორმა, არ ხდება დროის ხარჯვის ნორმების დადგენა ძირითადი და დამხმარე სამუშაოების ოპერაციებზე და არ არის რეგლამენტირებული ცალკეული, გადაუდებელი სახის შეწყვეტები (შეწყვეტები პირადი საჭიროებისათვის, შესვენებები და სხვ.), ამიტომ არ ხდება სამუშაოს შემსრულებლის ყურადღების გამახვილება ცალკეულ ოპერაციებსა და მოძრაობებზე დროის ხარჯვის რაციონალურად გამოყენებისათვის. სამუშაოს დროის ერთეულის მიხედვით გამომუშავების ნორმის დადგენა ნაკლებად იწვევს მომუშავის მობილიზირებასა და ბრძოლას შრომისნაყოფიერების ასამაღლებლად ძირითადი სამუშაო დროის ხვედრის გადიდებით დამხმარე და შეწყვეტების დროის ხარჯზე.

ამ უარყოფითი მხარეების თავიდან აცილება ხდება დანორმვის მეორე მეთოდით, სადაც გამომუშავების ნორმის შედგენა სამუშაოს მთელი პროცესის შემადგენელი ელემენტების მიხედვით წარმოებს. ამ მეთოდით გამომუშავების ნორმები დგება:

1. ქრონომეტრაჟის წესით;
2. ფოტოქრონომეტრაჟის წესითა და
3. მიკროელემენტებისა და ტექნიკურ-თეორიული გაანგარიშების წესით.

1. გამომუშავების ნორმების შედგენის ქრონომეტრაჟის წესი

ქრონომეტრაჟი ბერძნული სიტყვაა და დროის გაზომვას ნიშნავს. ქრონომეტრაჟის წესით გამომუშავების ნორმების

დაწესება სამუშაო დღის ფოტოგრაფიის წესთან შედარებით ბაცილებით ზუსტია. აქ ზომავენ ძირითად სამუშაოს ან ამისი ცალკეული ნაწილის შესრულებაზე დახარჯულ დროს წაჭებში და წამის ნაწილებში. ამ წესით ნორმებს ადგენენ მასიურ და ძირითად სამუშაოებზე. სანამ ქრონომეტრაჟის წესით ნორმების შედგენისათვის დაკვირვებას დაიწყებდნენ, საჭიროა წინასწარ ჩატარდეს გარკვეული მუშაობა, სახელდობრ. იმ სამუშაო ოპერაციის თუ ოპერაციის ნაწილის ზუსტად განსაზღვრა, რომელზედაც შედგენილი უნდა იქნეს გამომუშავების ნორმა. დასაკვირვებლად აყვანილი მუშის შესახებ საჭირო ცნობების შეგროვება, მექანიზმების სიმძლავრეებისა და მუშაობის შესახებ ცნობების დაზუსტება (პასპორტისა და ფაქტიური მუშაობის მიხედვით), იმის განსაზღვრა, თუ რამდენჯერ უნდა ჩატარდეს დაკვირვება სამუშაოს ერთი და იგივე ოპერაციებზე, ქრონომეტრაჟისათვის საჭირო იარაღების შეგროვება და სხვა.

სამუშაო ოპერაციის შესრულებაზე დახარჯულ დროს ზომავენ ქრონომეტრის ანუ წუთმზომის საშუალებით. წუთმზომის დიდი ისარი ერთ წრეს აკეთებს ერთ წუთში, ხოლო პატარა ისარი კი ერთ წამში. აქაც დგება ქრონოფურცელი, რომელიც შევსებული უნდა იქნეს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1. მეურნეობის დასახელება, სადაც უნდა დაწესდეს გამომუშავების ნორმები;

2. სამუშაო ოპერაციის დასახელება, რომელზედაც უნდა დაწესდეს გამომუშავების ნორმები;

3. ვინ ასრულებს სამუშაო ოპერაციასა და მისი შრომისადმი დამოკიდებულებას;

4. რა მანქანა-იარაღებით სრულდება სამუშაო;

5. გარემო პირობების აღწერა;

6. ვინ აწარმოებს დაკვირვებას (გვარი, სახელი, მამის სახელი);

7. დაკვირვების დრო და რიცხვი, ამინდი და სხვა დამატებითი ცნობები.

მას შემდეგ რაც ჩატარებული იქნება მოსამზადებელი სამუშაოები შეიძლება დაწყებულ იქნეს დაკვირვება. ავიღოთ შემდეგი მაგალითი:

დავალებული გვაქვს გამომუშავების ნორმა შევადგინოთ ხის მოჭრაზე. ვიღებთ ქრონოფურცელს, სადაც აღინიშნება შემდეგი:

1 ოპერაციის დასახელება: ხის ჭრა.

2. მოსაჭრელად არჩეული ხის დასახელება: ნაძვი.

3. მოსაჭრელი ხის დიამეტრი: 40 სმ, სიხშირე: 0,6; ბონიტეტი — II; ადგილმდებარეობა — მთაგორიანი; ამინდი მზიანი, ტემპერატურა +18.

ქრონოფურცელის შემდეგ ნაწილში იწერება უშუალოდ დაკვირვების შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი ფორმით: (იხ. გვ. 149).

თუ გამომუშავების ნორმებს ვადგენთ მხოლოდ ხის ჭრაზე, ე. ი. წაქცევასა და ტყის დამზადების სხვა ოპერაციებს არ ვსწავლობთ, მივდივართ მოსაჭრელად დანიშნულ მეორე ხესთან და იგივე პირობებში ვიწყებთ მუშაობასა და დაკვირვებას. შედარების სიადვილისათვის სასურველია ავიღოთ იგივე დიამეტრისა და ჯიშის ხე.

ვთქვათ მეორე ხის მოჭრას 48 წუთი დასჭირდა, შემდეგ მივდივართ მესამე ხესთან, ვჭრით მას და მოჭრაზე დახარჯულ დროს შევიტანთ ქრონოფურცელში. 10 ხის მოჭრის შედეგად მივიღებთ 10 ქრონოფურცელს. ქრონოფურცლების საფუძველზე ვადგენთ ქრონორუკას. ქრონორუკაში გარდა საერთო მონაცემებისა, შეიტანება ქრონოფურცლების მიხედვით ცალკეულ მოძრაობებზე დახარჯული დრო (იხ. ფოტორუკა 150 გვ.).

საშუალო არითმეტიკული დროის ხარჯვის ნორმა 40 სმ დიამეტრის ნაძვის ხის მოჭრაზე შეადგენს 42 წუთსა და 36 წამს. დაკვირვების მონაცემები ნათლად გვიჩვენებს ასეთი ნორმის დიდ შეცდომას, რადგან ცალკეულ ქრონოფურცლებ-

№ №	სამუშაო ოპერაციის ან მოძრაობის დასახელება	მიმდინარე დრო		
		მოძრაობის დაწყება—საათი, წუთი, წამი	მოძრაობის დამთავრების დრო საათი, წუთი, წამი	მოძრაობაზე დახარჯული ჯამური დროის ხანგრძლივობა
1	ნაჯახის ხელში აღება	9° 10′ 10″	9° 10′ 50″	40″
2	მომარჯვება ან პოზიციის ამორჩევა	9° 10′ 50″	9° 11′ 56″	1′
3	ნაჯახის დარტყმა-ჭრა	9° 11′ 50″	9° 11′ 58″	8″
4	გაქედილი ნაჯახის გათავისუფლება	9° 11′ 58″	9° 12′ 30″	32″
5	ნაჯახის მოქნევა	9° 12′ 30″	9° 13′ 00″	30″
6	დარტყმა-ჭრა	9° 13′ 00″	9° 13′ 30″	30″
7	მერქანში შეჭრილი ნაჯახის გათავისუფლება	9° 13′ 3 ″	9° 14′ 00″	30″
8	ნაჯახის მოქნევა	9° 14′ 00″	9° 14′ 30″	30″
9	ნაჯახის დარტყმა-ჭრა	9° 14′ 30″	9° 15′ 00″	30″
10	მერქანში შეჭრილი ნაჯახის გათავისუფლება	9° 15′ 00″	9° 16′ 00″	1′
11	ნაჯახის მოქნევა	9° 16′ 00″	9° 16′ 15″	15″
12	ნაჯახის დარტყმა ჭრა	9° 16′ 15″	9° 16′ 35″	20″
13	მერქანში შეჭრილი ნაჯახის გათავისუფლება	9° 16′ 35″	9° 16′ 48″	13″
14	მერქანში შეჭრილი ნაჯახის გათავისუფლება	9° 16′ 48″	9° 17′ 18″	30″
15	ნაჯახის მოქნევა	9° 17′ 18″	9° 17′ 33″	15″
16	ნაჯახის დარტყმა-ჭრა	9° 17′ 33″	9° 17′ 53″	20″
17	მერქანში შეჭრილი ნაჯახის გათავისუფლება	9° 17′ 53″	9° 18′ 03″	10″
18	ნაჯახის მოქნევა	9° 18′ 03″	9° 18′ 18″	15″
	სულ 40 სმ დიამეტრის ხის მოჭრაზე	9° 10′ 10″	9° 57′ 10″	47′

ფოტორუქა 40 სმ ნაძვის ხის მოჭრაზე ნორმის დასადგენად

№ №	მოძრაობების დასახელება	ქრონოფურცლების მიხედვით დროს ხარჯვა										სულ დახარჯულ დრო 10 ქრონოფურცლ. მიხედვით	საშუალო არითმეტ.	გაწმენდ. ქრონოფურცლ. მიხედ. დაბარ. დროის ჯამი	გაწმენდ. საშუალოდ
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10				
1	ნაჯახის ხელში აღება	1′	30″	30″	30″	34″	30″	32″	40″	30″	30″	5′46″	34″		
2	მომარჯვება ან პოზიციის ამორჩევა	1′	1′	50″	50″	42″	30″	30″	20″	30″	30″	6′40″	40″		
3	ნაჯახის დარტყმა-ქრა	35′	36′	32′	32′	3[illegible]′	32′	32′	42′	32′	36′00	5°42′	34′		
4	მერქანში შეჭრილი ნაჯახის გათავისუფლება	6′	4′	4′	3′	3′	3′	3′	3′	7′	3′	39′	3′54″		
5	ნაჯახის მოქნევა	4′	4′	4′	3′30″	3′	3′	4′	3′40″	3′	5′	37′10″	3′42″		
	ს უ ლ	47′	45′30″	41′00″	39′50″	42′16″	39′	40′02″	49′40″	43′	45′	7°16′40″	42′40″		

ში ხედება შემთხვევითი ხასიათის დროის ხარჯვის მაჩვენებლები, რომლებიც ხელოვნურად ადიდებენ საჭირო დროს სიდიდეს. აუცილებელია ასეთი შემთხვევითი მონაცემებისაგან გავწმინდოთ საანალიზო მაჩვენებლები. დავიწყოთ თანმიმდევრულად მოძრაობების მიხედვით. შევადგინოთ მწკრივი და შემდეგ მწკრივის მონაცემები დავალაგოთ იმის მიხედვით, თუ როგორია დაკვირვებათა მონაცემების განმეორების შემთხვევები ანუ სიხშირეები:

1. ნაჯახის ხელში აღება. ამ მოძრაობათა მაჩვენებლები ქრონოფურცლების მიხედვით შემდეგია:

1′, 30″, 30″, 30″, 34″, 30″, 32″, 40″, 30″, 30″.

ვარიანტები: 30″, 40″, 34″, 32″, 1′.

სიხშირეები: 6, 1, 1, 1, 1.

მარჯვნივ მოთავსებული დაკვირვების მაჩვენებლები, რომლებიც მხოლოდ თითოჯერ გვხვდებიან, არ მეორდებიან და მაშასადამე არ არიან დამახასიათებელნი, ისინი ამოღებული უნდა იქნენ მწკრივიდან. შემთხვევითი მონაცემებისაგან გაწმენდის შემდეგ მწკრივში დარჩება:

ქრონოფურცლების ნომრები: 2; 3; 4; 6; 9; 10.

დაკვირვებ. მაჩვენებლები: 30; 30; 30; 30; 30; 30.

სულ მოძრაობებზე დახარჯული დრო დარჩენილი 6 ქრონოფურცლის მიხედვით შეადგენს 180 წამს ანუ 3 წუთს; გაწმენდილი საშუალო კი უდრის 180:6 (დაკვ. რიცხვზე)=30 წამს ნაცვლად 34 წამისა, რომელიც მიღებული იყო საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით. ასეთი წესით უნდა ვაწარმოოთ დანარჩენ მოძრაობებზე დახარჯული დროის მწკრივების გაწმენდა და გაწმენდილი საშუალო პროგრესული ნორმების დადგენა.

ამრიგად, გამომუშავების ნორმების დადგენის ქრონომეტრაჟის წესით ჩვენ ვარკვევთ სამუშაოს ოპერაციის შესასრულებლად საჭირო ხალას დროს. მაგრამ, როგორც ვიცით, სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა კიდევ დრო ერთ სამუშაოდან მეორე სამუშაოზე გადასასვლელად, შესასვენებლად, ხელსა-

წყო იარაღების სამუშაოდ მოსამზადებლად, შესაცვლელად და სხვ., ამიტომ ხალასი დროის ნორმას კიდევ უნდა დაემატოს გარკვეული დრო ზემოხსენებული საჭიროებების გამო. ამ დროს დანამატი დრო ეწოდება. მის გამოანგარიშებას აწარმოებენ შემდეგი წესის მიხედვით:

გამოიანგარიშებენ მთელ დროს, რომელსაც ხარჯავს მუშა სამუშაოს შესასრულებლად. ამ დროში შედის როგორც ხალასი, ისე დანამატი დრო. ქრონომეტრაჟის საშუალებით დააწესებენ ხალასი დროს ნორმას, ხოლო სამუშაო დროს ფოტოგრაფიის წესით დააწესებენ დანამატი დროს ნორმას.

2. გამომუშავების ნორმების დადგენას ქრონომეტრაჟისა და სამუშაო დროს ფოტოგრაფიის წესით, ანუ როგორც მას უწოდებენ ფოტოქრონომეტრაჟის წესით — დანორმვის სხვა წესებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს. დანორმვის ეს წესი არის ზუსტი, მაგრამ ამავე დროს შესადგენად რთული და მაღალ კვალიფიციურ მუშაკებს მოითხოვს.

3. მიკროელემენტებისა და ტექნიკურ-თეორიული გაანგარიშების წესით გამომუშავების ნორმებს აწესებენ ძირითადად ისეთ სამუშაოებზე, სადაც ნორმების შედგენა წარმოებს სამეცნიერო-საკვლევო მიზნებისათვის. სამუშაო ოპერაციებს ანაწილებენ მიკროელემენტებად და თვითეულ მიკროელემენტზე წუთმზომის საშუალებით აწესებენ სათანადო გაანგარიშების საფუძველზე ზუსტ ნორმებს.

საერთოდ, გამომუშავების ნორმების შედგენა ცალკეულ მცირე მოცულობის ოპერაციების მიხედვით და გამომუშავების ნორმების გადაჭარბებული დიფერენციაცია ყოველთვის მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ასეთ დანაწილებას შეუძლია ერთგვარი არეულობაც კი შეიტანოს ნორმირების საქმეში.

საკ.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 22 მაისის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ: არ შეიძლება შემდგომ მოთმენილი იქნეს გამომუშავების და შეფასების ნორმების უკიდურესობამდე

დაყვანილი მრავალსახიანობა და დაქუცმაცება, რაც აბნევს მუშებს და რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს მუშაობაში. გამომუშავების ნორმების შედგენის საქმეში და საერთოდ დანორმვის საქმის გაუმჯობესებაში სტახანოვურმა მოძრაობამ დიდი როლი ითამაშა. მაგრამ როდი შეიძლება ნორმების შედგენის დროს ჩვენი დაკვირვების ობიექტად ავიყვანოთ მარტო სტახანოველი, და სტახანოველების მიერ გამომუშავების სარეკორდო მაჩვენებლები გავხადოთ მეურნეობის ყველა მუშისათვის საერთო ნორმად. სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე 1935 წლის 17 ნოემბერს აღნიშნული იყო: ასეთი ნორმები ახლანდელი დროისათვის არარეალური იქნებოდა, ვინაიდან ის მუშები და მუშა ქალები, რომლებიც ტექნიკურად ნაკლებად მომზადებულნი არიან, ვიდრე სტახანოველები და ბუსიგინები, ვერ შესძლებენ ასეთი ნორმების შესრულებას. ჩვენ ისეთი ტექნიკური ნორმები გვესაჭიროება, რომლებიც შუათანა ადგილს დაიჭერენ ახლანდელ ტექნიკურ ნორმებსა და იმ ნორმებს შორის, რომლებსაც სტახანოველებმა და ბუსიგინებმა მიაღწიეს.

გამომუშავების ნორმები ყველაზე რეალური მაშინ იქნება, როდესაც მის გამომუშავებაში მონაწილეობას ღებულობენ მეურნეობის მოწინავე ადამიანები.

დანორმვის გაუმჯობესების მიზნით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის დეკემბრის პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამია:

„ა) გამომუშავების ნორმათა გამომუშაევებას საფუძვლად უნდა დაედოს საამქროს და საწარმოს საწარმოო შესაძლებლობათა სასტიკად შემოწმება და სტახანოველთა მოწინავე საწარმოს გამოცდილების აღრიცხვა.

ბ) მუშაობა ნორმების დარგში და პასუხისმგებლობა მისი მდგომარეობისათვის დაეკისროს საამქროს და საწარმოს ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალს, საწარმოს დირექტორის უშუალო ხელმძღვანელობით.

გ) საწარმოებში გამომუშავების ახალ ნორმათა დაწესებისათვის მუშაობაში ფართოდ იქნეს ჩაბმული სტახანოველთა კადრები".

მანქანის მწარმოებლობის ნორმის დადგენა

მანქანის მუშაობის ნორმას გარკვეულ დროის მონაკვეთში ანგარიშობენ ან მანქანის სიმძლავრის და მწარმოებლობის ან ერთეულ სამუშაოზე დროის ხარჯვის მიხედვით.

პრაქტიკაში სატყეო მეურნეობაში ყამოყენებული მანქანებისათვის გამომუშავების ნორმებს აწესებენ ცვლების მიხედვით; თუ მანქანები სეზონური გამოყენებისა — ცვლის და სეზონის მიხედვით.

თუ მანქანაზე ერთი მუშა მუშაობს, მუშის და მანქანის ყამომუშავების ნორმები ერთი და იგივე იქნება.

მანქანებზე გამომუშავების ნორმების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის შეწყვეტები, რომელსაც ადგილი აქვს მანქანის მუშაობის პროცესში. შეწყვეტები თავისი შინაარსის მიხედვით სხვადასხვა ხასიათისაა. სახელდობრ: ა) შეწყვეტები მანქანის მომსახურეობისათვის (ნერგების ჩაწყობა ყუთში, ყუთის მიტანა სარგავ აგრეგატთან და მისი დამაგრება, საწვავის ჩასხმა, დაზეთვა და სხვ.);

ბ) ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის შეწყვეტები;

გ) შეწყვეტები პირადი მომსახურეობისათვის და სხვ.

მანქანის მწარმოებლობის ნორმის დადგენისას გამოანგარიშებული უნდა იქნეს მანქანის ნაყოფიერების თეორიული და ფაქტიური ნორმა.

თეორიული ნორმა გულისხმობს მანქანის მუშაობას მთელი სამუშაო დროის განმავლობაში. ასე, მაგალითად, სატყეო მეურნეობაში შევიძინეთ ძრავიანი ხერხი, რომელიც ერთი კუბომეტრის მერქანს ჭრის 20 წუთში. აღნიშნულ ძრავიანი ხერხის ნაყოფიერების თეორიული ნორმა ცვლაში (7 საათში)

იქნება 420:20=21 კუბ. მ. მაგრამ სინამდვილეში ასეთი გამომუშავება არ შეიძლება ჰქონდეს მანქანას და ჩვენს მაგალითში ძრავიან ხერხს, რადგან მანქანა მოითხოვს მომსახურეობას და მუშაობის პროცესში მოსალოდნელია სხვადასხვა ხასიათის შეწყვეტები.

აღნიშნულის გამო ფაქტიური მუშაობის ნორმა განისაზღვრება: $N_ф = \frac{T - T_б}{T_м + T_а}$ სადაც:

$N_ф$—ფაქტიური ნორმაა.

T—მთელი საძუშაო დრო(სამუშაო დროის ხანგრძლიობა),

$T_б$ — დრო, რომელიც იხარჯება მანქანისა და მუშის მოსახურეობისათვის მთელი საძუშაო დროის განმავლობაში,

$T_м$ — ერთეული პოდუქციის გამოშვებისათვის ან სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო დრო,

$T_а$ — დამატებითი დრო და დრო შეწყვეტებზე, რომელიც დაკავშირებულია ერთეული პროდუქციის გამოშვებასთან ან სამუშაოს შესრულებასთან.

ვთქვათ

T = 420 წუთს

$T_б$ = 30

$T_м$ = 20

$T_а$ = 1

ამ შემთხვევაში მანქანის ფაქტიური მუშაობის ნორმა იქნება:

$$N_ф = \frac{420 - 30}{20 + 1} = \frac{390}{21} = 18.5$$ ერთეულს

სათანადო წესით შედგენილი გამომუშავების ნორმები, ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებებით, უპირველეს ყოვლისა განხილული უნდა იქნეს სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. ნორმების შედგენასა და განხილვაში აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს

მეურნეობის მთელი კოლექტივი; პროფესიონალური ორგანიზაცია მოვალეა დარაზმოს მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები და აქტიური მონაწილეობა მიიღოს გამომუშავების ნორმების შედგენაში. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე განხილული და სათანადო წესით მიღებული გამომუშავების ნორმები და ღონისძიებები წარედგინება სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ამავე დროს შესაბამის პროფესიონალური კავშირის რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს. ამ ორგანოებში განხილვის შემდეგ ნორმების პროექტს იხილავს საქართველოს მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭო. აქ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ საბოლოო დამტკიცებისათვის გამომუშავების ნორმების პროექტი შეთანხმებული და დამტკიცებული უნდა იქნეს საკავშირო ორგანოებში. დამტკიცების შემდეგ გამომუშავების ნორმები ბრუნდება მეურნეობაში და მეურნეობის კოლექტივი აჩაღებს ბრძოლას მისი შესრულებისათვის. მეურნეობის ადმინისტრაცია და პროფკავშირული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს გამომუშავების ნორმების შესრულებას. გამომუშავების ნორმების შესრულების შემოწმება მიზნად ისახავს დროულად იქნას გამოვლინებული და აღმოფხვრილი ნორმების შესრულებაში ხელისშემშლელი პირობები და ფართოდ დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე საწარმოთა და სტახანოველთა მუშაობის მეთოდები. გამომუშავების ნორმების შესრულების შემოწმება წარმოებს მომუშავეთა მიერ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვით. როგორც ცნობილია, ყოველ მეურნეობაში სანარდო სისტემით ხელფასის გაცემა წარმოებს შესრულებული სამუშაოების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ყოველ ორ კვირაში ან ყოველი თვის ბოლოს (იმის მიხედვით თუ როგორ წარმოებს ხელფასის გაცემა) დგება ხელფასის უწყისები შესრულებული სამუშაოს აღნიშვნით. აღნიშნული უწყისები საშუალებას გვაძლევს

გავიგოთ გამომუშავების ნორმების შესრულების მდგომარეობა. ჯამდება მუშები პროფესიებისა და გამომუშავების ნორმების შესრულების სიდიდის მიხედვით. ამ მონაცემების საფუძველზე დგება ნორმების შესრულების უწყისი. ირკვევა მოწინავე და ჩამორჩენილი მუშების შემადგენლობა. თუ გამომუშავების ნორმების შესრულებაში ადგილი ექნა ჩამორჩენებს შესაძლებელია სხვა ღონისძიებებთან ერთად ჩავატაროთ ხელმეორედ დაკვირვება და გავიგოთ რა მიზეზით არის გამოწვეული ცვლილებები დადგენილ ნორმასა და ფაქტიურ გამომუშავებას შორის.

მეურნეობის ცალკეული სამუშაოებისათვის შედგენილი და სათანადო წესით განხილული და დამტკიცებული გამომუშავების ნორმები დროთა განმავლობაში უნდა გადაისინჯოს. ნორმების გადასინჯვას საფუძვლად უდევს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში ცვლილებები (ახალი ტექნიკის დანერგვა, შრომის რაციონალიზაცია და სხვ.). ნორმების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ დადგენილი ნორმები მეურნეობის კოლექტივის უმრავლესობის მიერ ვადაჭარბებით სრულდება. ნორმების გადასინჯვა დასაშვებია სათანადო ზემდგომი ორგანოების ნებართვით.

VIII. ტყის დაცვის ორგანიზაცია

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად მოისპო საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება და ტყე საერთო-სახელმწიფო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლში ნათქვამია: „მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე... ითვლება სახელმწიფო საკუთრებად“.

სოციალისტურ საზოგადოებაში ტყე მოწოდებულია დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის მრავალმხრივი მოთხოვ-

ნილება. პირდაპირი და არაპირდაპირი სახით ტყე გეგმიანი მეურნეობის პირობებში მეტად დიდ სამსახურს უწევს საზოგადოებას.

სსრ კავშირში სატყეო მეურნეობა შეადგენს სახალხო მეურნეობის ორგანულ ნაწილს, რომელიც ვითარდება ერთიანი სახელმწიფო გეგმის საფუძველზე, გაერთიანებულ სოციალისტურ კვლავწარმოების პრინციპზე. სსრკ ფლობს მსოფლიო ტყის თითქმის ერთ მესამედს. სსრკ ტყის საერთო ფართობი 1,1 მილიარდ ჰექტარს შეადგენს. სსრკ ტყეებს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივად უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მსოფლიოს ტყის რესურსებში. საერთოდ ცნობილია, რომ წიწვიანი მერქანი ყველაზე მაღალხარისხოვან საამშენებლო მასალად ითვლება.

წიწვიანი მერქნის მსოფლიო მარაგის ნახევარზე მეტს სსრ კავშირი ფლობს. სსრკ ეკონომიკაში ტყე და მისი წარმოება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ამიტომ ამ სახალხო სიმდიდრის მოვლა და დაცვა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

სსრკ ტყის ფონდი მისი დაქვემდებარების, მოვლისა და დაცვის ორგანიზაციული სისტემის თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა:

1. ტყის დაცვის სისტემა სახელმწიფო ტყეებში და
2. ტყის დაცვის სისტემა საკოლმეურნეო ტყეებში.

დაქვემდებარების, მიზანდასახულობისა და აქედან გამომდინარე სატყეო მეურნეობის შინაარსობრივ თავისებურებათა შესაბამისად სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია ტყის დაცვის დებულება. ამჟამად მოქმედებს სახელმწიფო ტყეებისათვის სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1950 წლის 22 მარტის № 1181 დადგენილებით დამტკიცებული დებულება. აღნიშნული დებულების შესაბამისად დამტკიცებულია აგრეთვე საკოლმეურნეო ტყეების დაცვის დებულებაც.

ა) ტყის დაცვის ორგანიზაცია სახელმწიფო ტყეებში[1]

სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ტყის დაცვის დებულებით, ტყის დაცვის ორგანიზაცია და დაცვის უზრუნველყოფა ევალება სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის ორგანოებს. სატყეო მეურნეობის ორგანოები მოვალენი არიან განახორციელონ საკოლმეურნეო, სასოფლო საზოგადოებების, აგრეთვე სამინისტროებსა და უწყებებზე ხანგრძლივ სარგებლობაში გადაცემულ ტყეებში ტყის დაცვის ღონისძიებების დროულად გატარების უზრუნველყოფის კონტროლი.

სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული დებულებით სახელმწიფო ტყის დაცვის ძირითად ამოცანას შეადგენს:

1. ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, ხანძრის გაჩენის წინააღმდეგ ბრძოლა, ხანძრის უმალვე აღმოჩენა და ჩაქრობა;

2. ტყის სარგებლობის წესების დაცვა, თვითნებური ჭრების წინააღმდეგ ზომების მიღება, ტყეში ყოველგვარი უნებართვო სარგებლობის აღკვეთა;

3. ხე-ტყის დამამზადებლების მიერ ხე-ტყის ძირზე გაცემის მოქმედი წესების შესრულების კონტროლი;

4. ტყეში მავნე მწერებისა და დაავადებათა დროული აღმოჩენა და მის წინააღმდეგ სასწრაფო ზომების მიღება;

5. ნადირობის წესების დაცვაზე თვალყურის დევნება.

სახელმწიფო ტყის დაცვის ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სატყეო მეურნეობის მმართველობის ორგანოებში შექმნილია ტყის დაცვის აპარატი, რომელიც:

ა) ამოწმებს ტყეში მომუშავე ან განლაგებულ ორგანიზა-

---

[1] სახელმწიფო ტყის დაცვის ძირითადი წესები ამოღებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1950 წლის 22 მარტის № 1181 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებიდან, რომელშიც შეტანილია კანონმდებლობით დადგენილი მომდევნო შესწორებანი.

ციებისა და წარმოების, აგრეთვე ცალკეული პირების მიერ ტყეებში ხანძრის უშიშროების წესების დაცვის შესრულებას;

ბ) რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებების შესაბამისად, ხანძრის ჩასაქრობად იზიდავს მოსახლეობას და კოლმეურნეობების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სხვა წამოწყებების სატრანსპორტო საშუალებებს;

გ) ამოწმებს გაცემულ საბუთებს ტყეში ყოველგვარი ჭრის ჩატარებაზე, თიბვაზე, პირუტყვის ძოვებაზე და სხვა სახის სარგებლობაზე, აგრეთვე ნადირობაზე;

დ) აჩერებს უკანონო ჭრას და ტყის გამოფისვას, აგრეთვე ტყეში სხვა სახის დარღვევებს;

ე) აკავებს ტყეში ან გზაზე ტყის წესის დამრღვევის მიერ უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყის მასალას, აგრეთვე ყადაღას ადებს ტყიდან გამოზიდულ ხე-ტყეს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გამოზიდვა ტყის წესების დამრღვევის მიერ ტყიდან მოხმარების ადგილამდე უშუალოდ ნათვალთვალებია ტყის დაცვის აპარატის მიერ. ყადაღის დადება ფორმდება აქტით, სოფლის საბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით;

ვ) ადგენს აქტებს ყველა სახის ტყის წესების დარღვევებზე და ტყის ხანძრებზე და აგზავნის მათ არსებული წესით სასამართლოს, მილიციისა და პროკურატურის ორგანოებში დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟში დადგენილი საურავისა და ზარალის ანაზღაურებისათვის;

ზ) სარგებლობს რიგგარეშე ტყის ხანძრების ჩაქრობის ღონისძიებების ჩატარებისათვის კავშირგაბმულობის, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების კავშირგაბმულობის, ყველა საშუალებით (ტელეფონით, ტელეგრაფით, სელექტორით, რადიოთ, თვითმფრინავით), აგრეთვე ღებულობს რიგგარეშე თავისთვის და მუშებისათვის რკინიგზისა

და წყლის ტრანსპორტის სამგზავრო ბილეთებს ხანძრის ადგილზე გამგზავრებისა და უკან დაბრუნებისათვის.

მოქმედ დებულების მიხედვით სახელმწიფო ტყის დაცვის შემადგენლობაში შედიან:

ა) სატყეო მეურნეობაში: მეურნეობის დირექტორი, უფროსი მეტყევე, ტყის დაცვის ინსპექტორი, სატყეოს უფროსი, მისი თანაშემწე, უფროსი ტყის მცველები და ტყის მცველები;

ბ) საოლქო, სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკების, მოკავშირე რესპუბლიკების, სოფლის მეურნეობის სამინისტროების სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოებში — სამმართველოს უფროსები, უფროსის მოადგილეები, უფროსი ინჟინრები, ინჟინრები.

ტყის ხანძრებთან უშუალო ბრძოლის ჩატარებისათვის სახელმწიფო ტყის დაცვის დასახმარებლად გამოიყოფა სახანძრო რაზმები.

ხანძრისაგან საშიშ პერიოდში სატყეო მეურნეობებში ტყის დაცვის აპარატი ძლიერდება ქიმიური და სახანძრო რაზმებით, აგრეთვე დროებითი მეხანძრე დარაჯებით. სახელმწიფო ტყის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ანხორციელებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველო და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოები და მათზე დაქვემდებარებული ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, სამხარეო სამმართველოები.

სატყეო მეურნეობაში ტყეების დაცვა ევალება მეურნეობის დირექტორს და მისი ხელმძღვანელობით: უფროს მეტყევეს, ტყის დაცვის ინსპექტორს, სატყეოებში — სატყეოს უფროსს, მის თანაშემწეს, უფროს ტყის მცველებსა და ტყის მცველებს. ტყის დაცვის უკეთ ორგანიზაციის მიზნით სატყეოები, აგრეთვე ის სატყეო მეურნეობები, რომლებიც არ არის დაყოფილი სატყეოებად, დანაწილებულია

უფროს სამცველოებად, უფროსი სამცველოები — სამცველოებად. ტყის უშუალო დაცვას ანხორციელებს ტყის მცველები მათზე ჩაბარებული სამცველოების ფარგლებში, უფროსი ტყის მცველების კონტროლის ქვეშ.

სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკები ატარებენ ახსნა-განმარტებით მუშაობას და აბამენ მოსახლეობის ფაროთ მასებს ტყის დაცვის სამუშაოების ჩატარების საქმეში. სახელმწიფო ტყის დაცვის მოქმედი დებულების მიხედვით დაცვის მუშაკებს განსაზღვრული აქვთ უფლება-მოვალეობანი.

ტყის მცველები უშუალოდ იცავენ ტყეებსა და მათზე ჩაბარებულ ქონებას სამცველოებში და ექვემდებარებიან უფროს ტყის მცველებს.

ტყის მცველი მოვალეა:

ა) კარგად იცოდეს თავისი სამცველო და სამცველოს საზღვრები, გარდა ამისა, სამცველოს ტერიტორიაზე: გზები, წყალსაცავები, მდინარეები, ტბები, ჭრის ადგილები, უახლოესი ტელეფონის ადგილი, უფროსი ტყის მცველებისა და მეზობელი ტყის მცველების საცხოვრებელი ადგილი, უახლოესი დასახლებული პუნქტები, სატყეო მეურნეობისა და სატყეოს კანტორები, აგრეთვე ტყეში ხანძრის უშიშროების წესები და ტყის ხანძრის ჩაქრობის პრაქტიკული საშუალებანი;

ბ) შეამოწმოს საბუთები, ნებართვები ხე-ტყის ჭრაზე, პირუტყვის ძოვებაზე, თივის გათიბვაზე, ტყეში სხვა სახის სარგებლობასა და ნადირობაზე, თვალყური ადევნოს ხე-ტყის ძირზე გაცემის დადგენილი წესების შესრულებას, თივის გათიბვას, პირუტყვის ძოვებასა და ტყეში სხვა სახის სარგებლობის წესების დაცვას, აგრეთვე ზომები მიიღოს უკანონო (უბილეთო) ტყის ჭრის, პირუტყვის ძოვების, გათიბვისა და სხვა სახის უკანონო სარგებლობის, აგრეთვე ტყეში უკანონო ნადირობის აღსაკვეთად;

გ) შეადგინოს აქტები ხე-ტყის თვითნებურ ჭრებსა და ტყის წესების სხვა დარღვევებზე, აგრეთვე ტყეში ნადირობის წესებისა და ვადების დარღვევებზე;

დ) მიიღოს ყველა ზომა ტყეში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მისი ჩაქრობისათვის, ამავე დროს აცნობოს ხანძრის გაჩენის შესახებ უფროს ტყის მცველს ან სატყეოს უფროსს. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებების შესაბამისად ხანძრის ჩაქრობისათვის გამოიყენოს მოსახლეობა და კოლმეურნეობების, წარმოება-დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებანი; ამავე დროს გამოიყენოს უახლოეს კოლმეურნეობებსა და დასახლებულ პუნქტებში არსებული კავშირგაბმულობის საშუალებები;

ე) თვალყური ადევნოს ტყეში ხანძრის უშიშროების წესების დაცვის შესრულებასა და ორგანიზაციას, წარმოებებისა და დაწესებულებების მიერ ამ წესების დარღვევის შემთხვევებში, დაუყოვნებლივ აცნობოს უფროს ტყის მცველს, ხოლო ცალკე პირების მიერ ტყის სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში, უშუალოდ შეადგინოს აქტი ამის შესახებ;

ვ) დააკავოს ტყეში ხანძრის გაჩენის დამნაშავე პირები და ჩააბაროს ისინი ხელისუფლების სათანადო ორგანოებს;

ზ) თვალყური ადევნოს სამცველოში ხიდეების, სახანძრო კოშკების, სატელეფონო ქსელისა და სხვა ნაგებობათა სათანადოდ შენახვას;

თ) დაუყოვნებლივ აცნობოს უფროს ტყის მცველებს ან სატყეოს უფროსს სამცველოში გამოვლინებული ტყის მავნე მწერების, ტყის დაავადებების, ქარქცეული, ქარტეხილი, გამხმარი ხეების შემთხვევები, აგრეთვე სხვა მოვლენები, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენოს სატყეო მეურნეობას;

ტყის უფროსი მცველები ვალდებული არიან:

ა) კარგად იცოდნენ სამცველოების საზღვრები, რომლებიც შედიან უფროსი სამცველოს შემადგენლობაში, აგრეთვე ადგილმდებარეობა და მდგომარეობა ყველა ხანძრის საწინააღმდეგო ნაგებობისა, აგრეთვე წყალსაცავების, მდინარეების, ტბების, არხების, კავშირგაბმულობის პუნქტებისა და-

მოსაზღვრე უფროსი ტყის მცველების საცხოვრებელი ადგილები;

ბ) უხელმძღვანელონ თავისი სამცველოს ტყის მცველების მუშაობასა და გაუწიონ ინსტრუქტაჟი, აგრეთვე განახორციელონ კონტროლი მათ მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე;

გ) ჩაატარონ სამცველოების რევიზია, თვალყური ადევნონ ტყის მცველების მიერ კორდონების სათანადოდ ძრვლას, იარაღისა და ტყის მცველებზე ჩაბარებული მთელი ქონების შენახვას;

დ) შეადგინონ აქტები ხე-ტყის თვითნებურ ჭრაზე და ტყის წესების სხვა დარღვევებზე, აგრეთვე ტყის ხანძრის უშიშროების დამტკიცებული წესების შეუსრულებლობასა და ნადირობის წესების და ვადების დარღვევებზე;

ე) ტყეში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უშუალოდ მიიღონ ზომები მის ჩასაქრობად და ერთდროულად აცნობონ მის შესახებ სატყეოს უფროსს;

ვ) გაგზავნონ სატყეოში (ან სატყეო მეურნეობაში) მისი სამცველოს ფარგლებში ყოველგვარი ტყის წესების დარღვევებზე შედგენილი აქტები არა უგვიანეს ორი დღის ვადისა (დღიდან შედგენისა);

ზ) მონაწილეობა მიიღონ ტყეკაფებზე დამზადებული მასალის, გამოფისვისათვის გამოყოფილი უბნების შემოწმებაში, აგრეთვე სამცველოში ჩატარებული ტყის სამუშაოების შესრულების ჩატარებაში. ცალკეულ შემთხვევებში შემოწმებებს ატარებენ სატყეოს უფროსის დავალებით, ცალკეულ შემთხვევებში კი დამოუკიდებლად სათანადო აქტის შედგენით;

თ) უხელმძღვანელონ სამცველოში დროებითი მეხანძრე დარაჯებისა და სახანძრო რაზმების მუშაობას;

ი) სატყეოს უფროსის დავალებით ჩაატარონ საკოლმეურნეო, სასოფლო საზოგადოებებსა და სამინისტროებზე, უწყე-

ბებზე და ორგანიზაციებზე ხანგრძლივ სარგებლობაში მიმაგრებული ტყეების დაცვის მდგომარეობის შემოწმება.

ყოველ უფროს ტყის მცველს ეძლევა დამტკიცებული ნიმუშის დამღები: გასაშვები ხეების, დამზადებული ხე-ტყის მასალისა და გაშვებული ხე-ტყის ძირკვების დასადამღავად, ტყის დამრღვევებისაგან ჩამორთმეული ხე-ტყის მასალისა, აგრეთვე თვითნებურად მოჭრილი ხეების ძირკვების დასადამღავად.

დამღების შენახვის წესები დადგენილია სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციით.

უფროსი ტყის მცველები და ტყის მცველები ვალდებული არიან დააკავონ ტყეში ან გზაში ტყის წესების დამრღვევის მიერ უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე, აგრეთვე დაადგამ ყადაღა ტყიდან გამოტანილ უკანონოდ მოჭრილ ხე-ტყეზე, იმ შემთხვევაში როდესაც მისი გამოზიდვა ტყის წესების დამრღვევის მიერ ტყიდან მოხმარების ადგილამდე უშუალოდ ნათვალთვალევია და დადგენილია უფროსი ან უმცროსი ტყის მცველის მიერ სოფლსაბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით.

ამ შემთხვევაში დაყადაღებული მასალა ხელწერილის ქვეშ ბარდება შესანახად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს ან დამრღვევს.

გარდა ტყის დაცვისა, უფროს ტყის მცველებსა და ტყის მცველებს თავიანთი სამცველოების ფარგლებში ევალებათ შემდეგი სახის სამუშაოების შესრულება:

ა) ხელმძღვანელობის გაწევა ტყის დარგვის, ტყის თესვის, ტყის ბუნებრივი განახლების ხელის შეწყობის, ტყის ნარგავების მოვლის, ტყის თესლების შეგროვების, მოვლითი ჭრის ჩატარების სამუშაოებზე და სხვ.;

ბ) ტყის მოწყობის ჩატარებისას, ე. ი. ტყის მომწყობ პარტიებზე (ჯგუფებზე) საზღვრების, მოსაზღვრე ნიშნების, კვარ-

ტალური სირონების, ვიზირებისა და სხვათა ჩვენება ნატურაში;

გ) მონაწილეობის მიღება ტყეკაფების, აგრეთვე სათიბი, საძოვარი და სხვა სარგებლობის ნაკვეთების გამოყოფის დროს;

სატყეოს უფროსის თანაშემწეები ვალდებული არიან:

ა) თვალყური ადევნონ უფროსი და უმცროსი ტყის მცველების, დროებითი მეხანძრე დარაჯებისა და სახანძრო რაზმების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის დროულად და ზუსტად შესრულებასა და გაუწიონ მათ ინსტრუქტაჟი;

ბ) ჩაატარონ სამცველოების რევიზიები;

გ) კონტროლი გაუწიონ სატყეოში მომუშავე ტყის დამამზადებელ და სხვა ორგანიზაციების მიერ ხე-ტყის ძირზე გაცემისა და ხანძრის უშიშროების წესების დაცვას, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევებში შეადგინონ აქტები;

დ) უშუალოდ უხელმძღვანელონ სატყეოს ტერიტორიაზე ხანძრის საწინააღმდეგო გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარებას, ხოლო ტყეში ხანძრის გაჩენის დროს უხელმძღვანელონ მის ჩაქრობას სატყეოს უფროსის ან ზემდგომი სხვა უფროსის მოსვლამდე;

ე) შეამოწმონ სატყეოში შემოსული ტყის წესების დარღვევის აქტების სწორად შედგენა, აწარმოონ თვითნებურად მოჭრილი ან დაზიანებული ხე-ტყის ფულადი — მატერიალური შემოწმება;

ვ) სატყეოს უფროსის დავალებით ჩაატარონ საკოლმეურნეო-სასოფლო საზოგადოებებსა და სამინისტროებზე, უწყებებსა და ორგანიზაციებზე ხანგრძლივ სარგებლობაში მიმაგრებული ტყეების შემოწმება.

სატყეოს უფროსები უშუალოდ პასუხისმგებელი არიან თავიანთ სატყეოებში ტყეების დაცვაზე. მათ მოვალეობაში შედის:

ა) უხელმძღვანელონ სატყეო ტერიტორიაზე ხანძრისაგან და ტყის წესების დარღვევებისაგან ტყეების დაცვას;

ბ) გაატარონ ღონისძიებები უფროსი ტყის მცველებისა და ტყის მცველების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის;

გ) ორგანიზაცია გაუკეთონ და ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, მათი ტყეების დაცვის საქმეში ჩაბმით;

დ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ ტყეში მომუშავე ყველა ორგანიზაციის მიერ ხე-ტყის ძირზე გაცემისა და ხანძრის უშიშროების დადგენილი წესების შესრულებას;

ე) თვალყური ადევნონ ტყის წესების დარღვევებზე და ტყის ხანძრებზე აქტების დროულად და წესიერად შედგენას, თავის დროზე გააფორმონ და გადაგზავნონ ეს აქტები სატყეო მეურნეობაში ან სასამართლოში, მილიციის ორგანოებში ან პროკურატურაში, თუ მათ ამის უფლება მინიჭებული აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის სამმართველოს, საოლქო, სამხარეო, სატყეო მეურნეობის სამმართველოს, სახელმწიფო ტყის დაცვითი ზოლების ნარგაობათა ტერიტორიალური სამმართველოს უფროსის მიერ;

ვ) მონაწილეობა მიიღონ სატყეო მეურნეობის ხანძრის საწინააღმდეგო წლიური გეგმის შედგენაში, თავისი სატყეოს ფარგლებში;

ზ) უხელმძღვანელონ ხანძრის საწინააღმდეგო ყველა გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარებას, აგრეთვე სატყეოს ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობას;

თ) სატყეო მეურნეობის დირექტორის დავალებით დაესწრონ როგორც სატყეოს წარმომადგენელი, სასამართლო ორგანოებში ტყის წესებისა და ტყის ხანძრების საქმეების განხილვას;

ი) ტექნიკური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ტყის დაცვის ორგანიზაციაში, თვალყური ადევნონ საკოლმეურნეო, სასოფლო საზოგადოებების, აგრეთვე სამინისტროებზე, უწყებებზე და ორგანიზაციებზე ხანგრძლივ სარგებლობაში გადაცემულ ტყეებში ხე-ტყის დაცვის საქმესა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევებში შეადგინონ ამის შესახებ აქტები.

სატყეო მეურნეობების ტყის დაცვის ინსპექტორები ემორჩილებიან სატყეო მეურნეობების დირექტორებსა და მათთან ერთად პასუხისმგებლები არიან ტყეების დაცვის მდგომარეობაზე.

სატყეო მეურნეობების ტყის დაცვის ინსპექტორები ვალდებული არიან:

ა) კარგად იცოდნენ მოქმედი კანონმდებლობა, მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, ბრძანებები და ინსტრუქციები ტყეების ხანძრისა და ტყის წესების დარღვევის შესახებ;

ბ) სისტემატურად აკონტროლონ სატყეოებსა და სამცველოებში ტყის დაცვის მდგომარეობა;

გ) მოაწყონ სწავლება უფროსი და უმცროსი ტყის მცველებისა, დროებითი მეხანძრე დარაჯებისა და სახანძრო რაზმების პირად შემადგენლობის ტექნიკური ცოდნის ამაღლებისათვის;

დ) დაამუშაონ და პრაქტიკულად განახორციელონ ღონისძიებები სატყეო მეურნეობაში ტყეების დაცვაზე;

ე) უხელმძღვანელონ სახანძრო ქიმიური ბრიგადების ჩამოყალიბებასა და მათ მუშაობას, სახანძრო კოშკების მშენებლობასა და რემონტს, თვალყური ადევნონ რადიოკავშირისა და ტელეფონის ქსელის გაყვანასა და რემონტს;

ვ) უშუალოდ უხელმძღვანელონ სატყეო მეურნეობაში ტყის ხანძართან ბრძოლის საქმეში მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების დანერგვის საქმეს;

ზ) კოორდინაცია უყონ სატყეო მეურნეობაში ხანძრისაგან ტყეების სახმელეთო და საავიაციო დაცვის მუშაობას, ავიოპატრულებისა და საავიაციო საშუალებებით ტყის ხანძართან უშუალო ბრძოლის ჩატარებას;

თ) უშუალოდ უხელმძღვანელონ ტყის ხანძრის ჩაქრობას;

ი) შეამოწმონ სატყეო მეურნეობის ფარგლებში ტყის დამამზადებელ და ტყეში მომუშავე სხვა ორგანიზაციების

მიერ ხე-ტყის ძირზე, გაცემისა და ტყეში ხანძრის უშიშროების წესების დაცვა;

კ) თვალყური ადევნონ ტყის წესების დარღვევებზე და ტყის ხანძრის გაჩენაზე აქტების სწორად და დროულად გაფორმებას და აწარმოონ მათი აღრიცხვა;

ლ) თვალყური ადევნონ სასამართლოში, მილიციის, პროკურატურისა და სახარბიტრაჟის ორგანოებში ტყის წესების დარღვევებზე და ხანძრებზე აღძრული საქმეების მსვლელობას და მისჯილი თანხების ამოღებას;

მ) თვალყური ადევნონ ტყის კორდონებისა და ტყეების დაცვის მიზნით გაშენებულ სხვა შენობებისა და ნაგებობების წესიერ მდგომარეობაში ყოფნას, აგრეთვე იარაღისა და სასროლი მასალის წესიერად შენახვის საქმეს.

სატყეო მეურნეობის დირექტორის დავალებით სატყეო მეურნეობის მდებარეობის რაიონში ჩაატარონ საკოლმეურნეო და სასოფლო საზოგადოებების ტყეებსა და სამინისტროებზე, უწყებებზე და ორგანიზაციებზე ხანგრძლივ სარგებლობაში მიმაგრებული ტყეების მდგომარეობის შემოწმება.

უფროსი მეტყევეები ვალდებული არიან:

ა) განახორციელონ სატყეო მეურნეობაში ტყეების ხანძრისაგან და ტყის წესების დარღვევისაგან დაცვის ყველა ტექნიკური და საწარმოო სამეურნეო ღონისძიებების ორგანიზაციისა და გატარების საერთო ხელმძღვანელობა, აგრეთვე ტყეების ხანძრისაგან დაცვის საქმეში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების დანერგვა;

ბ) უხელმძღვანელონ დაქვემდებარებული სატყეოებისათვის ტყის დაცვის ყველა ღონისძიებების გეგმების დამუშავებასა და განახორციელონ კონტროლი მათ შესრულებაზე;

გ) განახორციელონ მეთვალყურეობა ადგილებზე ტყის დაცვის დარგში ტექნიკური ინსტრუქციების, წესებისა და სხვა სადირექტივო მითითებების დაცვასა და შესრულებაზე;

დ) უხელმძღვანელონ სატყეო მეურნეობებში და სატყეო-

ებში სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკების ტექნიკურ ცოდნის ამაღლების ღონისძიებათა ორგანიზაციას;

ე) ტექნიკური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ტყის დაცვის საქმის ორგანიზაციაში, თვალყური ადევნონ საკოლმეურნეო და სასოფლო საზოგადოებების ტყეებში, აგრეთვე სამინისტროებზე, უწყებებზე და ორგანიზაციებზე ხანგრძლივ სარგებლობაში მიმაგრებულ ტყეებში ხე-ტყით სარგებლობისა და ტყის დაცვის სწორად გატარებას.

სატყეო მეურნეობის დირექტორები ვალდებული არიან:

ა) განახორციელონ საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი ტყეების ხანძრისაგან და ტყის წესების დარღვეისაგან დაცვის ყველა ღონისძიების ცხოვრებაში გასატარებლად;

ბ) გადააგზავნონ სასამართლოებში, მილიციისა და პროკურატურის ორგანოებში დანიშნულებისამებრ ტყის წესების დარღვევებისა და ხანძრების მასალები, აგრეთვე წარადგინონ სასამართლოებში და სახარბიტრაჟში სამოქალაქო ძიებები;

გ) მოსპონ საქმეები, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის წესების ინსტრუქციის შესაბამისად ტყის მცირე დარღვევებზე, რომლებსაც რეწვის ხასიათი არ აქვს და დაშვებულია პირველად, აგრეთვე ისეთი საქმეები, რომლებსაც სისხლის სამართლის ძიების ნიშნები არ აქვს და ისეთ შემთხვევებში როდესაც დამნაშავე არ არის გამოვლინებული;

დ) მოაწყონ კონტროლი საკოლმეურნეო და სასოფლო საზოგადოებების ტყეებში აგრეთვე სამინისტროებზე, უწყებებზე და ორგანიზაციებზე ხანგრძლივ სარგებლობაში მიმაგრებულ ტყეებში ხე-ტყით სარგებლობისა და ტყის დაცვის საქმის სწორად გატარებაზე, მიიღონ სათანადო ზომები გამოვლინებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

მოქმედი დებულების შესაბამისად ტყის მცველებისა და უფროს ტყის მცველების თანამდებობაზე მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, ჰქვთ საშუალო სკოლის არანაკლები 4 კლასის განათლება და თავისი ჯანმრთელობით უპასუხებენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც,

აღნიშნულია სსრ კავშირის ყოფ. სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებულ „სახელმწიფო ტყის დაცვის სამსახურში მიღების წესების“ ინსტრუქციაში.

სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის ინსპექტორების თანამდებობაზე ინიშნებიან უმთავრესად ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სატყეო-სამეურნეო ან სატყეო-ტექნიკური სასწავლებლები.

ტყის მცველები და უფროსი ტყის მცველები ინიშნებიან და თავისუფლდებიან თანამდებობიდან, სატყეო მეურნეობის დირექტორის მიერ სატყეოს უფროსის წარდგენით.

ტყის დაცვის ინსპექტორები ინიშნებიან და თავისუფლდებიან თანამდებობიდან სატყეო მეურნეობის დირექტორების წარდგენით სათანადო სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსის მიერ. ტყის მცველებისა და უფროსი ტყის მცველების შეცვლის დროს დგება სამცველოს მიღება-ჩაბარების აქტი დაწესებული ფორმის მიხედვით. სამცველოს ჩაბარების დროს სავალდებულოა უფროსი ტყის მცველის დასწრება, ხოლო უფროსი ტყის სამცველოს ჩაბარებისას მეურნეობის ტყის დაცვის ინსპექტორისა და სატყეოს უფროსის ან მისი თანაშემწის დასწრება.

ტყის სარგებლობის წესების დარღვევებთან და ტყის ხანძრებთან ბრძოლის წესების სამაგალითო შესრულებისათვის, ამ საქმეში ინიციატივისათვის, სიმარჯვისა და თავგანწირვის გამოჩენისათვის სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკებზე გამოიყენება შემდეგი სახის წახალისებანი:

ა) მადლობა,

ბ) ფულადი დაჯილდოება,

გ) ძვირფასი ნივთებით დასაჩუქრება,

დ) მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა — დაწინაურება,

ე) მკერდის ნიშნით — სოციალისტური შეჯიბრის წარჩინებული-თ დაჯილდოება.

სატყეო მეურნეობის ის მუშაკები, რომლებიც განსაკუთ-

რებულად ისახელებენ თავს ტყის დაცვის ორგანიზაციის საქმეში შეიძლება დაჯილდოვდეს რამდენიმე სახის ჯილდოთი ერთად.

ტყის სარგებლობის წესებისა და ტყის დაცვის დებულების სანიმუშოდ შემსრულებლები ჯილდოვდებიან სატყეო მეურნეობის სპეციალური შემოსავლებიდან, რომელშიც შედის:

ა) სასამართლო წესით კონფისკაციაქმნილ ხე-ტყის მასალის რეალიზაციიდან და სატყეო მეურნეობის მიერ თვითნებურად მოთიბული ბალახის გაყიდვისაგან შემოსული თანხების 30%;

ბ) 10% იმ თანხიდან, რომელიც მიღებული იქნება სასამართლო პასუხისმგებლობის წესით ტყის სარგებლობის წესების დამრღვევებისაგან.

სატყეო მეურნეობის მუშაკები ჯილდოებს ღებულობენ მეურნეობის დირექტორის განკარგულებით ან ბრძანებით. სატყეო მეურნეობის დირექტორს აჯილდოვებს სატყეო მეურნეობის მმართველობის ზემდგომი რგოლი.

ის პირები, რომლებიც სახელმწიფო ტყის დაცვაში კეთილსინდისიერად იმსახურებს 10 და მეტ წელს, ჯილდოვდებიან დაწესებული ნიმუშის მიხედვით — სამკერდე ნიშნით. სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკები სარგებლობენ სხვადასხვა სახის შეღავათებით: მოხუცებულობის შემთხვევაში სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფით, ეძლევათ სათანადო ნიხრით ხე-ტყის მასალა საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის, საცხოვრებელი ბინის გასათბობად — შეშა და სხვ.

სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკები ატარებენ სათანადო ნიმუშის ფორმას, თანამდებობის განმასხვავებელი ნიშნებით. სამსახურებრივი დანაშაულისათვის სახელმწიფო დაცვის მუშაკები ისჯებიან შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) ტყის დაცვის ორგანიზაცია საკოლმეურნეო ტყეებში[1]

1. საკოლმეურნეო ტყეებისა და კოლმეურნეობათა მიწებზე გაშენებული ტყის კორომების დასაცავად კოლმეურნეობის გამგეობა კოლწევრებიდან გამოჰყოფს მეტყევეს, დარაჯებს ან ტყის მცველებს. საკოლმეურნეო ტყეებში მუშაობისათვის საკოლმეურნეო ტყეების მეტყევეს, დარაჯს ან ტყის მცველს დაერიცხება შრომადღეები კოლმეურნეობის საერთო კრების მიერ დადგენილი ოდენობით, რომელიც უნდა მიეკუთვნოს საწარმოო ხარჯებს.

პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მიწებზე დაცვითი ტყის კორომების შენარჩუნებაზე ეკისრებათ მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირებსა და საკოლმეურნეო ტყის მეტყევეებს;

2. საკოლმეურნეო ტყეების მეტყევეს, დარაჯს, ტყის მცველს ეკისრებათ შემდეგი მოვალეობანი: ტყის დაცვა უნებართვო ჭრისაგან და სხვა უკანონო სარგებლობისაგან, ტყის დაცვა ხანძრისაგან, ტყეკაფების გამოყოფის დროს მონაწილეობის მიღება, მეთვალყურეობა ტყის ჭრის წესების შესრულებაზე, ტყის თესვისა და დარგვის სამუშაოებზე, ბუნებრივი განახლების ხელის შეწყობაზე, ტყის ჩახერგილობისაგან გაწმენდაზე, ძირსნაყარისა და ქარქცეულის დამზადებაზე, მავნე მწერებისა და დაავადებათა გაჩენის შემთხვევების აღმოჩენა და მათ საწინააღმდეგოდ ზომების მიღებაზე, მეთვალყურეობა თივის გათიბვაზე, პირუტყვის ძოვებასა და სხვა სახის არაპირდაპირ სარგებლობაზე, ტყის კულტურებისა და მოზარდის დაცვა დაზიანებისაგან, პირადი მონაწილეობა ყველა სატყეო სამეურნეო სამუშაოებზე;

---

[1] ძირითადი დებულებები საკოლმეურნეო ტყეების დაცვის შესახებ ამოღებულია სსრკ მინ. საბჭოს 1955 წ 25. II დადგენილებით დამტკიცებული დებულებიდან და სსრკ ყოფ. სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1949 წ. 19 ივლისის დამტკიცებული წესებიდან.

3. მეტყევე ემორჩილება კოლმეურნეობის გამგეობასა და მის თავმჯდომარეს, დარაჯი — ტყის მცველი მეტყევესა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს;

4. საკოლმეურნეო ტყეებში ტყის წესების დარღვევებად ითვლება: უნებართვოდ (ტყის საჭრელი ბილეთის გარეშე) ხეების მოჭრა, ხე-ტყის მასალის დამზადება არა იმ ადგილებში, არა იმ ჯიშებისა და არა იმ რაოდენობით, რაზედაც გაცემულია ნებართვა, ტყიდან უნებართვოდ მოჭრილი, ქარქცეული და ძირსნაყარი ხეების გატაცება. ხეების დაზიანება ჩამოთლით, ცეცხლით, ქერქის შემოცლით. უხებართვოდ ხეების გამოფისვა და კუპრის გამოხდა, ნახშირის დაწვა. უნებართვოდ პირუტყვის ძოვება და ბალახის გათიბვა და აგრეთვე პირუტყვის ძოვება აკრძალულ ადგილებში. ტყის ფართობის თვითნებურად მოხვნა, ტყეში ხანძრის უშიშროების წესების დარღვევა.

დაცვითი ტყის კორომებში, მათი ხნოვანების მიუხედავად, ტყის წესების დარღვევებად ითვლება: პირუტყვის ძოვება და გადარეკვა, საველე ბინების, ქოხების, სატრაქტორო ბრიგადების სადგომების, ტრაქტორებისა და მანქანების გასაჩერებელი ადგილების მოწყობა, გზებისა და ბილიკების გაყვანა და სხვ.;

5. საკოლმეურნეო ტყეებში დარღვევების დაშვებისათვის დამრღვევნი პასუხს აგებენ თანახმად იმ კანონმდებლობისა, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებისათვის;

6. უნებართვო ჭრისა და სხვა დარღვევების აღმოჩენისას მეტყევე და აგრეთვე დარაჯი — ტყის მცველი ვალდებული არის დააკავოს დამრღვევი პირი, შეადგინოს დარღვევაზე აქტი და წარუდგინოს იგი კოლმეურნეობის გამგეობას არა უგვიანეს ორი დღისა მისი შედგენის შემდეგ.

თუ ტყის წესების დამრღვევი არ იქნა აღმოჩენილი და მოჭრილი ხე-ტყე მის მიერ ტყიდან გაზიდულია, ტყის წესების დარღვევაზე შედგენილი აქტი გადაეცემა მილიციის ორ-

განოებს დამრღვევისა და გატაცებული ხე-ტყის აღმოჩენისათვის ზომების მისაღებად.

ტყის წესების დარღვევაზე შედგენილ აქტს ხელს აწერს მეტყევე, დარაჯი ტყის მცველი, რომელმაც აღმოაჩინა დარღვევა და თვით დამრღვევი პირი.

ტყის წესების დამრღვევის ადგილზე აღმოუჩენლობის შემთხვევაში, და აგრეთვე მის მიერ აქტზე ხელის მოწერის უარის თქმის შემთხვევაში, აქტზე კეთდება სათანადო აღნიშვნა. დამრღვევის წერა-კითხვის უცოდინარობის შემთხვევაში მის მაგიერ აქტზე ხელს აწერს მისივე თხოვნით წერა-კითხვის მცოდნე პირი, რაც აღინიშნება აქტში. საკოლმეურნეო ტყის მეტყევის ან დარაჯი ტყის მცველის მიერ წერა-კითხვის უცოდინარობის შემთხვევაში მის მაგიერ აქტზე ხელის მოწერა არ დაიშვება;

7. ტყის წესების დარღვევის აქტში აღნიშნული ტყის შეფასება ხდება საკოლმეურნეო ტყეებიდან ხე-ტყის ძირზე გასაცემი მოქმედი ნიხრების მიხედვით. გარდა ამისა, გამოიანგარიშება აგრეთვე ის ზარალი, რომელიც მიყენებულია ტყის მეურნეობისათვის, ტყის უკანონო ჭრით ან მერქნის გატაცებით.

საკოლმეურნეო ტყეებში თვითნებური თიბვისა და პირუტყვის ძოვებისათვის ტყის წესების დამრღვევ პირებს ჯარიმა გადახდება სასამართლოს წესით, საკავშირო სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 აგვისტოს № 2915 დადგენილების შესაბამისად;

8. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალდებულია ორი დღის განმავლობაში შეამოწმოს შედგენილი აქტის სისწორე და თუ ტყის წესების დარღვევა კანონით არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, გადააგზავნოს იგი სასამართლოში ჯარიმის დასადებად და მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, უნდა გადაუგზავნოს იგი გამოსაძიებლად მილიციის რაიგანყოფილების უფროსს, თუ ტყის წესების დარღვევა კანონით ითვალისწინებს სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობას. აქტები. აკრძალულ ზონაში მომხდარ წვრილმან დარღვევებზე, რომელთა თანხა გასაცემი ნიხრით 10 მანეთს არ აღემატება და რომელსაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოსდევს, მაგრამ სპეციალურ გამოძიებას არ საჭიროებს, უშუალოდ სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს. ჯარიმები, ამოღებული სასამართლოს დადგენილების მიხედვით, როგორც დასჯის ღონისძიება, საკოლმეურნეო ტყეებიდან მერქნის უკანონო ჭრისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება. კოლმეურნეობების ტყეებში ტყის მეურნეობის დარღვევების გამო საპირგასამტეხლო და მიყენებული ზარალისათვის ასანაზღაურებლად ამოღებული თანხები, აგრეთვე „საკოლმეურნეო ტყეებში ტყის მეურნეობის წესების დარღვევებისათვის“ და საკოლმეურნეო ტყეებიდან არაპირდაპირ სარგებლობით თივის გათიბვისა და პირუტყვის ძოვების წესების დარღვევისათვის, ჯარიმები მთლიანად ჩაირიცხება კოლმეურნეობების შემოსავალში.

თვითნებურად მოჭრილი ხის ყველა ის ძირკვი, რომელიც გაფორმებულია აქტით, უნდა დაიდამღოს სპეციალური დამღით, რომელიც კოლმეურნეობების თავმჯდომარესთან ინახება;

9. კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებული არიან საკოლმეურნეო ტყეებში ჩაატარონ შემდეგი ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებები:

ა) დროულად ჩაატარონ დამზადების ნარჩენების შეგროვება და ტყის ჩახერგილობისაგან გაწმენდა;

ბ) გაწმინდონ საკვარტალო და სასაზღვრო სირონები;

გ) შემოფარგლონ წიწვიანი ჯიშების მოზარდი და გამიჯნონ ტყის გზები, რკინიგზები და ყამირი გზები ხანძრის საწინააღმდეგო დაცვითი ზოლებითა და კვლებით;

დ) შემოხსნან და შემოფარგლონ თხრილებით სამეურნეო და სასამსახურო შენობები ფისისა და კუპრის გამოსახდელად გამოყოფილი ნაკვეთები და ხანძრის მხრივ საშიში სარეწაო ადგილები;

ე) სრულიად აღკვეთონ ხანძრის საშიშ პერიოდში ტყეში ცეცხლის დანთება, დააწესონ ხანძრის მხრივ საშიშ უბნებში დარაჯის და ტყის მცველთა რეგულარული პატრულირება;

ვ) ჩაატარონ ხანძრის საწინააღმდეგო პროპაგანდა ცეცხლთან ფრთხილად მოპყრობისა და ხანძრის უშიშროების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

10. პატარა ფართობზე მოდებული ხანძრის ჩაქრობა ხდება კოლმეურნეთა ძალებით. თუ ხანძარი გაძლიერდა, იმ შემთხვევაში ხანძრის ჩასაქრობად რაიაღმასკომი და სასოფლო საბჭო დასახმარებლად იწვევს მეზობელი დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებს, ხანძრის ჩაქრობის სამუშაოებზე ხელმძღვანელობა ეკისრება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ან მის შემცვლელ პირს და მათი მითითება ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ყველა მონაწილე პირისათვის სავალდებულოდ ითვლება.

11. ხანძრის ჩაქრობის შემდეგ, კომისია კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოფ. საბჭოს თავმჯდომარისა და კოლმეურნეობის გამგეობის წევრთა შემადგენლობით ადგენს აქტს ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი კოლმეურნეობის თავმჯდომარის წარდგენით რაისაბჭოს აღმასკომის მიერ იგზავნება საგამომძიებლო ორგანოში, მეორე ეგზემპლარი კი კოლმეურნეობის საქმეში ინახება;

12. ტყის მავნებლების მასობრივი გავრცელების შესახებ კოლმეურნეობის გამგეობა აცნობებს სატყეო მეურნეობას და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, ხოლო უკანასკნელთა მითითებით ატარებს ბრძოლის ღონისძიებებს ტყის მავნებლების წინააღმდეგ.

საკოლმეურნეო ტყეებში. ტყის დაცვის ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია სატყეო ფართობის შესაბამისად, არანაკლებ 50 ჰექტარისა, გამოჰყოს მეტყევე, და დარაჯი ან ტყის მცველი. საკოლმეურნეო ტყის მეტყევე ვალდებულია ზუსტად განახორციელოს

ტყის დაცვის, გაშენების, მოვლისა და სარგებლობის ძოქმედი დებულებით დადგენილი წესები.

სახელმწიფო ტყის დაცვის უკეთ ორგანიზაციის მიზნით სატყეო მეურნეობებში ეწყობა წარჩინებული სამცველოები. წარჩინებული სამცველოები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: სამცველო უნდა იყოს მოწყობილი კულტურულად. სახელდობრ, საკვარტალო ქსელი უნდა იყოს გაწმენდილი მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეებისაგან, სამცველოში არსებული სამიჯნო ნიშნები წესიერ მდგომარეობაში უხდა იმყოფებოდეს, დასახლებული ადგილების მახლობლად რაიონებსა და ტყეში გამავალი გზების გაყოლებით გამოკიდული უნდა იქნეს ხანძრის საწინააღმდეგო, ტყის გაჩეხვისაგან ან ტყის სარგებლობის წესების სხვა დარღვევების ასაცილებელი წარწერები, მოწოდებები და აგრეთვე ტყის სარგებლობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეები. ეს წარწერები უნდა გამოიკიდოს თვალსაჩინო ადგილას და ინახებოდეს წესიერ მდგომარეობაში. ტყეში გამავალ გზებზე, სადაც მოქალაქეთა მოძრაობა წარმოებს, ხანძრის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ყოველ 3—5 კილომეტრზე მოეწყოს პაპიროსის მოსაწევი ადგილები; ტყის კორდონები, აგრეთვე კორდონის საკარმიდამო ნაკვეთი უხდა იყოს გასუფთავებული და წესიერ მდგომარეობაში, ნაკვეთი გამწვანებული უნდა იყოს დეკორაციული მცენარეებით, ხეხილის ხეებით და აგრეთვე იმ ჯიშის მერქნიანი მცენარეებით, რომელიც სამცველოს ტყეებშია გავრცელებული. სამცველოში არსებული ყველა სახის ინვენტარი და ხელსაწყო-იარაღები, სამცველოს პასპორტი, სამცველოში არსებული ღობეები, ხიდეები, თუ ტყეები საკურორტო მნიშვნელობისა — საკურორტო მნიშვნელობის ობიექტები: სკამები, ბილიკები, გზები და სხვ. იმყოფებოდეს სრულ წესრიგში. ყველა სახის სამუშაოები, რაც სამცველოს ტერიტორიაზე ტყის მცველის ხელმძღვანელობით სრულდება (სატყეო-საკულტურო სამუშაოები, ტყის დაცვის სამუშაოები, ტყის გაწმენდის სამუშა-

ოები, და სხვ.), უნდა სრულდებოდეს დროულად სატყეო აგროწესების მიხედვით, საუკეთესო შეფასებით.

წარჩინებული სამცველოს (საუკეთესო ხარისხის სამცველოს) ტყის მცველის მოვალეობას შეადგენს:

ა) ზედმიწევნით კარგად იცოდეს სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკების უფლება-მოვალეობანი, აგრეთვე კარგად ჰქონდეს ათვისებული ტექმინიმუმის პროგრამა;

ბ) დაიცვას შრომის დისციპლინის ყველა მოთხოვნილებანი და დროულად შეასრულოს უფროსი ტყის მცველისა და ადმინისტრაციის ყველა კანონიერი განკარგულებანი;

გ) ჩაატაროს ახსნა-განმარტებითი მუშაობა სამცველოსთან ახლო მდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობაში. გამოყოს სოფლის მოწინავე ადამიანებისაგან, მათი სურვილისა და ინიციატივის მიხედვით სახანძრო ბრიგადები, რომლებსაც შეასწავლოს ტყის ხანძრის ჩაქრობის წესები და გამოიყენოს ისინი საჭიროების შემთხვევაში, როგორც ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის, ისე ტყის დაცვის წესების განხორციელებაში;

დ) არ დაუშვას წარჩინებული სამცველოს ტერიტორიაზე ტყის ხანძრის გაჩენის არცერთი შემთხვევა და თუ ყოველგვარი გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარების მიუხედავად ტყის ხანძარს მაინც ექნება ადგილი, მიიღოს სასწრაფო ზომები მის დაუყოვნებლივ ჩასაქრობად;

ე) არ დაუშვას სამცველოში ტყის უნებართვო ჭრის არცერთი შემთხვევა და ტყის უნებართვო სარგებლობის სხვა შემთხვევები. თვალყური ადევნოს ტყის დამამზადებლების მიერ ხე-ტყის ძირზე გაცემის წესების შესრულებას და ამ წესების დარღვევის ყოველი ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უფროს ტყის მცველს ან სატყეოს უფროსს, სატყეო მეურნეობის ადმინისტრაცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველმხრივ გამალონ სოციალისტური შეჯიბრი სამცველოებს შორის ტყის დაცვის საუკეთესო ორგანიზაციისათვის. შეჯიბრების

შედეგები სისტემატურად უნდა იხილებოდეს სატყეო მეურ-ნეობის საერთო კრებებზე, საწარმოო თათბირებზე.

ყოველმხრივ უნდა წახალისდეს სოცშეჯიბრში გამარჯვებული მუშაკები!

ფართოდ უნდა დაინერგოს სამცველოებში მოწინავე სამცველოების გამოცდილებანი.

საუკეთესოდ მომუშავე სამცველოების საზღვრებზე უნდა გაუკეთდეს წარწერა „წარჩინებული სამცველო", აგრეთვე წარჩინებული სამცველოს მცველის გვარი, სახელი, მამის სახელი. სახელმწიფოს ტყის დაცვის მუშაკები, აგრეთვე სასამართლო საგამომძიებლო ორგანოები ვალდებული არიან ზუსტად დაიცვან სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წლის 22 დეკემბრის № 2080 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სარგებლობის წესების დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის ინსტრუქცია.

ინსტრუქციის მიხედვით:

§ 1. ტყის წესების დარღვევას, რაც ისჯება სისხლის სამართლის წესით რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 85-ე მუხლით და დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაფერი მუხლებით, ანდა რაც იწვევს ჯარიმის დადებას სასამართლოს წესით, თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. 2 აგვისტოს № 1261 დადგენილების მე-17 მუხლისა წარმოადგენს:

ა) ძირზემდგომი და მკვდარი ტყის თვითნებური გაჩეხვა, და აგრეთვე ტყის გაჩეხვა არა იმ ადგილზე, არა იმ ჯიშის, ანდა არა იმ რაოდენობით, როგორც ეს ნაჩვენებია ტყის საჭრელ ბილეთში ან სხვა დოკუმენტში, რომელიც ეძლევათ ტყის დამზადებაზე და გამოზიდვაზე;

ბ) გატაცება ტყიდან ხეების როგორც ძირზე მოჭრილების ისე ქარტეხილების, ქარისგან წაქცეულისა და ნაყარის, გარდა წვრილი კაფვისა, რომელსაც აწარმოებენ გამვლელნი გზაში გატეხილის შესაკეთებლად;

გ) გამოფისვის თვითნებური წარმოება;

დ) ხე-ტყის თვითნებური გადამუშავება: ფისის გამოხდა, კუპრის დამზადება, პოტასიუმის მოპოვება, ნახშირის გამოწვა და სხვ.;

ე) თვითნებური თიბვა სათანადო ნებართვის (ბილეთის, ორდერის) გარეშე;

ვ) დაზიანება მოზარდი ტყისა, ტყის კულტურებისა, სანერგეებისა და ბუნებრივი ტყის აღდგენისათვის გამოყოფილი ფართობებისა, როგორც აკრძალულ ადგილებში პირუტყვის ძოვების, ისე ამ ადგილებში სავალი გზების გაყვანის შედეგად, და აგრეთვე დაზიანება ან განადგურება ამ ფართობების გარშემორტყმული ღობისა;

ზ) სატყეო ფართობზე თვითნებური ამოძირკვის ჩატარება, გაწმენდა და მოხვნა, საწყობების მოწყობა და შენობების აგება;

თ) სპეციალური კანონებისა და სავალდებულო დადგენილებების საფუძველზე დაწესებულ ხანძრისსაწინააღმდეგო წესების დაუცველობა.

§ 2. ტყის ხანძრების ჩაქრობის დროს ბეგარის შესრულებაზე უარის თქმისათვის, ტყის წესების დამრღვევთა მიერ ტყის ადმინისტრაციისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის, სატელეფონო ქსელის, ხანძრისსაწინააღმდეგო კოშკების, სამიჯნე და ტყის მეურნეობის სხვა ნიშნების განზრახ განადგურების ან წახდენისათვის, ტყისათვის ცეცხლის წაკიდებისათვის, დამზადებული ხე-ტყის პროდუქციის გატაცებისათვის, აკრძალულ ადგილებში, აკრძალულ ვადებში ანდა აკრძალული საშუალებებით და იარაღით ნადირობისათვის, თანამდებობრივ პირთა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობისადმი უმოქმედო და გულგრილი მოპყრობისათვის, ტყეკაფის დამუშავების, გაწმენდისა და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარების დროს წესების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების მიხედვით.

§ 3. ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები ქონებრივ პასუხისმგებლობას (ზიანის ანაზღაურება, ჯარიმის გადახდა) ეწევიან ხელშეკრულების ან ხე-ტყის გაცემის ნორმალური ტექნიკური პირობების ქვემოთ ჩამოთვლილ დარღვევებისათვის:

ა) ტყის გაჩეხვა და დამზადება ტყის საჭრელი ბილეთის, ორდერის ან მისი შემცვლელი სხვა დოკუმენტების გარეშე, ანდა ამ დოკუმენტში აღნიშნული ვადის ზევით;

ბ) ხე-ტყის თვითნებური გაზიდვა ან დაცურება ძის სრულ ანაზღაურებამდე (უკეთუ ხე-ტყე ფასითაა ვაცემული) ან აზომვამდე (შემოწმებამდე);

გ) ტყეში გზების ან მორსათრევების გაყვანა, სასაწყობო ადგილების მოწყობა, შენობების აგება, ფისის გამოხდა, კუპრის დამზადება, ნახშირის გამოწვა, პოტასიუმის მოპოვება არა იმ ადგილებში, რომლებიც ნაჩვენებია ნებართვაში (ორდერში);

დ) გაჩეხვა ან დაზიანება (ხეების ყოველგვარი დაზიანება და მოტეხვა, ძირკვების დაზიანება, ხეების ცეცხლით შეტრუსვა, დასერვა, ტოტების ჩამოჭრა, გაქერქვა და ა. შ.) გაუცემელ ხეებისა (ისევე, როგორც სხვა ჯიშის ხეებისა), არა იმ ზომისა და ხარისხისა, რომელიც ნაჩვენებია ბილეთში (ორდერში);

ე) სათესლეების, სპეცხეებისა და სარეზერვო ხეების გაჩეხვა ან დაზიანება ტყის საჭრელი ბილეთის მოქმედების ვადის გასვლამდე, და აგრეთვე ტყის გაჩეხვა გაცემული უბნის მოსაზღვრე ზოლებში, იმ სიგანით, რომელიც განისაზღვრება ხე-ტყის გაცემის პირობებით;

ვ) გადამუშავება ხე-ტყისა (რომელიც გაცემულია რაოდენობის აღრიცხვით) მის შემოწმებამდე სატყეო მეურნეობის („ლესპრომხოზის", „ლესტრანხოზის", „რაილესხოზის") მიურ, და აგრეთვე ხე-ტყის არარაციონალური დამუშავება (სამასალე ხე-ტყის საშეშედ გადაყვანა);

ზ) ტყის საჭრელ ბილეთში, ორდერში და სხვა დოკუმენ-

ტებში აღნიშნული მერქნის რაოდენობაზე მეტ-ნაკლები ოდენობით მოჭრა;

თ) ხე-ტყის გაცემის პირობებით დაწესებული იმ ზომების მიუღებლობა, რომელიც შეეხება ტყის ხანძრისაგან და მავნე მწერების გავრცელებისაგან დაცვას, კერძოდ, თუ საზაფხულო დამზადებისა და გამოზიდვის დროს არ არის დაყენებული სახანძრო დარაჯები, არ არის გაყვანილი საცავი ზოლები ტყეკაფების ან გროვა-გროვად დაწყობილი ხე-ტყის მასალისა და ნაჩეხის ნარჩენთა გროვების გარშემო, არ არის გაწმენდილი ზოლები ტყისსაზიდ გზებზე, არ არის გაქერქილი ტყეში საზაფხულოდ დასატოვებელი წიწვიანი მასალა, არ არის გასხლული მსხვილი ხე მოზარდ ხეებს შორის წაქცევის დროსა და სხვ.;

ი) დაწესებულ სატყეო კულტურულ ღონისძიებათა შეუსრულებლობა, და აგრეთვე მოზარდის კულტურის წახდენა;

კ) ხე-ტყის მიღებაზე ტყის საჭრელი ბილეთის (ორდერებისა და სხვა დოკუმენტების) დაწესებულ ვადაზე აუღებლობა, და აგრეთვე ტყის მოჭრა აკრძალულ დროს;

ლ) ჭრის ადგილებში ნებადაურთველი ამოძირკვა, წიწვიანი ხეების ფესვებიანად ამოღების დროს ორმოების ამოუვსებლად დატოვება, დაწესებულზე მეტი სიმაღლის ძირკვების დატოვება, ფოთლოვანი ჯიშის ძირკვების წახდენა ან განაღვურება და ხეებზე დამღებისა და ნომრების მოსპობა;

მ) გამოფისვის, ქერქის დამზადებისა და სხვ. წარმოების წესების დარღვევა;

ნ) ტყეკაფებისა და ტყეკაფების ნაკვეთების ბოძების წახდენა და განადგურება;

ო) დამზადებული მასალის იმ საწყობებში გაზიდვა, რომლებიც არაა აღნიშნული ტყის საჭრელ ბილეთში (ორდერში ან სხვა დოკუმენტში), და აგრეთვე მათი მიზიდვა საწყობებში— წინათ გაზიდული ხე-ტყის შემოწმების შემდეგ და ამასთან ტყეკაფებიდან და საწყობებიდან დამზადებული ტყის მასალის ნებადაურთველი გაზიდვა;

პ) ფოთლოვანი ხეების ნებადაურთველი წაქცევა ფესვებიანად;

ჟ) დამზადებასთან ერთად ჭრის ადგილებში გასაწმენდ სამუშაოების შეუსრულებლობა, და აგრეთვე ამ სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი შესრულება;

რ) ნახანძრის მფლიანი დამუშავების დროს არალიკვიდური და წვრილზომი ხე-ტყის მოუჭრელად და გაუწმენდავად დატოვება;

ს) ტყის მოჭრის დროს გზების, ვიზირების, სირონების, არხებისა და მდინარეების დანაგვიანება;

ტ) დასამზადებელი მასალის დაცვის ხაზით, ვალდებულებების შეუსრულებლობა ამ მასალის სრულ ანაზღაურებამდე (უკეთუ გაცემა ფასიანია) ან მათ შემოწმებამდე.

ტყის წესების დარღვევის გამოძიებისა და ტყის წესების დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის წესი

§ 4. ტყის წესების ყოველი დარღვევის აღმოჩენისას, სახელმწიფო ტყის დაცვის ან ტყის ადმინისტრაციის ორგანოები ადგენენ აქტს დაწესებული ფორმის მიხედვით. თუ ტყის წესები დარღვეულია რამდენიმე პირის მიერ, დგება ერთი აქტი ყველა დამრღვევთა მიმართ.

§ 5. იმ შემთხვევაში, თუ ტყის გაცემის ნორმალური ტექნიკური პირობები დარღვეულია ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ, პასუხისმგებლობა სასამართლოს წესით ეკისრება (გამომდინარე საქმის ვითარებიდან) ტყის დამამზადებელი ორგანიზაციის თანამდებობრივ პირებს, რომლებიც დამნაშავენი არიან წესის დარღვევის დაშვებაში ანდა იმ პირებს, რომლებმაც უშუალოდ წესის დარღვევა ჩაიდინეს.

დამოუკიდებლად ამისა ტყის დამამზადებელ ორგანიზაციას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც მიყენებულია სატყეო მეურნეობისათვის ნორმალური პირობების დარღვევის შედეგად (ხელშეკრულე-

ბით გათვალისწინებული საპირგამტეხლოს ჯარიმის გადახდა, ზარალის ანაზღაურება).

აქტის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვევიან ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხოლო ამ პირთა ვადაზე გამოუცხადებლობა არ შეაჩერებს ტყის დაცვის ან ტყის ადმინისტრაციის მოქმედებას.

§ 6. აქტს ტყის წესების დარღვევის შესახებ ხელს აწერს სახელმწიფო ტყის დაცვის ან ტყის ადმინისტრაციის მუშაკი (რომელმაც აღმოაჩინა წესის დარღვევა) და ტყის წესების დამრღვევი.

ტყის წესების დამრღვევის ადგილზე აღმოუჩენლობის დროს და აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მან ხელის მოწერაზე უარი განაცხადა, ამის შესახებ აქტში შენიშვნა უნდა იქნეს გაკეთებული. წერა-კითხვის უცოდინართა მაგიერ, მათი თხოვნით ხელს აწერენ სხვა პირები, რაც აღინიშნება აქტში. წერა-კითხვის უცოდინარ ტყის წესების დამრღვევთა მაგიერ ხელის მოწერა სახელმწიფო ტყის-დაცვისა და ტყის ადმინისტრაციის თანამდებობრივ პირთა მიერ არ დაიშვება.

§ 5-ში აღნიშნული შემთხვევების დროს, აქტს ხელს აწერენ აგრეთვე მისი შედგენის დროს დამსწრე ტყის დამამზადებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

§ 7. პირუტყვის მიერ კულტურების, მოზარდის, სანერგეების, სათიბის წახდენის დროს, ტყის ფართობის თვითნებურად დახვნის ან ამოძირკვის დროს, სატყეო ფართობების წიაღისეულთა თვითნებურად სარგებლობის დროს, ტყის წესების ჩამოთვლილი დარღვევების ოდენობასა და მიყენებული ზარალის ხარისხს აწესებს სატყეო მეურნეობის („ლესპრომხოზის", „ლესტრანხოზის", „რაილესხოზის") კომისია სოფლის საბჭოს წარმომადგენლებისა, და უკიდურეს შემთხვევაში, გარეშე მოქალაქეთა მონაწილეობით.

§ 8. სახელმწიფო ტყის დაცვა დააკავებს — ტყის წესების დამრღვევის მიერ უკანონოდ მოპოვებულ მასალას ადგილზე (ტყეში) ან ტყიდან გაზიდვის დროს და აბარებს მას ხელწერილის ქვეშ სხვა პირებს მასალის აღმოჩენის ადგილზე

და აგრეთვე აბარებს ტყის წესების დამრღვევესაც, უკეთუ მასალა ამ უკანასკნელის ხელშია აღმოჩენილი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის წესების დამრღვევის მიერ უკანონოდ მოპოვებული მასალა მიტანილია მოხმარების ადგილზე, ან დახარჯულია, — დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას აწარმოებენ მილიციის ორგანოები.

§ 9. აქტი ყველა დანართით შედგენისთანავე დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 2 დღისა, გადაეცემა სატყეოს უფროსს (ტყის მეურნეობის უბნის გამგეს), რომელსაც ეს აქტი ჩაბარდება ხელწერილის ქვეშ.

§ 10. აქტის მიღებისთანავე სატყეოს უფროსი (ტყის მეურნეობის უბნის გამგე) ვალდებულია ერთი დღე-ღამის განმავლობაში შეამოწმოს მისი შედგენის სისწორე და მოახდინოს გაჩეხილი ან დაზიანებული ხე-ტყის ან სხვა მასალის შეფასება ადგილობრივი მოქმედი ნიხრის მიხედვით და დაუყოვნებლივ გადააგზავნოს აქტი სატყეო მეურნეობაში („ლესპრომხოზში“ „ლესტრანხოზში“, „რაილესხოზში“), ხოლო წინასწარ უნდა ჩაიწეროს ეს აქტი ტყის წესების დარღვევათა აღრიცხვის წიგნში.

§ 11. სატყეო მეურნეობა („ლესპრომხოზი“, „ლესტრანხოზი“, „რაილესხოზი“) მიღებულ აქტზე აღნიშნავს მისი მიღების თარიღს, ამოწმებს აქტის სისწორეს და ტყის წესების დარღვევათა წიგნისა და ანბანის მიხედვით გამოარკვევს. თუ ამ პირმა მერამდენედ ჩაიდინა ტყის წესების დარღვევა, რის შესახებაც აქტს თან დაურთავს წერილობით ცნობას. სატყეო მეურნეობის დირექტორი აქტის დედაარსის მიხედვით იძლევა წერილობით დასკვნას.

§ 12. სათანადოდ გაფორმებულად და სწორედ შედგენილად ცნობილი აქტი ყველა მასალითა და სატყეო მეურნეობის („ლესპრომხოზის“, „ლესტრანხოზის“, „რაილესხოზის“) დირექტორის განცხადებით ორი დღის განმავლობაში გადაიგზავნება:

ა) სახალხო სასამართლოში დასაჯარიმებლად, უკეთუ

ტყის წესების დარღვევა> არ მოითხოვს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას;

ბ) მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებში გამოსაძიებლად იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის წესების დარღვევა მოითხოვს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.

აქტები წყალდაცვითი ზონის აკრძალულ ზოლში წვრილმანი დარღვევების შესახებ თანხით (ნიხრის მიხედვით) 10 მანეთამდე, რომლებიც მოითხოვენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, ხოლო არ საჭიროებენ სპეციალურ გამოკვლევას, უშუალოდ სახალხო სასამართლოში გადიგზავნებიან.

იმ შემთხვევაში, თუ საქმის გამო, რომელიც მოითხოვს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, არ არის აღმოჩენილი დამნაშავე, აქტები გადაეგზავნება კვლევა-ძიების ორგანოებს, ხოლო ის საქმეები, რომლებიც არ მოითხოვენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, — მოისპობიან სატყეო მეურნეობის („ლესპრომხოზის", „ლესტრანხოზის", „რაილესხოზის") დირექტორის განკარგულებით.

აქტის გადაგზავნის დროსა და მისი ხასიათის შესახებ სატყეო მეურნეობა („ლესპრომხოზი", „ლესტრანხოზი", „რაილესხოზი") აღნიშნავს ტყის წესების დარღვევათა აღრიცხვის წიგნში, რომელშიც შემდეგში შეიტანება ცნობები საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტყის წესების დარღვევის ყველა იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა თვით ტყის მეურნეობის („ლესპრომხოზის", „ლესტრანხოზის", „რაილესხოზის") ან ტერიტორიალურ სამმართველოს (ტრესტის) საწარმოო მოქმედების შედეგად, და რის შესახებაც მასალები არ გადაეცა სასამართლო ორგანოებს ამ ინსტრუქციით დაწესებულ ვადებში, — ტერიტორიულ სამმართველოს ან სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის უფროსმა (ინსპექტორმა), „ლესპრომხოზის", „ლესტრანხოზის", „რაილესხოზის" ან ტრესტის ტყის მეურნეობის სექტორის უფროსმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ზემდგომ ორგანიზაციას.

§ 13. იმ შემთხვევაში, როდესაც სატყეო მეურნეობა („ლესპრომხოზი", „ლესტრანხოზი", „რაილესხოზი") განლაგებულია რამდენიმე ადმინისტრატიული რაიონის ტერიტორიაზე, ტერსამმართველოს (ტრესტის) უფროსის განკარგულებით ზოგიერთ სატყეოს უფროსს (ტყის მეურნეობის უბნის გამგეს) უფლება ეძლევა უშუალოდ გადაგზავნოს აქტები ტყის დარღვევის შესახებ, თანახმად მე-12 §-ისა.

§ 14. ტყის მეურნეობების („ლესპრომხოზების", „ლესტრანხოზების", „რაილესხოზების") დირექტორებს უფლება ეძლევათ მოსპონ საქმე წვრილმანი დარღვევების შესახებ, რომლებიც არ ატარებენ რეწვის ხასიათს და პირველად არიან ჩადენილნი, უკეთუ ამავე დროს უკანონოდ შეძენილი მასალის ღირებულება, ან მიყენებული ზარალი არ აღემატება არსებული ნიხრის მიხედვით სამ მანეთს წყალდაცვითი ზონის აკრძალულ ზოლში, და 5 მანეთს ტყის დაცვისა და ტყის მრეწველობის ზონის ტყეების დანარჩენ ნაწილში.

§ 15. კვლევა-ძიება ტყის წესების დარღვევის შესახებ დასრულებული უნდა იქნეს 7 დღის ვადაში. კვლევა-ძიების დამთავრების შემდეგ საქმე უნდა გადაეგზავნოს პროკურორს ან უშუალოდ სახალხო სასამართლოს თანახმად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსების მოთხოვნილებებისა.

ტყის წესების დარღვევით მიყენებული ზარალის განსაზღვრის წესი

§ 16. ზარალი ტყის კულტურების წახდენისაგან განისაზღვრება გამომდინარე იმ ხარჯების საშუალო ღირებულებიდან, რომლებიც დასჭირდება ტყის ხელოვნურ აღდგენასა და კულტურების მოვლას, რაც გამოანგარიშებული უნდა იქნეს აღმასრულებელი კალკულაციის საფუძველზე.

§ 17. სათიბების წახდენისა და ბალახის თვითნებური

გათიბვის დროს ზარალის განსაზღვრა წარმოებს ამ რაიონში თივაზე არსებული საბაზრო ფასების საფუძველზე, თანახმად სათანადო რაიაღმასკომის მიერ გაცემული ცნობისა, სათანადო სათიბი უბნების ხარისხის აღრიცხვით, მათი ნაყოფიერების დაწესებული კატეგორიების მიხედვით.

დაცვა სახელმწიფო ტყის ფონდის სათიბი უბნებისა, ბილეთების (ორდერების) თანახმად გარკვეულ მოსარგებლეთათვის მათი გადაცემის შემდეგ, ეკისრებათ ამ უკანასკნელებს, და ყოველგვარ პრეტენზიებს მიყენებული ზარალის შესახებ ისინი აღძრავენ საერთო-სამოქალაქო წესით.

§ 18. ტყის მოჭრის დროს, გზების, ვიზირების, ტყეკაფების, არხების, მდინარეების დანაგვიანების გამო, გამყოფ, კვარტალურ და სასაზღვრე ბოძების განადგურებისა და დაზიანების გამო, და აგრეთვე თვითნებური ხვნისა და ამოძირკვის გამო მიყენებული ზარალის განსაზღვრა წარმოებს იმ სამუშაოთა ფაქტიური ღირებულების მიხედვით, რომლებიც ჩატარებული უნდა იქნეს აღნიშნული ობიექტების აღდგენისა და გამოსწორებისათვის.

ამ შემთხვევაში ზარალის განსაზღვრა წარმოებს აღსადგენ სამუშაოთა დაწყებამდე სახელმწიფო ტყის დაცვის ან ტყის ადმინისტრაციის მიერ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლისა და ტყის წესების დამრღვევის მონაწილეობით.

§ 19. ხანძრით მიყენებული ზარალის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება:

ა) ზარალი მიყენებული ხანძრის მომენტში კორომისათვის;

ბ) დაღუპვა ხე-ტყისა დამზადებული პროდუქციის სახით;

გ) ზარალი მიყენებული სხვადასხვაგვარი ნაგებობისათვის, ინვენტარისათვის და ა. შ.;

დ) სახსრების დახარჯვა ტყის ხანძრის ჩაქრობისათვის.

იმ რაიონებში, სადაც მოსაჭრელი ხე-ტყე ხანძრის შემდეგ ველარ გასაღდება, ხანძრისაგან მიყენებულ ზარალში შეევა ამ ხე-ტყის სრული ღირებულება და მისი გაზიდვის ღირებულე-

ბა; დანარჩენ რაიონებში კი კორომისათვის ხანძრით მიყენებული ზარალი განისაზღვრება განსხვავებით სამასალე და საშეშე ხე-ტყის ნიხრობრივ ღირებულებას შორის ხანძრამდე და ხანძრის შემდეგ ამ რაიონში მოქმედი ნიხრის თანახმად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხანძრით განადგურებულია კულტურები (მიუხედავად მათი ხნოვანებისა), ზარალის გამოანგარიშება ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენია დახარჯული კულტურების წარმოებაზე და მათ მოვლაზე, იმ ხე-ტყის (ხნოვანი კულტურების) ღირებულების გამოკლებით, რომლებიც შეიძლება რეალიზებულ იქნას ნახანძრის დამუშავების წესით.

იმ შემთხვევაში, როდესაც კორომი ცეცხლისაგან მთლიანადაა განადგურებული ან შესაძლებლობა არ არის ხანძრის შემდეგ გამოანგარიშების გზით გამორკვეულ იქნას სამასალე და საშეშე ხე-ტყის ყოფილი მარაგი, ამ უკანასკნელის ოდენობა წესდება ტყის მოწყობის ცნობის მიხედვით.

ტყის წესების დარღვევით მიყენებულ ზარალის ანაზღაურებისათვის სარჩელის წარდგენის წესი

§ 20. ტყის წესების დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე სარჩელის თანხა შედგება:

1) თვითნებურად გაჩეხილი, გატაცებული ან განადგურებული ტყის ნიხრობრივი ღირებულებისა და აგრეთვე სხვა მასალებისა და ნაკეთობათა ღირებულებისაგან, უკეთუ ეს უკანასკნელები არ იყო აღმოჩენილი და არ ჩამოერთვა ტყის წესების დამრღვევს;

2) თანხებისაგან, რომლებიც საჭიროა ტყის წესების დამრღვევის მიერ ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის, სახელდობრ:

ა) ტყის წესების დარღვევის შედეგების ტექნიკური ლიკვიდაციის ღირებულება (დაზიანებული კულტურებისა და

მოზარდის კულტივაცია, ნარჩენებისაგან გაწმენდა, დაზიანებული ღობეების შეკეთება და სხვ.);

ბ) ზარალი მიყენებული ტყის წესების დარღვევის გამო ნარგავთა გაუფასურობით ან ხე-ტყის უთადარიგო გაჩეხვის წარმოებით;

გ) დაკავებული ხე-ტყის ან სხვა მასალებისა და ნაკეთობათაგან შენახვის ღირებულება;

დ) ტყის წესების დარღვევით ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის დანარჩენი სახეები.

§ 21. უკეთუ აქტი ტყის წესების დარღვევის შესახებ გადაიგზავნება მილიციის ორგანოებში ან სახალხო სასამართლოში (§ 12), სატყეო მეურნეობა („ლესპრომხოზი", „ლესტრანხოზი", „რაილესხოზი") თავის განცხადებაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან ჯარიმის დადების შესახებ აღნიშნავს სასარჩლო მოთხოვნილებას.

დანარჩენ შემთხვევებში სატყეო მეურნეობა („ლესპრომხოზი", „ლესტრანხოზი", „რაილესხოზი") სარჩელს ადგენს თანახმად დაწესებული განსჯადობისა: სარჩელები სახდაწესებულებებისადმი თანხით 1000 მანეთამდე და აგრეთვე კოლმეურნეობებისა და კერძო პირებისადმი განურჩევლად თანხისა — სახალხო სასამართლოში; სარჩელები სახდაწესებულებებისადმი თანხით 1000 მან. და უფრო მეტი — სახარბიტრაჟში.

ხოლო ტყის წესების დარღვევით მიყენებული ზარალის თანხა თუ არ აღემატება 10 მანეთს (მოქმედი ნიხრის თანახმად), სამოქალაქო სარჩელი არ წარიდგინება.

ტყის წესების დარღვევის შესახებ საქმეების სასამართლოში გარჩევის წესი

§ 22. საქმეები ჯარიმის დადების შესახებ გაირჩევა 1937 წლის 11 აპრილის კანონის (სსრ კავშირის კან. კრ. 1937 წ.

№ 30, მუხ. 120) თანახმად, ხოლო ამასთან ტყის დაცვის ორგანოები თვითონ არავითარ ჯარიმას არ ადებენ და არავითარ წინადადებებს ჯარიმის ნებაყოფლობითი გადახდის შესახებ არ აკეთებენ.

ეს საქმეები გარჩეული უნდა იქნეს არა უგვიანეს 5 დღისა მათი სასამართლოში გადაცემიდან. სასამართლოს მიერ დადებული ჯარიმა გადაიხდევინება სასამართლოს აღმასრულებლების მიერ.

§ 23. სასამართლოებმა ზუსტად უნდა დაიცვან ვადები, რომლებიც დაწესებულია მოკავშირე რესპუბლიკების მიერ ადმინისტრატიული წესით ჯარიმების დადებისათვის, აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ ამგვარი საქმეები წარმოებით უნდა დამთავრდეს.

§ 24. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საჭიროდ ცნობს ტყის წესების დამრღვევის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, იგი საქმეს გადასცემს პროკურორს, რათა მან აწარმოოს კვლევა-ძიება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის მიერ დადგენილი წესის თანახმად, ანდა თუ საქმის მასალას საკმაოდ სრულად ჩასთვლის — უშუალოდ გაარჩევს მას სისხლის სამართლის წესით.

§ 25. ამ ინსტრუქციის № 21 §-ის თანახმად წარდგენილ სარჩელს სასამართლო არჩევს ჯარიმის დადების საქმესთან ერთად.

§ 26. სისხლის სამართლის საქმეები სატყეო წესების დარღვევის შესახებ სასამართლოში გარჩეული უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა მათი სასამართლოში გადაცემიდან.

სასამართლოს სხდომის შესახებ სახალხო სასამართლო ვალდებულია წინასწარ აცნობოს დაინტერესებულ სატყეო მეურნეობას („ლესპრომხოზს", „ლესტრანხოზს", „რაილესხოზს").

§ 27. იმ მიზნით, რომ გაადვილებულ იქნას ტყის მცველების როგორც მოწმეებისა და ტყის ადმინისტრაციის რო-

გორც ტყის მეურნეობის („ლესპრომხოზის“, „ლესტრანხოზის“ „რაილესხოზის“) წარმომადგენლების სასამართლოში გამოცხადება, საქმეები ტყის წესების დარღვევის შესახებ შეძლებისდაგვარად უნდა ინიშნებოდეს ჯგუფ-ჯგუფად ერთსა და იმავე დღეს.

§ 28. სატყეო მეურნეობის („ლესპრომხოზის“, „ლესტრანხოზის“ „რაილესხოზის“) სამოქალაქო სარჩელი ტყის წესების დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის, სასამართლომ უნდა გაარჩიოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, ისე, რომ განაჩენში ზუსტად იყოს ნაჩვენები გადასახდელი თანხა.

დაკავებული მასალების რეალიზაციის წესი

§ 29. თუ ტყის წესების დარღვევაში დამნაშავე პირნი არ იქნებიან აღმოჩენილნი — დაკავებული ხე-ტყე და სხვა მასალა დაუყოვნებლივ რეალიზებული უნდა იქნეს თანახმად სატყეო მეურნეობის („ლესპრომხოზის“, „ლესტრანხოზის“, „რაილესხოზის“) განკარგულებისა.

§ 30. უკეთუ ტყის წესების დამრღვევნი აღმოჩენილია, დაკავებული ხე-ტყე და სხვა მასალა შეიძლება რეალიზებული იქნას იმავე ორგანოების მიერ, სასამართლოს წესით საქმის გადაწყვეტამდე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული ხე-ტყისა და სხვა მასალის შემდგომმა შენახვამ შეიძლება გამოიწვიოს ამ უკანასკნელის გაფუჭება.

დაკავებული ხე-ტყის რეალიზაცია აუცილებლად უნდა აღინიშნოს ტყის წესების დარღვევათა აღრიცხვის წიგნში.

IX. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია და წარმოების მომსახურება

გეგმური მეურნეობის პირობებში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ წარმოების

უწყვეტი პროცესი და გამოვუშვათ სახალხო მეურნეობის გეგმის მიხედვით საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქტები. სისტემატურად მზარდი სოციალისტური სახალხო მეურნეობა განუწყვეტლივ მოითხოვს გარკვეული ოდენობის ნედლეულს, დამხმარე მასალებს, სათბობს, ელექტროენერგიას, შანქანა-იარაღებს არა მარტო ამორტიზებული დანადგარების შესაცვლელად, არამედ წარმოების მოდერნიზაციისა და ახალი და უახლესი ტექნიკით აღჭურვისათვის. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება გაფართოვებული სოციალისტური კვლავწარმოების აუცილებელი პირობაა. საჭირო ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, მოწყობილობისა და იარაღების შეუფერხებლივ მიწოდებით და მათი გადამუშავებით წარმოებებში ქმნიან მატერიალურ დოვლათს. სისტემატურად მზარდი მშრომელთა მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობების მაქსიმალურად დაკმაყოფილების აუცილებლობისა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი-პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონები განსაზღვრავენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს და აქედან გამომდინარე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შინაარსს, ხასიათსა და დონეს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება სრულიად დამოკიდებულია მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საქონელბრუნვისა და სხვა გეგმებზე, და ამიტომ იგი სახალხო მეურნეობის გეგმის ორგანულ ნაწილს შეადგენს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მიზანს შეადგენს:

1. წარმოებაში არსებული მატერიალური რესურსების გამოვლინება, აღრიცხვა და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

2. სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, მოწყობილობების, იარაღებისა და სხვ. დადგენა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბალანსებისა და გეგმების შედგენა;

3. ისეთი ღონისძიების შედგენა, რომელიც უზრუნველ-

ყოფს მატერიალური ფონდების წარმოებიდან მომხმარებლებამდე სწრაფად მიტანას;

4. დამუშავება ღონისძიებებისა მატერიალური ფონდების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა შეიცავს: ძირითადი და დამხმარე მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის, ნახევარი ფაბრიკატების მოთხოვნილებათა და წარმოების ნარჩენების შეგროვებისა და გამოყენების გეგმებს.

მატერიალური მომარაგების გეგმის შედგენა წარმოებს ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე. შედგება თუ არა საკონტროლო ციფრების საფუძველზე ახალი სამეურნეო წლისათვის წარმოებისა და მშენებლობის გეგმის პროექტი, პარალელურად უნდა შედგეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის პროექტი. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შედგენას საფუძვლად უდევს სახალხო მეურნეობის ნატურალური პროდუქციის გამოშვების გეგმა და ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის პროგრესული ნორმები, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის მოცულობა. ტექნიკური მომარაგების გეგმა დგება ნატურპროდუქციის გამოშვების გეგმის, წარმოების მოდერნიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვისა (საწარმოო პროცესების მექანიზაცია, ავტომატიზაცია) და წარმოების მანქანა-იარაღების კაპიტალური შეკეთების გეგმათა საფუძველზე.

სათანადო გაანგარიშებაზე დაყრდნობით შედგენილი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის პროექტი განიხილება და მტკიცდება წარმოებისა და მშენებლობის გეგმებთან ერთად. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა შედგენილი უნდა იქნეს ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ერთიანი ფორმებით ცალკეული სახის მასალების მიხედვით. ასე, მაგალითად, მრგვალი ხე-ტყის მოთხოვნილებათა გეგმა დგება ცალკე, დახერხილ ხე-ტყის მასალაზე კი

ცალკე. მატერიალური საშუალებების მოთხოვნები დგება ნომენკლატურისა და სპეციფიკაციის მიხედვით. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა, ისე როგორც წარმოებისა და მშენებლობის გეგმები, დგება წლიური და კვარტალური. კვარტალურ გეგმაში ნაჩვენები უნდა იქნეს მოთხოვნილებები თვეების მიხედვით, რაც მომმარაგებელ და მწარმოებელ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს მატერიალური ფონდები და ტექნიკა მიაწოდოს მომხმარებლებს გრაფიკის მიხედვით საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის რიტმულად წარმართვისათვის.

მატერიალურ-ტექნიკური ფონდები მიღების თვალსაზრისით იყოფა ორ ნაწილად: ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ ფონდებად, ანუ ფონდირებულ და არა ფონდირებულ საშუალებებად.

ცენტრალიზებულ ანუ ფონდირებულ საშუალებებს მიეკუთვნება ისეთი სახის ნედლეული, დამხმარე მასალები, მანქანა-იარაღები, მოწყობილობები და სხვ., რომლის წარმოების არსებული დონე მთლიანად ვერ უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. ამიტომ ასეთი სახის საშუალებების განაწილებას აწარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ეკონომიური კომისიის წარდგენით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მატერიალური საშუალებების განაწილების ასეთი სისტემით აღწევს პირველ რიგში სახალხო მეურნეობის წამყვან დარგების უზრუნველყოფას და მათ უპირატეს და შეუფერხებელ განვითარებას.

დეცენტრალიზებულ ანუ არაფონდირებულ საშუალებებს მიეკუთვნება ისეთი ნედლეული, დამხმარე მასალები, მანქანა-იარაღები და სხვ., რომლის წარმოების მასშტაბი მთლიანად აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას. ასეთი სახის საშუალებების წარმოება ოგეგმება მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების გათვალისწინებით. წლიურ და კვარტალურ განაცხადებს მომხმარებელი სამინისტროები და უწყებები წარუდგენენ მწარმოებელ სამინისტროებსა და

უწყებებს. ეს უკანასკნელნი საწარმოო გეგმის დამტკიცების შემდეგ, მომხმარებელ ორგანიზაციებს ამარაგებენ უშუალოდ საწარმოს ან საუწყებო მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანოების საშუალებით.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განხორციელება შეიძლება წარმოებდეს უშუალოდ მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანოების საწყობებიდან ან სატრანზიტო წესით. თუ მომხმარებელი ღებულობს მცირე ოდენობის ტვირთს—ძომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციები ასეთ მომხმარებლებს მასალას აძლევს უშუალოდ თავისი საწყობიდან ან ბაზებიდან. თუ გასაცემი ტვირთი თავისი რაოდენობის მიხედვით შეიძლება მომხმარებელს გაეგზავნოს რკინიგზის ტრანსპორტით (ან სხვა სახის ტრანსპორტით) უშუალოდ მწარმოებელ საწარმოდან მომხმარებელ საწარმოში, მაშინ მომარაგება ხორციელდება სატრანზიტო წესით, რასაც ძალიან დიდი უპირატესობა აქვს. ტრანზიტით მომარაგებისას, მატერიალური საშუალებები გაივლის უმოკლეს მანძილს მწარმოებლიდან მომხმარებლამდე, აცილებული იქნება მთელ რიგ პუნქტებში მათი დატვირთვა-გადატვირთვის ოპერაციები, მარტივდება ანგარიშსწორება და საერთოდ მნიშვნელოვნად მცირდება ზედნადები ხარჯები. მიიღებენ რა მომხმარებელი უწყებებიდან მწარმოებელი ორგანიზაციები წლიურ და კვარტალურ განცხადებებს, მის საფუძველზე მოხდება მასალისა და მანქანა-იარაღების განაწილება. მომხმარებელი უწყებები მიიღებენ სათანადო შეტყობინებას გამოყოფილი ფონდების შესახებ წლის, კვარტალისა და თვეების მიხედვით.

საფონდო შეტყობინებათა საფუძველზე მწარმოებელი სამინისტროებისა და უწყებების დაქვემდებარებაში მყოფი მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანოებსა და მომხმარებელ სამინისტროების უწყებების მომმარაგებელ ორგანოების ან უშუალოდ მომხმარებელი და მწარმოებელი ობიექტების მიერ ურთიერთშორის დაიდება სათანადო სამეურნეო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია მიმწო-

დებლისა და მომხმარებლის ურთიერთშორისი ვალდებულებები: მასალისა და მოწყობილების მიწოდების კალენდარული ვადები, ანგარიშსწორების წესი და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ჯარიმები. მომხმარებელ და მწარმოებელ ორგანიზაციებს შორის სამეურნეო ხელშეკრულებები იდება, როგორც ფონდირებულ, ისე არაფონდირებულ საშუალებებზე. მომხმარებელი და მწარმოებელი ორგანიზაციები სისტემატურად ასრულებენ ფონდების რეალიზაციის მიმდინარეობასა და ღებულობენ საჭირო ზომებს ვალდებულებათა დროულად შესრულებისათვის. მომხმარებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან მატერიალურ-ტექნიკური ფონდების განაცხადების შედგენისას ზუსტად აღრიცხონ ახალი წლის დასაწყისში, ე. ი. 1 იანვრისათვის რა სახისა და ოდენობის ნედლეული, დამხმარე მასალა, სათბობი, ხელსაწყოები, დაუყენებელი მანქანა-იარაღები და სათადარიგო ნაწილებია წარმოებაში. განაცხადის ფორმებში არის სპეციალური სვეტები, სადაც აღინიშნება საწარმოო გეგმის შესასრულებლად მოქმედი ნორმების მიხედვით საჭირო მასალის რაოდენობა და შემდეგ ამ მოთხოვნების დაფარვის წყაროები. ვთქვათ საავეჯო წარმოებისათვის საჭიროა წლის განმავლობაში 1500 კუბომეტრი წიწვიანი დახერხილი მასალა, წარმოებაში 1 იანვრისათვის ნაშთის სახით იყო 200 კუბომეტრი იგივე სახის მასალა, განაცხადის შესაბამის სვეტებში ჩაიწერება:

სულ საჭიროა 1500 კუბომეტრი წიწვიანი მასალა;

ნაშთი 1/1-თვის 200 კუბომეტრი;

მისაღებია 1300 კუბომეტრი.

სოციალისტური საწარმო ვალდებულია ყოველი სახის მატერიალური საშუალებები გამოიყენოს რაციონალურად, ჩაატაროს მასალის ხარჯვაში ეკონომია და წარმოების რიტმული მუშაობისათვის ზუსტი გრაფიკის მიხედვით მომარაგება. აკრძალულია წარმოებაში მასალის ან ტექნიკური საშუალებების ზენორმირებული რეზერვების შექმნა. ყოველი სახის

მატერიალურ საშუალებებზე წარმოებას უმტკიცდება მარაგის ნორმები. წარმოებისათვის მასალის მიწოდება ზუსტი გრაფიკის მიხედვით, შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს მასალის მარაგი და ამით განთავისუფლდება მნიშვნელოვანი ოდენობის საბრუნავი სახსრების ნორმატივებისათვის დაბანდებული ფულადი საშუალებანი.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა გულისხმობს ხელშეწყობას წარმოების ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებისათვის, ახალი რაციონალურ-ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას, დეფიციტურ და ძვირფას ნედლეულის შეცვლას ადგილობრივი ნედლეულით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებით. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილ იქნას შესრულებული სამუშაოების და გამოშვებული მზა პროდუქციის მაღალი ხარისხი. კარგად ორგანიზებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება იწვევს შრომისნაყოფიერების ზრდასა და შესრულებული სამუშაოების და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

კარგად ორგანიზებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება საგრძნობლად აუმჯობესებს წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს და მეურნეობის ფინანსიურ მდგომარეობას. ცუდად დაყენებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ძძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს წარმოებას და ზარალიანს ხდის მას.

არსებული წესის მიხედვით სატყეო მეურნეობა სამეურნეო წლის დაწყებამდე ერთი-ორი თვით ადრე ფონდირებულ და არაფონდირებულ მასალებზე, მანქანა-იარაღებზე და მოწყობილობებზე განაცხადს უდგენს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ტყის დაცვისა და სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს. მთავარი სამმართველო ამოწმებს მიღებულ მასალებს და ადგენს საქართველოს სატყეო მეურნეობების კრებსითი განცხადებებს მოთხოვნილი საშუალებების სახეებისა და სპეციფიკაციის მიხედვით; აღნიშნულს უდგენს

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო სათანადო შემოწმების შემდეგ განაცხადს ადგილობრივ სამშენებლო მასალებზე უდგენს საქართველოს მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიას, ფონდირებულ მასალებზე—სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, არაფონდირებულ მასალებზე—სათანადო მწარმოებელ სამინისტროებსა და უწყებებს. სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მოთხოვნებთან ერთად სსრკ სატყეო მეურნეობის დასაბუთებულ მოთხოვნებს ფონდირებული მასალებისა და ტექნიკური საშუალებების მოთხოვნილებათა შესახებ უდგენს სსრკ მინისტრთა საბჭოს ეკონომკომისიას. ეკონომკომისია ღებულობს ერთი მხრივ მატერიალური ფონდების წარმოების გეგმას, და მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს და ამათ საფუძველზე დგება მატერიალური საშუალებების ბალანსები და სსრკ წარმოებული მატერიალური საშუალებების განაწილების პროექტი სამინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით და გეგმის პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად უდგენს სსრკ მინისტრთა საბჭოს. სსრკ მინისტრთა საბჭო სათანადო ანალიზის შედეგად ამტკიცებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს სამინისტროების უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით და დამტკიცებული ფონდების განაწილების გეგმებს უგზავნის შესაბამის ორგანიზაციებს. სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დამტკიცებულ ფონდებს ანაწილებს სათანადო სამმართველოებისა და მთავარ სამმართველოების მიხედვით. სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველო მიღებულ ფონდებს ანაწილებს მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოებს შორის მათი მუშაობის მოცულობის და განაცხადის მიხედვით. რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოები მიღებულ ფონდებს ანაწილებენ სატყეო მეურნეობათა შო-

რის. ფონდების განაწილების შემდეგ ტარდება სათანადო მუშაობა ფონდების დროული რეალიზაციისა და მათი მიზნობრივად გამოყენებისათვის. ისეთი სახის არაფონდირებულ მასალებზე, რომლებსაც არ-ანაწილებს მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები სოფლის მეურნეობის სამინისტროები განაცხადებს უგზავნიან სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ეს უკანასკნელი კი აკეთებს კრებსითი განაცხადებს და ადგენს სათანადო მწარმოებელ სამინისტროებში. სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სისტემაში შექმნილია სპეციალური მომმარაგებელი ორგანიზაცია „სელხოზსნაბი", რომელიც აწარმოებს ფონდირებული და არაფონდირებული ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობის, მანქანა-იარაღებისა და სხვა სახის მასალებისა და ინვენტარის მიღებას მწარმოებელი ორგანიზაციებიდან და მის მიწოდებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ობიექტებზე.

სატყეო მეურნეობაში მიღებული ფონდირებული და არაფონდირებული მასალა უნდა იქნეს აღრიცხული მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის წიგნში და სათანადო გაფორმებით გადაეცეს საწყობს. საწყობიდან მასალის გაცემა ხდება დირექტორის ან მეურნეობაში მისი არყოფნის დროს, შემცვლელი პირის მიერ. საწყობიდან მასალის დანიშნულებით გაცემის აღრიცხვისათვის მეურნეობაში შემოღებულია სათანადო დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია ფორმდება მეურნეობის ბუღალტერიაში. მატერიალური ფასეულობის გაცემა საბუღალტრო დოკუმენტაციის გარეშე აკრძალულია. მეურნეობის ხელმძღვანელობის სათანადო განკარგულებისა და საბუღალტერო გაფორმებით გაიცემა რა საწყობიდან მატერიალური საშუალებები, მისი მიმღები ვალდებულია ამ საშუალების მიზნობრივად გამოყენების შემდეგ წარუდგინოს მეურნეობის ხელმძღვანელობას სათანადოდ გაფორმებული ანგარიში მიღებული საშუალებების მოხმარების შესახებ. მეურნეობის ხელმძღვანელობა ვალდებულია სისტემატურად

შეამოწმოს პასუხისმგებელ პირებზე გაცემული საშუალებების გამოყენების სისწორე. შემმოწმებელი მოვალეა კარგად იცოდეს ერთეულ სამუშაოზე ან დამზადებულ ერთეულ პროდუქციაზე მასალის ხარჯვის დამტკიცებული ნორმები და შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით დაადგინოს მატერიალური საშუალებების ხარჯვისა და გამოყენების მდგომარეობა. შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასალების რაციონალურად ხარჯვას, ნარჩენების ოდენობას, სამუშაოს წუნდებულად შესრულების შემთხვევას, კარგი მუშაობის შედეგად მიღებული მატერიალური საშუალებების ეკონომიას, გამოუყენებელი მატერიალური საშუალებების მარაგსა და სხვ. შემოწმების მასალები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული მეურნეობის ხელმძღვანელობის მიერ და დროულად გატარდეს ღონისძიებები მატერიალური საშუალებების ხარჯვისა და გამოყენების საქმის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

სსრ კავშირის მშრომელებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრი წარმოებებში დაზოგილი მასალიდან გეგმაზე ზევით პროდუქციის გამოშვებისათვის. სატყეო მეურნეობის წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის კურსის პრაქტიკუმის ჩატარებისათვის შედგენილ დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულია მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების უნიფიცირებული ფორმები და გეგმის შედგენის განხილვის, დამტკიცებისა და ფონდების რეალიზაციის, აგრეთვე ხარჯვა-გამოყენების შემოწმების მაგალითები.

სატყეო-სამეურნეო საქმიანობის შეუფერხებლივი წარმართვისათვის და საწარმოო პროცესების მომსახურების სწორი ორგანიზაციისათვის მეურნეობაში უნდა მოეწყოს მანქანა-იარაღების და სატრანსპორტო საშუალებების საგეგმო-პროფილაქტიკური შეკეთებები. მანქანების ტექნიკური მდგომარეობის სისტემატური გასინჯვა და მანქანების მუდამ სამუშაო მდგომარეობაში ყოფნა მეურნეობის ხელმძღვანე-

ლობის აუცილებელი მოვალეობაა. საგეგმო პროფილაქტიკური შეკეთების ჩატარებისათვის მეურნეობას მომარაგებული უნდა ჰქონდეს სათანადო სათადარიგო ნაწილები. სამუშაო იარაღების, ხელსაწყოების, მანქანებისა და სხვა საგეგმო-პროფილაქტიკური და კაპიტალური შეკეთებები წარმოებს მეურნეობის დირექციის მიერ დამტკიცებულ გეგმის მიხედვით. ამ მიზნით, სათანადო - სპეციალისტების მიერ, დგება დეფექტური აქტები და მის საფუძველზე ხარჯთაღრიცხვები. საგეგმო პროფილაქტიკური და კაპიტალური შეკეთებების ჩატარების უფლებას მეურნეობის დირექციას აძლევს საბუღეო მეურნეობის მთავარი სამმართველო, იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობას ჰყავს სათანადო სპეციალისტები და აქვს ამ მიზნით მოწყობილი სახელოსნო. მანქანებისა და მოწყობილობების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებისათვის სპეციალიზირებულ ორგანიზაციებისათვის დამტკიცებულია შეკეთების ფასები. თუ მეურნეობაში ჩატარდება მანქანა-იარაღებისა და მოწყობილობათა შეკეთებები, იმისი ფაქტიური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს დამტკიცებულ ფასებს. მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების ჩატარების შემდეგ, უნდა ჩატარდეს შეკეთებული ობიექტების გამოცდა და მიღება. შეკეთებული ობიექტის მიღებას აწარმოებს სპეციალური კომისია. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შეკეთების ხარისხს, რაც გამოვლინებული უნდა იქნეს შეკეთებული ობიექტის მუშაობის პროცესში. მანქანა-იარაღების მოვლისათვის და ტექნიკური მზადყოფნის მდგომარეობაში უზრუნველყოფისათვის მეურნეობის დირექციავალდებულია გამოყოს და მანქანა-იარაღებზე გააპიროვნოს სათანადო პირები, რომლებიც მატერიალურად პასუხისმგებელი არიან ჩაბარებულ ქონებასა და მის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

მეურნეობაში უნდა იყოს დადგენილი მანქანების მუშაობის რეჟიმის, მოვლისა და შენახვის გარკვეული წესი. მანქანა-იარაღების შესანახად უნდა იყოს მოწყობილი სათანადო

ფარდულები ან საწყობები. მუშაობის სეზონის დამთავრების შემდეგ მანქანა უნდა გარემონტდეს, გაიწმინდოს, დაიზეთოს და ისე შეინახოს სათანადო ადგილას.

X. სატყეო მეურნეობის წლიური გეგმის შედგენის მეთოდიკა და სისტემა

სატყეო მეურნეობა სოციალისტური სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. ისე როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობა და მისი შემადგენელი დარგები, სოციალისტური სატყეო მეურნეობაც ვითარდება გაფართოვებული კვლავწარმოების პრინციპზე დაყრდნობით ვარკვეული გეგმის მიხედვით. სატყეო მეურნეობის განვითარების მასშტაბი და ტემპები ორგანულად არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან. ისე, მაგალითად, ტყის ექსპლოატაციის მასშტაბი და მოცულობა დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის ტყის პროდუქციის მოთხოვნილებაზე, სატყეო-საკულტურო სამუშაოების მოცულობა — ნაციონალური შემოსავლის დარგებს შორის განაწილების ხასიათზე და სხვ.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში აღნიშნულია:

„სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრებას განსაზღვრავს და წარმართავს სახელმწიფო სახალხო სამეურნეო გეგმა, საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებისა, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისა, სსრ კავშირის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მისი თავდაცვა უნარიანობის გაძლიერების ინტერესებისათვის“.

სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში მოქმედი გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონი ქმნის შესაძლებლობებს სახალხო მეურნეობის დარგების სათანადო შეთანწყობით განვითარებისათვის. უპირატესი ტემპებით ვითარდება მძიმე ინდუსტრია, დანარჩენი დარგები კი

სათანადო პროპორციით. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების საერთო მიზანდასახულებას შეადგენს — წარმართოს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება ისეთი მასშტაბით, მოცულობითა და შეთანწყობით, რომლის შედეგადაც მიღწეული იქნება უახლესი გზით კომუნისტური საზოგადოების საბოლოო აშენება.

პროგრესული კაცობრიობის ამ ოცნების განხორციელებას ემსახურება სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები. წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება საშუალებას იძლევა: მრავალრიცხოვან საწარმოთა ერთ სისტემაში გაერთიანებისა, მათი ერთიანი სახელმწიფო გეგმის მიხედვით განვითარებისა, სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებისათვის მრავალმილიონიანი მშრომელთა ფართო მასების დარაზმვისათვის. საწარმოო საშუალებების საზოგადოებრივი საკუთრება საფუძველია და შეესაბამება სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონის მოთხოვნებს. სოციალიზმის პირობებში მოქმედი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონი ქმნის აუცილებლობას სახალხო მეურნეობის სათანადო შეთანწყობით განვითარებისათვის. ამ კანონის შეცნობის საფუძველზე და მისი მოთხოვნების შესაბამისად საბჭოთა მთავრობა აწესებს ცალკეული პერიოდისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებს, ანაწილებს წარმოების საშუალებებსა და სამუშაო ძალას სახალხო მეურნეობის დარგებს შორის. სახალხო მეურნეობის არც ერთ დარგს და არც ერთ მის პირველად სამეურნეო ერთეულს არ შეუძლია განვითარდეს გეგმის გარეშე. თვითეული პირველადი სამეურნეო ობიექტის გეგმა არის სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო გეგმის ნაწილი.

სოციალიზმის პირობებში მოქმედი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონი წარმოიშვა კაპიტალიზმის პირობებში მოქმედი

კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონის საწინააღმდეგოდ.

სოციალისტური მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების შესაძლებლობა, როგორც ობიექტური ეკონომიური კანონის მოთხოვნა, დიდ უპირატესობას უქმნის საერთოდ სოციალისტურ მეურნეობას კაპიტალისტურ მეურნეობასთან შედარებით.

სოციალისტური მეურნეობის პირობებში მოქმედი ეკონომიური კანონები აქცევს ამ სისტემას მსოფლიოში ყველაზე პროგრესულ, მტკიცე, სიცოცხლეუნარიან, სისტემატურად მზარდ მეურნეობის სისტემად. სოციალისტური მეურნეობის უპირატესობანი კაპიტალისტურ მეურნეობასთან შედარებით ამ მეურნეობის შინაგანი არსიდან, მისი პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლებიდან გამომდინარეობს. კაპიტალისტურ ქვეყნებში. მეურნეობას მთავრობა არ განაგებს, იგი კაპიტალისტების საკუთრებაა. კაპიტალისტები მის საკუთრებაში მყოფ წარმოებებს იყენებენ არა სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის, არამედ პირადი ინტერესებისათვის, ხშირად სახალხო მეურნეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებს ცალკეულ კაპიტალისტთა ინტერესების დაჯახება. კაპიტალისტური სისტემისათვის გარდუვალ წინააღმდეგობათა საფუძველზე ადგილი აქვს ანარქიას, ქაოსს, ერთის განადგურებას, მეორეს გამდიდრებას, ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისებს. სოციალისტური მეურნეობა თავისუფალია ყოველივე ასეთი ხასიათის წინააღმდეგობებისაგან. იგი ვითარდება გაფართოვებული სოციალისტური კვლავწარმოების პრინციპზე მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების აქტიური მონაწილეობით, თავდადებული გმირული შრომის შედეგად. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების მიზანს მაქსიმალური მოგების მიღება, ერთი მუჭა კაპიტალისტების გამდიდრება, მშრომელთა მასების გაღატაკება, მათი მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესება შეადგენს, სოციალისტურ მეურნეობა-

ში მატერიალური დოვლათის წარმოების მიზანს, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. და მათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება წარმოადგენს. სსრ კავშირში წარმოების განვითარება ემყარება არა კონკურენციისა და კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს, არამედ გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დონის სისტემატურად ამაღლების პრინციპს.

სოციალისტურ საწარმოთა დაგეგმვა ხორციელდება მეცნიერული კვლევა-ძიებისა და ანალიზის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დროის გარკვეული პერიოდისათვის (10 წლისათვის, 5 წლისათვის) წამოჭრილი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანების შესაბამისად მუშავდება სახალხო მეურნეობის დარგებისათვის კონკრეტული ამოცანები. ეს კონკრეტული ამოცანები ყალიბდება დირექტივების, ლიმიტების, საკონტროლო ციფრების სახით.

პარტიისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული დირექტივების, ლიმიტებისა და საკონტროლო ციფრების საფუძველზე სამინისტროები და უწყებები ტრესტებს, სამმართველოებსა და მთავარ სამმართველოებს აძლევენ საკონტროლო ციფრებს გეგმების შესადგენად. ტრესტები, სამმართველოები, მთავარი სამმართველოები სამინისტროდან მიღებულ საკონტროლო ციფრებს ანაწილებენ მათ სისტემაში შემავალ საწარმოთა შორის. საწარმოები საკონტროლო ციფრების მიღებისთანავე იწყებენ მეურნეობის გეგმის პროექტის შედგენას.

კონკრეტულ სოციალისტურ საწარმოთა გეგმები მოქმედების ხანგრძლიობის მიხედვით პირობით იყოფა: პერსპექტიულ, წლიურ და ოპერატიულ გეგმებად.

პერსპექტიულ გეგმებს ისეთს აკუთვნებენ, რომლებიც საგეგმო დავალებათა და მათი შესრულებისათვის საჭირო ისეთ ღონისძიებებს მოიცავენ, რომელთა განხორციელებისა-

თვის ერთ სამეურნეო წელზე მეტი დრო არის საჭირო. ამათ მიეკუთვნება საწარმოს საორგანიზაციო-სამეურნეო მოწყობის გეგმა და ხუთწლიანი გეგმა.

კონკრეტული წარმოების ხუთწლიანი გეგმები, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, ხუთ წელში განსახორციელებელ საგეგმო დავალებებსა და მათი შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებებს ითვალისწინებენ. ხუთწლიანი გეგმების მოქმედების ვადები ზუსტად შესაბამისებულია ამ პერიოდში მოქმედ სახალხო-სამეურნეო გეგმის მოქმედების ვადებთან.

საწარმოთა საორგანიზაციო-სამეურნეო მოწყობის გეგმები ჩვეულებრივ დგება იმ პერიოდზე, როდესაც წარმოება სრულად იქნება ათვისებული, ე. ი. იმუშავებს სრული საწარმოო სიმძლავრით. ასეთი გეგმების განხორციელებისათვის ხშირად 5,10 ღა მეტი წელია საჭირო. სატყეო მეურნეობებში მსგავსი გეგმები დგება ტყის მასივების საექსპლოატაციოდ ათვისებისათვის ან კიდევ ცალკეული რაიონების გატყევების მიზნით. წლიური გეგმები ერთ სამეურნეო წელში განსახორციელებელ საგეგმო დავალებებსა და მათი შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებას მოიცავენ, ხოლო ოპერატიული გეგმები სამეურნეო წელზე ნაკლებ დროის მონაკვეთზე დგება. პერსპექტიული გეგმა დამტკიცების შემდეგ ყოველწლიური გეგმის საფუძველს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, 5-წლიანი გეგმა საფუძველია ცალკეული წლების გეგმებისა, მაგრამ წლიური გეგმა არ არის 5-წლიანი გეგმის მექანიკურად აღებული 1/5 ნაწილი. გეგმების შესრულების პროცესში გამოვლინებული ახალი, რესურსების შედეგად შესაძლებელია წლიური გეგმა დიდად ჭარბობდეს 5-წლიანი გეგმის ერთ მეხუთედს. წლიურ გეგმებში წარმოების რეალური საშუალებების გათვალისწინება სრულ შესაძლებლობას ქმნის 5-წლიანი გეგმების ვადამდე ადრე შესრულებისათვის.

პერსპექტიული გეგმის საფუძველზე დგება ,ცალკეულ საწარმოთა წლიური და ოპერატიული გეგმები. ოპერატიული

გეგმები დგება კვარტალის, თვის ან კიდევ შეიძლება დეკადის, კვირის, დღის, ცვლის მიხედვით.

სატყეო მეურნეობაში დგება წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა კვარტალების მიხედვით. საწარმოო-საფინანსო გეგმის შესადგენად მეურნეობას ეძლევა საკონტროლო ციფრები. საკონტროლო ციფრების საფუძველზე მეურნეობის მთელი კოლექტივის მონაწილეობით შედგენილი უნდა იქნეს საწარმოო-საფინანსო გეგმის პროექტი. გეგმის პროექტი ითვალისწინებს გასული წლის გეგმის შესრულების მაჩვენებლებსა და ახალი სამეურნეო წლისათვის გეგმის რაოდენობრივ (საწარმოო პროგრამას, შრომის გეგმას, ხელფასის გეგმას, კაპიტალური მშენებლობის გეგმას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმასა და სხვ.) და თვისობრივ (შრომისნაყოფიერების გეგმას, სამუშაოებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმას, პროდუქციის ხარისხის გეგმას) მაჩვენებლებს. ახალი სამეურნეო წლისათვის გეგმის პროექტის შესადგენად საჭიროა საანგარიშო ბაზის მომზადება, ე. ი. წინა წლის გეგმის შესრულების მაჩვენებლების შედგენა. წინა წლის გეგმის შესრულების მაჩვენებლების დადგენა ღრმა ანალიზის ჩატარებას მოითხოვს. ახალი წლისათვის გეგმის პროექტი დგება 4—5 თვით ადრე. ამ პერიოდისათვის მეურნეობას არ შეიძლება ჰქონდეს წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლები, ამიტომ შედგენილი უნდა იქნეს მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმის მოსალოდნელი შესრულება. გეგმის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრა რთული და პასუხსაგები სამუშაოა. მის სწორ შედგენაზეა დამოკიდებული ახალი სამეურნეო წლის საწარმოო მაჩვენებლების ზრდის ტემპების დადგენა; ახალი სამეურნეო წლის პირველი კვარტალის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს წინა სამეურნეო წლის მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების დონეს. გეგმის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრაში დაშვებულ შეცდომებს დიდი უარყოფითი გავლენა შეუძლია მოახდინოს ახალი წლის გეგმაზე. გეგმის მოსალოდნელი შესრულების შემცირე-

ბულად განსაზღვრის შედეგად შესაძლებელია ახალი წლის გეგმის მექანიკურად შემცირება და, პირიქით, თუ გეგმის მოსალოდნელი შესრულება ხელოვნურად იქნა გადიდებული წარმოების შესაძლებლობათა არა სწორი ანალიზის შედეგად, ახალი წლის გეგმაც არა სწორად იქნება შედგენილი, რასაც გეგმის შეუსრულებლობა მოჰყვება. გეგმის მოსალოდნელი შესრულების სწორად განსაზღვრა უშუალოდ უკავშირდება მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების მაჩვენებლების დადგენას, რადგანაც საანგარიშო წლის სხვა პერიოდის გეგმის შესრულებაზე თითქმის უკვე არსებობს გეგმის შესრულების ფაქტიური მონაცემები.

მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების რეალურ მაჩვენებლებს უნდა დაემატოს დანარჩენი სამი კვარტალის გეგმის ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები და ამრიგად განისაზღვროს მიმდინარე წლის გეგმის მოსალოდნელი შესრულება. მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების განსაზღვრაში შემთხვევითობა რომ ნაკლებად იქნეს დაშვებული, პრაქტიკულად ასე იქცევიან: აიღებენ გეგმის შედგენის მომენტისათვის განვლილი პერიოდის გეგმის შესრულების ფაქტიურ მაჩვენებლებს და მას დაუმატებენ საანგარიშო წლის დარჩენილი თვეების გეგმას, და ამრიგად, საზღვრავენ მოსალოდნელ შესრულებას. ასეთი წესით გეგმის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრისას შეიძლება დაშვებულ იქნას მექანიკური ხასიათის შეცდომა. თუ წარმოება გარეშე მიზეზების გამო განვლილ თვეებში ვერ ასრულებდა გეგმებს, და გეგმის ფაქტიური შესრულება განვლილ პერიოდში გეგმაზე ნაკლებია, ხოლო მეოთხე კვარტალში წარმოებას ყველა პირობა გააჩნია შეასრულოს მეოთხე კვარტალის გეგმა და ამავე დროს დაფაროს წინა კვარტალების გეგმის შესრულებაში არსებული დარღვევები, მაშინ გეგმის ფაქტიურ შესრულებას კი არ უნდა დაემატოს დარჩენილი პერიოდის გეგმა, არამედ გასული პერიოდის გარღვევებიც.

მას შემდეგ, რაც დაზუსტებული იქნება მიმდინარე წლის

გეგმის მოსალოდნელი შესრულების მაჩვენებლები, სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსაგან მიღებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე უნდა შედგეს გეგმის პროექტი. გეგმის პროექტის შედგენაში ჩაბმული უნდა იქნეს მეურნეობის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, წარმოების მოწინავე მუშები, ბრიგადირები და სხვა მოსამსახურე პერსონალი. მეურნეობაში მოწვეულ კრებაზე ან საწარმოო თათბირზე დირექტორი აკეთებს მოხსენებას მეურნეობის მიერ მიმდინარე წლის გეგმების შესრულების შედეგებზე და ახალი წლის სამეურნეო გეგმის მაჩვენებლებზე ცალკეულ სატყეოების, უბნების, ბრიგადების, საუტილიზაციო საამქროების, სანერგეებისა და სხვ. წარმოების ხაზით, და ახალი წლის გეგმის პროექტში შეაქვთ სათანადო ცვლილებები და დამატებანი. კრების ან თათბირის ოქმში შეტანილი უნდა იქნეს წინადადებები მეურნეობაში არსებული საშუალებების უკეთ გამოყენების მიზნით. მეურნეობის კოლექტივის მიერ სათანადოდ განხილული და მიღებული გეგმის პროექტი ახსნა-განმარტებითი ბარათით წარდგენილი უნდა იქნეს მთავარ სამმართველოში ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაში.

სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველო სატყეო მეურნეობებიდან მიღებულ გეგმების პროექტებს უკეთებს სათანადო ანალიზს და მასში საჭირო შესწორებების შეტანის შემდეგ უდგენს ზემდგომ ორგანიზაციებს განსახილველად და დასამტკიცებლად. ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული გეგმა უბრუნდება სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს. მთავარი სამმართველო დამტკიცებულ ძირითად საწარმოო მაჩვენებლებს უგზავნის სატყეო მეურნეობებს.

მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმა დამტკიცების შემდეგ კანონის ძალას იღებს და იგი სავალდებულოა შესასრულებლად მეურნეობის კოლექტივისათვის.

მეურნეობის მთელი კოლექტივის პატრიოტულ მოვალეო-

ბას შეადგენს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრი საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სატყეო მეურნეობაში მიღებულ საწარმოო დავალებათა საფუძველზე ადგენენ საწარმოო-საფინანსო გეგმას. ახალი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა საგეგმო წლის დაწყებამდე დაყვანილი უნდა იქნეს სატყეოებამდე, ბრიგადებამდე და ცალკეულ შემსრულებლებამდე.

საწარმოო დაგეგმვის ამოცანას შეადგენს:

1. სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება;

2. წარმოების შიგნით არსებული რეზერვების გამოვლინება და მათი მაქსიმალური გამოყენება გეგმის ყველა მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებისათვის;

3. შესრულებული სამუშაოებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;

4. შრომისნაყოფიერების გადიდება;

5. ძირითადი და საბრუნავი ფონდების რაციონალური და მიზნობრივი გამოყენება;

6. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მეურნეობის რენტაბელობის გადიდება;

7. სატყეო მეურნეობის ნარჩენებისაგან ახალი სახის ნაკეთობათა ათვისება;

8. სატყეო-სამეურნეო სამუშაოებზე ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა;

9. შრომის რაციონალური ორგანიზაცია;

10. სამუშაო დროის მთლიანი და ნაყოფიერი გამოყენება;

11. მომუშავეთათვის შრომის სათანადო პირობების შექმნა მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, სამუშაო ადგილის დროულად და კარგად მომზადება;

12. სამუშაო პროცესის შესრულებისას მუშების ზუსტი მომსახურება;

13. სტახანოვური მოძრაობის გავრცელება და ნოვატორების გამოცდილების დანერგვა;

14. სატყეო-სამეურნეო სამუშაოს შესრულების გრაფიკის შედგენა და მისი სატყეო აგროწესების მიხედვით შესრულება;

15. სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვა;

16. ხელფასის სწორი ორგანიზაცია;

17. სისტემატური კონტროლი მთელ სამუშაო პროცესების შესრულებაზე და სათანადო ღონისძიებების გატარება მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

წარმოების წინაშე მდგარი ამოცანები თავს იყრის მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმაში.

სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცებული საწარმოო დავალებები უნდა შეიცავდეს შემდეგ მაჩვენებლებს:

1. სატყეო-საკულტურო სამუშაოების გეგმებს;

2. მთავარი სარგებლობის ტყეკაფების გამოყოფის გეგმებს;

3. მოვლითი და სანიტარული ჭრების ჩასატარებლად ტყეკაფების გამოყოფის გეგმებს;

4. მერქნის ტყიდან გამოზიდვის გეგმას;

5. ტყის დაცვის სამუშაოების გეგმას;

6. საერთო-საწარმოო ხარჯების გეგმას;

7. საუტილიზაციო საამქროებში პროდუქციის გამოშვების გეგმას;

8. ახალი სახის ნაკეთობათა ათვისების დავალებას;

9. ახალი გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვისა და შრომის პროცესების მექანიზაციის გეგმებს;

10. შრომისნაყოფიერების გადიდების გეგმას;

11. პროდუქციისა და სამუშაოების თვითღირებულების შემცირების გეგმას;

12. მომუშავეთა რაოდენობის გეგმას;

13. ხელფასის ფონდის გეგმას;

14. კაპიტალური დაბანდების გეგმას;

15. ტექნიკის გამოყენების, ნედლეულის მასალის, სათბო-

ბისა და ელექტროენერგიის ხარჯვის საშუალო პროგრესულ ნორმებსა და სხვ.

საწარმოო დავალებათა სტრუქტურა და მოცულობა განსაზღვრავს მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს. საწარმოო-საფინანსო გეგმის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს თან ერთვის ტექნიკურ-ორგანიზაციული და ეკონომიური გაანგარიშებანი.

მეურნეობის **საწარმოო-საფინანსო გეგმა შეიცავს საწარმოო-სამეურნეო ტექნიკურ და საფინანსო საქმიანობის ნაერთ გეგმას, იგი მეურნეობის კოლექტივისათვის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გაშლილი პროგრამაა. მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმა დგება მეურნეობის კოლექტივის მონაწილეობით' ზემდგომი სატყეო მეურნეობის ორგანოების მიერ დამტკიცებული ძირითადი საწარმოო დავალებების საფუძველზე.** საწარმოო, სამეურნეო, ტექნიკური და ფინანსიური მაჩვენებლები საწარმოო-საფინანსო გეგმაში მოცემულია კონკრეტული ადგილისა და შესრულების ვადის მიხედვით, აგრეთვე დასახულია კომპლექსური ღონისძიებები მეურნეობის ტექნიკისა და ყველა სახის რესურსების სრულყოფილად და რაციონალურად გამოყენებისათვის.

საწარმოო-საფინანსო გეგმაში მოცემულია კონკრეტული გზები მეურნეობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმა შედგება: (გეგ. იხ. გვ. 215).

საწარმოო-საფინანსო გეგმის ყველა ნაწილები ორგანულად არის დაკავშირებული ურთიერთთან.

განვიხილოთ თვითეული მათგანი:

I. **წარმოების გეგმა** საწარმოო-საფინანსო გეგმის ძირითადი ნაწილია. იგი შეიცავს მეურნეობის გეგმის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომლიდანაც გამომდინარეობს გეგმის ყველა დანარჩენი მაჩვენებლები. საგეგმო პერიოდისათვის გათვალისწინებული წარმოების გეგმის რაოდენობრივი მაჩ-

	განყოფილებები	ძირითადი შინაარსი
1.	წარმოების გეგმისაგან	საწარმოო პროგრამა: საერთო პროდუქციის გეგმა, ნატურალური პროდუქციის გეგმა, სასაქონლო პროდუქციის გეგმა, ფასიანი მომსახურების საგნების გაფართოების გეგმა, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გეგმა.
2	ტექნიკური გეგმისაგან	ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმა, შრომის პროცესების მექანიზაციის გეგმა, სამეცნიერო - საკვლევი სამუშაოების გეგმა.
3.	მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმისაგან	მატერიალური საშუალებების ხარჯვის ნორმები პროდუქციის ერთეულზე, ხედლეულის, მასალის, სათბობის, ელექტროენერგიის, ნახევარფაბრიკატების მოთხოვნილება წლიური და კვარტალური გეგმა, წარმოებაში მიღებული ნარჩენების გამოყენების გეგმა.
4.	შრომის გეგმისაგან	შრომისნაყოფიერების გეგმა. პერსონალის რაოდენობის, წარმოების მუშაკთა მომზადების, გადამზადების გეგმა. ხელფასის ფონდის გეგმა. საშუალო ხელფასი მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით.
5.	თვითღირებულების გეგმისაგან	ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულება. თვითღირებულების შემცირების გეგმა შესადარის პროდუქციის მიხედვით, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება, საამქრო და ს ერთო საფაბრიკო-საქარხნო ხარჯების ნუსხა, ბალანსი ხარჯთაღრიცხვა.
6.	საფინანსო გეგმისაგან	ბზა პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმა, საბრუნავი საშუალებების მოთხოვნილების გეგმა, დაკრედიტების გეგმა, შემოსავალ-გასავლის ბალანსი.
7.	ტექნიკურ - ეკონომიურ ღონისძიებათა გეგმისაგან.	გაანგარიშებათა და ორგანიზაციულ

ვენებლების გარეშე შეუძლებელია განისაზღვროს საწარმოო პერსონალის რაოდენობა, ხელფასის ფონდი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, საერთო და სასაქონლო პროდუქცია და სხვ. საწარმოო გეგმის საფუძველზე გეგმის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება საშუალო პროგრესული ნორმების მეშვეობით.

წარმოების გეგმა შეიცავს საწარმოო პროგრამასა და საწარმოო სიმძლავრის გამოყენების გეგმას.

საწარმოო პროგრამა ეს არის სახელმწიფო დავალება პროდუქციის რაოდენობის შესახებ, რომელიც შესრულებული ან გამოშვებული უნდა იქნეს საგეგმო პერიოდში გარკვეული ხარისხისა და ასორტიმენტის მიხედვით.

საწარმოო პროგრამა შეიცავს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის ან გამოსაშვები პროდუქციის გეგმას ნატურისა (კუბომეტრებში, კვ. მ, ცალებში, ტონებში) და ფასების მიხედვით (საერთო და სასაქონლო პროდუქცია); გარდა რაოდენობრივი მაჩვენებლებისა წარმოების გეგმაში შედის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც, რომლებიც შეიცავს პროდუქციის გამოშვებას სხვადასხვა ხარისხის (I, II და III) მიხედვით, სათანადო ტექნიკური პირობების საფუძველზე ან სახელმწიფო — გოსტისა და სტანდარტის შესაბამისად.

საერთო პროდუქციის გეგმა, მეურნეობის გეგმის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს. იგი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მეურნეობის საწარმოო საქმიანობის ზრდის ტემპები, განვითარების დინამიკა, შრომისნაყოფიერების დონე ფულად გამოხატულებაში და სხვ.

საერთო პროდუქციის გეგმაში შედის წარმოების მიერ დამზადებული ყველა სახის მზა პროდუქციის ღირებულება და იმ მომსახურებათა ღირებულება, რომელსაც მეურნეობა უწევს სხვა წარმოებებსა და საკუთარ დამხმარე წარმოებებს (კაპიტალური შეკეთება, კაპიტალური მშენებლობა, დამხმარე მეურნეობა და სხვ.). საერთო პროდუქციის გეგმაში არ შედის ზოგიერთი სახის ნაწარმი, რომელიც მზადდება წარმოე-

ბაში და მოიხმარება იმავე წარმოებაში შემდგომი გადამუშავებისათვის. როგორც წესი, ასეთი სახის ნაწარმის ნომენკლატურას აწესებს სამინისტროები სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით. წარმოებას არ აქვს უფლება აღნიშნული საკითხი დამოუკიდებლად გადაწყვიტოს.

1949 წლამდე საერთო პროდუქცია სახელმწიფო მრეწველობაში იგეგმებოდა 1926/27 წლის უცვლელ ფასებში, ხოლო კოოპერატიულ მრეწველობაში 1932 წლის ფასებში. 1926 წლიდან 1949 წლამდე სსრკ სახალხო მეურნეობაში დიდი ცვლილებები მოხდა. საგრძნობლად გაიზარდა სახალხო მეურნეობის მიერ გამოშვებულ ნაწარმთა ნომენკლატურა. მნიშვნელოვნად შეიცვალა ფასების სტრუქტურა. 1926 წლის შემდეგ პერიოდში ათვისებულ და მასიურად გამოშვებულ ნაკეთობათა სიმრავლემ და მათი 1926/27 წლის ფასებში გადაყვანის სირთულემ საერთო პროდუქციის დაგეგმისათვის ახალი ფასების შემოღების აუცილებლობა წარმოქმნა.

1949 წელს სსრკ მთავრობამ დაადგინა მოხდეს საერთო პროდუქციის გეგმის შედგენა წარმოების საბითუმო ფასებში. საერთო პროდუქციის გეგმის შედგენისათვის წარმოების საბითუმო ფასები შეიცავს ნაკეთობათა დამზადებისათვის ყველა სახის დანახარჯებს მოქმედ ფასებში, გარდა ბრუნვითი გადასახადისა. თუ 1926/27 წწ. ფასები მოქმედ ფასებიდან ძალზე დაშორებული იყო და იგი ხშირად აბსტრაქტულ ხასიათს ატარებდა, მოქმედი საბითუმო საწარმოო ფასები საშუალებას იძლევა არა მარტო დავადგინოთ საერთოდ სახალხო მეურნეობის, მისი დარგებისა და ცალკეულ საწარმოთა განვითარების ტემპები, არამედ ამავე დროს წარმოდგენა ვიქონიოთ ნაკეთობათა დამზადებაზე გაწეულ ხარჯებზედაც. საერთო პროდუქციის შეფასება წარმოებს სსრკ მინისტრთა საბჭოს ან მისი დავალებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სამინისტროების მიერ დამტკიცებულ საბითუმო ფასების პრეისკურანტის მიხედვით.

სასაქონლო პროდუქციას მიეკუთვნება: 1. წარმოებაში

დამზადებული პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც მიღებულია ტექნიკური კონტროლის ბიუროს ან ტექნიკური კონტროლიორის მიერ ან კიდევ შემკვეთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ და განკუთვნილია სარეალიზაციოდ, ე. ი. სხვა უწყებაზე და ორგანიზაციაზე გადასაცემად. სასაქონლო პროდუქციაში შედის აგრეთვე ისეთი სამუშაოები, რომლებიც შესრულებულია წარმოების კოლექტივის მიერ სხვა წარმოების საწარმოო მომსახურებისათვის.

სასაქონლო პროდუქციაში შედის: 1. მზა პროდუქცია, რომელიც მზადდება ძირითადი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენებისაგან;

2. საწარმოო ხასიათის მუშაობა და მომსახურება, რომელიც სრულდება სხვა წარმოებებთან კოოპერაციის გზით, აგრეთვე ამავე წარმოების მოწყობილობების კაპიტალური რემონტისათვის, კაპიტალური მშენებლობისათვის, საკუთარი ელექტროენერგიისა და ორთქლის გაცემა კომუნალური და საბინაო მომსახურებისათვის, დამხმარე ხასიათის საწარმოთა მომსახურება და სხვ. აღირიცხება სასაქონლო პროდუქციის გეგმაში.

მეხუთე ხუთწლედში საერთო პროდუქცია იგეგმებოდა 1952 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი წარმოების საბითუმო ფასებში. მეექვსე ხუთწლედში საერთო პროდუქციის გამოანგარიშება წარმოებს 1955 წლის 1 ივლისისათვის მოქმედი წარმოების საბითუმო ფასებში. სასაქონლო პროდუქციის გეგმა იანგარიშება გეგმის შედგენის მომენტში მოქმედი წარმოების საბითუმო ფასებში. სასაქონლო პროდუქციის გეგმა ფულად გამოხატულებაში ზუსტად უნდა ემთხვეოდეს პროდუქციის საერთო რაოდენობის ღირებულებასა და ხარისხს (ყოველი ნომენკლატურის ნაკეთობის ხარისხის მიხედვით გადამრავლება — შესაბამის წარმოების საბითუმო ფასზე, ბრუნვითი გადასახადის ჩათვლით).

ფართო მოხმარების ნაკეთობათა გამოშვების გეგმა სატყეო მეურნეობის საერთო გეგმის იმ ნაწილს შეადგენს, რო-

მელიც მზადდება მეურნეობის წარმოების ნარჩენებისაგან და ძირითადად გამიზნულია მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სამუშაო იარაღებისა და ინვენტარის სახელურები, საოჯახო ნივთები და სხვ.) ფართო მოხმარების საგნებზე მოსახლეობის სისტემატური მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სახალხო მეურნეობის გეგმაში ცალკე გამოიყოფა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა. ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა, მისი ზრდა წასულ წლებთან შედარებით, წარმოდგენას იძლევა მშრომელთა მოთხოვნილების მასიური მოხმარების საგნებით დაკმაყოფილების დონის საკითხებზე. ამიტომ მეურნეობის წარმოების გეგმის ამ ნაწილის სწორად შედგენის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

სატყეო მეურნეობებს საკმაოდ დიდი რესურსები გააჩნიათ ფართო მოხმარების საგნების წარმოებისათვის. ხე-ტყის დამზადების ნარჩენების, მოვლითი ჭრების ჩატარების შედეგად მიღებული მერქანი და სხვა სახის პროდუქტები, ტყეში ფართოდ გავრცელებული გარეული ხილი, სოკოები და სხვა მდიდარ ბაზას წარმოადგენს. საკვები, საოჯახო ნივთებისა და სხვა სახის მასიური მოთხოვნილების საგნების დასამზადებლად. ამ მიზნით სატყეო მეურნეობებში ეწყობა საუტილიზაციო საამქროები, რომელთა პროდუქცია სისტემატურ ზრდას უნდა განიცდიდეს, რადგან ამ წარმოების არსებული დონე ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება მოთხოვნილების დონეს. ფართო მოხმარების საგნების წარმოებისათვის სატყეო მეურნეობაში არსებული რესურსები ჯერ კიდევ ძალზე მცირე მასშტაბით არის გამოყენებული. სატყეო მეურნეობებმა უნდა გაშალონ შემოქმედებითი ინიციატივა მეურნეობაში არსებული ნარჩენებისა და სხვა დამხმარე პროდუქტების მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენებისათვის. ამ მხრივ ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სსრკ მთელ რიგ მოწინავე სატყეო მეურნეობების გამოცდილება და მიღწევები.

სსრკ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სატყეო მეურნეობის პავილიონში დემონსტრირებულია (1955, 1956 წწ.) მთელი რიგი სატყეო მეურნეობები, რომლებმაც ძირითადი სამეურნეო საქმიანობის გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მეურნეობის ნარჩენების უტილიზაციისა და დამხმარე სარგებლობის ორგანიზაციის საქმეში.

მეურნეობის საწარმოო გეგმის შემდეგ ნაწილს სატყეო მეურნეობაში არსებული ტექნიკის გამოყენების გეგმა შეადგენს.

საწარმოო სიმძლავრის გამოყენების გეგმა ითვალისწინებს წარმოებაში არსებული მოწყობილობების სრულ და სწორ გამოყენებას. გეგმის შედგენისას დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი მეურნეობაში არსებული მანქანა-იარაღები და მოწყობილობანი. დადგენილი უნდა იქნეს მათი მწარმოებლობა და დაისახოს ღონისძიებები წარმოებაში არსებული ტექნიკის მაქსიმალური გამოყენებისათვის. გეგმაში აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოების პროცესებში არსებული „ვიწრო ადგილების" ლიკვიდაციის ღონისძიებები. არის შემთხვევები, როდესაც საწარმოო პროცესებში ცალკეული ოპერაციები მექანიზებულია, ნაწილი სამუშაო ოპერაციებისა კი ხელით სრულდება. საწარმოო პროცესის შუალედში, ოპერაციების ხელით, ან ჩამორჩენილი ტექნიკით შესრულება, იწვევს მექანიზებულ და ახალი ტექნიკით აღჭურვილ მომდევნო და წინა ოპერაციებთან დაკავშირებულ ოპერაციების შეფერხებით შესრულებას. მეურნეობის ხელმძღვანელობის გადაუდებელი ამოცანაა მოახდინოს ასეთი „ვიწრო ადგილების" დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია, რომ საწარმოო პროცესის ყველა თანმიმდევრული ოპერაციები რითმულად და სწრაფად წარმართოს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ თავისებურებას მისი სისტემატური აღმავლობა წარმოადგენს. სოციალისტური მეურნეობის ამ პრინციპს ეყრდნობა სახალხო

მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოება. გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება გულისხმობს მეურნეობის ძირეული საწარმოო რგოლების სისტემატურ ზრდას, არა მარტო ახალი მშენებლობის გზით, არამედ არსებული წარმოების რეკონსტრუქციისა და მათი საწარმოო საშუალებების მაქსიმალურად, რაციონალურად გამოყენების გზით. სოციალისტური საწარმოს სამეურნეო საქმიანობა, თუ იგი რაიმე განსაკუთრებული პირობებით არ არის გამოწვეული, უნდა იზრდებოდეს ყოველწლიურად, კვარტალურად, თვიურად და დღიურად. სოციალისტური საწარმოს ეს თავისებურებები გამოხატულებას პოულობს წლიურ, კვარტალურ და სადღეღამისო გეგმებსა და მის შესრულებაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ აკრძალული და დაგმობილია წარმოებაზე შემცირებული გეგმების მიცემა. შემცირებული გეგმები ახშობს და ჭყინავს მშრომელთა შემოქმედებით ინიციატივასა და შრომას, იძულებულს ხდის მათ იფუსფუსონ წარმოების ვიწრო ადგილებისა და უკვე მიღწეული საწარმოო ნორმების ირგვლივ.

სახელმწიფო გეგმები უნდა იყოს მამობილიზებელი, იგი უნდა ეყრდნობოდეს არა საშუალო არითმეტიკულ ნორმებს, არამედ საშუალო პროგრესულ ნორმებს. სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულების საკითხს წყვეტენ ადამიანები. გეგმა უნდა ეყრდნობოდეს წარმოების მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალის შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, მათ პატრიოტულ სულისკვეთებას და განწყობილებას — მაქსიმალურად გამოიყენონ წარმოების საწარმოო საშუალებები, აგრეთვე ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევები.

წარმოებაში გეგმების შესრულება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, ასრულებს თუ არა წარმოება სახელმწიფო გეგმით დამტკიცებულ მოწყობილობის გამოყენების საშუალო პროგრესულ ნორმებს. ამიტომ გეგმების შედგენის დროს

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოწყობილობების სრულყოფილად გამოყენების ღონისძიებებს.

II. **ტექნიკური გეგმა**, შეიცავს წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის პროცესების მექანიზაციის დავალებებს. ტექნიკურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სატყეო მეურნეობის დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, მოწინავე წარმოებების მუშაობის ტექნოლოგიის გადმოტანა და დანერგვა. ტექნიკური გეგმა ისე უნდა შედგეს, რომ უზრუნველყოფილი იქნას სატყეო მეურნეობაში სამუშაოების მექანიზაციის სისტემატური ზრდა და ხელით მუშაობის მაქსიმალური შემცირება პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების გზით.

სატყეო მეურნეობის ტექნიკურ გეგმაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს წარმოების ტექნიკური მომზადების საკითხს. მეურნეობის ტექნიკურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მეცნიერებისა და ტექნიკის, მოწინავე საწარმოთა მიღწევების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებები. ასე, მაგ., ნარჩენების გამოყენების მიზნით სატყეო მეურნეობა ვალდებულია მოაწყოს ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი საამქროები. ამ მიზნით საჭირო იქნება შედგეს ტექნიკური დოკუმენტაცია. ტექნიკური პროექტი, ხარჯთაღრიცხვა, ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესის სქემა, ამ ნაკეთობათა ათვისების კალენდარული გეგმა და სხვ.

სატყეო მეურნეობის ტექნიკურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევო-სამეცნიერო ხასიათის სამუშაოები. საკვლევო-სამეცნიერო სამუშაოების გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სახალხო მეურნეობისათვის აქტუალური საკითხები, რომელთა მეცნიერული დამუშავება შეიძლება მეურნეობის კოლექტივის მიერ ადგილობრივ პირობებში და რაც გარკვეულ თეორიულ და პრაქტიკულ სარგებლობას მისცემს მეურნეობას.

III. **მატერიალურ-ტექნიკური** მომარაგების გეგმაში

გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოების უზრუნველყოფა ნედლეულით, დამხმარე მასალით, სათბობით, ელექტროენერგიით, მოწყობილობებითა და სხვ. ამავე დროს ამ გეგმაში დასახული უნდა იქნეს ღონისძიებები ამ მატერიალურ საშუალებათა ხარჯვის საქმეში უმკაცრესი ეკონომიის გატარების მიზნით.

სახელმწიფო გეგმის მიხედვით წარმოებაში ანგარიშობენ პროდუქციის ერთეულზე თუ რა მატერიალური საშუალებებია საჭირო დამტკიცებული გეგმის შესასრულებლად. საშუალო პროგრესული ნორმების საფუძველზე ანგარიშობენ ნედლეულის, სათბობის, დამხმარე მასალისა და სხვა მატერიალურ საშუალებათა ხარჯვის ნორმებს. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა ამავე დროს ითვალისწინებს წარმოებაში მატერიალური საშუალებების გარკვეული მარაგის შექმნას. ნედლეულისა და სხვა დამხმარე მასალის გარდამავალი ნაშთი საჭიროა წარმოების ნორმალური, რითმული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ მატერიალურ საშუალებათა ნაშთები მტკიცედ ლიმიტირებულია და იგი არ უნდა აღემატებოდეს გეგმით დამტკიცებულ ნორმატივებს. ყველა ზემოაღნიშნულ პირობათა გათვალისწინებით შედგენილი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის პროექტი შედგენილი და განსახილველად წარდგენილი უნდა იქნეს დანიშნულ დროზე სატყეო მეურნეობის ზემდგომ ორგანოებში. ზემდგომ ორგანოებში წარდგენილი გეგმის პროექტის საფუძველზე მეურნეობას გამოეყოფა წარმოების ნორმალურად მუშაობისათვის აუცილებლივ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

პარტიისა და მთავრობის მიერ კატეგორიულად დაგმობილია, როგორც ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა ე. წ. გაბერილი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შედგენა და არასწორად შედგენილი გეგმის საფუძველზე ზედმეტი მატერიალური საშუალებების მიღება. ნორმატივზე ზევით მარაგის შექმნა იწვევს უთავბოლობას — მასალების ხარჯვის

საქმეში, და სახელმწიფო საშუალებების უმოქმედოდ გაჩერებას — გაყინვას, მათ არამიზნობრივ ხარჯვას.

IV. **შრომის გეგმა შეიცავს ღონისძიებებს,** რომელიც აუცილებლივ საჭიროა შრომისნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისათვის. შრომის გეგმა ითვალისწინებს კადრების მომზადება-გადამზადებისა და წარმოების მუშაკთა მატერიალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

შრომის გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომისნაყოფიერების დონის საკითხს, ერთი მუშის გამომუშავებას საგეგმო პერიოდის გარკვეულ მონაკვეთში: თვეში, კვარტალში, წელიწადში და აგრეთვე პროდუქციის შრომატევადობის საკითხს.

შრომისნაყოფიერების დონესთან ერთად შრომის გეგმაში საზღვრავენ მუშების რაოდენობას საწარმოო უბნების მიხედვით და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეების რაოდენობას. საწარმოო პერსონალის (უშუალოდ წარმოებებში მომუშავე მუშების) გეგმას ადგენენ სამუშაოს მოცულობის (სახეების მიხედვით) ცალკეულ სამუშაოების მიხედვით დადგენილ გამომუშავების ნორმაზე გაყოფით. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და ადმინისტრატიული მმართველობითი აპარატის საშტატო განაწესი მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შრომის გეგმის ფარგლებში შესაბამისი სამინისტროების მიერ. საწარმოო პერსონალის საშტატო განაწესი მტკიცდება მეურნეობის ხელმძღვანელობის მიერ სახელმწიფო გეგმით დამტკიცებული შრომის გეგმისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

პერსონალის რაოდენობის, მათი კატეგორიების, გამომუშავების ნორმების, მოქმედი სატარიფო განაკვეთებისა და ხელფასის გაცემის სისტემის გათვალისწინებით წარმოებს ხელფასის ფონდის გაანგარიშება. გაანგარიშებული უნდა იქნეს აგრეთვე მომუშავეთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით: საშუალო წლიური და თვიური ხელფასი.

ხელფასის სწორი ორგანიზაცია (სანარდო ხელფასი, წამახალისებელი ხელფასის სისტემის დანერგვა და სხვ.) უზრუნველყოფს შრომისნაყოფიერების გადიდებას, გათანაბრების ელემენტების მოსპობასა და საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

V. **თვითღირებულების გეგმა** შეიცავს: ძირითადი ნაწარმისა და სამუშაოების თვითღირებულებას — კალკულაციას, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებას და საერთო პროდუქციის გამომუშავებისათვის მთლიანი ხარჯების ნუსხას.

თვითღირებულების გეგმის მთავარ ნაწილს შეადგენს პროდუქციისა და სამუშაოების თვითღირებულების შემცირების გეგმა. თვითღირებულების გეგმა შედარებული უნდა იქნეს გასულ წელში შესრულებულ ერთგვარ სამუშაოებისა და გამოშვებულ შესადარ პროდუქციის ფაქტიურ თვითღირებულებას და სათანადო ანალიზის შემდეგ შედგეს თვითღირებულების შემცირების გეგმა პროცენტებში გამოხატვით.

თვითღირებულების შემცირების გეგმაში ნაჩვენები უნდა იქნეს რომელი ხარჯების თვითღირებულების რომელი ელემენტის ხარჯზე მოხდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს თვითღირებულების გეგმის სწორად შედგენის საქმეს.

სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში არაერთხელ არის აღნიშნული იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს პროდუქციისა და სამუშაოების თვითღირებულების დაგეგმვის საქმეში. ცალკეულ წარმოებებში თვითღირებულების გეგმის შედგენისას ხელოვნურად ადიდებენ ზოგიერთ ხარჯებს. ნედლეულის ხარჯვის ნორმების გადიდებით ან კიდევ სხვა ხერხით ადგენენ „გაბერილი" საწარმოო ხარჯების ნუსხას. სოციალისტურ სახალხო მეურნეობის სისტემაში დაგმობილია თვითღირებულების გეგმების შედგენის არასწორი პრაქტიკა და სათანადო სამინისტროებსა და უწყე-

ბებს დავალებული აქვთ: აკრძალონ თვითღირებულების შემ-
ცირების გეგმის შედგენა საანგარიშო ბაზის მიხედვით. ახალი
წლის თვითღირებულების შემცირების გეგმები შეადგინონ
არა მარტო ფაქტიური თვითღირებულების მიხედვით, არამედ
ფაქტიური თვითღირებულების ზუსტი ანალიზისა და შეს-
წავლის შედეგად. ანალიზის შედეგად გამოვლინებული უნდა
იქნეს უყაირათო-არააუცილებელი ხარჯები, რომელიც გა-
წეული იყო საანგარიშო პერიოდში არასწორი მუშაობის შე-
დეგად.

ახალი გეგმის შედგენისას უნდა შემუშავდეს ღონისძიე-
ბები, რომლის გატარების შედეგადაც მიღწეული იქნება არა-
საწარმოო ხარჯებისა და დანაკარგების შემცირება და ამავე
დროს ლიკვიდირებულ იქნება ყოველგვარი გადახრები მოწი-
ნავე ტექნოლოგიური პროცესების რეჟიმიდან და მიღწეული
იქნება სათანადო საწარმოო დისციპლინის დაცვა. სსრკ მინის-
ტრთა საბჭომ დააწესა, რომ თვითღირებულების გეგმა და
საგეგმო კალკულაცია დამუშავებული უნდა იქნეს საწარმოო
მოწყობილობათა, ნედლეულის ხარჯვის, მასალების, საბრო-
ბის, ელექტროენერგიისა და შრომის ხარჯვის პროგრესული
ნორმების საფუძველზე. მთავრობამ დაავალდებულა სამინის-
ტროები, ტრესტები და სამმართველოები გააძლიერონ კონ-
კრეტული ხელმძღვანელობა და მოთხოვნები თვითღირებუ-
ლების დაგეგმვისა და პროდუქციის და სამუშაოების თვით-
ღირებულების გეგმის შესრულების შემოწმების საკითხებზე.

**VI. მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის შემდეგ
განყოფილებას საფინანსო გეგმა შეადგენს.** საფინანსო გეგმა-
ში მოცემულია გაანგარიშებები და სახსრები საწარმოო გეგ-
მების შესასრულებლად. საფინანსო გეგმაში მოცემულია აგ-
რეთვე ღონისძიებები მთავრობის მიერ გამოყოფილი საბრუ-
ნავი საშუალებების მიზნობრივი, ეფექტური გამოყენებისა-
თვის, საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარებისათვის,
სახელმწიფო ვალდებულებათა დროულად შესრულებისა-
თვის. ყველა სახის საბიუჯეტო შენატანების ბიუჯეტში ჩა-

რიცხვა უნდა წარმოებდეს დადგენილი ვადების მიხედვით. საფინანსო მეურნეობის ორგანიზაცია უნდა წარიმართოს იმ-დაგვარად, რომ წარმოების ყველა რგოლი იცავდეს სახელ-მწიფო-საფინანსო დისციპლინას. საფინანსო გეგმის ძირი-თად დოკუმენტად შემოსავალ-გასავლის ბალანსი ითვლება, რომელშიაც გათვალისწინებულია სატყეო მეურნეობის ყვე-ლა მოსალოდნელი ხარჯები, აგრეთვე ამ ხარჯების გაანგარი-შებანი და მისი მიღებისა და დაფარვის წყაროები. საფინან-სო გეგმაში მოცემულია გეგმიური მოგების გაანგარიშება, რომელიც პროდუქციის რეალიზაციის გეგმას ემყარება. ამა-ვე გეგმაში მოცემულია აგრეთვე არასარეალიზაციო მოგე-ბათა ანგარიშები, საბრუნავი საშუალებებისა და დაკრედიტე-ბის გაანგარიშებანი.

VII. მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმაში განსაკუთ-რებული ადგილი უკავია ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიე-ბათა გეგმას. ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა გეგმის მიზანს შეადგენს გამოავლინოს წარმოების შიგა რეზერვები და მობილიზაცია უყოს კოლექტივის შემოქმედებით ინიციატივას დამტკიცებული გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმაში გათვალის-წინებული უნდა იქნეს აგრეთვე მეურნეობის რომელ უბანში და რა ვადებში უნდა გატარდეს დასახული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. სატყეო მეურნეობის გეგმის რაო-დენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესასრულებლად ორგანიზაციულ-ტექნიკურ გეგმაში გათვა-ლისწინებულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ ახალი, სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, მო-წყობილობათა მაქსიმალური გამოყენება, შრომისნაყოფიე-რების გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და საერთოდ მატერიალური რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა.

მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმა გარდა ჩამო-თვლილი განყოფილებებისა შეიცავს კაპიტალური მშენებლო-ბის, კაპიტალური შეკეთების გეგმებს, სამეურნეო ანგარიშის

ფართოდ დანერგვის ღონისძიებას და კონკრეტულ წინადადებებს მმართველობის გაუმჯობესებისათვის. ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს არსებული ტექნიკის სრულ გამოყენებასთან ერთად მოწინავე საწარმოთა მიღწევებისა და სტახანოველთა შრომის მეთოდების გავრცელება და დანერგვა.

სატყეო მეურნეობის პრაქტიკაში საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენა ამჟამად წარმოებს გამარტივებული სქემით[1]. სატყეო მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენისათვის დამტკიცებული ფორმები არ ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში არსებულ და გავრცელებულ საგეგმო მონაცემებს. სატყეო მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენისათვის დამტკიცებული უნიფიცირებული ფორმა ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

I. სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის გეგმას, რომელშიც შედის:

1. ტყის მოწყობის საველე სამუშაოები;

2. წარსული წლების ტყის მოწყობის კამერალური სამუშაოები;

3. მიმდინარე წლის ტყის მოწყობის კამერალური სამუშაოები;

4. მომავალი წლისათვის ტყის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები.

II. ტყის სამეურნეო სამუშაოების გეგმა, რომელშიც მოცულობის და ხარჯების მიხედვით შედის შემდეგი ღონისძიებები:

1. მთავარი სარგებლობის ტყეკაფების გამოყოფა;

2. ტყეკაფების გამოყოფა მოვლითი და სანიტარული ჭრების ჩასატარებლად.

---

[1] სატყეო მეურნეობაში საწარმოო-საფინანსო გეგმა დგება ცალკე საბიუჯეტო საქმიანობაზე და — ცალკე სამეურნეო ანგარიშზე შეყოფ წარმოებისათვის.

3. მოვლითი ჭრები: ა) განათებითი, ბ) გაწმენდითი, გ) გამოხშირვითი, დ) გავლითი, ე) სანიტარული.

4. მერქნის გამოზიდვა..

III. ტყის კულტურების სამუშაოების გეგმა, რომელშიც შედის:

1. ტყის თესვა;

2. ტყის დარგვა;

3. კულტურების შევსება;

4. ტყის ბუნებრივი განახლების ხელის შეწყობა;

5. ნიადაგის მომზადება ტყის კულტურების, სანერგეების, სკოლებისა და პლანტაციების გასაშენებლად;

6. ნიადაგის მომზადება მიმდინარე წლის კულტურების გაშენებისათვის;

7. ტყის კულტურების მოვლა ერთჯერადზე გადაყვანით;

8. წარსული წლების სანერგეების მოვლა მორწყვით, ერთჯერადზე გადაყვანით;

9. წარსული წლების პლანტაციების მოვლა მორწყვით, ერთჯერადზე გადაყვანით;

10. სანერგეების გაშენება მორწყვითა და მოვლით;

11. სკოლებისა და პლანტაციების გაშენება მოვლითა და მორწყვით;

12. დარგვის წინ ნიადაგის მომზადება;

13. კულტურების შეღობვა;

14. ნერგების ამოღება, დახარისხება და შეფუთვა;

15. კულტურების მორწყვა;

16. კულტურებისათვის ფართობის ამოძირკვა და გაწმენდა;

17. სარგავი მასალის შეძენა;

18. თესლის დამზადება;

19. თესლების შეძენა;

20. ტყეპარკების სამუშაოები;

21. ცალკეული წამყვანი კულტურების გაშენება და მოვლა (ევკომიის, კორპის, მუხის და სხვ.);

22. ტყეკულტურების მუშაკების პრემიალური ანაზღაურება;

23. სხვა დანახარჯები.

ზემოთ დასახელებული სამუშაოების შემდეგ გეგმაში არის მოცემული: ჰიდრომელიორაციული სამუშაოები, ტყის დაცვის სამუშაოები, ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებები, საერთო-საწარმოო ხარჯები, სატყეო მეურნეობის მუშაკებისათვის ფორმის შეძენის ხარჯები, სატყეო მეურნეობის სატრაქტორო სამუშაოები, დაფინანსების წყაროები და სხვ.

სატყეო მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმა[1] არ ითვალისწინებს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმას, ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმას, შრომისნაყოფიერების გეგმას, სამუშაოების თვითღირებულების შემცირების გეგმას, ტექნიკის გამოყენების გეგმას, მეურნეობის ძირითადი ფონდების შეკეთების გეგმას, კაპიტალური მშენებლობის გეგმასა და სხვ. ჩვენის აზრით საწარმოო-საფინანსო გეგმიდან ასეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ამოღება, დაგეგმვის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა, რომ სატყეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით დაგეგმვის არსებული პრაქტიკა შეცვალოს წარმოების დაგეგმვის სრულყოფილ წესით.

მეურნეობის გეგმაში ყველა ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების შეტანით წარმოების კოლექტივს მიეცემა კონკრეტული დავალებები საწარმოო-საფინანსო გეგმის, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მაჩვენებლების წარმატებით შესრულებისათვის.

გეგმის შესრულების შემოწმება. საწარმოო დაგეგმვის ორგანულ ნაწილს გეგმის შესრულების შემოწმება შეადგენს. სოციალისტური დაგეგმვის სისტემა ითვალისწინებს როგორც გეგმის შედგენას, ისე მის განხორციელებას. საწარმოო-საფინანსო გეგმის ყველა მაჩვენებლების დროულად შესრუ-

---

[1] ლაპარაკია სბიუჯეტო საქმიანობის, საწარმოო-საფინანსო გეგმაზე

ლების უზრუნველსაყოფად მეურნეობაში წარმოებს გეგმის შესრულების სისტემატური შემოწმება. გეგმის შესრულების შემოწმების მიზანია გამოვლინებულ იქნას მეურნეობის ყოველ უბანზე გეგმის შესრულების მდგომარეობა და მიღებულ იქნას საჭირო ზომები გეგმის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებისათვის. შესრულების შემოწმების მიზანია გამოავლინოს წარმოებაში არსებული საშუალებები, რომელიც გეგმის შედგენისას არ იყო მხედველობაში მიღებული და დასახულ იქნას ღონისძიებები საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ასე, მაგალითად, მოვლითი ჭრების ჩატარების შედეგად მიღებული ფაქტიური მასალები, ხე-ტყის დამზადების ადგილების შემოწმება და იქ აღმოჩენილი ნარჩენები, „გარეული ხილის მოსავლის შემოწმება და სხვა საშუალებას იძლევა ფართო მოხმარების პროდუქტების, გეგმაზე ზევით გამოშვებისათვის. გეგმის შესრულების შემოწმება ავლინებს ამავე დროს რამდენად რეალურად არის შედგენილი გეგმა, რამდენად შეესაბამება იგი სინამდვილეს, რამდენად გამოყენებულია გეგმის შესრულების პროცესში წარმოების საშუალებები, რამდენად სრულყოფილია შრომის ორგანიზაცია და სხვ.

გეგმის შესრულების შემოწმების შედეგად უნდა შესწავლილი და სათანადოდ გაანალიზებულ იქნას თუ რა მიზეზების შედეგად მოხდა გეგმის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულება. თუ ადგილი აქვს გეგმის რომელიმე მაჩვენებლის შეუსრულებლობას, დეტალურად უნდა შემოწმდეს თუ რა მიზეზით არ სრულდება გეგმის ესა თუ ის მაჩვენებელი. მეურნეობის ხელმძღვანელობა ვალდებულია სპეციალისტებისა და მოწინავე მუშების მონაწილეობით განიხილოს გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილი უბნის, სატყეოებისა, ბრიგადების მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში ღონისძიებების დასახვა ან კიდევ გეგმის შესრულების შემოწმებისას გამოვლინებული გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის

ახალი საშუალებების გამოყენებისათვის ღონისძიებების დასახვა ამ მნიშვნელოვანი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. მთავარია ამ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება, მათი დადგენილ დროში განხორციელება. ამ მიზნით გეგმის შესრულების სისტემატურ შემოწმებასთან ერთად უნდა მოწმდებოდეს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დასახული ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობაც.

მეურნეობის გეგმის შესრულების შემოწმება იწყება იქედან თუ რამდენად დროულად იყო მეურნეობის მიერ გეგმები დაყვანილი სატყეომდე, უბნამდე და შემსრულებლებამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმების დამტკიცებისას, აწესებს ვადებს გეგმების მეურნეობამდე და შემსრულებლებამდე დაყვანისათვის.

გეგმები უნდა იყოს დაყვანილი შემსრულებლებამდე ფიზიკური მოცულობის მიხედვით, აგრეთვე ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით. მოწინავე საწარმოებში შემსრულებლებს აძლევენ აგრეთვე სხვა სახის მაჩვენებლებსაც. სახელდობრ. თვითეული ნაწარმის გამოშვებისათვის დროის ხარჯვის ნორმას, შესრულებულ სამუშაოს ღირებულებას, მასალის ხარჯვის ნორმებსა და სხვ. სატყეო მეურნეობებს ახალი წლის გეგმები აუცილებლივ უნდა მიეცეს ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე. დაუშვებელია, როდესაც სატყეო მეურნეობას საწარმოო-საფინანსო გეგმას უმტკიცებენ საგეგმო წლის თებერვლის, მარტის და ხშირად აპრილის თვეებში. ასე, მაგალითად, ლაგოდეხის სატყეო მეურნეობას, 1956 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა დაუმტკიცდეს 1956 წლის 14 აპრილს. ასეთ შემთხვევაში მეურნეობის კოლექტივი იანვარში, თებერვალში და. მარტში, ე. ი. მთელი პირველი კვარტალის განმავლობაში, მუშაობს საგეგმო ვარაუდებით, რაც ზღუდავს მეურნეობის კოლექტივის დარაზმულობას და ლტოლვას საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით

შესრულებისათვის. მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში, ე. ი. ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე გეგმის შემსრულებლებამდე დაყვანა, მეურნეობის კოლექტივს საშუალებას აძლევს მოფიქრებულად და მომზადებულად შეხვდეს ახალ წელს — საწარმოო წარმატებების მოსაპოვებლად.

გეგმის შესრულების შემოწმებისას უნდა გაირკვეს აგრეთვე სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესატყვისობა სატყეო მეურნეობის მიერ სატყეოების უბნებისა და ცალკეულ შემსრულებლების მიხედვით განაწილებულ და დაშვებულ გეგმებს შორის.

შემოწმების ამ სტადიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებულ გეგმას კანონის ძალა აქვს და სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობა არ არის უფლებამოსილი მასში რაიმე ცვლილებები შეიტანოს. სატყეო მეურნეობას შეუძლია აღძრას შუამდგომლობა სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს წინაშე გეგმის მაჩვენებლებში საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ, მაგრამ სანამდე სამმართველოსაგან არ იქნება მიღებული ოფიციალური თანხმობა, გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ, სატყეო მეურნეობა ვალდებულია სამუშაო წარმართოს მხოლოდ და მხოლოდ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

გეგმის შესრულების შემოწმებაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს მეურნეობის დირექტორი, უფროსი მეტყევე და სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციის სხვა პირები.

გეგმის შესრულების შემოწმების ორგანიზაციის საქმეში განსაკუთრებული როლი აკისრია მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც ამ საქმეში ფართოდ იყენებს კომკავშირისა და პროფკავშირის ორგანიზაციებს. მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას მინიჭებული აქვს უფლება შეამოწმოს მეურნეობის მთლიანი საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობა და მეურნეობის დირექტორს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს.

გეგმის შესრულების შემოწმება ეყრდნობა არა მარტო დაკვირვებისა და უშუალო შესწავლის მასალებს, არამედ გეგმის მაჩვენებლების აღრიცხვის მასალებს. გეგმის შესრულების შემოწმების ძირითად მასალას გეგმის შესრულების აღრიცხვის მასალები შეადგენს.

სატყეო მეურნეობაში სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის აღრიცხვა წარმოებს ძირითადად საბუღალტერო, სტატისტიკურ და ოპერატიული აღრიცხვის წესით. აღრიცხვის ეს სამივე წესი გამოყენებულია ურთიერთ კავშირში და იგი სოციალისტური აღრიცხვის მთლიან სისტემას წარმოადგენს. საბუღალტერო, სტატისტიკური და ოპერატიული აღრიცხვები — აღრიცხვის მთელ ციკლს ასახავს, ავსებენ აღრიცხვის სისტემას ურთიერთთან დაკავშირებული საჭირო მონაცემებით, ყოველგვარი არასაჭირო განმეორების გარეშე.

საბუღალტერო, ოპერატიული და სტატისტიკური აღრიცხვისათვის არსებობს სპეციალური ფორმები, აგრეთვე ამ ფორმების შედგენისა და ზემდგომ ორგანოებში წარდგენისა და განხილვის ვადები. აღრიცხვისათვის სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებულ ფორმებში სატყეო მეურნეობას არავითარი ცვლილებების შეტანა არ შეუძლია. აღრიცხვის საფუძველზე სათანადო ორგანოები არკვევენ გეგმების შესრულების მდგომარეობას ყოველდღიურად, კვირეულად, დეკადურად, თვიურად, კვარტალურად, წლიურად და ისახება საჭირო ღონისძიებები მეურნეობის აღმავლობისათვის.

გეგმის შესრულების შედეგები სისტემატურად უნდა იხილებოდეს მეურნეობის საერთო კრებაზე, საწარმოო თათბირებზე, სამეურნეო აქტივის კრებაზე და შრომის სოციალისტური, მოწინავე ფორმების დანერგვით მეურნეობაში მიღწეული უნდა იქნეს სისტემატური აღმავლობა.

გეგმების შესრულების შემოწმებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო გეგმის საერთო შესრულებას, არამედ გეგმის შესრულებას სამუშაოთა სახეების მიხედვით. გეგმა უნდა სრულდებოდეს ყოველი სატყეოს, ყოველი უბ-

ნისა და ყოველი ბრიგადის მიხედვით — შესრულებულ სამუშაოების სათანადო ხარისხის დაცვით. გეგმის შესრულების შემოწმება უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს; უნდა მოწმდებოდეს საწარმოო პროგრამის, შრომისა და ხელფასის, თვითღირებულების შემცირების, კაპიტალურ მშენებლობის, კაპიტალურ შეკეთების ტექნიკის გამოყენებისა და მეურნეობის გეგმის სხვა მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა, მეურნეობის ძირითადი და საბრუნავი ფონდების საუკეთესოდ გამოყენების მიზნით მეურნეობის დირექტორს მინიჭებული აქვს უფლება შემკვეთ და თავის ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეიტანოს სათანადო ცვლილებები მეურნეობის გეგმაში.

სამინისტროებს, მთავარსამმართველოებს, ტრესტებს უფლება აქვთ მოახდინონ კვარტალურ და თვიურ გეგმებში ცვლილებები მთავრობის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის სამინისტროებს და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროების ხაზით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მინიჭებული აქვთ უფლება შეცვალონ სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული კვარტალური გეგმები, მაგრამ ამ ცვლილებების საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს მთელი წლიური გეგმის 10%-ს.

პირველადი სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებას „წარმოების დირექტორის უფლებათა გადიდების შესახებ“.

აღნიშნული დადგენილება უფლებას აძლევს სამეურნეო ობიექტის ხელმძღვანელს ერთმმართველობის პრინციპების დაცვით წარმართოს მთელი წარმოების კოლექტივის მუშაობა; საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით დარაზმოს მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი; ხშირად

ჩაატაროს საწარმოო თათბირები, სამეურნეო აქტივი, რომელზედაც განხილული უნდა იქნეს გეგმის პროექტები და წარმოების სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

დირექტორს უფლება აქვს:

დაამტკიცოს საწარმოო-საფინანსო გეგმა ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცებული წლიური და კვარტალური გეგმის ფარგლებში, გაატაროს ახალი ტექნოლოგიური პროცესები, მუშაობის ახალი მეთოდები შესრულებული სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებები მეურნეობის მმართველობის სტრუქტურაში, კანონმდებლობის საფუძველზე მოახდინოს ხელფასებში ცვლილებები, შეიტანოს ცვლილებები სამეურნეო-ადმინისტრატიულ ხარჯებში 10% ოდენობით ცალკეული სტადიების მიხედვით, აწარმოონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით თანხების ხარჯვა წარმოების ფონდებიდან[1].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გეგმების შესრულებას რაოდენობის, ხარისხისა და ასორტიმენტის მიხედვით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ-ს 1955 წლის ივლისის პლენუმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში დაგმობილია იმ საწარმოთა ხელმძღვანელების მუშაობა, ვინც ცდილობს გეგმები შეასრულოს მხოლოდ საერთო მაჩვენებლების მიხედვით. ზოგიერთი საწარმონი არ ასრულებენ ძირითად ნაკეთობათა გეგმებს და სამაგიეროდ დიდი გადაჭარბებით უშვებენ მეორე ხარისხის პროდუქციას. ასეთი წესით გეგმის შესრულება ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკად არის აღიარ-

---

[1] წინათ არსებული დირექტორის ფონდის მაგიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესებულია წარმოების ფონდი.

რებული. ყოველი წარმოების კოლექტივის უწმინდეს მოვალეობად ითვლება გეგმების შესრულება არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც.

სკპ (ბ) მე-18 კონფერენციის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: გეგმის შესრულების უზრუნველყოფა — გეგმის მიხედვით მუშაობა ეს ნიშნავს:

ა) შეასრულო წლიური, კვარტალური და თვიური საწარმოო გეგმები არა საშუალოდ, არამედ თანმიმდევრულად, გეგმურად, წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით;

ბ) შეასრულო გეგმა არა საშუალოდ დარგის მიხედვით, არამედ ყოველი საწარმოს მიხედვით;

გ) შეასრულო გეგმა არა წარმოების მიხედვით, არამედ წარმოების ყოველი უბნის და მომუშავის მიხედვით.

დ) შეასრულო გეგმა არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც, გამოუშვან კომპლექსური პროდუქცია დამტკიცებული სტანდარტის და ღირებულების მიხედვით.

დაგმობილია აგრეთვე წარმოების არარითმული მუშაობა. გეგმები უნდა სრულდებოდეს ალმავალი მასშტაბით. სოციალისტურ საწარმოში გამოთიშული უნდა იქნეს იერიშიანობა გეგმების შესრულებაში. გეგმების უთანაბრო შესრულება ცალკეული დეკადების მიხედვით თუ იგი გაპირობებული არ არის სამუშაოს შესრულების სეზონური ხასიათით და ტექნოლოგიით, ნიშნავს არაორგანიზებულებას და ადმინისტრაციის, პარტიული და პროფორგანიზაციის სუსტი მუშაობის მაჩვენებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი 1, 2, 3.

2. ვ. ი. ლენინი, დიდი წამოწყება, 29 ტ., მეოთხე გამოცემა.

3. ვ. ი. ლენინი, როგორ მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრი, 26 ტ., მეოთხე გამოცემა.

4. ვ. ი. ლენინი, ტეილორის სისტემა — ადამიანის დამონებაა მანქანის მიერ, 20 ტ., მეოთხე გამოცემა.

5. ვ. ი. ლენინი, ოფლის გამოწურვის მეცნიერული სისტემა, 18 ტ., მეოთხე გამოცემა.

6. ვ. ი. ლენინი, ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ, 32 ტ., მეოთხე გამოცემა.

7. ი. ბ. სტალინი, სიტყვა სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე, ლენინიზმის საკითხები, 11 გამოცემა.

8. ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, სახელგამი, 1952 წ.

9. სკპ (ბ) XVIII კონფერენციის რეზოლუცია — პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

10. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX და XX ყრილობის დირექტივები მეხუთე და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

11. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილება — სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებების შესახებ.

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ც.კ. დადგენილება ტყის დამზადებაში ჩამორჩენების ლიკვიდაციის შესახებ. იხ. გაზ. „Лесная промышленность“, 1953 წ. 10 ნოემბერი № 132.

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 იანვრის დადგენილება — სატყეო მეურნეობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ და ფართო მოხმარების საგნების დამზადების შესახებ სატყეო მეურნეობების მიერ.

14. სკკპ 1955 წ. ივლისის პლენუმის დადგენილება მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

15. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მოხსენებები და რეზოლუციები.

16. მანევიჩი, ხელფასი და მისი ფორმა სსრ კავშირის მრეწველობაში, სახ. გამომც., 1951 წ.

17. ვ. ფ. ნაზაროვი, მ. ჰ. სავკინი, სატყეო მეურნეობის და ტყესაცავი სადგურების დაფინანსება, სახ. საფინანსო გამომც., 1952 წ.

18. დაცვითი ტყის გაშენების ინსტრუქცია, სახ. სამ. გამომც., 1952 წ.

19. სატარიფო განაკვეთები და სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი სატყეო მეურნეობის მუშებისათვის, მოსკოვი, 1952 წ.

20. სატყეო მეურნეობის დარგში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებები და სხვ.

21. ი. ს. მიქელაძე, მრეწველობის ეკონომიკა, თბილისი, სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.

22. მანქანათმშენებლობის ენციკლოპედიური ცნობარი შედგენილი ავტორების ჯგუფის მიერ, მაშგიზის გამომცემლობა, 1951 წ., მოსკოვი.

23. პოლიტეკონომიკ, ფარგმანი, სახელგამი, 1954 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	5
I. სატყეო მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის ძირითადი პრინციპები	16
II. სოციალისტური სატყეო მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის ამოცანები	19
III. სატყეო მეურნეობის საწარმოო საქმიანობის შემადგენლობა და სატყეო მეურნეობის საწარმოთა სტრუქტურა	31
IV. სატყეო მეურნეობის მძარაველობის ორგანიზაცია	40
V. საწარმოო საშუალებები და მისი გამოყენების ორგანიზაცია სატყეო მეურნეობაში	66
VI. შრომისა და ხელფასის ორგანიზაცია სატყეო მეურნეობაში	89
VII. დანორმვის საფუძვლები სატყეო მეურნეობაში	124
VIII. ტყის დაცვის ორგანიზაცია	157
IX. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია და წარმოების ძოძს ხურება	193
X. სატყეო მეურნეობის წლიური გეგმის შედგენის მეთოდიკა და სისტემა	204

Таргамадзе Константин Михайлович

Организация и планирование предприятий лесного хозяйства

(на грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР

Тбилиси

1956

რედაქტორი პროფ. ვ. გულისაშვილი და დოც. ბ. ეღენტი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი
კორექტორი ლ. ბერეშიძე

* * *

გადაეცა წარმოებას 17/IX - 1956 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27 XI-1956 წ. ქაღალდის ზომა 84 x 108. ანაწყობის ზომა 5,5 x 9. ნაბეჭდი თაბახი 15. ტირაჟი 2000. სტამბის შეკვ. № 1446. უე 06743.

* * *

სტამბა „ზარია ვოსტოკა", თბილისი, რუსთაველის პროსპ., № 42.